

# სხანი უმკობელი

თებერვალი, 2012, №76  
ფასი 7 ლარი



ისტორიები

## გია დვალდი

ალექს ჩილვინაძე, ზურა ჯიშპარიანი

## ჯონ და პოლი ბასები

ენო ჩიმაქაძე, თამარ ბაბუაძე

## ალექსანდრ მაქუინი

თამარ ალავიძე

ინტერვიუ

## ჩარლზ ლოიდი

კახა თოლორდავა

ფოტოგრაფები

## მუშთაილი – ნელი ნული

ენო ძანკვა

კინო

## აკაკალიფსის მოლოდინე

ბიორგი ბვახარია

სოსილური ქსელები

## თქვენი სწოვრების ისტორია ინტერნეტში

ენო ნატროშვილი

ISSN 1512-2220



**Adstation/Ogilvy**

**The representative agency of Ogilvy & Mather in Georgia and Armenia**

**35, B. Jgenti St., Tbilisi, Georgia**

**+995 (32) 2 47 1005**

**info@adstation.ge**

# ADstation *Agency*

*“BIG IDEAS ARE USUALLY SIMPLE IDEAS”*

“Within every brand is a product, but not every product is a brand”

“Unless your advertising is built on a big idea, it will pass like a ship in the night”

“What you show is more important than what you say”

“Never write an advertisement which you wouldn't want your own family to read”

*“The most important decision is how to position your product”*

*“Advertise what is unique”*

“The purpose of a commercial is not to entertain the viewer but to sell him”

“What really influences consumers to buy or not to buy is the content of your advertising, not its form”

**“IF IT DOESN'T SELL, IT ISN'T CREATIVE”**

“The more informative your advertising, the more persuasive it will be”

“No manufacturer ever got rich by underpaying his agency. Pay peanuts and you get monkeys.”

# სხანი შოპოდალი

N76, თებერვალი 2012



<b>რედაქტორის სვეტი</b>	6	BABY UNIVERSE
<b>ნარდგენა</b>	10	ანუკ ბელუგა, ნენე გიორგაძე
<b>რესტორნის კრიტიკა</b>	12	ხაშის ნაცვლად <b>თამარ კვინიკაძე</b>
<b>ანონსი</b>	14	13 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ <b>სალომე აფხაზიშვილი</b>
<b>საავტორო</b>	16	ემტა ანა კორძია-სამადაშვილი
	18	შეუსრულებელი პირობა <b>გაგა ნახუცრიშვილი</b>
	20	შიშის დასაძლევად <b>ნინო ბეჟიშვილი</b>
	22	ჩემი ინდური ახალი წელი <b>თამთა მელაშვილი</b>
<b>კინო 2011 – მიმოხილვა</b>	24	აპოკალიფსის მოლოდინში <b>გიორგი გვახარია</b>
<b>ისტორიები</b>	34	გია დვალი პირველ მიახლოებაში <b>ალექს ჩიღვინაძე, ზურა ჯიშკარიანი</b>
	50	ჯონ და ჰოლი ბასები – მოგზაურები საქართველოში <b>ნინო ჩიმაკაძე, თამარ ბაბუაძე</b>
<b>ინტერვიუ</b>	58	ჯიმ სტარკთან ყავისა და სიგარეტის გარეშე <b>ნინო ჩიმაკაძე</b>
<b>სპეცპროექტი</b>	46	ჩარლზ ლოიდი <b>კახა თოლორდავა</b>
<b>რეპორტაჟი</b>	64	ღია ქალაქი <b>ნინო ლომაძე</b>
<b>სოციალური ქსელები</b>	72	ერთი დღე აფჭალის ბავშვთა კოლონიაში <b>ლადო კილასონია</b>
<b>ფოტოპროექტი</b>	76	თქვენი ცხოვრების ისტორია ინტერნეტში <b>ნინო ნატროშვილი</b>
<b>სტილი</b>	82	მუშთაიდი – წელი ნული <b>ნინო ძანძავა</b>
	92	მოდა – ბიზნესი თუ ხელოვნება?! <b>თამარ ალავიძე</b>
	94	მოდის ისტორია: რკინის ლედი
	98	ინტერვიუ: უტა ბექაია
<b>ლიტერატურა</b>	106	ალექსანდრ მაკქუინი – სილამაზის ბნელი მხარე <b>თამარ ალავიძე</b>
<b>მოთხრობა</b>	118	ჩემი სანდრო <b>აკა მორჩილაძე</b>
	123	რობოტების ყვაველები <b>გიორგი ავალიანი, გიორგი მაისურაძე</b>
<b>იანვარი 2012</b>	130	ზამინა <b>ბაჩო კვიციანი</b>
	135	20 წელი 12 თვე <b>მაშო სამადაშვილი</b>
	136	რიჩმონდის პარკმა იცის ეგეთი დილის ნისლები <b>მწერალი აკა მორჩილაძე, ფოტოგრაფი ბესო უზნაძე</b>
<b>მუზეუმი ჟურნალში</b>	137	ლონდონის ნისლიანი პეიზაჟები <b>მაშო სამადაშვილი</b>
<b>წიგნები</b>	138	ჰაჯი-მურატის თოფები <b>ნანა კობალაძე, ლაშა ბაქრაძე</b>
	140	წიგნები არ იწვის <b>გიორგი ლობჯანიძე</b>

ყდა: გია დვალი  
ფოტო: სერგი ბარისაშვილი  
ილუსტრაცია: პანტელეი შარია



**მთავარი რედაქტორი**

ნინო ჯაფარიძე  
**აღმასრულებელი რედაქტორი**

თამარ ბაბუაძე  
**„სტილის“ რედაქტორი**

თამარ ალავეძე  
**„ლიტერატურის“ რედაქტორი**

რატი ქართველიშვილი  
**რედაქტორების ასისტენტი**

მარიამ სამადაშვილი  
**ვებგვერდის რედაქტორი**

ელენე ასათიანი  
**არტრედაქტორი**

არჩილ თაბუკაშვილი  
**ფოტორედაქტორი**

გიორგი ნადირაძე  
**დიზაინი**

თორნიკე ლორთქიფანიძე  
**კორექტორი**

თამარ ლონდაძე  
**ნომერზე მუშაობდნენ:**

ალექს ჩილენაძე, ზურა ჯიშკარიანი, კახა თოლორდვა, თამარ ალავეძე, თამარ კვინიკაძე, ნინო ნატროშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ლადო კლასონია, ნინო ლომაძე, ნინო ბექაშვილი, გავა ნახუცრიშვილი, თამთა მელაშვილი, ანა კორძია-სამადაშვილი, გიორგი გვახარია, გიორგი ლობჯინძე, ნინო ძანაგა, მამო სამადაშვილი, სალომე აფხაზიშვილი, აკა მორჩილაძე, გიორგი ავალიანი, გიორგი მისურაძე, ლაშა ბაქრაძე, ნანა კობალაძე

**ფოტო:**  
 მაკა გოგალაძე, სერგი ბარისაშვილი, ლევან ხერხეულიძე

**ილუსტრაციები:**

შაკო ნიკვა, რუსლან ბერიძე, მურმან თაბუკაშვილი, თათია ნადარეიშვილი

**გიზანის განვითარების მენეჯერი**

რუსუდან ფურცელაძე  
**საზოგადოებასთან ურთიერთობა**

ლელა შუბითიძე  
**კლიენტთა მომსახურების მენეჯერი**

ნათია რუსაძე  
**პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი:**

ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი, ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი, მარიამ მიქელაშვილი, თინა ოსეფაშვილი.

**დისტრიბუცია**

მიხეილ გედენიძე



**გამომცემლობა:**  
 შპს „მედია ჰაუსი დეკომი“

მისამართი: თბილისი 0183, საქართველო  
 ფლენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 2471005

**სხვა გამომცემლობები:**

„ლიბერალი“, „ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, „დიალოგი“.

**სტამბა:**

„სეზანი“, თბილისი, ნერეთლის 140, ტელ.: 2 357002

ფურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო უფლებები დაცულია. ფურნალში გამოქვეყნებული

მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

„ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი არ ერევა შინაარსის შექმნაში.



# BABY UNIVERSE

ყოველ ჯერზე გაოცებული ვაკვირდები, როგორ იწყებს ჩემი ხუთი წლის შვილი, სპონტანურად, ხელში მოხვედრილი შემთხვევითი ნივთებისგან სამყაროების შექმნას. ჭრელი თავშელები, ძველი მძივები, ქუჩაში ნაპოვნი ფერადი შუშები, ქვები, გორჩები, ფეხსაცმელები, ბალიშები, სხვადასხვა ზომის თასები – ნელ-ნელა ყველაფერი რაღაც უცნობი ლოგიკით ლაგდება, მერე ისევ ირღვევა და ახლა უკვე, სხვა კომბინაციით უკავშირდება ერთმანეთს. ისევ და ისევ – დაუსრულებლად.

ეს პატარა „დემიურგი“ ისეთი გატაცებით აკეთებს ხოლმე ამ ყველაფერს, რომ იმ მომენტში სრულიად მიუწვდომელი ხდება გარე სამყაროსთვის. წინ და უკან დაბორილობს, თავისთვის ლაპარაკობს, ვერ გრძნობს დრო როგორ გადის, რამდენიც უნდა ელაპარაკო, ხმას ვერ მიაწვდენ. თავისი სამყაროების გადაკეთებაში ისეა ჩაფლული, რომ ჰორიზონტს მიღმა დარჩენილ რეალობას ვეღარ ამჩნევს.

მთელი იანვარი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს „ცხელი შოკოლადის“ ავტორებიც ამ თამაშში ვიყავით ჩართული. ისევე, როგორც ბავშვობაში, ყოველდღიურ ერთფეროვნებას თვალი მოვწყვიტეთ, ცაში ავიხედეთ და ხელახლა გავიზრეთ „რა საოცრებაა, როდესაც სამყარო – მთელი ეს უსასრულობა და წარსული ჩვენს ცნობიერებაში აირეკლება.“


რას წარმოადგენს ადამიანი და რა არის რეალობა? ამ ფუნდამენტურ კითხვებზე პასუხს ეძებდნენ დათოვლილი გუდაურის „კოსმოსური თანამგზავრით ჩემ, უხმო სასტუმროს ოთახში“ თანამედროვე ფიზიკის მკვლევარ გია დვალთან ერთად „მწერალი, მუსიკოსი და ასტროლოგი-ფოტოგრაფი“.

„გია დვალი პირველ მიახლოებაში“, „ჯონ და ჰოლი ბასები – მოგზაურები საქართველოში“, „ალექსანდრ მაკეჟინი – სილამაზის ბნელი მხარე“, კახა თოლორდავას ინტერვიუ ჩარლზ ლოიდთან – „ცხელი შოკოლადის“ ყველა ეს ისტორია, სხვადასხვა „შეჯახებების“ შედეგად შექმნილ უნიკალურ რეალობებს აღწერს, რომელთა გააზრებაც საკუთარი თავის უფრო შეცნობის საშუალებას გვაძლევს.

„ყველაზე ღრმად საკუთარ თავში სამყარო იგივეა, რაც ადამიანი თავისი ბუნებით. შეიძლება ამას სული ან გონი დავარქვათ – ეს ერთიანობა აზროვნებს და ამავე დროს, თავად არის აზრი და ჩვენ, ადამიანური არსებები სინამდვილეში ამ მოაზროვნის ფიქრები ვართ,“ – წერს თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვიზიონერი ფილიპ ქინდრედ დიკი თავის ესეში – „როგორ შევქმნათ სამყარო, რომელიც არ დაიშლება რამდენიმე დღეში“.



## ავეჯი, რომელიც გილამაზებთ ცხოვრებას



ავეჯის სალონი „პაპილონი“  
თბილისი, აკ.ბაქრაძის 6  
ბათუმი, ბავრატიონის 109  
ტელ: 2540990, ფაქსი: 2540993  
[www.papillon.ge](http://www.papillon.ge)





ნიწო ნატროშვილი

დაახლოებით 5 წლის წინ, სოციალურ ქსელებზე დაწერა მთხოვეს. მასსოვს, ცოტა დავიბენი, ზუსტად ვერც კი მივხვდი, მაინც, რა უნდოდათ...

ახლა სოციალური ქსელი არა მარტო ჩემი, არამედ მილიონობით ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თავიდან გართობის მშვენიერი საშუალება იყო. უბრალოდ, დროს გართმევდა და ცდუნებასთან გამკლავებაც რთული იყო. სამაგიეროდ, ძალიან კარგი გრძნობაა, როცა რამდენიმე წლის უნახავ ნაცნობს, სადაც, დედამიწის გადაკარგულ კუთხეში აღმოაჩენ...

წელ-წელა სოციალური ქსელი განქორწინებების მიზეზად დასახელდა, მერე, მისი წყალობით რევოლუციებიც მოხდა, შემდეგ, ახალშობილს Facebook დაარქვეს, მოგვიანებით, მარკეტინგული სტრატეგიები შეიცვალა: კომპანიებმა ინვესტიციები სოციალურ ქსელებში ჩადეს, ყველა შეიშალა! სოციალური ქსელები და განსაკუთრებით Facebook ფულის მანქანად იქცა...

ფულის შოვნის წყარო ჩემი, თქვენი და სხვების პირადი ინფორმაციაა, რომლის მოპოვებასაც, სოციალური ქსელების ეპოქაში, დიდი ძალისხმევა აღარ სჭირდება. ადამიანები საკუთარი ნებით გასცემენ პირად მონაცემებს და სრულიად უცნობ ადამიანებს კრიტიკული მნიშვნელობის ინფორმაციასაც უზიარებენ. ამ სტატიის მიზანი ფობიების დაწერვა არ არის. სოციალური ქსელის ყველა მომხმარებელს უფლება აქვს იცოდეს, ვინ და რატომ უთვალთვალებს ინტერნეტში, რომ პრივატულობა სოციალურ ქსელში მხოლოდ პირობითი ცნებაა და რომ ერთ დღეს, შესაძლოა ზედმეტი გულახდილობა სანანებელი გაგხდეთ.

თქვენი ცხოვრების ისტორია ინტერნეტში გვ. 76



ალექს ჩიღვინაძე, ზურა ჯიჟარაძე

წებისმიერ ფანტასტიკურ რომანზე გაცნობით საინტერესო წასაკითხი ის თანამედროვე თეორიებია, რასაც გაიღვალი და მისი კოლეგები ქმნიან, თეორიები, რომლებიც შემდეგ, ფუნდამენტურად ცვლიან ხოლმე სამყაროზე წარმოდგენებს.

ჩვენი ამ ტექსტის ერთ-ერთი სამიზნე, შესაძლებელია ფიზიკის მასწავლებლები იყვნენ. თუკი ისინი გაიანტერესოთ თავის მოსწავლეებს წაუკითხავენ, შესაძლებელია მათ ჩინოვნიკის კარიერას ჰიგის ტბის ტალღებზე სერფინგი ამჯობინონ. ამ სტატიაში შერლოკ ჰოლმის გამოჩენის იდეაც სწორედ ისაა, რომ მეცნიერის სტანდარტული პროფილიდან, შედარებით მიმზიდველი მხატვრული ლიტერატურისკენ გადაგვხვია.

სულ ოდნავ თუ გავცდებით პირად ეგოისტურ ჰორიზონტს და ცოტა მასშტაბურად შევხედავთ ჩვენს ადგილს კოსმოსში და ჩვენს ყოფით რეალობას, საუკუნოვანი ძილიდან გამოღვიძებული ნეოსავით, ვიხილავთ პრიმიტივი პოლიტიკოსების, შარლატანი კულტურის მოღვაწეების, თუ მორალისტი „ერის მამების“ დიდ და უაზრო ფერხულს, ჭიანჭველების მატრიცას, რომელიც მხოლოდ უსახური კარიკატურაა, იმ გრანდიოზულ ინტელექტუალურ მოძრაობასთან შედარებით, რომლის ერთ-ერთი შემოქმედიც დღეს გაიღვალია.

გაიღვალი პირველ მიახლოებაში გვ. 34



ნიწო ჩიბაქაძე

ამერიკის ელჩი ერთ-ერთი გამონაკლისია მაღალი თანამდებობის პირებს შორის, ვისაც პირადად ვიცნობ. ჯონ ბასი და მისი მეუღლე, ჰოლი ჰოლცერ-ბასიც, არტისტების თავყრილობაზე გავიცანი მათსავე სახლში.

„დრო რომ მქონდეს, ბევრს ვიხეტილებდი გალერეებში, დავესწრებოდი სხვადასხვა წარმოდგენებს და კონცერტებს“ – მითხრა ელჩმა, რომელიც, ერთ დროს, თურმე, საქსოფონზეც უკრავდა და ჯახისა და როკენროლის დიდი მოყვარულია. კლასიკური მუსიკით და ფოტოგრაფიით გატაცებულ მის მეუღლეს კი, მუდმივად თან დააქვს ფოტოკამერა. ამას გარდა, ჰოლის განსაკუთრებული ინტერესის სფერო გენდერის და ოჯახური ძალადობის თემაა, რაზეც საქართველოშიც აგრძელებს მუშაობას.

ამ სტატიის ძირითადი ფოკუსიც ჯონ და ჰოლი ბასების პოლიტიკის მიღმა ინტერესები უნდა ყოფილიყო. თუმცა, მასალაზე მუშაობისას საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ამერიკის ელჩის როლი საქართველოში იმდენად მნიშვნელოვანია, მასთან დაკავშირებული მოლოდინები კი იმდენად მაღალი, რომ პოლიტიკისთვის გვერდის ავლა სიცარიელის შეგრძნებას დატოვებდა.

როგორც ჩანს, დიპლომატობა საქართველოსნაირ პატარა ქვეყანაში, დიდი ტვირთი შეიძლება აღმოჩნდეს: ელჩისგან მუდმივად ვილაცის ან რალაცის განსჯას ელიან.

სტატია დიპლომატების ოჯახის პროფესიული საქმიანობის და პირადი ამბების ერთგვარი ნაზავია. ამერიკის ელჩისა და მისი მეუღლის მოგზაურობა საქართველოში, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

ჯონ და ჰოლი ბასები – მოგზაურები საქართველოში გვ. 50






creative home



SALE 20%

საქართველო, თბილისი  
ჭავჭავაძის 34 სავაჭრო ცენტრი პიქსელი  
ალ.ყაზბეგის 24 სავაჭრო ცენტრი აქსისი  
ქავთარაძის 1 ჰიპერმარკეტი გუდვილი  
ტელ: 2312620, 2183507



**ანუკ ბელუგა**  
**ილუსტრატორი**

ანუკ ბელუგა 26 წლისაა. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, სივრცის დიზაინზე დიდხანს არ უმუშავია, ილუსტრაციების კეთება დაიწყო. ძირითადად, ხელით ხატავს. მისი თემატიკურად მრავალფეროვანი ხელოვნება არცერთ ჟანრს და სტილს არ მიეკუთვნება. და თემატიკურადაც მრავალფეროვანია.

ანუკა ცდილობს ნამუშევრები გასაგები იყოს. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ დამთავრებულმა ყურადღება არა უხვი სექსუალური სცენებისა და სიმბოლურებისკენ მიმართოს, არამედ გაიაზროს, რომ ეს გამოხატვის ერთ-ერთი ხერხია და მეტი არაფერი. ანუკას ნამუშევრების ხშირი თემაა გენდერი და იდენტობა, ქალთა უფლებები და ფემინიზმი. როგორც ამბობს, ზომიერებას ყოველთვის იცავს და იმ ნამუშევრების გამოქვეყნებას, რომლებიც თავად მიაჩნია თამამად, ერიდება – არ უნდა, გამოხატვის ფორმამ შინაარსი გადაფაროს.

INRI ჯვარზე გაკრული უსახელო არსებაა, რომლის მხოლოდ ტანსაცმელს ვხედავთ. გასაკვირი არაა, რომ ნამუშევრს დანახვისთანავე ასოციაციურად იესოსთან მიჰყავხარ. ჩანაფიქრი კი ისაა, რომ ადამიანს შეუძლია ფაქტი ასახოს არა ისე, როგორც მას ამ ფაქტს აწვდის, არამედ ისე, როგორც თავად აღიქვამს მას. როგორც ანუკა ამბობს, ეპატაჟზე სრულებით არ ფიქრობს, უბრალოდ, იმას ხატავს, რაც მოუწოდება, მისთვის მთავარი ხიბლით ფაქტების თავისუფლად ვარიაციის შესაძლებლობაა.

მის ნამუშევრებში ხშირადაა ასახული მიმდინარე მოვლენები: კალიბის შემოსევით დაწყებული, ქალთა უფლებების დარღვევით დამთავრებული.

ანუკა ილუსტრაციების საშუალებითაც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ნორმებს, რომლებიც მისი აზრით, სახელმძღვანელოდაა ქცეული და ადამიანს თვითგამოხატვის თავისუფლებას უზღუდავს.

ანუკა ერთ-ერთი ფემინისტური ჯგუფის წევრია, რომელიც ქალთა უფლებების დარღვევის საპასუხო აქციებს აწყობს. აბორტის აკრძალვის საწინააღმდეგო აქციაზე, მის პოსტერს ჰქონდა წარწერა: „ის რაც ჩემშია, მხოლოდ ჩემია“. მისი ეს გამოსვლა აბორტისკენ მოწოდებად აღიქვეს, თუმცა ანუკას მხოლოდ იმის თქმა სურდა, რომ განვითარებად ქვეყანაში აბორტის აკრძალვა მიზანშეუწონელია.

გარდა ილუსტრაციებისა, ანუკა აკეთებს კომიქსებს ჟურნალ „მიკროსკოპისთვის“, დასურათებული აქვს რამდენიმე წიგნი – „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“ და „1001 ლამე“.

მისი ნამუშევრების ნახვა შესაძლებელია მის ბლოგებზე:  
<http://robinsonillustrations.wordpress.com/>  
<http://anukacomics.wordpress.com/> <http://easternights.wordpress.com/>  
<http://anukbeluga.wordpress.com/>

**ნენე გიორგაძე**  
**პოეტი**

ნენე გიორგაძის პოეზია, ხშირად, რიგითი ადამიანებისთვის მოუხელთებელი, ისეთი განწყობების ასახვაა, თავისი ბუნდოვანებით რომ გვაკრთობს ხოლმე. და საერთოდ, ადამიანებს ხომ სწორედ გაურკვეველობა გვირეცს თავგზას; გამუდმებით ცხოვრებისეული ორიენტირების ძიებაში ვართ – პოეზია კი, როგორც ხელოვნების ფორმა, ერთ-ერთ გამოსავლად გვესახება. წარმოდგენილი ლექსებიც მორიგი შანსია, მეტი გავიგოთ საკუთარ თავზე – ჩვენში ჩაბუდებულ სიყვარულის გრძნობაზე, უშვილობისა და სიბერის შიშზე და ა.შ. იქნებ, ეს თანაგანცდა კიდევ დაგვეხმაროს, დავძლიოთ მარტოობა – ეს განმარტოება საკუთარი, ადამიანური ბუნების უცნობ მხარესთან.

ნენეს ლექსები აწყობილ მოზაიკას მოგაგონებთ, სადაც თითოეული მხატვრული შტრიხი არა იმდენად ექსპრესიული ფონის შესაქმნელად, რამდენადაც საერთო სურათის გამოსახატად არის საჭირო; მთავარ შთაბეჭდილებასაც სწორედ ეს მთლიანი სურათი ახდენს.

„შიშველი მხოლოდ შენთან მოვდივარ  
ცხრა პირი ტყავის გაძრობის შემდეგ,“ –

ქართული იდიომის ამ გადათამაშებით ავტორი ნათლად ახასიათებს პოეზიისადმი საკუთარ მიმართებას – როგორც ცხოვრებისეული გამოცდილების ერთგვარ მეტამორფოზას წმინდა გრძნობად, თავისუფალს ყოფით „ხმაურისგან“, ასე რომ ამრუდებს გარემომცველი რეალობის ნამდვილ სახეს.

ნენე გიორგაძე 1971 წელს თბილისში დაიბადა. 1999 წლიდან აშშ-ში ცხოვრობს. მისი ლექსების თარგმანები იბეჭდება აშშ-ს ლიტერატურულ ალმანახებსა და პოეტურ კრებულებში: RHINO, The Raleigh Review, Skidrow Penthouse, Ann Arbor Review, Turbulence (UK) და სხვა. 2010 წელს ამერიკელ კოლეგასთან, ტიმოთე ქერჩერთან ერთად ინგლისურ ენაზე თარგმნა მაია სარიშვილის პოეტური კრებული „მიკროსკოპი“. 2011 წელს გამოიცა მისი მოთხრობების სადებიუტო კრებული „სამკუთხედი“. ნენეს პერსონალური ლიტერატურული ვებ-გვერდია: <http://literaturuli.com>



გვერდები: 121, 128, 143



!naw3np quaw3qRwa3Dw3 aw3Rkpw3k  
aw3 waw3q3q3 aw3 aw3  
aw3Rkpw3k

# საშის ნაცვლად

ავტორი თამარ კვინიკაძე

რესტორანი „ტარტინი“, აბაშიძის ქ. №22. ფრანგული სამზარეულო. მუშაობს 8:00-დან 24:00 საათამდე. ანგარიშის გასწორება შეგიძლიათ როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ისე ბარათით.

ცოტა ხნის წინ დავაკვირდით, თბილისის იმ ქალაქების რიცხვში შედის, რომლის ქუჩებშიც დილაობით არ დგას ყავასთან შერეული, ახლად გამომცხვარი ფუნთუშების სუნი. თუ არ გაგიმართლა და რომელიმე ძველ უბანში არ ცხოვრობ – თონესთან ახლოს, ვერც თონეში ჩაკრული ცხელი შოთის სუნის შელიტინებას იგრძნობ ნესტოებში.

ხანდახან მგონია, რომ თბილისში სულ არ საუზმობენ. მე თვითონ რვიდან ცხრის ნახევრამდე ვდგები, ათზე გამოვდივარ შინიდან, თუ სინქარეში ყავის მოდულება მოვახერხებ, ხომ კარგი, თუ არადა, ვაშლით ხელში ვდგავარ გაჩერებაზე. არადა, სულ არაა სასიამოვნო სუსხიან დილას ცივი ვაშლის კბეჩა, თან გაყინული ჰაერიც რომ ჩაჰყვება ფილტვებში.

ფინელი ჟურნალისტი იყო ჩამოსული. საქართველოზე წიგნს წერს. ერთ დღეს ინტერვიუების შეთანხმებაში ვეხმარებოდი. მთხოვა, ოღონდ დილას არაფერი დამინიშნო, 9:00-ზე შევდეთვის ელჩთან ერთად ვსაუზმობო „ტარტინში“. მაშინ გამინათდა – თბილისში თუ ვინმე საუზმობს გარეთ – ალბათ, ისევე უცხოელები. ანდა ის ქართველები, ვისაც შეხვედრებს უცხოელები უნიშნავენ.

„ტარტინი“ თბილისში ორია – ერთი აბაშიძეზე, მეორე – მეიდანზე, ორივე ნამდვილი ფრანგული განწყობით, მაგრამ პირველი უფრო სახალურია, მეორე ძალიან მოგაგონებთ პარიზული ქუჩების ნამდვილ ხიბლს – ტიპურ ბრასერის – ფართო, ნათელი ინტერიერით და შესასვლელის თავზე გადაჭიმული ტენტიტით.

აი, რომელი ქალაქის ქუჩების ჰაერია გაჟღერებული საუზმის სუნით – პარიზი! 07:30-ია, დეკემბრის დილა. შეხვედრაზე რომ არ დამაგვიანდეს, ადრიანად გა-



ფოტო: თამარ კვინიკაძე

მოვდივარ სასტუმროდან. მაღაზიებზე და საფუნთუშეებზე ჟალუზების აწევის ხმა ისმის და მრავალშრიანი სუნი დგას – ცხობისკენ ნასული ბაგეტის, კარამელის, ახლად ადუღებული რძის და მგონი, მუსკატის კაკლის.

რამდენიმე დღის წინ ბედმა გამიღიმა. წლების უნახავი ბავშვობის მეგობარი ჩამოვიდა ნიუ-იორკიდან და გავიპრანჭე – სამუშაო გრაფიკის მიზეზით დილას, 10:00-ზე დავიბარე „ტარტინში“.

აი, ვუახლოვდები „ტარტინს“, თითქმის ქმენით ვსუნთქავ – იქნებ მომდევნო ნაბიჯის გადადგმისას მაინც შეჰყვეს ჰაერს რამე, იმ პარიზული დილის არომატის მსგავსი... გამოცარიელებულ კაფეში რომ შევდივარ, ბნელა. ჩემთვის ანთებენ შუქს. დარბაზში ჯერ არაფრის სუნი არ დგას, ისე, როგორც დილაობით, გაღვიძებისას – სახლში. მაგრამ ეტყობა, აქ უკვე კედლებშია გამჟღადარი სიგარეტის მძიმე კვალი.

თალით ორად გაყოფილი ოთახის სიღრმიდან ახალგაზრდა ქალი გამოდის შავ როლინგში, ისე მეპატიჟება შიგნით, როგორც საკუთარ სამზარეულოში. ჯერ დილის 10 საათია და ვაკე ამ დროს მხოლოდ იზმორება. ფრანგულმა „ტარტინმაც“ ძალაუფლებურად გადაიღო ეს მიკროთბილსური, გაპრანჭულად ზანტი ხასიათი.

„ტარტინი“ 8 საათიდანაა ღია. ამ დროს

აქ, თითო-ოროლა, თავგამოდებული უცხოელი თუ შეეხეტება, ანდა გასაიდუმლოებულ შეხვედრაზე დაიბარებს სტუმარს ვინმე ქართველი. კაფეში ფეხდაფეხ მომყვება ქერათმიანი და აშკარად არაქართველი გოგო – ორადგილიან მაგიდასთან ჯდება და შეკვეთის მიცემის შემდეგ, წიგნის კითხვას იწყებს.

„ტარტინის“ საუზმის მენიუს ჩემს მეგობარს, ნიუ-იორკის ლამის ცხოვრების ნამდვილ ფლაგმანს ვამონებინებ. სნობობის პირველი ნიშანი ხომ უნივერსალურია – თბილისში ხარ, თუ ნიუ-იორკში, ფრანგულ სამზარეულოს უნდა ეტრფოდე.

აკვირდება 4-5 თავისგან შემდგარ დილის მენიუს და ელარიბება – კვერცხი აკლდება თვალში. სად არის ფრანგულად მოხარშული კვერცხი, ბენედიქტი მაინც სად არისო, – პასუხს მთხოვს ქვედა მანჭტენზე, ყველაზე ცნობილ ფრანგულ ბისტრო-რესტორან Balthazar-ში ბრანჩებს ნაჩვევი მეგობარი.

ბრანჩი კიდევ სხვა რამეა – არც საუზმეა, არც ლანჩი. დაახლოებით მათ შორის შუალედში იჭმევა, ანდა მთლიანად ანაცვლებს ორივეს. ნიუ-იორკში ნამდვილი ამერიკული საუზმისთვის კვირის დღეებში არავის სცალია (არადა, რა სჯობს თუნდაც Perkins-ის რესტორანში დილაადრიან ჭამას: თეფშზე დახვავებული სქელი ამერიკული ბლინით, ზედ დაცლილი ნახევარი ბოთლი კარამელის სოუსით, გვერდებმო-ბრანული, მსუქანა და მოკლე ძხვებით და ცხელ-ცხელი ფინჯანი ყავით). სამაგიეროდ, ხანგრძლივ, შუადღემდე განელილ საუზმეს კვირა დილას ყველა შეექცევა.

Baltazar-ში, სადაც საუზმე 8-ის ნახევარზე იწყება, დილის მენიუში კვერცხისგან მომზადებული 9 კერძი შედის (ლინკი და თავად მოიძინეთ ნერწყვი: <http://balthazar.com/menus/breakfast.pdf>).

„ტარტინის“ შავროლინგიანი ოფიციალტი გვეუბნება, მენიუში არ გვინერია, თორემ ბევრნაირად შეგვიძლია, კვერცხი შევინვათო. საუზმისთვის „ყიცილიყოებიც“ გვაქვს და მიუსლის ფაფაც მანვინითო. „კროკ მა-დამს“ და „ტარტინ აზნაურს“ ვუკვეთავთ, წყალს და ჩვეულებრივ „ამერიკანოს“.

ტარტინი – ეს პურის ნაჭერზე ფანტაზიის მიხედვით დაწყობილი ინგრედიენტების ერთობლიობაა. კროკი – შებრანული პურის ნაჭერი შიგ ჩამდნარი ყველით, ბეშამელის სოუსით, თავზე შემწვარი კვერცხით და სხვა მოსართავებით.

შეკვეთა ძველი, გვერდებმომწვარი, პურის საჭრელი ხის დაფით მოაქვთ. ეს კარგია – ისევე ჩვენი ყურადღებებიანი დიასახლისის სამზარეულოში მგონია თავი. ობიექტის გვერდით მონყობილი ცინცხალი სალათის ფურცლები აბალანსებს. საუზმე გემრიელია, თუმცა, სალათს ზედმეტი ზეთი აქვს და ყოველი ლუკმის მერე უსიამოვნო შეგრძნება მრჩება ყელში. წყლისთვის ორი ჭიქის მოტანა ავინწყდებათ. პური მხოლოდ თეთრი ფქვილისა აქვთ (არადა, ფრანგული ადგილია). მთავარი კარი ხშირ-

ხშირად იღება და რესტორნის მომმარაგებელი ჩნდება. აი, ახლა მუყაოს დაფით უამრავი კვერცხი შემოაქვს.

რესტორანს რომ უკანა შემოსასვლელი არ აქვს და სურსათ-სანოვანებს მთავარი დარბაზის გავლით დაატარებენ, ეს არაა კარგი, მაგრამ მოდი, აქაურობის კოლორიტად ჩავთვალოთ და შევთანხმდეთ – „ტარტინში“ მაშინ ისაუზმეთ, თუ სახლურ-ფრანგულ სიმყუდროვეს იმ წუთას არაფერი გირჩევნიათ.

8 საათზე ღიაა – ესეც კარგია! ბევრი ვედიე და ამ დროს თბილისში სულ თითზე ჩამოსათვლელი კაფე იღება. რალა თქმა უნდა, მათ შორისაა „ანტრეს“ ქსელი. მის შესასვლელში კი დგას ნაირ-ნაირი ცომეულის არომატი. „ანტრესში“ ფრანგული, ინგლისური და ამერიკული საუზმეების მენიუები ცალკე აქვთ, თუმცა, ერთმანეთს ტყუპისცალივით გვანან. სამაგიეროდ, აქვთ მინესტრონე – ხაშის იტალიური წარმოშობის ალტერნატივა-სუპი.

ვიდრე ვაკე ყველაზე ტკბილ – დილის ძილს იბრუნებს, აბაშიძეზე კიდეც ერთი კაფე იღება – coffee.ge. „დაიწყეთ დღე ჩვენთან ერთადო“ – მოგვიწოდებს კიბე-

ბთან გაშლილ დაფაზე წარწერა.

ერთ-ერთ დილას (არც ისე ადრე, 12-ის ნახევრისკენ) იქაც ვსაუზმობ, ამჯერად ჯემიანი ბლინითა და რძიანი, ვანილის ჩაით. აურა აქაურობასაც „ანტრესნაირი“ აქვს – ბისტროსმაგვარი. პრიალა ზედაპირებით, უნიფორმიანი ოფიციალტებით.

თუ ფანჯრისკენ დაჯდებით და პოეტურ მზერას ეზოს მიაპყრობთ, გამიშვლებულ ხეებზე ჩამოკიდებული, ჯერ კიდევ ნარინჯისფერი, მომჭკნარი კარალიოკების ცქერით დატკბებით. აი, მომიტანეს დიდ თეფშზე გადაკეცილი ბლინის სამი ფირფიტა, ჯემით. მაგრამ ბლინი ვერ აღმოჩნდა გემრიელი. აშკარად ძველია და ჩემთვის მიკროტალღურ ღუმელში შემთბარი. მადა მიფუჭდება და გამოვდივარ.

ისევე, გაჩერებაზე ვაშლის ჩაკბეჩა ჯობდა? რა თქმა უნდა, არა. არჩევანი არც ისე ბევრი მაქვს, მაგრამ პატარა და მოსაწყენი თბილისის კვალბაზე – მაინც მრავალფეროვანი. ამიტომ გირჩევთ, ერთ მშვენიერ და სუსხიან დილას, დააგვიანეთ სამსახურში და მოუწყვეთ საკუთარ თავს ნამდვილი, განელილი, ზანტი, და რაც მთავარია, გემრიელი საუზმე.

Cafe Kala acid bar



K&B still watching you

19 nineteen ცხხამეტი



19 is one hot dining experience. Don't miss the heat!

Cafe 19 Nineteen: 6 Erekle II st. tel: 591 211 919

kala.ge

Kala group

### გამოფენა

#### ქართული მხატვრები „გრინვიჩის საშუალო დროით“

სად: გალა გალერეა

თარიღი: 12.02-28.02

მისამართი: ათონელის ქ. №27, მტკვრის მარცხენა სანაპირო



„გრინვიჩის საშუალო დროით“ გალა გალერეის ახალი პროექტია, რომელსაც ოლეგ ტიმჩენკო, ვახო ბულაძე, კოტე სულაბერიძე, უშანგი ხუმარაშვილი, მამუკა ცეცხლაძე, მიშა შენგელია და სხვა ქართველი მხატვრები ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებით წარმოადგენენ.

#### ფერწერული ტილოების სერია – DENIM

სად: გალა გალერეა

თარიღი: 1.02-12.02

მისამართი: ათონელის ქ. №27, მტკვრის მარცხენა სანაპირო

Denim – ასე ჰქვია დავით ალექსიძის ნამუშევრების გამოფენას, რომელიც დამთავალიერებელს ჯინსს, როგორც ყველასათვის ნაცნობსა და გამოყენებად ნივთს, ხელოვნების ნიმუშის კონტექსტში წარუდგენს.

#### ინსტალაცია – „სტრუქტურული ბალი“

სად: ევროპის სახლი

თარიღი: 7 თებერვალი

მისამართი: თავისუფლების მოედანი №1

ახალგაზრდა არტისტის, თორნიკე ჭაფოძის ავტორობით შექმნილ ინსტალაციას ევროპის სახლი უმასპინძლებს. სამაგონო სივრცეს თითქმის მთლიანად

დაიკავებს სხვადასხვა ზომისა და ფორმის სკულპტურები, რომლებიც ერთმანეთს გარკვეული ლოგიკით უკავშირდება. თორნიკე ჭაფოძის მთავარი მიზანი იყო, გამოეკვლია პროცესები, რომლებიც ადამიანის ცნობიერებაში ხდება. ევროპის სახლში მისულ დამთვალიერებელს დაურიგდება ფურცელზე ამოხედილი სქემა, რომელიც დაეხმარება, იმოგზაუროს „სტრუქტურულ ბალში“.

#### კარლო კაჭარავას კერძო კოლექცია თი ბი სი ბალარაში

სად: თი ბი სი გალერეა

თარიღი: 30.01- 3.02

მისამართი: კოტე მარჯანიშვილის ქ. №7 დასწრება თავისუფალია

30 იანვარს, 19:00 საათზე, თი ბი სი გალერეა პროექტის „ქართული მხატვრობა“ ფარგლებში, დამთვალიერებელს ავანგარდისტი ქართველი მხატვრის კარლო კაჭარავას ნამუშევრებს წარუდგენს. ექსპოზიციაზე გამოფენილი იქნება მხატვრის ტილოები მხოლოდ კერძო კოლექციიდან, მათ შორის ის ნამუშევრები, რომლებიც მანამდე არასად უჩვენებიათ.

#### ალექსანდრე რეხვიანიშვილის შემოქმედება – ქინოსა და ფერწერაში

სად: თანამედროვე ხელოვნების ცენტრი

თარიღი: 10.02- 1.03.

მისამართი: დოდო აბაშიძის ქ. №10 (მტკვრის მარცხენა სანაპირო)

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ცნობილი ქართველი კინორეჟისორის ალექსანდრე რეხვიანიშვილის ფერწერული ნამუშევრები. იმავე დარბაზში უჩვენებენ მის ფილმებსაც. ეს მაცურებელს მისცემს საშუალებას, კინორეჟისორის შემოქმედება ერთ მთლიანობაში აღიქვას.

### თეატრი

#### თითების თეატრის ახალი წარმოდგენა – „მონეტაჟი სული“

სად: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

მისამართი: კოტე მარჯანიშვილის ქ. №8

„მონეტაჟი სული“, რომლის რეჟისორიც ბესო კუპრეიშვილია, ბიბლიური თემა დაედო საფუძვლად. დადგმაში თითების, თოჯინების, ბალეტისა და დრამატული თეატრის სინთეზია გამოყენებული. ბესო კუპრეიშვილი სპექტაკლის მთავარ აზრს ასე განმარტავს: „ჩვენი მიზანია, მაყურებელს შევთავაზოთ ისეთი წარმოდგენა, რომელიც ადამიანებს საკუთარ თავში ჩახედვებს და ყველაზე უბრალო და მარტივ ქეშმარიტებას შეახსენებს – „გვიყვარდეს ერთმანეთი“.

#### დახვეული რომეო და ჯულიეტა

სად: მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი

თარიღი: 26 იანვარი; 9, 10, 24 თებერვალი;

დასაწყისი: 19:00

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი №164



კინომსახიობთა თეატრი თებერვლის თვეში (9, 10, 24) მაყურებელს უილიამ შექსპირის უკვდავი პიესის – „რომეო და ჯულიეტას“ ორიგინალურ, ქართული თეატრალური ტრადიციისგან განსხვავებულ და კონცეპტუალური სიმბოლოებით დატვირთულ ვერსიას სთავაზობს. სპექტაკლის რეჟისურა, იდეა და სივრცის გადწყვეტა ბერძენ რეჟისორს – მიხეილ მარმარინოსს ეკუთვნის, რომელმაც პიესა შექსპირის პიესისა და საკუთარი ტექსტის სინთეზით შექმნა. სპექტაკლში შვიდი „მსახიობი – ქორო“ მონაწილეობს, „ამბავს გვიყვება“ და თან ცდილობს მაყურებელი წარმოდგენაში ჩართოს.

რეჟისორის ჩანაფიქრის უკეთ გასაგებად, თეატრში მისულ მაყურებელს, პროგრამასთან ერთად, მიხეილ მარმარინოსის მიერ შენიშვნებითა და საკვანძო დეტალებით შევსებული ტექსტი დაურიგდება.

„საჩოქოვნი ბუნტ...“

სად: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
თარიღი: 23 თებერვალი
დასაწყისი: 19:00
მისამართი: შოთა რუსთაველის გამზირი №17
ფასი: 6, 7, 8, 9, 10, 12 ლარი

რუსთაველის თეატრი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის დასს უმასპინძლებს. სპექტაკლი რაჭა-იმერეთის 1819 წლის აჯანყების შესახებ მოგვითხრობს, რომელიც რუსეთის ეგზარხოსის გადაწყვეტილებას მოჰყვა, საქართველოს საეკლესიო ქონების აღწერისა და ქვეყნიდან გატანის შესახებ. სპექტაკლის სახელწოდება რუსული ისტორიოგრაფიიდან მოდის და რუსეთის იმპერატორს ეკუთვნის, რომელმაც ამ დიდ ამბოხებას სწორედ – „ცერკოვნი ბუნტი“! უწოდა.

ქინო

შერლოკ ჰოლმსი ახალი თავგადასავლებით ბრუნდება

სად: კინო-თეატრები: „რუსთაველი“, „ამირანი“, „საქართველო“, „აპოლო“ (ბათუმი)
დასაწყისი: საღამოს სენსებში



ჩრდილების თამაში მსოფლიოში, ალბათ, ყველაზე აღიარებული დეტექტიური და სათავგადასავლო ნაწარმოების გმირების – გენიოსი გამომძიებლის შერლოკ ჰოლმსისა და ფრთხილი და წინდახედული ექიმ ვატსონის ახალი თავსატეხია. ფილმის პირველი ნაწილისთვის დამახასიათებელი ინტრიგა და ენერგიულობა, მეორე ნაწილში უფრო მეტად რთული და წინააღმდეგობებით სავსე ამბებით გრძელდება. ფილმის რეჟისორი ისევ გაი რიჩია. დეტექტივისა და ექიმის როლებს კი ისე, როგორც პირველ ნაწილში, რობერტ დაუნი უმცროსი და ჯუდ ლოუ თამაშობენ.



ფრანგული ფილმების ჩვენება ფრანგულ ქინოკლუბში

სად: საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი
თარიღი: 26.01
დასაწყისი: 19:00

მისამართი: კოსტავას 47, კინოთეატრი „ამირანი“

ფასი: 3 ლარი; ფრანგული ინსტიტუტის სტუდენტებისთვის დასწრება უფასოა

ფრანგული კინოს მოყვარულებისთვის, ფრანგული კულტურის ცენტრმა კინოკლუბი გახსნა. 26 იანვრიდან, ყოველი თვის მეორე და ბოლო ხუთშაბათს, კინოთეატრ „ამირანის“ მცირე დარბაზში ფრანგული კინოს რეტროსპექტივა მოეწყობა. ფილმები ნაჩვენებია იქნება რუსული და ინგლისური სუბტიტრებით. კინოჩვენების პროგრამაში შესულია როგორც ძველი, ისე ბოლო წლებში გადაღებული კომედიური და დრამატული ჟანრის ფრანგული ფილმები. ფილმების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოიძიეთ: http://new.institutfrancais.ge

სხვადასხვა

ბერმანული ქარნავალი საქართველოში

სად: ლუდის სახლი „ბრაუჰაუზი“
თარიღი: 11 თებერვალი
დასაწყისი: 20:00
მისამართი: ბამბის რიგი, „Two Side“-ის გვერდით

გერმანიის საელჩოს წარმომადგენლობა გერმანიის ტრადიციულ კარნავალს უმასპინძლებს. „ფაშინგი“ – გერმანიაში ყოველი წლის თებერვალში იმართება და მასში ათასობით მსურველი მონაწილეობს. გერმანულ დღესასწაულში მონაწილეობა საქართველოშიც ყველა მსურველს შეეძლება. კარნავალ-

ზე დასასწრებად ერთადერთი მოთხოვნა სპეციალური კოსტიუმი იქნება. ბილეთები გერმანიის საელჩოს წარმომადგენლობის ოფისში, დავით აღმაშენებლის გამზირის №166-ში გაიყიდება.

TEDxtbilisi 2012 – შორს ხედვა (THE LONG VIEW)

სად: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თარიღი: 11.02.

დასაწყისი: დილიდან საღამომდე

„შთაგონე. გაბედულად იოცნებე. თამამად შეუდექი მოგზაურობას. აღივსე იმედით. გახსენი გული და გონება, გაამახვილე სმენა. არ დანებდე შიშს. ირწმუნე... TED-ის საუბრები. ინსპირაცია 18 წუთში, ან კიდევ ნაკლებში“, – რამდენიმე სიტყვით ასეთია იმ ღონისძიების შინაარსი, რომელიც თბილისში პირველად გაიმართება.

TED-ი არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 1984 წლიდან მოყოლებული კონფერენციების მოსაწყობად ქმნის უნიკალურ პლატფორმას. ამ კონფერენციებზე გამომსვლელთა შერჩევის მთავარი კრიტერიუმი, იყვნენ ინსპირაციის მიმცემნი და სამაგალითონი. TED-ი ეს, ფაქტობრივად, ალტერნატიული განათლების ყველაზე სახალისო წყაროა. მისი კონფერენციები დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში რეგულარულად იმართება და ონლაინ გადაცემა. თბილისში დაგეგმილი კონფერენციის ინსპირაციის წყარო ჩვენს ქალაქში მიმდინარე ცვლილებებია.

გამომსვლელთა სია ჯერ კიდევ დადგენის პროცესშია, ამიტომ დღის კონკრეტული განრიგი და თემების ნუსხა მომდევნო კვირებში გახდება ცნობილი.

მხატვრული კითხვის საღამოები ფრანგულ ენაზე

სად: ევროპის სახლი
თარიღი: 8 თებერვალი
დრო: 19:00
მისამართი: თავისუფლების მოედანი №1.

ევროპის სახლი ფრანგულ ენაზე მხატვრული კითხვის საღამოების ტრადიციას აგრძელებს. ლექსებს წაიკითხავს მხატვრული კითხვის ოსტატი ვენსან ლარუა. პროგრამაში ფრანგული პოეზიის წარმომადგენლებს შორის შარლ ბოდლერის შემოქმედებაც შედის. ფრანგული კითხვის საღამოები, დეკემბრის ანონსისგან განსხვავებით, ყოველი თვის მეორე და მეოთხე ოთხშაბათს ჩატარდება.



# ემტა

*ბრძენებს უთქვამთ, რაც ძალიან, ძალიან გინდა, აუცილებლად მოგეცემაო. ის არ უთქვამთ, რაც ძალიან, ძალიან არ გინდა, არც გექნებაო. ამას მე თვითონ მივხვდი, მართალია, მხოლოდ წელს, მაგრამ ხომ მივხვდი – და აღტაცებული ვარ.*

ანა კორძაია-სამადაშვილი

ოფიციალური დღესასწაულები მძულს. ახალი წელი – განსაკუთრებით. აუცილებლად რომ უნდა გიხაროდეს: „გილოცა-ავთ!“ სულ მგონია, რომ ჩემი ქალაქის მცხოვრებლებს 31 დეკემბრის ღამე თავიანთი სიცოცხლის უკანასკნელ ღამედ მიაჩნიათ: ჩქარა, ჩქარა! ყველაფერი დღეს უნდა იყიდო, ყველაფერი დღეს უნდა შეჭამო, ყველაფერი დღეს უნდა დალიო, რომ მერე აღარაფერი გქონდეს და აღარაფერი გინდოდეს... საშინელებაა, ღმერთმანი.

არ მინდოდა არც თბილისური ახალწელიწადი, არც ბაკურიანის დათოვლილი მთები და არც გიჟური, გალექსილი სმს-ები: „შემოვდგი ფეხი, დაგეცეს მეხი!“ ვაი, დედა!

არ მინდოდა, და ისე ძალიან არ მინდოდა, რომ ერთხელაც ამინმა ჩამოიარა.

ამინს ხომ იცნობთ? პატარა როცა იყავით, და სისულელეს რომ იტყოდით, და დიდება რომ გეტყოდათ, ჩუ, ჩუ, ამინმა არ ჩამოიაროსო... აი, ამ ამინზე მოგახსენებთ.

ჩემს ამინს კახი ჰქვია. მან ძალიან დროულად ჩამოიარა, ჩემი ვიშვიში გაიგონა და ქვაბიდან ამოჩრილი ინდაურის ფეხების ნაცვლად, საახალწლოდ წითელი ზღვა მაჩვენა.

ახლა არ მჯერა, რომ მართლა იქ ვიყავი. არადა, ვიყავი, მართლა. ზღვის თავზე ვიფრინე – პარაშუტით, ასეც არ გამიფრენია, – და თავიდან კი დაფერთხი, მაგრამ მერე ისეთი ბედნიერი ვიყავი, როგორც არასდროს. მე, ცუდმა მოცურავემ, ბევრი ვიცურე და ცოტა ჩავყვინთე კიდევ. ძალიან ღამაში რალაცები ვნახე, ოღონდ აღარა-

სოდეს ჩავყვინთავ, გავიცინე და მეყოფა. იქაურობა რომ დამესიზმროს, ჩემს ყვირილს სემიონოვკაზე გაიგონებენ, იმიტომ რომ ზუსტად მივხვდი – იქ, სიღრმეში, არაფერი მესაქმება, იქ ჩემი სიკვდილია და მასთან შეხვედრა სულ არ მეჩქარება.

უდაბნოშიც ვიყავი, ღამით, და მინის ქვეშ მოხარშული ბრინჯი და ქვაზე გამომცხვარი პური ვჭამე. ცაზე უთვალავი პანანინა ვარსკვლავი იყო, მთვარეც იყო თითქოს, და მაინც საშინლად ბნელოდა, მხოლოდ სანთლები პარპალებდა გადაჭრილ ქილე-ბში, კლდეები ჩანდა და ახალგაზრდა მამაკაცები ცეცხლით თამაშობდნენ. იქაც არაფერი მესაქმებოდა, მაგრამ არ შემშინებია. მე ძალიან მიყვარს უდაბნო.



ამინ-კახი სულ ჩემთან ერთად იყო და ყველა სურვილი მისრულდებოდა. რა გაუხარდება, ანავ, შენს გახეთქილ გულს? მზიანი დარი? ინებე, გეთაყვა. სადილად ზღვის ტარაკნები და მამაძაღვები ხომ არ გეამება? ჩემი სიყვარულით გაგიჟებული ჯონი დეპის გარდა ყველაფერი გააჩინა ჩემმა ამინმა, და, სიმართლე რომ ვთქვა, არც მინდოდა მაინცდამაინც ის ჯონი დეპი – იპრანჭე მერე და იქიციინე... ამას კახისთან ერთად აუზის პირას ვდომა და ჭორაობა ვობდა.

„ქალი მოვიდა – არ იცი!“ – ჰყვებოდა კახი. – „ლაჟვარდისფერი ადიდასები, ლაჟვარდისფერი ტოპი, მწვანე ბოტფორტები, ქერა კულულები... მიადგა უბედურ ოსამას და ჟაკეტი გაუნოდა: საკიდი! გადაირია ოსამა, ვერაფერი ვერ გაიგო. ქალი დგას, ტლუ თვალებით უყურებს და ხმას უწევს: საკიდი! ეუჰ! ოსამამ, საჰბი, ჰამანანა, შამანანაო, ქალი კი თავისას აწვება: საკიდი! Do you speak English-ო, ოსამამ. ქალმა, საკიდიო. Madam, parlate Italiano?“

„საკიდი! უუუ!“  
ჰო, და კიდევ: კახიმ ემტა მაჭამა. ხილია. არაფერს არ ჰგავს და გემოც სრულიად გაუგებარი აქვს, ცოტა ტორტის კრემისა. თან პრიალა კურკები ჰქონია. ნეტა, რომ ჩამომეტანა, გავახარებდი?

„ბიჭო, როგორ ფიქრობ, ეს თბილისში გაიხარებს?“

ერთი მე გავიხარებ და მეორე – ემტა. რაც ჩამოვედი, ბევრი არაფერი მიხარია და ვფიქრობ, რომ დიდად აღარ მიყვარს ჩემი ქალაქი.



# ფიგურონატი



- ◆ მხოლოდ სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული;
- ◆ მოქმედი ნივთიერებების მაღალი შემცველობა;
- ◆ ეფექტურობა;
- ◆ სასიამოვნო გემო და არომატი;
- ◆ მოხმარების პრაქტიკულობა.

**ჩვენება:** გამოიყენება სიმსუქნის, ყაბზობის და სწორი ნაწლავის ატონიის შემთხვევაში.

- არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას ანესრიგებს ლიპიდურ ცვლას და ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს;
- ზრდის კუჭის წვენის სეკრეციას;
- ასტიმულირებს მსხვილი ნაწლავის პერისტალტიკას და ტონუსს;
- ხელს უწყობს საჭმლის მონელებას;
- არ იწვევს შეჩვევას.

**გამოშვების ფორმა:** 50 გრ. გრანული მოთავსებული ქილაში მუყაოს შეფუთვით. გაიცემა რეცეპტის გარეშე.



დაამუშვიდოხათ  
ზედმატ ნონას...



**ვიტამინების ფოთოლი**  
ანტიცეპტიკური და  
ანთების საწინააღმდეგო  
საშუალება.



**ვიტამინ B1 ფოთოლი**  
ამოსახველბელი საშუალება.



**ცაცხვის ყვავილი**  
ანთების საწინააღმდეგო და  
საზომოპლიზური საშუალება.



**კულმოს ფესვები  
და ფესურები**  
ამოსახველბელი  
საშუალება.



**კირტაპილას ფესვები  
და ფესურები**  
ამოსახველბელი  
საშუალება.



**ბრონონატი**  
ამოსახველბელი, ანთების  
საწინააღმდეგო საშუალება.

# ნახუიფაიმი



# შეუსრულეხელი პირობა

*ამ ბოლო დროს, რატომღაც, ჩემი ფიქრები წარსულისკენ, მოგონებებისკენ უფრო მიემართება. არა, ზედმეტად სენტიმენტალურიც ნამდვილად არ გავხდები. რა თქმა უნდა, ჯერ არც ცხოვრების დამთავრებას ვაპირებ. თითქოს მომავლისაც არ მეშინია. მაგრამ მეჩვენება, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც დამთავრდა, ახალი კი არ დაწყებულა.*

ბაბა ნახუსრიშვილი

ეს ყბადაღებული ღირებულებების გადაფასების დროც, 90-იანებს გადაჰყვა. თუმცა, დღევანდელი მოსაწყენია, რალაცნაირი – ბანალურობით აგრესიული, სიყალბით გაყვნილი და უტვინო ამბიციურობით გატენილი!.. ალბათ, ამიტომაც, ეს ჩემი მოგონებები, სიზმარივითაა. სიზმარივით, რომელიც ნამდვილად არსებობდა. იქ ყველაფერი ტკბილი და ფერადი არაა. ტკივილიც ბევრია და იმედგაცრუებაც. მაგრამ ჩემთვის უფრო გულწრფელია და ნამდვილი.

ეს წარსული, ძვირფასი ხალხით არის დასახლებული. თითქოს სხვა სამყაროა, ოღონდაც ჩემი, ძალიან ჩემი. იქ ვმოგზაურობ და ხშირად ისევე ვურთიერთობ საყვარელ ადამიანებთან, რომელნიც ამქვეყნად აღარ არიან.

სტუდენტობა. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ეჰ, არ დადგა ჩემგან არქეოლოგი. „წერამ“ ამიტანა და ლიტერატორად მაქცია. თუმცა ეს სხვა თემაა. ახლა ადამიანზე მინდა გაიგებო. ჩემს არქეოლოგიის ლექტორზე და მეგობარზე, ზალიკო ქიქოძეზე.


იენისის თვე იდგა. საკურსოზე ვმუშაობდი და ჩემი ხელმძღვანელი ზალიკო იყო. ვმუშაობდი, მაგრამ თან – არ ვმუშაობდი. ასე ვიყავით ბიჭები. სად გვეჩქარებოდა... საჯარო ბიბლიოთეკაში კი აუცილებლად შევივლიდით ხოლმე. ეს ერთგვარი რიტუალივით გვექონდა. მერე, – უხარისხო, მაგრამ ცივი ლუდი. და დროის მოკვლა, ისე, უბრალოდ, არხენდა... ესეც საქმეა.

...ბიჭები უნივერსიტეტის ბალთან ვიკრიბებით. სამუშაოდ მივდივართ. უეცრად, ზალიკო გვხვდება.

– ჰა, ბიჭებო, როგორ არის საქმე? – გვეკითხება კეთილგანწყობილი, ოდნავ ირონიული ლიმილით.

– საჯაროში მივდივართ, ზალიკო. – მივუგე ამაყად.

– ჰოო, ეგ უკვე კარგი საქმეა. სტუდენტობისას, საჯაროში ერთ უცნაურ კაცს გადავეყარე. იჯდა ჩაფიქრებული. ყველა მხრიდან აურაცხელი წიგნი ელაგა. მგონი, მთელი ბიბლიოთეკის საცავი გამოეზიდა.



ედო წინ პატარა წიგნაკი და ჩაჰკირკიტებდა. დამაინტერესა, რაზე მუშაობდა, მაგრამ მისვლა მომერიდა. მერე ცოტა ხნით სადღაც გავიდა. დრო ვიხელთე და წიგნაკში ჩავიხედე – „ციყუნია თუ ციყუნია“ – ამას იკვლევდა ჯიგარი.

მაგრად ვიცინეთ. იმ საღამოს კი ბიჭებმა მართლა ვიმუშავეთ.

საკურსოს ვიცავ. ჭკვიანური სახით, უტიფრად რალაცას ვბუტბუტებ.

– ეგ კაცი გაცილებით კარგად წერს, ვიდრე ლაპარაკობს, – გამომესარჩლა ზალიკო.

უბრალოდ, სჯეროდა ჩვენი. და როგორ მაკლია ადამიანებს შორის ასეთი დამოკიდებულება. მას, საერთოდ, ადამიანების სჯეროდა. პირველი მიდიოდა ყველას და სახმარებლად – სტიქიური უბედურებებისა თუ ომის დროს. უბრალო ხალხი უყვარდა განსაკუთრებით. ყოველდღიურ ყოფაშიც ვის არ დახმარებია, რითიც შეეძლო. მე კი, ერთი პირობა ვერ შევუსრულე...

უმბაზე აპირებდა ასვლას. ცოტა ხნით ადრე შევხვდი:

– რაღაც ამ ბოლო დროს უძილობა დამჩემდა. კარგი სასმელი მაქვს და ღამით ცოტ-ცოტას ვწრუპავ.

– ეეჰ, სულ უძილობა არ მჭირს? – „წავიტრაბახე“ მე.

– მერე, დამირეკე, გამოდი და კარგ რამეს დაგაღვივებ. ისე, ვიცი, რომ ეგ საქმე არ გიყვარს, – მითხრა, გამიღიმა და გზა განაგრძო.

აღარ დამირეკავს. ზალიკო უშბიდან აღარ დაბრუნებულა.





# ზიზის დასაძლევად

6-7 წლის ვიქნობი, როცა ეზოში ჩასულს ბავშვებმა დიდი საიდუმლო გამანდეს: შებინდებისას ქუჩაში დარჩენა არ ღირდა, ებრაელები ბავშვებს იპარავდნენ და დიდი შპრიციით სისხლს უღებდნენ, რადგან ქრისტიანის სისხლი აუცილებლად სჭირდებოდათ მაცის მოსამზადებლად. ისე კი არ მოყვნენ, როგორც ამბავს შავ ხელზე – იყო მაშინ ასეთი „სტრაშილკები“, პირდაპირ თქვეს, ქუთაისში ერთი ჩვენი ნათესავის ბავშვი მოიტაცეს და მერე ძლივს გადაარჩინეს სიკვდილსო.

ნინო ბაქიშვილი

მართალია, ეს ყველაფერი აბსურდული და დაუჯერებელი მეჩვენა, მაგრამ მაინც ძალიან შევბინდი. რამდენიმე დღე ვითმინე, ვითმინე და ბოლოს მშობლებს გავანდე. დანვრილებით მოვყევი ყველაფერი, რაც მოვისმინე.

მამაჩემმა შუბლი შეიკრა, მერე იმის მაგივრად, რომ დავემწვიდებინე, აქეთ გამიბრაზდა, მითხრა, რომ მსგავსი სისულელეები აღარ უნდა გამემეორებინა და თავის საქმეს მიუბრუნდა. დედაჩემმაც ქოქოლა მომაცარა, ვის პოულობ, ეგეთ ამბებს რომ გიყვებიან, სულაც აღარ ჩაგიშვებთ მაგ ეზოშიო.

მათმა საქციელმა ვერ დამამშვიდა, რადგანაც გადაჭრით არ უთქვამთ, ასე არ ხდება და ნუ გეშინიაო; ამიტომაც, ეს ამბავი კარგა ხანს მანუხებდა. არც არავინ იყო, რომ მეკითხა და ვიყავი ასე, მარტო ჩემს შიშთან. არა, იმის ნამდვილად არ მეშინოდა, რომ მე მომიპარავდა ვინმე, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამგვარი რამ, სადღაც, ქუთაისში ხდებოდა, შიშის ზარს მცემდა. ეზოს ბავშვები იმდენად სარწმუნოდ ჰყვებოდნენ ამ ამბავს, რომ შეკამათება არ ღირდა. უფრო მეტად კი სულ სხვა რამე მანვალებდა – ერთი ებრაელი კლასელი მყავდა, მშვიდი და კეთილი ბიჭი და სულ მეშინოდა, რომ ქრისტიანის სისხლიანი მაცა ჰქონდა ნაჭაში. თან მრცხვენოდა, ასე რომ ვფიქრობდი, თან – მასთან ურთიერთობას ვერიდებოდი.

მიშიკო ებრაელი რომ იყო, მასწავლებელმა გაგვანდო, როგორც დიდი საიდუმლო. დღესავით მახსოვს, მიშიკო ექსკურსიაზე არ წამოვიდა და იქ გვი-

თხრა. ებრაელია და ალბათ, ხორცი რომ არ ეჭამა, იმიტომ არ გამოუშვეს მშობლებმაო. მერე ჟურნალიც ვნახეთ, ყველას „ქართველი“ გვეწერა ეროვნების გრაფაში. მიშიკოს – „ებრაელი“. საინტერესოა, დღესაც არსებობს ასეთი გრაფა სასკოლო ჟურნალებში?

რამდენიმე წლის შემდეგ ყველაფერს ნათელი მოეფინა, რა თქმა უნდა, ნიგნმა მიშველა – „ანა ფრანკის დღიურმა“. ბევრი ცრემლი დავღვარე, რამდენჯერმე გადავიკითხე და ცხადია, მივხვდი, რატომ იყვნენ მშობლები მართლები, რატომ გამიბრაზდნენ. „ანა ფრანკის დღიურმა“ ბევრი სხვა რამეც მასწავლა. ჩემზე რომ იყოს, ამ

ნიგნის ნაწყვეტებს სასკოლო პროგრამაში აუცილებლად შევიტანდი.

თუმცა ის სისხლიანი მაცის ამბავი ხანდახან მაინც მახსენებდა თავს, როგორც ძალიან უსიამოვნო და სამარცხვინო მოგონება, – მართალია, პატარამ, მართალია, ჩემდაუნებურად, მაგრამ რალაც ისეთი დავიჯერე, რაც არაფრით არ უნდა დამეჯერებინა.

ბავშვობა სულაც არაა უდარდელი და ბედნიერი ხანა ადამიანის ცხოვრებაში, მარინა ცვეტაევა ასე ამბობდა – ბავშვები შეშლილები არიან და სწორედ ამ მიზეზით არ გადადიან ჭკუიდანო.

რა იქნებოდა, მამაჩემს მაშინ რომ გავეყვანე თავის კაბინეტში, დავესვი გვერდით და ანტისემიტიზმისა და ჰოლოკოსტის ისტორია მოეყოლა, როგორც სხვა დროს ბევრჯერ გაუკეთებია სხვა ამბების შესახებ? მერე რა, რომ პატარა ვიყავი, ნამდვილად გავიგებდი, ჩავიდოდი ეზოში და ჩემს მეგობრებსაც ვეტყოდი სიმართლეს.

შიშის დასაძლევად ბავშვებს უფროსების დახმარება სჭირდებათ. როცა ჩემი შვილები რალაცას მეკითხებოდნენ, სულ ის სისხლიანი მაცა მახსენდება და ვცდილობ, ყველაფერი ავუხსნა. ხანდახან ზედმეტიც მომდის. ხანდახან კი, როცა არ მცალია, მეც ვბრაზობ ხოლმე და მათ შეკითხვებს ცალყბად ვპასუხობ.

კიდევ კარგი, ამგვარი საშინელება ჯერ არ უკითხავთ.

რაც უნდა იყოს, მაინც სხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ და სამყაროც, ალბათ, შეიცვალა.





The old Bavarian beer  
 Weihenstephan in the world.  
 Pork knuckles spare ribs  
 and other delicious dishes  
 from a German chef.

მსოფლიოში უძველესი  
 ბავარიული ლუდი ვაინშტეფანი.  
 კანჭი, ნეკნი და სხვა  
 უგემრიელესი კერძები  
 გერმანელი შეფმზარეულისგან.



ერეკლე II-ს 8/10  
 8/10, Erekle II



# ჩემი ინდური ახალი წელი

*გეხვენები, მითხარი, რატომ არიან ასე ბედნიერები? – რალაცნაირი სინანულით მკითხა ჩემმა მეგობარმა, როცა მონიტორზე ცხვირ-მიდებულები ინდოეთში ჩემი ორთვიანი ყოფნისას გადაღებულ ფოტოებს ვათვალიერებდით.*

თამთა მელაშვილი

ფოტოებზე ერთი შეხედვით განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, გარდა იმისა, რომ ადამიანები, რომლებიც ჩემი უსუსური ფოტოკამერის კადრში მოხვდნენ – დაწყებული მეეზოვე ქალიდან, დამთავრებული გუავას გამყიდველი ბიჭით ან ნაგავსაყრელზე მონავარდე ბავშვებით – ყველა განსაკუთრებულად ლალი და ბედნიერი იყო. მეტიც, მათ შორის თითქმის ყველა ბუნებრივად, ძალიან ბუნებრივად ილიმებოდა.

– არ ვიცი – ვუპასუხე ჩემს მეგობარს და ამ დროს ძალიან გულწრფელი ვიყავი, რადგან დღემდე მე თვითონ არ მაქვს ამ კითხვაზე პასუხი. ეჭვი მაქვს, კიდევ დიდხანს არ მექნება.

ინდოეთში ყოფნამ („ბედნიერების და ღარიბების“ ქვეყანაში, როგორც ეს რომელიღაც ქართულ ფორუმზე ნავიკითხე) ბევრ რამეზე დამაფიქრა, განსაკუთრებით ამ ახალ წლებზე. თუმცა ინდოეთი ჩემთვის ღარიბების და ბედნიერების ქვეყანა არაა, უფრო ბევრი-ბევრი ფერის და ბედნიერების ქვეყანაა. მერე რა, რომ პოლიტიკურად ტურბულენტურია, გარემოს სამინლად არ უფროსილდებიან და იქ მართლაც 300 მილიონი (წარმოიდგინეთ!) სიღარიბის ზღვარს მიღმა ადამიანი ცხოვრობს. მაგრამ ეს ამ წუთში მეორეხარისხოვანია, პირველხარისხოვანი (განსაკუთრებით კი ამ ახალ წლებზე) ბედნიერებაა, „ინდური ბედნიერება“, რომელიც ვერა და ვერ ავხსენი და კითხვაც გეხვენები-მითხარი-რატომ-არიან-ასეთი-ბედნიერები პასუხგაუცემელი დარჩა რეაგირების ორი შესაძლო ვარიანტი: უბრალოდ მხრების აჩეჩვა ან თვალების ფახულით ნაზად თქმა: „ბედნიერებას ხომ ახსნა არ აქვს“.

შენთვის, ჩემად, ინდურ ბედნიერებაზე თა-

ვის მტვრევა კი, რა თქმა უნდა, შეგიძლია გააგრძელო. მეც ვიჯექი და ვფიქრობდი: იქნებ რელიგიის გამოა ასე? ყოველი შემთხვევისთვის მე – „დედაკაცი შარვალში სძაგს უფალსა“ ქვეყნიდან ჩასული ერთ-ერთ უმთავრეს და უძველეს ჰინდუისტურ ტაძარში უპრობლემოდ და ღიმილით შემიმევს, ზარიც კი დამარეკინეს და შუბლზე თიკაც მაცხეს. ჩემს შემინებულ კითხვებს: ეს შეიძლება, ის შეიძლება, ესა? ესეც? – მშვიდი და გულითადი ღიმილით ხვდებოდნენ: რა თქმა უნდა, შეიძლება. მეც საბოლოოდ დაეწინარდი და დაეუშვი, რომ შარვლით და თავსაბურის გარეშე ტაძარში შესული, სრულიად ადვილი შესაძლებელია არ გადაგცენ საუკუნო წყევლას.

ან იქნებ კლიმატშია ბედნიერება? იქ ხომ ცხელა/თბილა, სულ კარგი ამინდია და მოსაზა-

ლი წელიწადში რამდენჯერმე მოდის? ან იქნებ საკვები? ინდოეთში ჯერ მარტო სუნელია 9000 სახეობის, ადამიანები ჯანმრთელად და მსუბუქად იკვებებიან და არაა იმის საშიშროება, რომ ქოლესტერინი დაგახრჩობს ან მარილის ან შაქრის „პერედოზიროვით“ მოკვდები.

ან იქნებ იმისი, რომ სიკვდილის ისე არ ეშინიან, როგორც ჩვენთან? რომ იქ სიკვდილი მართლა გაგრძელებაა და არა დასასრული? როცა შემთხვევით დაკრძალვის პროცესიას გადავანწყდი, სიმართლე გითხრათ, თავიდან ქორწინილი მეგონა. ფერად-ფერადი ყვავილებით მორთულ მიცვალებულს მთელი ტამ-ფანდურით მიაცილებდნენ.

ბევრი ვიფიქრე, თუ ცოტა ვიფიქრე, საბოლოოდ მივხვდი, რომ ინდური ბედნიერების ამოხსნაში დავმარცხდი. ეს ახალი წლის დადგომისას გავაცნობიერე. ახალ წელს კი იქ, ინდოეთში, ღია ცის ქვეშ ინდური მუსიკის ფონზე უცნობ და ნაცნობ ადამიანებთან ერთად მოცეკვავე შევხვდი. ყველანი იმდენად გავერთეთ, რომ დღესასწაული საერთოდ გადაგვავინწყდა მანამ, სანამ მეზობლად განთავსებულმა პოლიციამ თავისი ფოიერვერკი ზედ თავზე არ გადმოგვყარა. ისე გამოვიდა, რომ ჩემი ინდური ახალი წელი თითქმის ერთადერთი ახალი წელი აღმოჩნდა, როცა იმდენად მარტივად ბედნიერი ვიყავი, რომ სურვილის ჩაფიქრება უბრალოდ დამავინწყდა.

ახლა მე თბილისში ვარ, ძველით ახალი წლის მოსვლას ველოდები და როგორც ბავშვობაში, გულწრფელი და მარტივი სურვილის ჩაფიქრებას ვაპირებ: მინდა, რომ ჩვენ ყველანი 2012 წელს სულ ცოტათი მაინც უფრო მეტად ბედნიერები და უფრო მეტად ფერადები ვიყოთ.



# პირველი ქართული ღვინის გზამკვლევი უკვე იყიდა

## “ლიტერატურული კაფეების” ქსელში:

- “წიგნის სახლი” - პეკინის #31
- “ლიტერატურული” - ზამზის რიგი #7
- “ლიტერატურული” - აბაშიძის #22
- “ლიტერატურული” - თარხნიშვილის #2

## წიგნის მაღაზიებში:

- “სანტა ესპერანსა” - სანკტ-პეტერბურგის #12
- “ლიგამუსი” - ჭავჭავაძის გამზ. #32
- “წიგნები ვაკეში” - ფალიაშვილის #66
- “პროსპეროს ბუქსი” - რუსთაველის #34
- “დიოგენე” - აფაქიძის #9

## ღვინის მაღაზიებში:

- “la Maison de vin” - შარდენის #18
- “ვინოთეკა” - კოტე აფხაზის #33
- “ღვინის სახლი”
  - პეკინის #45
  - ლესელიძის #55
- “ხარება” - რუსთაველის #50
- “ხოხბის ცრემლები” - სიღნაღი, ნიკოლოზ ბარათაშვილის #18
- “ღვინის სამყარო” - ლადიძის #2

## სასტუმროებში:

- “რჩეული”
  - ბათუმი, ჟორდანიას #31
  - სიღნაღი, აღმაშენებლის #6
  - ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის #21ბ
  - თელავი, ჭავჭავაძის გამზ. #154
- “შერატონი”
  - თბილისი, თელავის #20
  - ბათუმი, რუსთაველის #28
- “სიტადინი” - თავისუფლების მოედანი #4

## მაღაზიაში:

- “შემოქმედებითი სტუდია ემელი” - თუმანიანის #15

## “საქართველოს ფოსტის” ჯიხურების ქსელში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:  
ტელ: + 995 32 2471005  
მედია ჰაუსი დეკომი



2012

# ქართული ღვინის გზამკვლევი

# Georgian Wine Guide



მალხაზ ხარბედია  
Malkhaz Kharbedia



## 2011 წლის კინო

# აკოკალიფსის მოლოდინში

ავტორი გიორგი გვახარია

„ადამიანის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის უნარს გაემიჯნოს საკუთარ თავს“

ვიქტორ ფრანკლის ეს სიტყვები გასულ კინოსეზონზე ფიქრმა გამახსენა. უფრო სწორად, იმ გამოკითხვებმა, რომლის შედეგები წლის ბოლოს გამოაქვეყნეს ნამყვანმა კინოჟურნალებმა ევროპასა და ამერიკაში. ხალხი გაცემას ვერ მალავს; ასეთი აზრთა სხვადასხვაობა დიდი ხანია არ ახსოვს კინოს სამყაროს. ყველა ამ ჟურნალის გამოკითხვა რომ გავაერთიანოთ, დაახლოებით ასი ფილმი გამოგვივა – ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, რომ 2011 წელს განმეორდა თავისებური რეკორდი, რომელიც კინოში 1959-1960 წლებში დამყარდა; იმხანად „ა“ კლასის კინოფორუმებზე ისეთი კონკურენცია იყო, რომ „როკო

და მისი ძმებიც“ კი ვენეციის კინოფესტივალის მთავარი პრიზის გარეშე დარჩა. მაშინაც ჩაატარეს ასეთი გამოკითხვები და მაშინაც ასეთი სიჭრელე იგრძნობოდა. ეს აღმავლობა კი იმით ახსნეს, რომ 60-იანი წლების მიჯნაზე კინემატოგრაფმა მეტ-ნაკლებად გადალახა ტელევიზიასთან კონკურენციის შიში – არ გამართლდა წინასწარმეტყველება, თითქოს ტელეხედვის განვითარებასთან ერთად კინო, როგორც ხელოვნება, წარსულს ჩაბარდებოდა. ამავე დროს კინემატოგრაფი თავისებური „სულიერი საზრდო“ გახდა ადამიანებისთვის, რომლებიც იმხანად – ატომის შიშის, საერთაშორისო დაცაბულობის ფონზე განიცდიდნენ ეგრეთ წოდებულ „ეგზისტენციალურ კრიზისს“. სწორედ 1959 წელს გამოქვეყნდა ფრანკლის ნიგნი „ადამიანი

საზრისის ძიებაში“, რომელშიც ავტორი პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით (ვიქტორ ფრანკლი ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკების ტყვე იყო) ამტკიცებს, რომ საზრისის გარეშე დარჩენა პიროვნების მთავარი სტრესია და რომ „ეგზისტენციალური ვაკუუმი“ ადამიანებს სრულიად უკარგავს სიცოცხლის ხალისს. ამ დროს, ფრანკლის აზრით, ეგზისტენციალური ფსიქოთერაპია ეფექტურია სწორედ კრიზისის პერიოდში, როცა ადამიანი საკუთარ თავს კი არ უნდა დავუბრუნოთ და საკუთარ თავში კი არ „ვაქეჩინოთ“, არამედ გამოვიყვანოთ პიროვნული სივრცლიდან, თუ გნებავთ, „თვალი ავუხილოთ“... დანარჩენი – ის, თუ რას დაინახავს თვალახელილი ადამიანი და როგორ შეაფასებს დანახულს, უკვე მისი პირადი საქმეა.





კადრი ფილმიდან „მლანგოლია“

ფრანკლის წიგნის გამოსვლა დაემთხვა კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას – 1959/60 წლებში კინემატოგრაფიულ წრეებში ბოლოს და ბოლოს აღიარეს ანდრე ბაზენი და მისი მოწაფეები, ფრანგული „ახალი ტალღა“, რომლის ერთ-ერთი ლიდერი, ცოტა ხანში კი მსოფლიოს ნომერი პირველი კინოჟურნალის, „კაიე დიუ სინემას“ მთავარი რედაქტორი ერიკ რომერი განუწყვეტელი იმეორებდა, მაყურებელს პირველ რიგში „თვალი უნდა ავუხილოთ“... ეს „დანახვა“ ანდრე ბაზენისთვის თერაპიის ფორმაც იყო და ამავე დროს, თან ახლდა უალრესად სევდიანი განცდა – რეალობას თითქოს ხედავდი და ემშვიდობებოდი მას, რადგანაც გრძნობდი, რომ რეალობის ეს წამი ვერასდროს განმეორდებოდა... კინემატოგრაფი არა მარტოდროის მუმიფიცირებას ახერხებდა, არამედ ინახავდა იმას, რასაც გარდასული, ე.ი. უკვე „მკვდარი რეალობა“ ერქვა.

2011 წლის კინოც მსოფლიოსთვის უმძიმესი კრიზისის ფონზე შეიქმნა. ეკონომიკურ კრიზისს, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა კინონარმოება (და იმ

კინოჟურნალების გამოცემაც შეამცირა, რომლებიც კინოგამოკითხვებს ატარებდნენ) დაემატა არაბული რევოლუციებიც – გარკვეულ წილად წარმოდგენა რომ შეცვალა დასავლურ დემოკრატიაზე და დასავლურ ფასეულობებზე. აღარაფერს ვამბობ „ჩინურ ეკონომიკურ სასწაულზე“, რომელსაც თან ახლდა კომუნისტურ ჩინეთში აქაური პოლიტიუროკრატის მომძლავრება და ადამიანის უფლებათა მუდმივი დარღვევა (ზაფხულში, ჩინეთში მოგზაურობის დროს მიამბეს, როგორ ახერხებდა ჩინეთის ხელისუფლება დაეხვრიტა დემონსტრანტები, რამდენიმე წუთში „დაესუფთავებინა“ გარემო და მერე იმათ გასწორებოდა, რომლებმაც დარბევის დროს თავს უშველეს.). ალბათ, სხვა მიზეზებიც არსებობს, რომლითაც ავხსნით, რატომ გახდა კრიზისის, დეგრადაციის, დაცემის, მთლიანობის რღვევის თემები წამყვანი 2011 წლის კინოში და რატომ მოხდა, რომ სწორედ ამ თემების მხატვრული გადანწყვეტით გახდა შესაძლებელი მნიშვნელოვანი აღმავლობის მიღწევა მსოფლიო კინოში. იმდენად მნიშვნელოვანის, რომ სერიოზულმა კინოგამოცემებმა ვერ მოახერხეს რაღაც კონსენსუსამდე მიღწევა და ვერ ჩამოყალიბდნენ, რომელი ფილმები უნდა ვალია-როთ საუკეთესოდ 2011 წელს.

არადა წელი ცუდად დაიწყო, წლის პირველ მნიშვნელოვან კინოფორუმზე ბერლინში, კონკურსში თითქმის არაფერი იყო სანახავი.. კონკურსგარეშე კიდევ ხო.. სწორედ ბერლინის ფესტივალზე შედგა პრემიერა ვიმ ვენდერსის დოკუმენტური ფილმი-ბალეტისა „პინა“, რომელშიც კინო და ბალეტი ახალი ხარისხით ერთიანდება (ახლა უკვე ახალი ტექნოლოგიების, პირველ რიგში 3D-ს დახმარებით), და ეს ერთიანი ორგანიზმი იძენს უფრო მასობრივ, ყველანაირი მაყურებლისთვის გასაგებ ფორმას. ვენდერსი ახერხებს რეალობა გადააქციოს ბალეტად, დროსა და სივრცეში მოძრაობად და ამით, ჩემი აზრით, უფრო მეტს მიღწიოს, ვიდრე თავად პინა ბაუში ახერხებდა სცენაზე. სივრცეში გაშლილ ნატურასთან დამშვიდობება ერთმება დამშვიდობებას დიდ ქორეოგრაფთან, ამიტომ მთლიანად ფილმი ემსგავსება ქორეოგრაფიულ კინონეკროლოგს, რომელმაც, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ააღელვა ბალეტის ნიუანსებში სრულიად გაურკვეველი მაყურებელიც კი. „პინას“ კომერციული წარმატება ყველას-

თვის სიურპრიზი აღმოჩნდა. ისევე როგორც 2011 წლის „ბერლინალეს“ ტრიუმფატორის, ირანელი რეჟისორის, ასპარ ფარხადის ფილმმა „ნადირისა და სიმინის განქორწინება“, რომელიც ევროპაში გაქირავების პირველივე კვირაში ათმა მილიონმა მაყურებელმა ნახა (სურათის წარმოება მხოლოდ 400 000 დოლარი დაჯდა) და, რაც განსაკუთრებით უცნაურია, ძალიან მოეწონა თავად ირანელ მაყურებელს, რომელსაც, როგორც ამბობენ, იაფფასიანი მელოდრამები უყვარს და მაინცდამაინც არ ხიბლავს სოციალური დრამის ჟანრში გადაღებული ფილმები.

ირანულმა ფილმმა მოხსნა ბერლინის კინოფესტივალის რეკორდიც – ერთდროულად 3 „დათვით“ აღინიშნა... წლის პირველ მნიშვნელოვან კინოფორუმზე ნაჩვენები ცუდი ფილმების ფონზე კაცი იფიქრებდა, რომ „განქორწინების“ ტრიუმფი კონკურენციის ნაკლებობამ განაპირობა. მაგრამ წლის ბოლოს, როცა დაიწყო 2011 წლის კინომოვლენების შეფასება, თანამედროვე კინოს საერთო ტენდენციის გააზრების შემდეგ, ნათელი გახდა, რომ „განქორწინება“, რომელიც ახალი წლის დასაწყისში „ოქროს გლობუსით“ დაჯილდოვდა და ახლა უკვე ამერიკული „ოსკარის“ მოპოვების შანსიც აქვს, მართლაც რომ, საეტაპო სურათია. ჟურნალ Sight&Sound-ის გამოკითხვაში ირანული ფილმი მეორე ადგილზე გავიდა წლის საუკეთესო ათი ფილმის სიაში... თანაც სრულიად განსხვავებული ესთეტიკის, თუ გნებავთ კინოხელოვნების მიმართ „კონტრასტული დამოკიდებულების“ გამომხატველ ორ სურათს შორის – ტერენს მალიკის „სიცოცხლის ხესა“ და უნგრელი რეჟისორის, ბელა ტარის „ტურინის ცხენს“ შორის.

„ტურინის ცხენი“, რომელიც ნიციშეს ცხოვრების ერთ კონკრეტულ ფაქტს ასახავს, ასევე დააჯილდოვეს „დათვით“ ბერლინში. ირანული სურათის ტრიუმფისა არ იყოს, პირადად მე, ბელა ტარის გამარჯვებაც ფიქტიურად აღვიქვი – როგორც ხშირად ხდება ხოლმე დიდ ფესტივალზე; პროგრამა ცუდია და ფესტივალის დირექცია, ჟიურისთან ერთად, ცდილობს გააზვიადოს კონკურსში ჩართული ფილმის მნიშვნელობა. მერე კი, როცა ფესტივალი სრულდება, გამარჯვებული ფილმი შეიძლება ყველას გადაავიწყდეს. მაგრამ ამჯერად ასე არ აღმოჩნდა – ბელა ტარის სურათს, რომელსაც 55 წლის უნგრელმა

რეჟისორმა „უკანასკნელი“ უწოდა თავის კარიერაში, მთელი წლის მანძილზე იხსენებდნენ კინოკრიტიკოსები, განსაკუთრებით ის ხალხი, ვინც კინოს ენის სრულყოფითა და განვითარებითა დაინტერესებული. აღმოჩნდა, რომ წლის დასაწყისში, მსოფლიო საავტორო კინოს ლიდერებად აღიარებული ეს ორი სურათი – „გაყრა“ და „ტურინის ცხენი“ სრულად ასახავს 2011 წლის კინოხელოვნების მთავარ ტენდენციას – კინოხელოვნება ორ, აბსოლუტურად განსხვავებულ რეაქციას წარმოაჩენს იმაზე, რასაც „კრიზისი“ ჰქვია... უფრო მეტიც, იმაზე, რასაც მოსალოდნელი კატასტროფა, თუ გნებავთ „აპოკალიფსი“ ჰქვია.

სხვათა შორის, ეს კონტრასტი კრიზისის მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით კინოხელოვნების ისტორიაში ყველაზე თვალსაჩინო სწორედ იმ 1959-60 წლებში გამოჩნდა. ორმა დიდმა იტალიელმა რეჟისორმა, ლუკინო ვისკონტიმ და ფედერიკო ფელინიმ ერთსა და იმავე დროს გადაიღეს ინდუსტრიული იტალიის გენიალური პორტრეტები – „ტკბილი ცხოვრება“ და „როკო და მისი ძმები“ და ორივემ კრიზისის ასახვაში და კრიზისიდან გამოსავლის ძიებაში, ერთმანეთის საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა. ფელინისთვის „ეგზისტენციალური ვაკუუმის“ დაძლევის ერთადერთი გზა „იდენტური თავისუფლების“ მიღწევა – გამიჯვნა სოციუმიდან, რომელიც „ტკბილად ცხოვრობს“ და საკუთარი თავის შიგნით „მოგზაურობს“ დაწყება – მოგონებებით, ხილვებით, ასოციაციებით, მუხებით, ანგელოზებით და დემონებით. ცხადია, ესაა ევროპული კულტურის ძველი ტრადიცია, რომელიც იმხანად ასე თუ ისე სხვა რეჟისორების შემოქმედებაშიც წარმოჩნდება – ბერგმანთან, ბრესონთან, ტარკოვსკისთან, ნანლოზრივ ანტონიონისთან. ლუკინო ვისკონტიმ სრულიად საპირისპირო გზა არჩია – სწორედ ის გზა, რომელსაც ვიქტორ ფრანკლი ანიჭებს უპირატესობას... ვისკონტი დარწმუნებული იყო, რომ მოახლოებული კატასტროფის წინ („ინდუსტრიული კატასტროფის სიტუაცია“ უწოდა) თავის გადაარჩენის ერთადერთი გზა რეალურობასთან, სოციუმთან ინტეგრაციაა, ფაქტობრივად საკუთარ იდენტურობაზე უარის თქმა, თვითუარყოფა. სხვა საქმეა, რომ ეს „სოციალური სუიციდი“ ძალიან სარისკოა და შესაძლებელია, მართლაც სიკვდილით დაითავრდეს. როგორც, მაგალითად, „ლეო-

პარდში“, ან ვისკონტის ფილმში „ოჯახის პორტრეტი ინტერიერში“.. როგორც რეალურ ცხოვრებაში – თუნდაც ვისკონტისა და ფელინის თანამემამულის, პიერ პაოლო პაზოლინის ცხოვრებისა და სიკვდილის მაგალითზე.

დღესაც, ოდნავ მეტი სოციალური სიმძაფრე და პოლიტიკური ანგაჟირება და ირანული ფილმი „გაყრა“ ვერც ვერასდროს ეღივებოდა ირანის კინოთეატრების ეკრანებს, ხოლო სურათის რეჟისორს შესაძლოა თავისი თანამემამულის, ციხეში გამოძევებული ჯაფარ ფანახის ბედი გაეზიარებინა... მაგრამ „პოლიტიკური გზავნილი“ ამ ფილმის დასაწყისში ისმის მხოლოდ, როცა პროკურორი ეკითხება სურათის გმირს, ქალს, რომელიც ქმართან განქორწინებას და დასავლეთში ემიგრაციას აპირებს: „თქვენ თვლით, რომ თქვენს ქალიშვილს არა აქვს მომავალი ამ ქვეყანაში?“.. მერე კი იწყება ტრილერის მსგავსი ოჯახური დრამა, რომელიც რელიგიური ცრურწმენა და კულტურა ისეა გადახლართული, სოციალური კლასები, თაობები, საერო კანონები და შარიათის სასჯელი ისეა შეზავებული, რომ ავტორის „მამხილებელი პათოსისთვის“ ადგილი აღარ რჩება.

თავის დროზე ირანულმა ფილმებმა დაშლილი საბჭოთა ნეორეალიზმის ადგილი დაიკავეს მსოფლიო კინოში. ეს იყო ერთადერთი კინემატოგრაფიული სკოლა, სადაც იგავი – კინოჟანრის სახით არსებობდა. მაგრამ, დროთა განმავლობაში, „ეზოპეს ენამ“ ბუნებრიობა დაუკარგა ამ კინოს, მანერულობასა და თვითტკობაში გადაიზარდა. „გაყრაში“ კინოს დაუბრუნდა სიცოცხლის ფაქტურების მიმართ ნდობა იმ სისტემის სახის შექმნის პროცესში, რომელსაც არა აქვს მომავალი („თქვენ თვლით, რომ თქვენს ქალიშვილს არა აქვს მომავალი..?“)... და რადგანაც ეს ფაქტურები სრულიად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე აისახა, შიშის ატმოსფერო როგორღაც თავისთავად დაიბადა, ავტორის ჩარევის გარეშე – ხელისუფლების შიში, ქმრის შიში, ღმერთის შიში... ფინალში, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებით გოგონამ თვითონ უნდა აირჩიოს ვისთან იცხოვროს, დედასთან, რომელიც ირანიდან მიდის, თუ მამასთან, რომელიც ირანში რჩება, გასაგები ხდება, რომ ამ სივრცეში დაკარგულია არჩევანის შესაძლებლობაც კი... რადგან ასეთი არჩე-

ვანის გაკეთება მთლიანობის დანგრევის ტოლფასი იქნება. მთლიანობის დაშლა კი შეუძლებელია.

„ეს ფილმი კითხვებს სვამს და არ გთავაზობს პასუხებს და იდეებს – აღნიშნა სურათის ავტორმა ბერლინში გამართულ პრესკონფერენციაზე – ჩემი აზრით, გავიდა დრო რეჟისორებისა, რომლებიც თავიანთ თავს მაყურებელზე მაღლა აყენებენ და მრჩევლების როლში გვევლინებიან“.

არ გავიდა. როგორ გავიდა, როცა იმავე ბერლინში „გაყრას“ კინალამ მოუგო ბრძოლა ბელა ტარის „ტურინის ცხენმა“ – ლამაზმა, მაგრამ უზომოდ პრეტენზიულმა ფილმმა, რომელსაც უფრო „ფილმი-კადრი“ შეიძლება დავარქვათ (სურათში მართლაც სულ 30 კადრია, მეტი არა)... თეატრალური მიზანსცენის სახით წარმოდგენილი ფილმი-კადრი, რომელიც სამყაროს დასასრულს წარმოაჩენს; დასასრულს დასავლური ცივილიზაციისა, რომელსაც ერთმება ავტორის „სიკვდილი“ (ბელა ტარი ხაზგასმით იმეორებდა ყველგან, რომ „ტურინის ცხენი“ მისი ბოლო ფილმია). ღმერთის სიკვდილი (ნიც-შე) – ცხენის სიკვდილი (აპოკალიფსის ბოლო მხედრის სახე), ავტორის სიკვდილი და, რაც მთავარია, კინოს სიკვდილი. აქ ყველაფერი ერთადაა. კინო ისევ და ისევ იქცევა არტისტის ნარცისული ვნებების დემონსტრირებად.

2011 წელი უსაშველოდ უხვი აღმოჩნდა ასეთი ფილმებით. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ დიდი რეჟისორები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „ატრაქციონებით“, რომლებიც პუბლიკის აღზენას გამოიწვევდა. რეალობის მიმართ უნდობლობამ და რეალობის შიშმა მანიპულაციის ოსტატს, ლარს ფონ ტრიერს შეაქმნევინა „მელანქოლია“, რომელიც ვინ იცის უკვე მერამდენედ „ახმარინა“ კინოს ვაგნერის მუსიკა. „ლამაზი ფილმი სამყაროს დასასრულზე“ თავიდან საკმაოდ გულგრილად მიიღო კანის ფესტივალის პუბლიკამ. ტრიერმა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა შესაშური ინტუიციით, იგრძნო ეს და ახლა უკვე სიტყვიერი „ატრაქციონი“ კანში, ფილმის პრემიერის შემდეგ შემოგვთავაზა, როცა ჰიტლერის მიმართ თავისი სიმპატია აღიარა.

ამ „ატრაქციონებს“ – პროვოკაციულ და პრინციპულად ხელოვნურ სახეებს აღარფერი აქვს საერთო არც ჰინკოკის „რეაქტიულ კადრებთან“, როცა კინომო-



შენს მასზე ბაზარი  
მასზე ბაზარი

სტატიონერი

  
**CHESTERFIELD**  
იუიჩი ბანსპაპუკა

ჩესტერფილდი

მოწევა კლავს  
მოწევა იწვევს კანის  
ნაადრევ დაბერებას



კადრი ფილმიდან „ნალირისა და სიმონის ბანდორცინება“



კადრი ფილმიდან „სისუსხლის სი“



კადრი ფილმიდან „კინა“



კადრი ფილმიდან „კანი, რომელშიც ვაშვორკა“

დერნიზმის უკანასკნელ წარმომადგენელს სჯეროდა, რომ ფილმს შეუძლია მაყურებლის კათარზისი განაპირობოს და არც პაზოლინის „კინემებთან“, როცა პროვოკაციული და აღმგზნები, თავად რეალობიდან, ცხოვრებაში დაგროვილი სახეებით იქნება.

სრულიად გასაგებია ასეთ ხელოვნებას ბევრი თაყვანისმცემელი რომ ჰყავს მსოფლიოში. ნევროზების გადაქცევა მხატვრულ სახეებად მხოლოდ ნიჭიერ არტისტებს შეუძლიათ. ამიტომაცაა, ალბათ, რომ ვერანაირმა პოლიტკორექტულობამ ვერ შესძლო ლარს ფონ ტრიერის გარიყვა კინემატოგრაფიული სამყაროდან – წლის ბოლოს მას ევროაკადემიის პრემიაც კი გადასცეს, როგორც ავტორს 2011 წლის საუკეთესო ევროპული ფილმისა „მელანქოლია“.

გასაგებია, რატომაც მოსწონს პუბლიკას ტრიერის ეს ფანტასმაგორიული ხილ-

ვები – სანახაობრივი ნევროზი მართალია ნევროზია, მაგრამ მაინც სანახაობა... მაგრამ ის კი ძნელია გასაგებია, რატომ დაგროვდა 2011 წლის საავტორო კინოში ასეთი ფილმები... რა ტენდენციას გამოხატავს ეს? გულის აცრუებას სოციალურ კინოზე? რეალობაზე? იმის აღიარებას, რომ კინოხელოვნებამ განყვიტა კავშირი სინამდვილესთან?

ევროპული კინოაკადემიის ამ დაჯილდოებაზე გამარჯვებულებს შორის ვერ ვიხილეთ წლის ერთ-ერთი ყველაზე ემოციური, ყველაზე გამჭვირვალე და სადა ფილმი, ფინელი რეჟისორის, აკი კაურის-მიაკის „ჰავრი“, რომელსაც თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ „სოციალური ზღაპარი“. 30-იანი წლების ფრანგული „პოეტური რეალიზმის“ ამ მსუბუქ სტილიზაციაში კაურისმიაკი დიდად არ ენდობა სინამდვილეს და ფრანგული საპორტო ქალაქიდან ხელოვნურ რეალობას ქმნის,

რომელიც თითქოს თავიდან ბოლომდე დეკორაციაა.

უფრო სწორად, სასტიკი რეალობა. აგებული უთანასწორობაზე, სიხარბეზე, სოლიდარობის დეფიციტზე, ის, ნელ-ნელა განიდევნება ფილმიდან და ადგილს უთმობს ახალ რეალობას, აგებულს სიკეთეზე, თანაგრძნობაზე, უკვდავებაზეც კი. ფინალში ფაქტობრივად ხელახლა თამაშდება სახელგანთქმული სცენა კარლ თეოდორ დრეიერის ფილმიდან „სიტყვა“, როცა დრეიერი სუპერნატურალისტურ ფილმში ბედავს შემოგვთავაზოს რადიკალურზე რადიკალური „პერფორმენსი“ – მიცვალებულის გაცოცხლება... დრეიერთან (სხვათა შორის, „სიტყვა“ 1955 წელსაა გადაღებული) ეფექტი აბსოლუტურად დამაჯერებელია, რადგან რეჟისორი „კლავს“ ყველაზე სათნო, ყველაზე უდანაშაულო გმირს, მერე გააზრებულად ცვლის ფილმის რიტმს, მნიშვნელოვნად აჭიანუ-



რებს მოძრაობას, შეიძლება ითქვას, აჩერებს დროს (კედელზე დაკიდებული საათი ფინალური სცენის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია), რათა მაყურებელს იმ უსამართლობაზე ფიქრი გაუხანგრძლივოს, რასაც კარგი ადამიანის სიკვდილი ჰქვია.. ფიქრი კი დრეიერისთვის ერთგვარი ლოცვის ტოლფასია. პუბლიკა ლოცულობს და პერსონაჟი ცოცხლდება!

კაურისმიაკი ზუსტად იგივეს აკეთებს. სამართლიანობა და თანასწორობა ამ ზღაპარში იმიტომ გაიმარჯვებს, რომ პირველ რიგში რეჟისორი წარმოიდგენს საკუთარ თავს მაყურებლის თანასწორად. რეალობის მიმართ ნდობა ხომ იმდენად გადამწყვეტი არაა კინოში, რამდენადაც ამ რეალობის შემეცნების სურვილი მაყურებელთან ერთად (რომელსაც ენდობი). და თუ გასული წლის სხვა კარგ ფილმებს გავიხსენებთ – ძმები დარდენების დრამას „ბიჭი ველისიპედზე“, ნანი მორეტის სა-

ტირას „გვყავს პაპი“, თურქი რეჟისორის, ნურგი ბირგე ჯელილანის მეტაფიზიკურ ტრაგიკომედიას „ერთხელ ანატოლიაში“... (ხედავთ რამდენი ფილმია?!), საავტორო კინოს მაყურებლისკენ შემობრუნებაც შეგვიძლია გავიზაროთ, როგორც ტენდენცია. ამ სრულიად განსხვავებული ჟანრის ფილმებში მხატვრული სახე და აზრი სწორედ მაყურებელთან დიალოგში იქნება. ნანი მორეტისკენ კი – ამ სახელგანთქმულმა ათეისტმა, რომლისგანაც ყველა რაღაც ძალიან პროვოკაციულს ელოდა ვატიკანის თემაზე, უარი თქვა მოსალოდნელ პოლიტიკურ სატირაზე და გადაიღო ფილმი თანასწორობის ნგრევის სამიშროებაზე, იმაზე, რასაც ძალაუფლების ვერტიკალი ჰქვია და რისიც, დიახაც, უნდა ეშინოდეს დასავლურ საზოგადოებას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფილმი ეკონომიკური კრიზისის პროდუქტია, ამიტომ მინიმალური ბიუჯეტითაა გადა-

ღებული. მაგრამ ეს მცირე ბიუჯეტი ამ შემთხვევაში „მაღლი“ ხდება მისი ავტორებისთვის – განტვირთულ ეკრანულ სამყაროში ადგილი რჩება მხოლოდ რეალობისთვის და მხოლოდ ადამიანისთვის... რასაც ვერ ვიტყვით, მაგალითად, პედრო ალმოდოვარზე, რომლის ბოლო ფილმების წარუმატებლობას (ასე ვთქვათ – „შედარებით წარუმატებლობას“) ხშირად სწორედ გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში მიღწეული „ბაროკალურობით“, უფრო მეტიც, თავისებური „პოსტმოდერნისტული მეშჩანობით“ ხსნიან. ფილმი „კანი, რომელშიც ვცხოვრობ“, მიუხედავად ძალიან საინტერესო იდეისა, სქესთა ურთიერთობის საკითხის ყველაზე რადიკალური გადაწყვეტისა, ეს ქარბი პლასტიკა და დეკადენტური „ვიზიონიზმი“ დროდადრო ბუტაფორიის განცდას ქმნის (დავუმატოთ ამას იუმორის დეფიციტი, უცნაურზე უცნაური რამ პედრო ალმოდოვარისთვის და მსახიობების ცუდი თამაში). მაგრამ ფინალში, როცა დედას უბრუნდება დაკარგული და სქესგამოცვლილი შვილი, რომელიც მას ისევე უნდა უყვარდეს, როგორც ადრე, როცა მაყურებელი ვერ ხვდება, როგორ უნდა მართოს თავისი ემოცია, რა ემართება – ეცინება, ეტირება, უკვირს, ანუ როცა პედრო ალმოდოვარი ახერხებს მთავარს, სკამიდან ოდნავ „ანის“ მაყურებელი, „კანის“ კიტჩურ-ბაროკალური ვარიაციები გაუთავებელი ფლეშბექებითა და შეუკვრელი ციტატებით, გადაიქცევა რეალისტურ მელოდრამად. აი, სწორედ ისეთად, 50-იან წლებში რომ იღებდა პედრო ალმოდოვარის საყვარელი რეჟისორი დუგლას სირკი.

ეგაა, რომ იმ წლებიდან, „ტექნიკოლორის“ ეპოქიდან კინემატოგრაფისტებს, განსაკუთრებით ამერიკაში, ხშირად მხოლოდ გადაჭარბებული პლასტიკურობა, ვულგარული ფროიდიზმი და უკიდურესი სქემატურობა გადმოაქვთ ხოლმე. ზოგჯერ ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ კინოკრიტიკოსებმა ვიშვიში ატეხონ, იძახონ, ახალი შედეგრი შეიქმნაო. და თუ ავტორს ავტორიტეტი აქვს, ვიზუალური კინოფრესკა – სულ ერთია, რამდენად ღრმა აზრს ატარებს, შეიძლება მოვლენად მიიჩნიონ, ახალ სიტყვად კინოხელოვნებაში.

გასულ წელს კანის კინოფესტივალის მთავარი პრიზი, ანუ, შეიძლება ითქვას, საერთოდ, მთავარი პრიზი საავტორო კინოს სამყაროში, გადაეცა ტერენს მალი-

კს ფილმისთვის „სიცოცხლის ხე“. უფრო სწორად, თავად მალიკი კანში არ ჩამოვიდა. შეიძლება მარცხის ეშინოდა – ამ პროექტზე ხომ თანამედროვე კინოს ცოცხალი კლასიკოსი, რომელსაც ზოგიერთი კრიტიკოსი ნომერ პირველ რეჟისორად მიიჩნევს, დიდი ხანია მუშაობდა. თითქოს ინტუიციამ არც უღალატა. პირველ სეანსზე კრიტიკოსებმა სტვენა აუტეხეს ავტორს ფილმის დასრულების შემდეგ. მაგრამ ოფიციალურ პრემიერაზე დარბაზი ფეხზე ადგა და ოვაციები გამართა. მერე კი ჟიურის თავმჯდომარემ, რობერტ დე ნირომ გამოაცხადა კანის ფესტივალის შედეგები – ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფესტივალისა კანის კინოფორუმის ისტორიაში – „ოქროს პალმა“ ტერენს მალიკს გადასცეს.

არავინ იცის, რა მოხდა მაისის იმ დღეს კინოს სამყაროში – „სიცოცხლის ხის“ დილის სეანსიდან საღამომდე, როცა მსოფლიო კინოპრესა ჯერ იუნყებოდა, ტერენს მალიკის ფილმი ჩავარდაო, შემდეგ კი იმის მტკიცება დაიწყო, რომ პრემიერა ტრიუმფით დასრულდა. ახლა ეს არაა მთავარი. გასაოცარი უფრო წლის ბოლოს გამოქვეყნებული კრიტიკოსთა გამოკითხვებია – ტერენს მალიკის „სიცოცხლის ხე“ თითქმის ყველა გამოკითხვაში ლიდერობს, რაც იმას ნიშნავს, რომ 2011 წელს საავტორო კინოს ორი ტენდენციის დაპირისპირებაში გაიმარჯვა არა რეალობამ, არამედ ი-რეალობამ, არა ყოფითმა, არამედ კოსმიურმა ჰუმანიზმმა, არა ჰორიზონტმა, არამედ ვერტიკალმა.

პრინციპში არც ესაა პრობლემა, გემოვნების ამბავია და ვისაც მოსწონს ბიოკოსმიური ვიზუალი „დისქავერის“ სტილში, „სიცოცხლის ხე“ უთუოდ მიანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას. მით უმეტეს, რომ ფილმი გაფორმებულია კლასიკური მუსიკალური შლიაგერებით, როგორც ერთმა კრიტიკოსმა აღნიშნა – „ბახიდან ოფენბახამდე“, ეს კი უფრო მეტ ემოციურობას ანიჭებს სანახაობას. თუკი 50-იანი წლების კინოს სტილიზაციას ნორმალურად ვაღიარებთ, მაშინ არც ბანალურზე ბანალურმა სიუჟეტმა უნდა გაგვაკვიროს მკაცრი მამით, რბილი და კეთილი დედით და მამის ტერორში მცხოვრები ბიჭებით, ხოლო სცენაზე, როცა დედა ცისკენ იშვერს ხელს, ამბობს „აი, იქ ცხოვრობს ღმერთი“ და ამ დროს ერთვება ისრაელის ეროვნული ჰიმნი, ისევე უნდა წამოვდ-

გეთ სკამებიდან, როგორც კაურისმიაკის, ძმები დარდენების, ალმოდოვარის ახალი ფილმების ფინალებზე.

პრობლემა სხვა არის. პრობლემაა მაყურებლის მიმართ ტერენს მალიკის დამოკიდებულება... ქადაგება ეკრანიდან! პრობლემაა მაყურებელი (და კრიტიკოსი), რომელსაც მოსწონს ეს პასიური როლი და ეს მეტაფიზიკური „წიაღვლები“ სამყაროს შექმნაზე, კონკრეტულის გადაქცევა აბსტრაქციად, ყოველთვის, როცა კინოში ავტორი ასეთ ქადაგებას იწყებდა, უმრავლესობა ცდილობდა მაინც ირონიით ან თვითირონიით გადაეღობა მორალიზმი და სწორხაზოვნება. მალიკი ამას არ აკეთებს და სწორედ ასეთი კინო მოსწონს იმას, ვინც პასუხს აგებს 2011 წლის კინომოდაზე. ასეთი კინო მოსწონს კინემატოგრაფიულ სამყაროს – დაღლილს და ცოტა არ იყოს შეშინებულს.

ძალიან ნიშნდობლივია, რომ ფესტივალზე, სადაც „ოქროს პალმით“ ტერენს მალიკის ფილმი აღნიშნეს, საკონკურსო პროგრამამიც კი ვერ მოხვდა 2011 წლის ერთ-ერთი საუკეთესო სურათი, გას ვან სენტის „დაულალავი“. იმ კონტრასტის ფონზე, რომელიც გასული წლის კინოში გამოიკვეთა, ორი განსხვავებული ესთეტიკის დაპირისპირების ფონზე, ამერიკელი ესთეტის ეს პატარა სურათი ანომალიად აღიქმება. პარალელსაც ვერ გაავლებ ვერც 50-იან წლებთან და ვერც სხვა დროსთან. თუნდაც 60-იან წლებთან, როცა გას ვან სენტის ფილმში მთავარი როლის შემსრულებლის, ჰენრი ლი ჰოპერის მამა, დენის ჰოპერი კინომეამბოხეთა ლიდერი ხდება ამერიკაში.

„დაულალავი“ დრო მკვდარია. შექსპირისეული ვენებები ცოცხლდება აბსტრაქტულ დროსა და სივრცეში. ამ მხრივ ფილმი თითქოს მიჰყვება იმ „მეტაფიზიკურ ხაზს“, რომელიც მთავარი ტენდენცია გახდა 2011 წლის კინემატოგრაფში: ობოლი ბიჭის, ინოკისა და კიბოთი დაავადებული გოგონას, ანაბელის შეხვედრის ამბავი პრინციპულად ჩაკეტილია თავის თავში... იმდენად მონყვეტილია სოციუმს, რომ სურათის გმირები ლანდებს ემსგავსებიან. ლამაზ ლანდებს. ძალიან ლამაზ აჩრდილებს, რომლებმაც მაყურებელი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე უნდა გაიყვანონ.

გას ვან სენტი რაღაც განსაკუთრებული ძალისხმევით ცდილობს შეგვაყვაროს თავისი გმირები. შეგვაცოდოს? კი ბატონო,

შეგვაცოდოს. ამ კაცს ყოველთვის ახასიათებდა ერთგვარი „პლატონური პედოფილია“ – თინეიჯერების ტყავში შესვლა და მათი მარტოობის განცდა. მაგრამ „დაულალავში“ ეს სიყვარული ახალ მასშტაბებს იძენს; იგი ანგელოზებად აქცევს ამ ყმანვილებს და იმდენად გვაყვარებს, რომ მაყურებელს სჯერა – მია ვასილკოვსკას გმირი, არანორმალურად მსუბუქი ანაბელი, გადარჩება. სიყვარული არ მოკლავს ფილმის გმირს! მით უმეტეს, რომ ფინალში კადრსგარე ხმა გვახსენებს, სიყვარული სიკვდილზე უფრო რთულიაო.

მოკლედ, დრეიერის, კაურისმიაკის, ძმები დარდენების ფილმებისა არ იყოს, აქაც ლოცულობ, რომ გმირი არ მოკვდეს, მაგრამ ეს სურვილი-ლოცვა არაჭრის. გას ვან სენტი გვახსენებს, რომ კინოხელოვნება არა მარტო სიცოცხლის შენახვა, არამედ სიცოცხლესთან გამომშვიდობებაცაა!

„დაულალავი“ არა იმდენად ამოვარდნილია 2011 წლის კინოპროცესიდან, რამდენადაც ამ კინოპროცესის სიმბოლოა. გას ვან სენტი, რომელიც სწორედ იმითაა ცნობილი, რომ თავისუფლად შეუძლია შეცვალოს ხელწერა, გადაიღოს მინიმალისტური „სპილო“ და კვაზიდოკუმენტური „მილკი“, ერთგვარად თავს უყრის ორ ტენდენციას გასული წლის მსოფლიო საავტორო კინოში.

„დაულალავი“ ეს არის მაყურებელთან ერთად არა რეალობის, არამედ – ი-რეალობის შექმნა და კონსტრუირება, სიკვდილთან თამაში და ამავედროულად, მაყურებლის ჩართვა სიცოცხლის ძერწვაში შუქით და ბგერით („სინათლის ჯადოქრის“ ოპერატორ ხარის სავიდესის დახმარებით) ... ჰაერი იფლინდება და კამერა მაყურებელთან ერთად ხედავს იმას, რაც დამალული და შენიღბულია ჩვენგან. კრიზისი „ამაოება“ ხდება, მოსალოდნელი აპოკალიფსი – ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი, ადამიანის მარტოობა გამოვლინება უკიდურესი ეგოცენტრიზმისა, რომელიც ადვილად გადაილახება, თუკი ხალხი დანახვას ისწავლის – რეალობის და დიახაც... ი-რეალობის დანახვას.

ასეთი კინოს ყურებისას ლოცვა გმირის გადასარჩენად უმნიშვნელო ხდება. სულ ერთი არაა იცოცხლებ თუ მოკვდები, როცა იცი, რომ სიკვდილი არ არსებობს?

**CHESTERFIELD**  
 იუიკრა ბანსკვაპუკუად



მოწევა სერიოზულ  
 ზიანს გაყენებთ თქვენ და  
 თქვენს ირგვლივ მყოფთ

იოზულ  
 თ თქვენ და  
 ღივ მყოფთ

ლიკარიფიციკაპუკი

გლუგლუ  
 რელი რელი

ჩესტერფილდი  
 ჩესტერფილდი  
 ჩესტერფილდი  
 ჩესტერფილდი  
 ჩესტერფილდი

მოწევა კლავს  
 მოწევა იწვევს კანის  
 ნაადრევ დაბერებას

**FM**  
**სენტი**  
**98.0**





სხალი  
შოქოლადი

# ისტორიები



ისტორიები:  
ბია დვალი

ჯონ და კოლი ბასები

ინტერვიუები:  
ჩარლზ ლოიდი

ჯიმ სტარკი

სპეცპროექტი  
ლია ქალაქი

ფოტოპროექტი  
მუშთაიდი – ნელი ნული



Evaporation of  $D=10$   
Black holes



$$\frac{1}{T} \frac{dT}{dt} = T \left( \frac{T}{M_{10}} \right)^8$$

For  $N$ -species

$$\frac{1}{T} \frac{dT}{dt} = N T \left( \frac{T}{M_{10}} \right)^8$$

Semi-classicality condition

$$\frac{1}{T^2} \frac{dT}{dt} \ll 1$$

# გია დვალის პირველ მიხსლოებაში

ავტორები ალექს ჩილვინაძე, ზურა ჯიფარიანი  
ფოტო სერგი ბარისაშვილი

შერლოკ ჰოლმსი და დოქტორი უოთსონი ინყებენ თავიანთ ყველაზე გრანდიოზულ გამოძიებას.

„ბოლო თვეების მანძილზე მე დაუღალავად ვფიქრობ სამყაროს გრანდიოზულ სირთულეზე, დოქტორ უოთსონ!“ – გაისმა ჰოლმსის რადიოსავით მოურიდელები ხმა სიგარეტის ბოლით დანისლული ოთახის კუთხიდან.

უოთსონმა უხმოდ მიიხედა მისკენ. მან იცოდა, რას მოასწავებდა ჰოლმსის ასეთი ტონი. ფანჯრიდან შემოცურებული იასამნისფერი განთიადის ნისლი უოთსონი შეეცადა თავლები ისე მოეჭუტა, რომ როგორმე ოთახის კუთხეში ჩამალული ჰოლმსის კონტურები გამოეკვეთა.

„ჩვენ არ ვიცით ვინ, სად, რატომ, ან როდის ვართ, უოთსონ. როგორი კომპარული სიზმარია! უვიცი, დაბნეული აგენტები, რომლებიც მისიაზე ინსტრუქციების გარეშე გაგზავნეს“, – აგრძელებდა ჰოლმსი. უოთსონმა შენიშნა, რომ ის უკვე ფეხზე იდგა და ფანჯრიდან იყურებოდა ცაში, ისე, როგორც ჰიმნის შესრულებისას იყურებიან ცაში სპორტსმენები და გლადიატორები.

\*\*\*

„იმ მომენტიდან მოყოლებული, რაც გაჩნდა ადამიანი და რაც ცაში აიხედა, შეიძლება მანამდეც, სანამ აიხედავდა, სულ ცდილობს, სამყარო შეიცნოს. საიდან მოვხვდით აქ? სად მოვხვდით? ეს არის გამუდმებული ძიების პროცესი – ამის გარეშე ადამიანი არ არსებობს“, – გია დვალის ხმა გარკვევით ისმის კოსმოსური თანამგზავრივით ჩუმ, უხმო სასტუმროს ოთახში. აქ, მის გარდა კიდევ სამი ვართ: მწერალი, მუსიკოსი და ასტროლოგი-ფოტოგრაფი.

„ადამიანის განმარტება ეს არის, – აგრძელებს გია, – გასაოცარია, მთელი ეს სამყარო, მთელი ეს უსასრულობა და წარსული ჩვენს ცნობიერებაში აირეკლება და ამ ინფორმაციას ჩვენი ტვინი ამუშავებს“.

წარმოდგენა არ მაქვს იმ ღამით კიდევ ვინმე თუ საუბრობდა სამყაროს დაბადებასა და კოსმოსის კოლონიზაციაზე პატარა, დათოვლილ გუდაურში. მაგრამ ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს გიას ხმა რადიოტელასავით დაიძრა ოთახიდან, გაფართოვდა და ძალიან დაბალ, ყურისთვის მოუხელთებელ პერცეპტზე მოედო ნახევრადცარიელი სასტუმროს დერეფნებს, ყინულიან და დაორთქილ ფანჯრებს, კეალს რომ არასოდეს ტოვებს. მან, გამოცდილი ნინძასავით, ნიავეით გაიარა თოვლზე და მდუმარე ცუნამივით მოედო წრიულ დაღმართებს სასტუმროებისა და კაფეებისკენ. დარწმუნებული ვარ, იმ ღამეს ვინმეს რომ

ჩაერთო რადიო, აუცილებლად დაიჭერდა რომელიმე სიხშირეზე სამყაროს დაბადების ისტორიას, მოყოლილს ერთ პატარა ოთახში, როგორც ძველ სათავგადასავლო ისტორიებს უყვებიან ბუხართან თავიანთ შეილიშვილებს ბაბუები.

შეიძლება ეს შედარებები ან ენთუზიაზმი, რომლითაც ვწერ, თავიდან უადგილოდ მოგეჩვენოთ – მართალაც, რა არის ამაში ასეთი გასაოცარი: კოსმოლოგიურ თეორიებს ვიკიპედიაში შეგიძლია გაეცნო, კოსმოლოგებისა და ფიზიკოსების ლექციებს კი იუთუბზე უყურო. მეც ასე მეგონა, სანამ ამ ინტერვიუზე ამოვყოფდი თავს.

საუბრის დასაწყისშივე მივხვდი, რამდენი რაღაც გვაკლია ყოველდღიურობაში და რამდენი რამე არ აქვს ათვისებული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემებს. ისეთი თემები, როგორცაა კოსმოსი – სადაც, ფაქტობრივად, ყველანი ვიმყოფებით, სამყაროს დაბადება და სიკვდილი, ჩვენი პლანეტა, ნივთიერებები, რომლისგანაც შედგებით და ცა ჩვენს თავებს ზემოთ – აბსოლუტურად განყენებულ კულტურულ სეიფშია შენახული და არ მონაწილეობს ჩვენს ყოველდღიურობაში. ამაზე არასოდეს ვფიქრობთ, არასოდეს ვსაუბრობთ, ამისთვის დრო არასოდეს გვაქვს. ალბათ, მხოლოდ ათასში ერთხელ და ისიც გარკვეული დროით, რომლის მერეც ამ თემებზე მსჯელობა დამლელი ხდება, ან უცნაურობად აღიქმება.

აი, ასეთი გაუგებარი კულტურა გვაქვს. ჩვენ იმ პატარა, უვიც არსებებს ვგავართ, დიდი ცხოველის სხეულის რამე პატარა ნაწილში რომ იშენებენ ცივილიზაციას, მისით იკვებებიან და წარმოდგენა არ აქვთ, სად იმყოფებიან. ბევრი ჩვენგანის სამყარო ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში ხან ფართოვდება და ხან იკუმშება სასაცილო საზღვრებამდე: სკოლა და სკოლის მეგობრები, უნივერსიტეტი, სამსახური და საყვარლები, ჭორები ახლობლებზე ან ახლობლების საყვარლებზე, ლოკალურ ან გლობალურ პოლიტიკოსებსა და „სელებრითებს“. ზოგის სამყარო მხოლოდ მისი სამსახურით ან ეგოთი იწყება და მთავრდება. და იმის გამო, რომ ჩვენ არც სკოლებში, არც პოპკულტურაში და არც ყოველდღიურობაში რეალურად არ ვსაუბრობთ, არ ვინტერესდებით იმით, რაც ამ კულტურის და ჩვენს მიერ დაწესებული ვიწრო საზღვრების იქით არის – ჩვენი „კოსმოლოგიური“ და მენტალური ჰორიზონტი ძალიან მწირია. ასეთ პატარა ჰორიზონტში

უმნიშვნელო პრობლემები დიდ მონსტრებად გვეჩვენება, უაზრო დეტალებს ზედმეტ ყურადღებას ვაქცევთ, ვიგონებთ ამ ვიწრო ჰორიზონტისთვის საჭირო მითოლოგიებს და რუკებს და როცა ეს რუკები არ ემთხვევა რეალობას, გვიკვირს – საიდან მოდის ამდენი აგრესია, ნაციონალური თუ რელიგიური ექსტრემიზმი, შეუწყნარებლობა ადამიანებს შორის?!

მეოცე საუკუნეში რამდენიმე ასეულმა ადამიანმა [ძირითადად, მეცნიერმა და არტისტმა] დიდი ევოლუციური ნახტომისთვის მოამზადა კაცობრიობა. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, აღმოჩენებმა და კვლევების ახალმა სფეროებმა 180 გრადუსით ამოატრიალეს სამყაროს ყველა ადრინდელი მოდელი. ადამიანის კონცეპტუალური რუკის ასეთი რადიკალური ცვლილებები ანგრევს მცირე ჰორიზონტებზე აღმართულ საფრთხობელებს და მავთულის ლობებს, რომლის იქით მუდმივი ტერა ინკოგნიტოა. მე მჯერა, რომ ისეთი მეცნიერებები, როგორცაა, მაგალითად, კოსმოლოგია და თეორიული ფიზიკა, აფართოებს ინდივიდის ცნობიერებას, მის თვითრეფლექსიას და ცვლის მის დამოკიდებულებას სამყაროსადმი და სხვა ინდივიდებისადმი. სამწუხაროდ, ფილოსოფია და პოპკულტურა ვერ ასწრებს ამ უეცრად მოზღვავებული, ერთი შეხედვით, ფანტასტიკური აღმოჩენების მონაცემთა გადამუშავებას და ჩვენ, პლანეტის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, ისევ მეცხრამეტე, ხშირად კი უფრო ადრინდელი საუკუნეების პარადიგმებით ვაზროვნებთ და ვანყობთ ჩვენს ცხოვრებას. ეს კი პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ როგორია ჩვენი პირადი ცხოვრება, ყოველდღიურობა, სიყვარული, კულტურა, ეკონომიკა და პოლიტიკა. ნეირომეცნიერმა ჯონ ლილიმ თავის დროზე მაგრად გარისკა, როცა თქვა, რომ ფსიქოდელური ნივთიერებების მიღება აუცილებელია ადამიანური არსებისთვის – მისი შეხედულებების ხელახლა გადახედვისთვის და ის სასარგებლო იქნებოდა მსოფლიოს ყველა პოლიტიკოსისთვის, რადგან, ლილის აზრით, ფსიქოდელურ გამოცდილებას დიდი პოტენციალი აქვს, ადამიანის აზროვნება პოზიტივისკენ მიატრიალოს, ასეთ შემთხვევაში გაცილებით ნაკლები ომები იქნებოდა, – ამბობდა ლილი. ჩემი აზრით, ზუსტად ასეთი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს კოსმოლოგიური აღმოჩენების გაანალიზებას კულტურულ-ფილოსოფიურ და პირად დონეზე.

კოსმოლოგია ახალი საუკუნის არტია. ჩვენი მომავლის აზროვნების მოდელი. ჩვენ პლანეტარული არსებები ვართ და ჩვენი აზროვნებაც ამაზე ნაკლებ ჩარჩოებში არ უნდა ოპერირებდეს.

**რომორ ბარნდა სამყარო**

ჰოლმსი და უოთსონი იკვლევენ სამყაროს გაფართოებას.

ჰოლმსი და უოთსონი ქალაქგარეთ ამაღლებულ ფერდობზე დგანან. ქვევით მოჩანს ქალაქის სინათლეები ღამეში. დეტექტივები ცაში იყურებიან, ცა გადაჭედულია ვარსკვლავებით და გალაქტიკებით.

**ჰოლმსი:** კარგად დააკვირდით უოთსონ... ასობით მილიონი გალაქტიკა, თითო გალაქტიკაში ასობით მილიონი ვარსკვლავი და ყველა ვარსკვლავს კიდევ თავისი პლანეტარული სისტემა გააჩნია. ეს არ არის რიგითი საქმე, ის არცერთ სხვა საიდუმლოს არ ჰგავს, რომელიც აქამდე ამოგვიხსნია.

უოთსონს ცალი თვალი მოჭუტული აქვს, მეორესთან გამადიდებელი შუშა აქვს მიტანილი და ყურადღებით აკვირდება ვარსკვლავებს.

**ჰოლმსი:** ამხელა სამყარო და, თითქოს სუნთქავს. სამყარო ფართოვდება, უოთსონ, და ყველა ეს გალაქტიკა, რასაც ხედავთ, უკან მოუხედავად გვშორდება და გვტოვებს მარტო საკუთარ თავებთან. მმმ, თითქოს რაღაც ძალამ მოისროლა ისინი.

**უოთსონი:** თუ ისინი ერთმანეთს შურდულიდან ნასროლი ქვებით შორდებიან – ეს ნიშნავს, რომ რაღაც დროს ისინი უფრო ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ჰოლმს.

**ჰოლმსი:** დიახაც რომ, უოთსონ. დიახაც რომ. ეს ნიშნავს იმას, რომ ოდესღაც სამყარო იყო უფრო მცირე, ისეთი მცირე, რომ... [ამ დროს ის ჯიბიდან ნემსს იღებს და მაღლა სწევს ჰაერში, უოთსონიც და ჰოლმსიც ნემსს აშტერდებიან, მის ფონზე კი ვარსკვლავებიანი ცა ჩანს, ჰოლმსი აგრძელებს]... ისეთი მცირე, რომ ნემსის ყუნწი გაეტეოდა. და აქ ჩვენ მივაღებთ მთავარ საიდუმლოს – რამ გამოიწვია სამყაროს ასეთი გაფართოება?!

**უოთსონი [აღელვებით და ჩურჩულით]:** – ღმერთო ჩემო, ეს იყო აფეთქება! დიდი აფეთქება! ის აფეთქდა!

ორივენი მდუმარედ იყურებიან ქალაქის განაპირა შემადლებიდან, საიდანაც ჩანს ღამის ქალაქი და ღამის ცა.

\*\*\*

**წარმოვიდგინოთ, რომ არ ვართ გუდაურში, არ არის 2012 წელი და როგორც ერთ ლექციაზე ამბობთ, სამყაროს ევოლუცია „ფილმივით გადავახვიოთ უკან“ და მივიღეთ**

**იმ მომენტამდე, როცა სამყარო „დაიწყო“. როგორ დაიბადა ჩვენი სამყარო, რა მდგომარეობაშია ახლა და რა ბედი ელის მას?**

**გია:** „რა შორსაც არ უნდა დავბრუნდეთ წარსულში, რა შორსაც არ უნდა გადავახვიოთ უკან ჩვენი „ფილმი“ – ყოველთვის მივადგებით ისეთ ნერტილს დროსა და სივრცეში, რომლის მიღმაც უკვე აღარ შეგვიძლია „ჩავიხედოთ“. ამ ნერტილს კოსმოლოგები სინგულარობას ვეძახით. ამ მოვლენის იქით ჩვენი თეორიები და ფიზიკის კანონები აღარ „მუშაობს“. ან ახალი თეორია უნდა მოვიგონოთ, ან რაიმე კონცეპტუალური ცვლილებაა საჭირო.

ექსპერიმენტულად უკვე დადგინდა,

**„იმ მომენტთან მოყოლებული, რას ბარნდა ადამიანი და რას ცაში აიხედა, შეიძლება განაგდეს, სანამ აიხედავდა, სულ სდილობს, საყარო შეიხსოს. საიდან მოვხვდით აქ? სად მოვხვდით? ეს არის გაუდგებელი ძიების პროცესი – ამის ბარეში ადამიანი არ არსებობს“.**

რომ ახლა სამყარო ფართოვდება და რადგან ფართოვდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ოდესღაც ის იყო უფრო მცირე. სამყაროს გაფართოების პროცესი სინგულარობის შემდეგ იწყება. გაფართოების სანყისი ეტაპი, იგივე ინფლაციური სტადია ე.წ. „დიდი აფეთქებით“ დაიწყო. რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს სანყისი სტადია, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ვიცით, რომ სამყაროს იმ უბანში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ის 15 მილიარდი წლის წინ დასრულდა. სამყარო ევოლუციის განმავლობაში თანდათან იზრდებოდა და ჩვენ, კოსმოლოგები იმ სიღრმეს, სადამდეც ჩვენ შეგვიძლია ჩავიხედოთ სამყაროში, „კოსმოლოგიურ ჰორიზონტს ვეძახით“.


კოსმოლოგიური ჰორიზონტის მარტივად წარმოსადგენად – სამყარო შეგვიძლია შევადაროთ ბუშტს, რომელიც დიდდება და ფართოვდება. მთელი ხილული სამყარო, ყველა გალაქტიკა ამ ბუშტის შიგნითაა, ხოლო ბუშტის გარსი ჩვენი კოსმოლოგიური ჰორიზონტია, კოსმიური საზღვარი, ბლოკოსტი, რომლის იქით ჩვენ ვერ ვიხედებით და რომლის გადასალახად ვიზები არ არსებობს. საცეკვაო მოედანი, სადაც პლანეტების ვალსი სრულდება.

სინათლეს იმისთვის, რომ შორეული ვარსკვლავიდან ჩვენი თვალის გუგებამდე მოაღწიოს, დიდი დროისა და მანძილების დაფარვა სჭირდება, შესაბამისად, რომელიმე ვარსკვლავიდან, ვთქვათ, მილიონი წლის წინ არეკლილი სხივი [მისი სინათლე] მხოლოდ ახლა მოვიდა ჩვენამდე და ჩვენ ვხედავთ მას ისეთს, როგორც იყო ის მილიონი წლის წინ, არადა, დღეს ის ვარსკვლავი შეიძლება აღარც არსებობდეს. ანუ კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ: როდესაც ჩვენ ვიყურებით ღამის ცაში და ვხედავთ შორეულ ვარსკვლავებს – ჩვენ ვიყურებით წარსულში.

ცა ჩვენს ზევით – სამყაროს წარსულის არქივა, უძველესი, უცნობ ენაზე დანერვილი მანუსკრიპტების დამტვერილი ბიბლიოთეკა, ცოცხალი მუზეუმი, დრამატული სისასტიკის თეატრი, რომელიც მოგვითხრობს სამყაროს წარსულსა და მომავალზე, სადაც, როგორც კარლ საგანი ამბობდა, „რაღაც გასაოცარი რამ მოუთმენლად გველოდება, რომ მივუახლოვდეთ და აღმოვაჩინოთ.“

**გია:** „როგორც ნიჟარა აძლიერებს ხმაურს, ასევე აძლიერებდა ადრეული სამყარო გარკვეულ სიხშირეებს და ამ სპექტრს კოდირებდა სივრცე-დროის სტრუქტურაში. ეს ჩანანერი სამყაროს გაფართოების პროცესში გაინელა და გიგანტურ ზომებს მიაღწია. დღეს ამ ჩანანერს ცაზე ვკითხულობთ და ამით აღვადგენთ ადრეული სამყაროს სურათს.“

სატელიტები იმ ხმაურს უსმენენ, რომელიც სივრცე-დროში ჯერ კიდევ მაშინ ჩაიყინა, როდესაც ჩვენი სამყარო 1000 000 000<sup>5</sup> -ჯერ და კიდევ უფრო პატარა იყო. ეს მუსიკა გასაოცარი სიზუსტით ემთხვევა იმ სპექტრს, რომელიც ჯერ კიდევ 80-იან წლებში თეორიულ გამოთვლებზე დაყრდნობით აღადგინეს. თანხვედრა იმაზე მიუთითებს, რომ დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამყაროს ისტორია, სინგულარობის შემდეგ ძალიან კარგად გვეხმის“.



შეუძლებელია გია დვალის აღფრთოვანება არ გადმოგედოს, როდესაც ცდილობს, სამყაროს ევოლუციაზე რთული მათემატიკური მოდელებისა და ტექნიკური დეტალების გარეშე მოგიყვეს, თავისი „მაღალი ენერჯით“, უბრალო და გასაგები ენით. მიყვები და შენს წინ ფეთქდება სამყარო, ფართოვდება და შემდეგ იგებ, რომ შესაძლოა, გალაქტიკების მთელი ოკეანე ერთ „ნერტილიში“ ჩაიღვაროს. ეს კოსმოლოგიური სინგულარობაა. დიდი აფეთქების განუყოფელი, ფერადი რიტუალი.

**სამყაროს დასასრული**

*„ვარსკვლავთა ფერის ნაოჭებში ყველა მარტოსულია და სევდიანი“ – ჯონ უმბერი*

**გია:** „ახლა ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ როგორია ჩვენი მომავალი. ჩვენი მომავლის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩენა ბოლო ათწლეულის განმავლობაში მოხდა. აქამდე არსებობდა სტერეოტიპი, რომ სამყარო ფართოვდება და ნელდება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბოლო კოსმოლოგიურ პერიოდში, რომელიც მილიარდობით წელს ითვლის, ჩვენ შევედით ე.წ. აჩქარებული გაფართოების ხანაში. ეს ფაქტია, წლებანდელი ნობელის პრემია ამაში მიიღეს იმ დამკვირვებლებმა, ვინც ეს აღმოაჩინეს. ხანდახან სამყაროს ამსგავსებენ ხოლმე მანქანას, რომელიც წითელზე ამუხრუჭებს, მოუსწრებს მწვანე

და ისევ აკრიფავს. ამის პირველი მინიმება ზეახალი ვარსკვლავები – სუპერნოვებია, რომლებიც გარკვეულ ევოლუციას გადიან და მერე ფეთქდებიან. ითვლება, რომ ამ სუპერნოვების ფიზიკა არ ჯდება სამყაროს შენელებული გაფართოების ფარგლებში. ასე რომ, უკვე დამტკიცებულია, დღეს ახალ ეპოქაში ვართ შესულები. ანუ მეორდება ინფლაციური სტადია, მაგრამ მეორდება სრულიად სხვა პირობებში. სამყაროს შექმნისას ჩვენი ჰორიზონტი ძალიან პატარა იყო, კოსმოსური დინება – ჩანჩქერით გიჟური, ახლა ჩვენი ჰორიზონტი უზარმაზარია, სამყაროს გაფართოება კი მდორე მდინარესავით შენელებული.

სამყაროს შორეული მომავალი მის ენერგეტიკულ „ბიუჯეტზე“ დამოკიდებული. დღევანდელი დაკვირვებებით ეს მარაგი ძალიან ახლოს უნდა იყოს კრიტიკულ ზღვართან. იმ შემთხვევაში თუ ეს ბიუჯეტი კრიტიკულზე დაბალი აღმოჩნდა, მაშინ შესაძლებელია შორეულ მომავალში სამყაროს მოუვიდეს კოლაფსი, ანუ რაღაცადროის შემდეგ გაფართოება შეწყვიტოს და უკუიქცეს. საპირისპირო შემთხვევაში, სამყარო გააგრძელებს შეუზღუდავად გაფართოებას უსასრულოდ მომავალში. ამ უმარტივეს ვარიანტში, ჩვენ დავრჩებით მარტო ჩვენი კოსმოლოგიური ჰორიზონტის შიგნით. შორეული გალაქტიკები გავლენ ჰორიზონტიდან“.


**ანუ, ცაზე ვარსკვლავებს ველარ დავინახავთ?**

**გია:** „ლოკალურ ჯგუფს დავინახავთ. მაგრამ თანდათანობით შორეული ცა ბნელი გახდება. დავრჩებით ამ დიაპაზონში, კოსმოლოგიურ ჰორიზონტში. თუმცა, ეს ძალიან შორეული პერსპექტივაა“.

ასე აღგვიწერა გია დვალმა სამყაროს დასასრულის თანამედროვე მეცნიერული და, ამავდროულად, ეგზისტენციალური ვერსია, და ყველაზე საინტერესო ამ დასასრულში ის აღმოჩნდა, რომ ის აბსოლუტურად დაცლილია ბლოკბასტერების ექშენისგან. სამყარო უბრალოდ მიგვატოვებს.

**სამყაროს შექმნა  
ლაბორატორიაში**

ერთმა მეგობარმა ერთხელ ასეთი რომანის იდეა მომიყვა: წარმოიდგინე, რომ დედამიწაზე ყველა ბრმა ვიყო, ან ყნოსვა არ შეგვეძლოს. ამ შემთხვევაში ხომ ვერასოდეს გავიგებდით, რომ მხედველობა და ყნოსვა გავგაჩნია. ჰოდა, ხომ შეიძლება დავუშვათ, რომ სინამდვილეში მეექვსე გრძნობის ორგანო გვაქვს, რომლის შესახებ არაფერი ვიცით, რადგან რაღაც მიზეზების გამო, მას ველარ ვიყენებთ. რომანი ამ მეექვსე გრძნობის ორგანოს აღმოჩენის, გახსნის შემდგომ პერიპეტებზეაო. დაახლოებით, ასეთი „დამატებითი“ გრძნობის ორგანო გჭირდება იმის აღსაქმელად, რა-



ზეც გია ლაპარაკობს... ბევრ ისეთ რამეზე, რისი წარმოდგენაც კი გვიჭირს, მეცნიერები თეორიებს აგებენ, პროგნოზებს წერენ, თანდათან უფრო შესაფერისსა და ზუსტ მათემატიკურ მოდელებს უსადაგებენ. გიაც ამ ფრონტის ხაზზეა. შეიძლება ითქვას, რომ მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ მონინავე ხაზზე, პროტონების და მძიმე იონების ქარ-ცეცხლშია გახვეული.

**გია:** „ერთი შეხედვით უცნაურად და პა-რადოქსულად, ფანტასტიკის სფეროდან შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს ის საკითხები, რომელზეც დღეს მეცნიერები მუშაობენ. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ გვექონდეს ბევრი ფული და ძალიან დიდი ამაჩქარებლის აშენება შეგვეძლოს, თეორიულად შეიძლება ლაბორატორიაში გაკეთდეს ისეთი ტიპის ინფლაციური სამყარო, რომელზეც ვისაუბრეთ. ეს იდეა აბსოლუტურად მეცნიერულ კონცეფციას ეფუძნება. ვთქვათ, დავაჯახე ორი ნაწილაკი, ან მრავალნაწილაკიანი დაჯახება შევქმელი და სამყაროს ძალიან პატარა უბანში შევქმენი ინფლაციური სიტუაცია. ჩვენთვის – გარე დამკვირვებლებისთვის ეს ისე გამოჩნდება, თითქოს დაიბადა მიკროსკოპული შავი ხვრელი. ეს მიკრო შავი ხვრელი ბოლო-ბოლო აფეთქდება და გაქრება, მაგრამ ამავე დროს ჩვენ დასაბამს მიცემთ მთელ სამყაროს და ეს სამყარო ჩვენთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში

ალარ იქნება, ანუ როგორც კი დაიბადება, ის თავისთვის დაიწყებს ინფლაციას. თეორიულ ფიზიკაში ასეთი ხელოვნური სამყაროებისთვის სპეციალური ტერმინიც კი არსებობს – Baby Universe“.

**ანუ ეს ხელოვნური სამყარო [Baby Universe] როცა დაკარგავს ჩვენს სივრცესა და დროსთან კავშირს, შეუძლია, თვითონ შვას სივრცე და დრო სადღაც „სხვაგან“?**

**გია:** „მთელი „პარადოქსი“ იმაშია, რომ სხვაგან ვერ იტყვი. „სხვაგანს“ როცა ვამბობ, მინიშნებას ვაკეთებ რაღაც კოორდინატებზე, რომელიც მე შემიძლია გავზომო. ასეთი სამყაროს კოორდინატების ჩვენთან დაკავშირება კი, შეუძლებელია. ანუ არ არსებობს არანაირი მათემატიკური, გეოდეზიური ინსტრუმენტი, რომელიც ამას აზომავდა. მხოლოდ ის ვიცით, რომ წარმოიშვა და მეცნიერულად გვესმის რანაირი სტრუქტურაა.

**შესაძლებელია ჩვენი სამყაროც ასე შეიქმნა, ლაბორატორიაში, რაიმე ექსპერიმენტის შედეგად?**

**გია:** „გამორიცხული არაფერია. ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ სამყაროს შექმნას ინფლაციური პირობების აღდგენა და რაღაც სანყის ბიძგი სჭირდება“.

**ანუ, პრინციპში, ამის გაკეთება დღეს შეიძლება?**

**გია:** „ჩვენ რომ გვექონდეს შესაძლებლობა ავაგოთ დაახლოებით გალაქტიკის ზომის ამაჩქარებელი, მაშინ ასეთი ენერჯები მილნევადი იქნებოდა. არანაირ კატაკლიზმებთან არ იქნება დაკავშირებული, ჩვენთვის ეს გამოჩნდება, როგორც მიკრო შავი ხვრელის დაბადება, რომელიც ძალიან სწრაფად დაიშლება. ასეთი მიკრო შავი ხვრელების დაბადების შანსი ცერნის ამაჩქარებელსაც გააჩნია“.

**ანუ, შეიძლება ისე გააჩინო სამყარო, რომ ვერც კი მიხვდეთ?**

**გია:** „ჰო, პრინციპში, ისე შეიძლება გააჩინო სამყარო, რომ ვერც მიხვდეთ...“

ახლა უყურეთ, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, ასეთ რაღაცებზე როდესაც ვლაპარაკობ, ეს ძალიან ჰგავს...“

**მაგიას?**

**გია:** „არა, მაგიასთან არაფერი აქვს საერთო. მე რასაც ვამბობ, აბსოლუტურად მეცნიერულ საფუძვლებზე, მათემატიკურ

გამოთვლებზეა დაფუძნებული და ამას არანაირი კავშირი არ აქვს მისტიფიკაციასთან, ეს მეცნიერული რეალობაა“.

**დავუშვათ, რომ ის ტექნოლოგიები რაც ახლა გვაქვს, შეუჩერებლად განვითარდა, ვთქვათ, 500-1000 წლის შემდეგ შეიძლება თუ არა სამყაროს შექმნა ფიზიკის გაკვეთილზე ასწავლონ?**

**გია:** „მაგის პროგნოზირება ძალიან ძნელია. მაგალითად, კაცობრიობას ეგონა, რომ ძალიან სწრაფად განვითარდებოდა კოსმოსის ათვისება, არადა როგორი შენელებულია, იმასთან შედარებით, როგორც დაინყო... მაგალითად, არტურ კლარკის ცნობილ რომანში „2001 წლის კოსმოსური ოდისეა“, ადამიანები უკვე მზის სისტემის გარეთ გადაიან... არადა, 2001 წელს ჩვენ მთვარეზე დაჯდომის განმეორებაც ვერ შევქმელით. თუმცა, მეორე მხრივ, მოულოდნელად სწრაფად განვითარდა კომუნიკაციები და ციფრული ტექნოლოგიები. იგივე არტურ კლარკის რომანში აღწერილი სუპერ-კომპიუტერი აბსოლუტურად ჩანასახოვანია იმასთან შედარებით, რაც დღეს გვაქვს. ამიტომ, პროგნოზირება არც ისე იოლია“.

სამყაროების პრაქტიკულად შექმნის შესაძლებლობამ იმ ღამეს ჩემი გონების ოკუპაცია მოახდინა. როდესაც გია მეცნიერული სიფრთხილით და ხაზგასმული პასუხისმგებლობით გვესაუბრებოდა ამ თემაზე, თავი ვერ შევიკავე, წარმომედგინა, როგორ შეიძლება გამოიყენონ ეს მილნეები მომავლის არტისტებმა და „რეალობის ჰაკერებმა“. შესაძლოა, მომავალში გაჩნდეს ხელოვნების ასეთი მიმდინარეობა – „დემიურგიზმი“, ან, შესაძლოა, ეთიკური მოსაზრებებით ახალი სამყაროების შექმნა აკრძალონ საერთაშორისო კონვენციის ამა თუ იმ მუხლით. მოუსვენარი, ცნობისმოყვარე ადამიანები კი მაინც განაგრძობენ არალეგალური სამყაროების შექმნას და ყოველ ახალ სამყაროში დაშიფრული მესიჯების ჩადებას. შეიძლება, ჩვენი სამყაროც ასეთი – უჩინარი ხელოვნების ნიმუშია.

გია დვალისნაირ ადამიანთან საუბარი დიდი ინსპირაციაა, მიუხედავად იმისა, რომ ის არასოდეს სცდება მეცნიერული „ობიექტურობის“, ლოგიკისა და ექსპერიმენტის, როგორც თვითონ ამბობს – „თვითშეთანხმებული თეორიების“ ჩარჩოებს. მისი საუბრის მანერა, აქცენტები, რომლებსაც ის სვამს, და ისტორია, რომელსაც გიყვება

– მთელ შენს გონებას და გულს იპყრობს. თითქოს ძილიდან გამოდინხარ და აცნობიერებ რამხელა „ჯადოსნურ“ სამყაროში ცხოვრობ, ოდესღაც ბავშვობაში დაკარგული ცნობისმოყვარეობა იღვიძებს შენში და გრძნობ, როგორ გეცვლება დამოკიდებულება ადამიანებისა და მოვლენებისადმი.

მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი თეორიული ფიზიკოსი გაია დვალის ძალიან უშუალო და თავმდაბალია. არ უყვარს საუბარი პირად თემებზე, არ უნდა, რომ ჟურნალისტებმა ფოტოები გადაუღონ მის შვილებს და ამის მიზეზად ამ პატარა ინდივიდების უფლებებს ასახელებს.

ჩვენი საუბარი დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა. რაღაც მომენტში აღმოვაჩინეთ, რომ ფანჯრებს იქით დიდი და მძიმე სიბნელე ჩამოწვა. უკვე გავდიოდით, როცა გამამეგობრის ნაჩუქარი ღვინის გასინჯვა შემოგვთავაზა. ქუთუხები ისევ გავიხადეთ და მაგიდას მივუსხედით – ამჯერად უკვე „კოსმიური მეგობრების“ რანგით.

გია იუმორით გვიყვება, როგორ გადაიღეს დოკუმენტურ ფილმში, სადაც რეჟისორის ჩანაფიქრის მიხედვით, მას ხელში ორი ბურთი ეჭირა, რომლებიც ერთმანეთისთვის უნდა დაეჯახებინა, თითქოს ისინი პროტონები ყოფილიყოს. და ჩვენც წარმოვიდგინეთ თითქოს ეს შავი, მოტუბო ღვინით სავსე ჭიქები პროტონები იყო და მონდომებით ვუჭახუნებდით ერთმანეთს.

გია ამბობს, რომ ხშირად თეორიული ფიზიკის და კოსმოლოგიის ლექციები სპეციალურად ტარდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისთვის. ერთ-ერთი ასეთი ლექციის შემდეგ, მუსიკოსმა გოგონამ, ნიუ-იორკის რომელიღაც არტ-აკადემიიდან, გიას, დამატებითი განზომილებების შთავაზონებით დაწერილი სიმფონიის ჩანაწერი გაუგზავნა. გიას ელიმბა, ვერ მიხვდები, სიამოვნებს თუ უფრო დაბნეულობის ღიმილია. რამდენიმე ყლუპის შემდეგ თავაზიანად ვიხდით მადლობას, ვდგებით და ვემშვიდობებით, სერგი – ჩვენი ფოტოგრაფი სამყაროს სადღეგრძელოს გვთავაზობს. არ ვიცი, აქამდე რამდენჯერ დაღუვულა ქართულ ენაზე ეს სადღეგრძელო, ან თქმულა თუ არა საერთოდ, მაგრამ იმ ღამეს ჩვენ – ცნობისმოყვარე, გაურკვეველი პროფესიების ახალგაზრდებმა და მსოფლიოში ცნობილმა კოსმოლოგმა, რომელიც ცერნის ამაჩქარებელზე ეძებს ჰიგსის კონდენსატს და ცდილობს, შექმნას მიკრო შავი ხვრელები, ერთად დავლიეთ სამყაროს სადღეგრძელო, ვიცინეთ და ერთმანეთს ტკბილი და გემრიელი ძილი ვუსურვეთ.

**დღე მთელი – ფოტო სამოჯახო ფოტოალბომიდან**

**გია და თამუნა მიქელაძე-დვალის**  
**ლოკაცია: „კოსმოსური ხომალდი დედამინა“.**

გიასთან მეორე დღით მივიღვართ. ეს ჩვენი ასტროლოგ-ფოტოგრაფის მოთხოვნაა, რომელიც ამბობს, რომ ფოტოსესიისთვის მზის სხივები სჭირდება. ეჭვი მაქვს, რომ წინასწარ გამოითვალა – სატურნის ეტილი იმ სახლში შევიდა, რომელიც გუდაურში ფოტოს გადაღებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. სასტუმროს ნომერში გიასთან ერთად თამუნა მიქელაძე-დვალისც გვხვდება. სანამ გია აივანზე ფოტოობიექტივს ოდნავ „მტრულად“ უყურობს, თამუნა ჩაის გვთავაზობს. ვსვამთ და ისევ კითხვა-პასუხს ვცვლით. თამუნა ნახევრად გერმანელია. სწავლაც საქართველოდან გერმანიაში განაგრძო, შემდეგ – ამერიკაში. პოსტ-დოკი (პოსტ-დოქტურანტიურა) კი შვეიცარიაში გააკეთა. ახლა იმავე უნივერსიტეტში ასწავლის, რომელშიც გია. განვითარებადი და უჯრედული ბიოლოგია – იკვლევენ მოდეულ ორგანიზმებსა და უჯრედულ პროცესებს. სხვადასხვა თემებზე ვლაპარაკობთ, ბავშვებზე (მათ ორი შვილი ჰყავთ), თხილამურებზე, „დაიკავე უოლ სტრიტის“ მოვლენებზე, დღის წესრიგზე.

შორიდან ხმები ისმის. „ერთი, ორასი ფოტო გადამიღო“, – მარტო ამ ფრაზას ვარჩევ. კოსმოლოგი გია ასტროლოგ ფოტოგრაფთან ერთად ბრუნდება და წინა დღის საუბარს ვაგრძელებთ.

ცოტა ფანტასტიკურ, ან არც ისე ფანტასტიკურ თემას ვუტრიალებთ – კოსმოსის კოლონიზაცია.

**ადამიანის სხეული არცთუ ისე შესაფერი სამოსია შორეულ კოსმოსში სამოგზაუროდ. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა, ვთქვათ, ადამიანის „აფგრეიდი“ უახლოეს მომავალში, ან თუნდაც მოგვიანებით?**

**გია:** „პირველ რიგში, აუცილებლად უნდა დავინწყოთ კოსმოსის სრულმასშტაბიანი ათვისება, მე ვთვლი, რომ ვაკვირდებით. ასე ჯდომამ და გაჩერება, მიგვიყვანს სტაგნაციამდე. არცერთ შემთხვევაში, არც ცივილიზაცია, არც ადამიანი თვითკმაყოფილებას არ უნდა მიეცეს. სხვათა შორის, მარსის კოლონიზაციის დაწყებას უახლოეს მომავალში აპირებენ. უნდა გავიშალოთ და გავფართოვდეთ. გაჩერება როგორ შეი-

ძლება ერთ ადგილზე?! ჩვენ შეგვიძლია, მერე ჩვენი თავი შევცვალოთ, გავაუმჯობესოთ“.

**ჩვენ, როგორც ბიოლოგიური სახეობა, შექმნილი ვართ იმისთვის, რომ დედამინაზე ვიცხოვროთ. კოსმოსის კოლონიზაციის შემთხვევაში, რამდენად შესაძლებელია, რომ ისე შევცვალოთ საკუთარი თავი, რომ უცხო გარემოს უკეთ შევგუდოთ?**

**თამუნა:** „არა, თავს, ალბათ, ვერ გადააპროგრამებ, მაგრამ შეიძლება იმაზე იზრუნო, როგორ შექმნა ისეთი პირობები, რომლებიც ჩვენთვის სასიცოცხლო იქნება. [გიას მაგივრად თამუნა მპასუხობს]

**გია:** და რა იცი, რომ ვერ გადააპროგრამებ? [თითქოს გაცხარდა]

**თამუნა:** ასე ადვილი არაა [ამბობს თამუნა ჯიუტად და ხელში ჩაის ჭიქას იღებს].

**გია:** ადვილი.. ადვილი რა შუაშია?

**თამუნა:** ნუ, აი, რას, რას გადააპროგრამებ ისე, რომ, მაგალითად, ჟანგბადის უკმარისობაში შეძლო ცხოვრება?!

ამ თემაზე გიამ და თამუნამ ცხარე დისკუსია გააჩაღეს. ვუსმენდი და პარალელურად ჩემთვის ვფიქრობდი – დილით, საუზმობისას, ნეტავ რამდენ სახლში შეიძლება მოისმინოთ ასეთი დისკუსია – მეცნიერული ოპტიმიზმისა და ადამიანური სიყვარულის ასეთი ნაზავი?

**გია:** მაგალითად, 40 წლის წინ წარმოიდგენდი, რომ გენი გაიშიფრებოდა?

**თამუნა:** გენომი? არა.

**გია:** მაგას ვამბობ! აი, მაგალითად, მარსის კოლონიზაცია გვინდა, ხომ? შეიძლება რალაცნაირად გენეტიკურად მოდიფიკაცია გავუკეთოთ ჩვენ თავს ისე, რომ...

**თამუნა:** რომ ვთქვათ, რა? მაგალითი მოიყვანე! რომ ჟანგბადის უკმარისობაში ვიცხოვროთ?!

**გია:** არა, უჟანგბადოდ რომ იცხოვრო, ალბათ, არ გამოვა, მაგრამ, მაგალითად, ნაკლები გრავიტაციის პირობებს უკეთ შეგუდო, ან რალაცნაირად უფრო მდგრადი გახდეს ადამიანი კოსმოსური გამოსხივების მიმართ, აი, რაღაც ასეთები შესაძლებელია. რატომაც არა?! მე ვერ ვხედავ, რატომ არა!

**თამუნა:** ძნელი იქნება...

**გია:** ძნელი, რა თქმა უნდა, იქნება [არ ნებდება გია].

**თამუნა:** ასეთ ცვლილებებს თაობები სჭირდება. ასე ხომ არ არის, არა? როდ-



საც მე რაღაცა მანიპულირებას ვუკეთებ ორგანიზმს, ხშირად იმ ორგანიზმში კი არ ვხედავ ეფექტს, ვხედავ მის შვილიშვილში ან შვილთაშვილში. შეიძლება რაღაც არასტანდარტული რამე განვითარდეს, და არა ის, რასაც წინასწარ ვფიქრობდით. ადამიანის გენეტიკური მანიპულაცია ეთიკასთანაა კავშირში და დღეს ტაბუ ადევს. ასეთი რაღაცები ადვილად არ კეთდება. პრინციპში, ნამდვილად არ არის შეუძლებელი, უბრალოდ, ძნელად წარმოსადგენია.

**ხშირად საუბრობთ ასეთ თემებზე, ანუ იდეებს ცვლით ხოლმე?**

**გია:** როგორ არა, ძირითადად მე ვცდილობ ხოლმე იდეები მივიღო.

**თამუნა:** პირიქით. [იცინის]

**გია:** მე, მაგალითად, დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, როცა ვფიქრობ, როგორ განვითარდა გენეტიკა. ფიზიკოსის თვალთახედვით გენეტიკა ინფორმაციის კოდირებაა. ჩვენ რაზეც ვმუშაობთ, ვთქვათ, შავი ხვრელები, ასევე ინფორმაციის გადამუშავებაზეა დაფუძნებული. ამიტომ ძალიან მინტერესებს გენეტიკის ეგ ასპექტი, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ინფორმაციის კოდირებამდე დადის.

ერთმანეთი ვენის აეროპორტში გაიცნეს. ერთი მოდიოდა, მეორე მიდიოდა. თუმცა, ვინ საით, აღარ ახსოვთ და ეცინებათ. მათი ცხოვრება მოგზაურობის, აეროპორტის გარშემო ტრიალებს და ლოგიკურია, რომ ერთმანეთიც აეროპორტში გაიცნეს.

**სანამ მოხვდით, თამუნასთან „დაიკავე უოლ სტრიტ“-ის ამბებზე ვსაუბრობდით, თქვენ რას ფიქრობთ ამ მოვლენებზე, ზოგადად მემარცხენეობა-მემარჯვენეობაზე, მგონი, ეს კლასიკური დაპირისპირების დისკურსი მეოცე საუკუნის გადმონაშთია. შეუძლია თუ არა მეცნიერებს რეალურად შეცვალოს სიტუაცია, უტოპიებზე ოცნების ნაცვლად?**

**გია:** „მეცნიერება არის თავისუფალი აზროვნება დაფუძნებული შთაგონებაზე. ჩვენ ყველას გვამოძრავებს ინტერესი. მეცნიერებას ისეთ ფასეულობებთან აქვს კავშირი, რომ იმ გადმოსახედიდან ისეთი ტიპის პრობლემები, როგორც არის, რა ვთქვა? – პასპორტი, მემარცხენეობა და მემარჯვენეობა... ეს ყველაფერი – წვრილმანია. თავისი არსით მეცნიერება არის, უნდა იყოს, მაქსიმალურად თავისუფალი. მე მგონია, რომ მთლიანად კაცობრიობამ

თავი სასაცილო სიტუაციაში ჩაიგდო – ერთი მხრივ, მთვარეზე დავჯექით და გენომი გავშიფრეთ და მეორე მხრივ, ვლასპარაკობთ საზღვრებზე, ვიზებზე, პასპორტებზე და ასეთ სისულელეებზე. კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ისევე ამ სტერეოტიპების ტყვეობაშია ჩარჩენილი. როგორც გინდათ, თუ გნებავთ, ჩათვალეთ, რომ ეს ულტრამემარცხენის შეხედულებაა.

რაღა დროს ვინაოთნიკურ სისულელეებზეა საუბარი?! არა, შენი ეთნიკურობა, რა თქმა უნდა, უნდა გეამაყებოდეს, მა-

**სწოხისმოყვარე,  
ბაუჩკვევლი  
პროფესიების  
ახალგაზრდებმა და  
მსოფლიოში სწოხილმა  
კოსმოლოგმა,  
რომელიც სერის  
ამაჩქარებელზე ეძებს  
ჰიბის კონდენსატს  
და სდილობს,  
შეამნას მიკრო შავი  
ხვრელები, ერთად  
დავლიეთ საფაროს  
სადღებრძლო,  
ვისინეთ და  
ერთმანეთს  
ტკბილი და  
ბემრიელი ქილი  
ვუსურვებთ.**

გრამ ვილაცის დამცირების მანქანად არ უნდა აქციო. შენი ეთნიკურობა უნდა იყოს შენი სიამაყე და დამთავრდა! ისევე, როგორც შენი ისტორია და შენი კულტურა“.

**მაგრამ მთვარეზე დაჯდომაც ხომ ამ ნაციონალური დაპირისპირებების თუ კონკურენციის შედეგი იყო?**

**გია:** „არა! რა თქმა უნდა, იყო ცივი ომი და შეჯიბრი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მთვარეზე დაჯდე. პოლიტიკური სიტუაცია მხოლოდ საშუალებაა – კოსმოსურ პროგრამაში დაპირისპირების გამო ჩადეს ფული, თორემ ეს კოსმოსუ-

რი პროგრამა გააკეთა ადამიანმა, რომლის აზროვნება აბსოლუტურად სცდებოდა ამ საზღვრებს და ამ დაპირისპირებას. შეუძლებელია, რომ ადამიანისთვის, რომელიც ასეთი ტიპის ნახტომზე მუშაობს, მოტივაცია ვილაცასთან დაპირისპირება იყოს. შეიძლება, ასე ჩანდეს გარეგნულად, მაგრამ ეს შეუძლებელია.

სად იყო საზღვრები, როდესაც ჩვენ გავჩნდით? არანაირი საზღვრები არ არსებობდა. ბუნებით ადამიანი არის თავისუფალი, სჭირდება თავისუფლება, როცა ეს თავისუფლება იზღუდება, გინდა შინაგანად, გინდა გარეგნულად – ჰარმონია ირღვევა. ველარა ხარ წონასწორობაში ველარც შენს თავთან, ველარც გარემოსთან, ველარც ვერაფერთან... კარგით, ახლა გავიდეთ გარეთ, ხომ? თორემ მეორე „რაუნდზე“ წავედით...“

**ლიტოლოგიით ჩანარილი  
ნაბიჯების ხმაში თოვლში,  
ზღვა, რომელშიც ყველა ერთად  
ვსურავთ**

*ჰოლმსი და უოთსონი ოპერაში.*

– ჩვენ ტბაში დავცურავთ, ისეთ ტბაში, როგორც ეს მუსიკაა, – თქვა ჰოლმსმა,

უოთსონს ძალიან გაუკვირდა, რადგან, როგორც წესი, ჰოლმსი სიტყვასაც არ დაძრავდა ხოლმე იმ საქმეზე, რომელშიც ჯერ თვითონაც ვერ გარკვეულიყო.

– ახლა უკვე ვიცი, უოთსონ! მთელი სამყარო ეთერული კონდენსატით არის სავსე. უმცირესი ნაწილაკები მასის ეფექტს სწორედ მასთან შეხებისას იძენენ, ხახუნის შედეგად.

უოთსონი ცდილობდა გაეხსენებინა, შენიშნა თუ არა დილით ჰოლმსის მაგიდაზე კოკაინის ამპულა.

– ეს იქნება ღმერთის ნაწილაკი, ჩემო ძვირფასო მეგობარო. ისეთი მსუბუქი, როგორც ბგერითი ტალღა..

და მის თვალებში უოთსონმა რამდენიმე მილინამის განმავლობაში თითქოს ჯერ კიდევ აღმოუჩენელი, შორი გალაქტიკების ნათება გამოიჭირა.

\*\*\*

გარეთ გავედით ფოტოების გადასაღებად, სერგიმ დაიჟინა – „მთებისკენ გავისეირნოთ“, ჩვენთვის, მწვევლებისთვის ეს არ იყო იოლი მისია, მაგრამ ვინ სეირნობს ყოველდღე სუფთა ჰაერზე, შეუჩვეველ სიჩუმეში ლურჯ ცასა და თეთრ თოვლს შორის – სამყაროს საიდუმლოებებზე საუბრით? და ჩვენც დავნებდით. გია თა-



ვიდანვე ენთუზიაზმით დათანხმდა სერგის, ადრე ალპინიზმით ყოფილა გატაცებული და რამდენიმე სერიოზულ ექსპედიციაშიც მიუღია მონაწილეობა. ერთი ასეთი ექსპედიცია 1990-იანების დასაწყისში ევერესტზეც იგეგმებოდა. გაა დაანახებოდა იხსენებს როგორი აბსურდული მიზეზების გამო ჩაიშალა დაპყრობის გეგმა. სწორედ იმ პერიოდში წავიდა საქართველოდან.

მთაში ისეთი სიჩუმეა, გგონია, თითქოს პირველად გესმის საკუთარი ნაბიჯების ხმა. მარშრუტი მოვნიშნეთ და გზას გაუღდექით. გაა თავის პირველ შრომაზე გვიყვება, რომელიც ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას დაწერა და რომლის გამოც პოსტ-დოქტორანტურისთვის ერთდროულად ორმა უნივერსიტეტმა მიიწვია. ამ თემის ასხნისას, ცდილობს, რაც შეიძლება მარტივი და გასაგები ენით ილაპარაკოს, სპეციალურად არჩევს სიტყვებს და ნებისმიერ ცნებას მეტაფორით ანაცვლებს, რაც კიდევ უფრო „აღაგზნებს“ ჩვენს ცნობის-მოყვარეობას, ფანტაზიას და უფრო საინტერესოს ხდის ამ ისტორიას.

**გია:** „მოკლედ არსებობს ასეთი ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, ჩვენ დავცურავთ ე.წ. ჰიგსის ტბაში. მთელი სამყარო საფსეა ე.წ. ჰიგსის კონდენსატით, რომელიც მეტაფორულად შეგვიძლია შევადაროთ ტბას, რომელიც ყველაფერს ავსებს. როდესაც ელემენტარული ნაწილაკები ჰიგსის

კონდენსატთან ურთიერთქმედებენ, მასაც იძენენ. ანუ რალაცნაირად ინერციას იძენენ იმის გამო, რომ, უხეშად ვთქვათ, ამ კონდენსატს „უხახუნებია“. და სწორედ ეს ჰიგსის ნაწილაკი არის ის, რასაც ჩვენ LHC-ზე [ცერნში, ადრონულ კოლაიდერზე] ვეძებთ. ეს ფაქტობრივად პატარა ტალღაა, რომელიც ამ ტბაში გარბის. ანუ ტბათუ არსებობს, აუცილებლად ტალღა უნდა იყოს, არ არსებობს ტბა, რომელშიც ტალღას ვერ გამოიწვევ არა? და ეს ტალღა არის ჰიგსის ნაწილაკი. ეს ჰიგსის ნაწილაკი ძალიან მსუბუქია იმასთან შედარებით, რაც თეორიული ვარაუდით უნდა იყოს. და სწორედ ამასია ძალიან დიდი მისტერია – რატომ არის მსუბუქი?!

ამ კითხვამ მრავალ მეცნიერულ კვლევას მისცა ბიძგი. ჩემი პირველი შრომაც ამ თავსატეხს ეძღვნებოდა. ჩემი ვარაუდი, უხეშად რომ ვთქვათ, ასეთი იყო – ჰიგსის ნაწილაკი იმიტომ არის იმაზე მსუბუქი, ვიდრე უნდა იყოს, რომ ისეთივე ბუნება აქვს, როგორც ბგერით ტალღას“.

**როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა მანქანამაც ოდესმე გაიმეოროს აზროვნების ისეთი რთული გზა, რომელსაც თქვენ გადიხართ, როდესაც ჰიგსის ტბაზე ან ფიზიკის სხვადასხვა პარადოქსებზე ფიქრობთ?**

**გია:** „რალაც გაგებით შეიძლება დავუშვათ, რომ კომპიუტერებს უკვე ახლა მეტი ინტელექტი აქვთ, ვიდრე ადამიანებს. აი,

მაგალითად, ჭადრაკში კომპიუტერს პრაქტიკულად მსოფლიოს ჩემპიონიც ვეღარ უგებს. მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე ადამიანის ტვინს შეუძლია, ისეთი ოპერაცია ჩაატაროს, რომელიც კომპიუტერისთვის ძალიან დიდ დროს წაიღებდა, ზოგიერთი რალაცაკი პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. აი, მაგალითად როგორც კი მე შეგხედეთ და გიცანით – ჩემმა ტვინმა რალაცნაირად, მილიარდობით სახიდან ამოიციწო თქვენი სახე, დააკავშირა ის სახელთან, გარეგნობასთან და პიროვნებასთან, ხომ? ამას წამის მესხედიც კი არ დაჭირდა – შეგხედეთ და გიცანით. როგორ აკეთებს ადამიანის ტვინი ამას ასე სწრაფად?“

**კიბერნეტიკაში ხომ არსებობს ხელოვნური ინტელექტის თეორია, რომლის მიხედვით, შესაძლებელია ადამიანის ტვინის მოდელირება კომპიუტერში, ანუ ხომ შეიძლება კომპიუტერი ოდესმე „მოაზროვნე არსებად“ იქცეს? დღეს პრობლემა ის არის, რომ ძალიან რთულია ამ თეორიის განხორციელება ორობითი ლოგიკის გამოყენებით, მაგრამ რამდენად შესაძლებელია, რომ კვანტური კომპიუტერით „გააკეთო“ რამე ისეთი მანქანა, რომელიც აზროვნებას შეძლებდა და კოსმოსის კოლონიზაციაში დაგვეხმარებოდა?**

**გია:** „თეორიულად კვანტური კომპიუტერი გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე კლასიკური კომპიუტერი. შესაბამისად,



თუკი, კვანტური კომპიუტერი განვითარდა და რენტგენული გახდა, მოსალოდნელია, რომ ჩვენ შევძლოთ აზროვნების „მოდე-ლირება“. მაგრამ ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმება. რა თქმა უნდა, ხალხი მუშაობს ხელოვნურ ინტელექტზე, მაგრამ ისეთ კომპიუტერსაც შეიძლება ჰქონდეს ინტელექტი, რომელიც ნულეებით და ერთეულებით ოპერირებს. გააჩნია, ინტელექტს რას დავარქმევთ. მაგალითად, დღეს უკვე შეიძლება კომპიუტერთან ლაპარაკი, შეიძლება მან პასუხი გაგცეს და ასე შემდეგ, ხომ? ამ გაგებით ინტელექტია, მაგრამ აქვს თუ არა ასეთ კომპიუტერს ცნობიერება? აქ საკითხი სწორედ ასე დგას – შეიძლება თუ არა გაკეთდეს მანქანა, რომელსაც „ექნება“ ცნობიერება? ახლა მაგ კითხვებზე რომ გაგცეთ პასუხი, ჯერ ის უნდა ვიცოდეთ, საერთოდ ცნობიერება რა არის. ეს თავისთავად ფილოსოფიური განსჯის საკითხიცაა. ამას გარდა: როგორ მუშაობს ტვინი, როგორ ინახება ინფორმაცია ტვინში, როგორ ხდება პროცესირება და ა.შ. ამ საკითხების ამოხსნასთან ჯერ ახლოსაც კი არ ვართ. ტვინი არ არის ჩვეულებრივი ტიპის კომპიუტერი, რომელშიც რაღაც კონკრეტულ ადგილებში, ბიტებში წერ ინფორმაციას, თითქოს რაღაცნაირად უფრო გლობალურად ინახავს ტვინი ინფორმაციას. მაგრამ როგორ ხდება ეს, პასუხი არ გვაქვს. ამიტომ წინ ძალიან საინტერესო აღმოჩენები გველოდება“.

საუბარს სერგი გვანწყვეტინებს და გიას ისევ ცოტა ხნით პოზიირობას სთხოვს. სიჩუმეა, მხოლოდ ქარის კოსმიურად მარტოსულ ხმას, სერგის ფოტოაპარატის სუსტ ჩხაკუნს, გიას კოსმოლოგიური პოზირების სიჩუმეს და ჩვენს პოეტურ, მსუბუქ-პახმელიურ დუმილს აფიქსირებს ჩვენი ციფრული ჩამწერი.

**გია: რა ვქნათ?**

ვტრიალდებით და ვხვდებით, რომ ფოტოსესია დამთავრდა და ვაგრძელებთ ჩვენს საუბრებს. ახლა უკვე იმაზე ვმსჯელობთ, როგორ დავბრუნდეთ უკან – გაკვალული გზით თუ გაუკვალავით. უკან დაბრუნება გაკვალული გზით გადაწყვიტეთ.

დაღმართზე ჩამოსვლისას გია ფრთხილად გვეუბნება: „რატომ არის ახლა ძალიან ძნელი ის, რასაც თქვენ აკეთებთ? იმიტომ, რომ სწორად თუ არ დაინერა, გიჟების ნალაპარაკებს დაემსგავსება. შარლატანიზმი ყველა დარგში არსებობს – ხელოვნებაშიც, მეცნიერებაშიც. ის იმიტაციას უკეთებს ხელოვნებას, იმიტაციას უკეთებს მეცნიერებას და განათლება ზუსტად იმიტომ არის აუცილებელი, რომ ადამიანმა შეძლოს „პირველი მიახლოებით“ ასეთი რაღაცების განსხვავება.“

**ამ პირველ მიახლოებას სმირად ხმარობთ და რას ნიშნავს, ფიზიკოსების ჟარგონია?**

**გია:** „ხო, ჟარგონია და აგიხსნით, რას ნიშნავს. მაგალითად, როდესაც ვსწავლობთ რაღაც მოვლენას, მნიშვნელოვანია, მეორეხარისხოვანი გვერდზე გადავდოთ და მნიშვნელოვანი დავტოვოთ – ანუ მოვლენის ძირითადი არსი რომ გაიგო, აკეთებ „პირველ მიახლოებას“.

მაგალითად, როდესაც ნიუტონი და კეპლერი დედამიწის ორბიტას ითვლიდნენ, პირველ მიახლოებაში მათ დაივიწყეს, რომ დედამიწაზე მთებია, ზედ ადამიანები და დიან და თოვლი მოდის. ყველაზე მარტივად – დედამიწა არის სფერო, კიდევ უფრო მარტივად – წერტილია. როდესაც საუბარია მანძილზე დედამიწასა და მზეს შორის, დედამიწის შინაგან სტრუქტურას მნიშვნელობა აღარ ქვს. აი, ამას ვუნვოდებთ „პირველ მიახლოებას.“

ხანდახან პირველ მიახლოებას სფერული ძროხების მიახლოებასაც ვეძახით. ანუ იგულისხმება, რომ პირველ მიახლოებაში ძროხა სფერულია. მას ფეხებს მხოლოდ მეორე მიახლოებაში უკეთებთ, – გვიხსნის

გია სიცილით. ეგეთი ჟარგონები უამრავი გვაქვს. აი, მაგალითად, „ტალღური ფუნქცია“. ვთქვათ, გეკითხებიან მოცემულ მომენტში სად ატარებ ყველაზე მეტ დროს? შენ პასუხობ, რომ ჩემი ტალღური ფუნქცია ლოკალიზებულია აქა და აქ, ან ჩემი ტალღური ფუნქცია არ არის ლოკალიზებული.“ [ვიცინით].

„ტალღური ფუნქცია“ ფაქტობრივად იმის მაჩვენებელია, რა ალბათობა იმისა, რომ ვიღაცამ სადღაც გიპოვოს. აი, მაგალითად, ახლა ჩემი ტალღური ფუნქცია ძირითადად ლოკალიზებულია მიუნხენის გარშემო, ცერნსა და ნიუ-იორკში იმიტომ, რომ ყველაზე დიდი ალბათობა ვიღაცამ შემთხვევით ამ ადგილებში მიპოვოს“.

ამ მხიარული საუბრისას გიამ ასევე სხვათა შორის ახსენა „ერთი კონფერენცია, რომელზეც ახლახან“ მიიწვიეს: „ერთი ცნობილი კონფერენცია იყო 20-იან წლებში და მაგის 100 წლისთავი იყო. ძალიან ვიწრო წრისთვის ჩატარდა, თემები კვანტური ფიზიკიდან იყო და, სხვათა შორის, იქ კვანტურ კომპიუტერიზეც ვიმსჯელებთ.“

**თქვენც ხომ არ წაკითხეთ რამე?**

**გია:** „კი, რა თქმა უნდა, აბა, რა. ინფორმაციის შენახვა, შავი ხვრელი და ა.შ.“

იმ კონფერენციის შესახებ, რომელსაც დვალი ახსენებს, ცერნის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, რომ მოწვეულთა რიცხვი შეზღუდული იყო, მათ შორის მხოლოდ „მსოფლიოში ყველაზე გამოჩენილი ფიზიკოსები მოხვდნენ... და თუ თქვენ მოწვეულთა სიას გადახედავთ, ამ სიაში ამოიკითხავთ სახელებს, რომლებმაც უკვე დაწერეს ან ახლა წერენ ფიზიკის ისტორიას.“ ბევრი მათგანი ნობელის პრემიის ლაურეატია. პირველ ასეთ კონფერენციაზე (Conseil de Physique Solvay, რომლის ასი წლისთავიც დვალმა და მისმა მეგობრებმა აღნიშნეს) მიწვეულთა შორის იყვნენ: მარი კიური, ალბერტ აინშტაინი, მაქს პლანკი, ანრი პუანკარე და ერნსტ რუტერფორდი“.

**სერნი**

თავის ნაშრომში „ლექციები ფიზიკაზე“ ცნობილი ფიზიკოსი რიჩარდ ფეინმანი ამბობს: „სამყაროს შესწავლისას ყოველი ნაბიჯი ჭეშმარიტებას გვაახლოებს. გვაახლოებს იმასთან, რასაც ჩვენ ვთვლით ჭეშმარიტებად მოცემულ მომენტში. ყველაფერი ახალი, რასაც ჩვენ ვგებულობთ, უბრალოდ, მიახლოებაა, რადგანაც ჩვენ

ვიცი, რომ ჩვენი ჯერ კიდევ უცნობია ბუნების ყველა კანონი. მეცნიერების პრინციპი, მისი განსაზღვრება ასეთია: ჩვენი ცოდნის საცდელი ქვაკუთხედი – გამოცდილებაა. გამოცდილება, ექსპერიმენტი „ჭეშმარიტების“ ერთადერთი მოსამართლეა“.

ცერნის ადრონული კოლაიდერი კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მასშტაბური ექსპერიმენტული პროექტია. სწორედ ცერნის ამაჩქარებელზე, შვეიცარიაში, იქ, სადაც რამდენიმე ათეული წლის წინ ინტერნეტს ჩაეყარა საფუძველი – გადის გამოცდას გაა დვალის თეორიებიც.

ამ გამოცდის მეტაფორად გიას „სოლარისის“ (სტანისლავ ლემის რომანი) მაგალითი მოჰყავს: „რომანში მოაზროვნე ოკეანეა, სუბსტანცია, რომელიც ფიქრობს და ადამიანები მასთან ცდილობენ კონტაქტში შესვლას. ეს ოკეანე რეაგირებს ადამიანის ყველაზე ფაქიზ და ღრმად ჩამარხულ გრძნობებზე. სუბსტანცია მათ ხორცშესხმული არსებების ზუსტ ასლებს უგზავნის მათივე მიძიმე მოგონებებიდან. წიგნში ერთი ასეთი ეპიზოდია: ადამიანები ცდილობენ, გაიგონ, რისგან შედგებიან ეს არსებები და ერთ-ერთ მათგანს სისხლის ანალიზს უღებენ. რალაც მომენტის მერე სტრუქტურას ველარ ხედავენ, სტრუქტურა აღარ არის“, – გაა ხანმოკლე პაუზას აკეთებს და შემდეგ ლაკონურად და დარწმუნებით ამატებს – „ცერნის ამაჩქარებელზე ვერ არ მოხდება... ანუ სტრუქტურა იქნება. ყველა ვარიანტში იქნება ცნობილი ჰიგის ნაწილაკი (ე.წ. ღმერთის ნაწილაკი), ან რალაც უფრო საინტერესო. მაგრამ ის, რომ ამაჩქარებელმა ვერ ნახოს ჰიგის და ვერ ნახოს ვერაფერი, ეს შეუძლებელია!“

გიას თქმით, „მეცნიერული რევოლუციები“ სხვა ყველა სახის რევოლუციებისგან იმით განსხვავდება, რომ „ძველს კი არ ანგრევს და აცამტვერებს, არამედ ავსებს“. მთელი ეს დაგროვილი ცოდნა კი ინახება და მომავალ თაობებს „კოლექტიური გონის სახით“ გადაეცემა. ის ხშირად იმეორებს ამ წინადადებას, როდესაც ცერნის მნიშვნელობაზე ლაპარაკობს: „ცერნი ეს არის საერთაშორისო ლაბორატორია, სადაც უამრავი ქვეყნიდან იყრიან თავს მკვლევრები, სხვადასხვა რელიგიის, კულტურის და მსოფლმხედველობის წარმომადგენლები. ისინი ერთად ქმნიან ამ ფუნდამენტურ

პროექტს. ცერნი კაცობრიობის მონაპოვარია. კოლექტიური აზროვნების და მეცნიერული გენიის შედეგი და უდიდესი ინტელექტუალური და ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს. რასაც ვაკეთებთ, ეს საზოგადო საკუთრებაა და ეს არის ყველაზე დიდი ინვესტიცია, რაც კი შეიძლება ადამიანმა მოიგონოს იმიტომ, რომ ეს არის თავისუფალ აზროვნებაზე დაფუძნებულ კვლევაში ჩადებული ინვესტიცია“.

გია დვალი, ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტისა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სილვერის სახელობის პრო-

**... ჰომ, პრინსიპში, ისა შეიძლება გააჩინო სამყარო, რომ ვერს კი მიხვდა... არანაირ კატაკლიზმებთან არ იქნება დაკავშირებული, რვენთვის ეს გამოჩნდება, როგორც მიკრო შავი ხვრელის დაბადება, რომელის ძალიან სწრაფად დაიშლება...**

ფესორი თეორიულ ფიზიკაში, CERN-ის მუდმივი წევრი და მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორია. 2001 წელს მან ნიუ-იორკის მერის მიერ დაწესებული ჯილდო მიიღო, „განსაკუთრებული მიღწევებისთვის მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში“, 2008 წელს კი – ჰუმბოლტის პროფესურა. მისი თეორიები ექსპერიმენტულ დადასტურებას ახლა გადაინ და დიდი შანსია, რომ ერთ დღესაც ენა გამოყოფილი აინშტაინის ფოტოს გვერდით მაცივარზე, თმამაჩეჩილი გაა დვალის ფოტოსაც მოჰკრათ თვალი.

**Proton you'll be a Universe soon (პროტონ, შენ მალე სამყაროდ იქცევი)**

როდესაც უოთსონი ჰოლმის ოთახში შევიდა, რომელსაც ოთახსაც ვერ დაარქმევდით, უფრო სიტყვა ბუნავი მოუხდებოდა, შერლოკი

ჩვეულებისამებრ თავის ფიქრებში იყო ჩაძირული და მძიმე პროტონებსა და იონებს მოუსვენრად აჯახებდა ერთმანეთს. ამ დაჯახებებისგან ისეთი ნისლი იყო ჩამომდგარი, რომ უოთსონს სათვალეზე ლამის ხედვის რეჟიმის ჩართვა მოუწია.

ჰოლმის თავიდან ფეხებამდე ჩაძირულიყო თავის ყველაზე გრანდიოზულ გამოძიებაში, რომელმაც მას აგერ უკვე რამდენიმე თვეა, მოსვენება დაუკარგა. ცოტა ხნით შევიცარიაშიც გაემგზავრა, და იქიდან კიდევ უფრო აფორიაქებული დაბრუნდა.

მაგიდაზე უოთსონის მახვილმა „ლამის ხედავამ“ მიმოფანტული ფურცლები და შვეიცარიიდან საფრანგეთამდე მინისქვეშა ლაბირინთის ნახაზები შენიშნა.


- აი, აქ!! – წამოიყვირა ჰოლმსმა და იარაღის ლულა ევროპის შუაგულს მიაღო. – აი, აქ მოხდება ის, რაც მთელ მსოფლიოს შეძრავს. უოთსონ, ჩემი რამდენიმეწლიანი ნაშრომი, რომელიც პროტონებისა და მძიმე იონების შეჯახებით, შავი ხვრელის გაჩენას გულისხმობს, გულბოროტი ადამიანის ხელში მოხვდა. მთელი ჩემი კვლევა, ამ ნახაზის ასლებთან ერთად ახლა პროფესორი მორიარტის ლაბორატორიაშია. თუმცა, სად არის თავად ეს ლაბორატორია?! – შერლოკს უცბად სახე გაუნათდა და შეუმჩნეველმა ღიმილმა გადაურბინა, ის ნელა გადაწვა სავარძელში.

- ჩვენ აუცილებლად უნდა ვიპოვოთ ეს ლაბორატორია! – წამოიძახა აღშფოთებულმა უოთსონმა.

- არა, უოთსონ, ჩვენ მას ვერ ვიპოვით, მორიარტი ახლა უკვე მეზობელ გალაკტიკაშია ან, შესაძლოა, იქაა, სადაც ჩვენ აზრებს უკვე არაფერი ესაქმება.

- როგორ? ვერ მიგხვდით. – იკითხა უოთსონმა.

- ყველაფერი ძალიან მარტივია უოთსონ. მორიარტის ეგონა, რომ შავი ხვრელის შექმნით სამყაროს განადგურებას შეძლებდა. მიკრო შავი ხვრელი არ ანადგურებს სამყაროს, არამედ პარალელურს წარმოშობს, მორიარტი ზუსტად ისე აღმოჩნდა პარალელურ სამყაროში, როგორც თქვენ აღმოჩნდით პარიზში, როცა ისე დათვერით, რომ ბასკერვილების ძალი ასტეროიდი გეგონათ, სფერული ძროხის მიახლოებით. ძვირფასო უოთსონ, ჩემმა დედუქციურმა მეთოდმა ვერაფერი გააწყო ადამიანურ სისულელესთან, მაგრამ გააწყო თანამედროვე მეცნიერებამ. ვფიქრობ, მორიარტის სახელს ჩვენ კიდევ რამდენიმე მილიარდი წელი ველარ გავიგონებთ. და ეს უკვე მოსაწყენი ხდება, – ამოიხრა ჰოლმსმა და ბოლო პროტონი უდარდელად მიაჯახა იქვე მიგდებულ იონს.



# ინტერვიუ ჩარლზ ლოიდთან

ავტორი ქახა თოლორდავა  
ფოტო ლევან ხარხაულიძე

აი, რითი მინდა დავინყო, – თუ თვით მუსიკის სტრუქტურას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ იმის ხიბლი, რასაც თქვენ აკეთებთ, ყოველთვის იყო ის, რომ სხვა მუსიკოსებთან მუშაობისას არასდროს გაგჩენიათ სურვილი გესარგებლათ თქვენი, როგორც ბენდ-ლიდერის მდგომარეობით და მათზე წინ დაგვეყენებინათ საკუთარი თავი. ამის მაგივრად თქვენ ყოველთვის მათთან ერთად მოგზაურობდით და მოგზაურობთ აკუსტიკურ სამყაროში და ის, რითიც უკან ბრუნდებით, ყოველთვის შთამბეჭდავი და ლამაზია. როგორც მსმენელმა დიდი მადლობა მინდა გითხრათ ამისთვის!

გმადლობთ. ჰო, ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით ხოლმე. ეს მუსიკა სადა ცხოვრების და ღრმა ფიქრის შედეგია. ჩვენ საკმარისად თავმდაბლები უნდა ვიყოთ მუსიკას ჩვენში გავლის საშუალება რომ მივცეთ. მე ყოველდღე ვევედრები ღმერთს ამისთვის.

თქვენი მუსიკა ძალიან პირადულია, მაგრამ დაკვირვებულნი ვარ, რამდენადაც პირადულია მუსიკა, იმდენადვე უნივერსალურიცაა ის.

ამაზე უკეთესად მე ვერ ვიტყვოდი. დიას, ეს ასეა. ჭეშმარიტება ერთია, ამიტომაც თუ გ უ ლ ა ხ დ ი ლ ა დ აკეთებ იმას, რასაც აკეთებ, მაშინ ის, რასაც ეძებ, თვითონ გპოულობს ხოლმე.

არაერთხელ გითქვამთ, რომ სისადავე, მუსიკაშიც და ცხოვრებაშიც, ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა თქვენთვის ცხოვრების ამ ეტაპზე. ნუთუ ის მართლა ყველაზე მოკლე გზა ბგერის დასაძებნად?

სისადავე ისაა, რის მისაღწევადაც ჩვენ ვიღვნი. გრძელი გზა უნდა გაიარო ამას რომ მიაღწიო და ამ გზაზე მდგარი მუდამ დამწყობის ან, თუ გნებავთ, შ ე გ ი რ დ ი ს გონებით უნდა უყურებდე ყველაფერს. სამყაროს ხ ი ბ ლ ს თუ გაექეცი, სიღრ-

მეებში ჩაშვების უნარს განვივითარებ და სწორედ ამ დროს ყველაფერი მოგეცემა და ყველაფერს დაინახავ. ჩვენ ყველანი ს უ ლ ი ე რ ი არსებები ვართ. მთელი ცხოვრება მეოცნებე ვიყავი, მინდოდა მუსიკით სამყარო შემეცვალა, რადგანაც სიტყვები სხვადასხვა დროს სხვადასხვა რამეებზე მიუნიშნებენ, ბგერა კი პირდაპირ მიზანში ხვდება. მე ამის მნამს და ასეთ სულიერ მდგომარეობას ვენდობი; ამიტომაცაა ქვეყნიდან ქვეყანაში რომ დავიარები წლიდან წლამდე. მე ბგერის ს ა მ ს ა ხ უ რ შ ი მდგომი შეგირდი ვარ და რაც უფრო ხშირად ჩამოვეცლები ბგერას გზიდან და უფრო ღრმა რამეებს მივცემ ჩემში შემოსვლის საშუალებას, მით უფრო წაადგება ეს მუსიკას. ამ დროს დ ე მ ა რ კ ა ც ი ი ს ნიშნულები ქრება.

ახლაც ახსენეთ და ადრეც გითქვამთ, რომ გინდოდათ მუსიკის მეშვეობით სამყაროს შეცვლა. თქვენზე აღიარებით, ეს ვერ მოახერხეთ, სამაგიეროდ, დიდი ძალისხმევა გაიღეთ საკუთარი თავის შესაცვლელად და მოახერხეთ კიდევ ეს. დაახლოებით მსგავსი რამ აქვს ნათქვამი სონი როლინზსაც ერთ-ერთ გვიანდელ ინტერვიუში. მან თქვა, მუსიკის დაკვრა გასამდიდრებლად კი არ დაგვიწყია, არამედ ადამიანები რომ გავმხდარიყავითო. რამდენადაც ვხვდები, საკუთარი თავის შეცვლა სამყაროს შეცვლაზე ნაკლებად რთული არ უნდა იყოს.

დიას, მე ერთხელ მართლაც ვთქვი, რომ ახალგაზრდობაში მუსიკის მეშვეობით სამყაროს შეცვლა მინდოდა, ეს ვერ მოვახერხე და, სამაგიეროდ, საკუთარი თავი შევცვალე-მეთქი, მაგრამ მერე, გარკვეული დროის განმავლობაში ამაზე ოცნებასაც შევეშვი და ლაპარაკაც. ჰო, როგორც ხედავთ, სამყაროს შეცვლა ვერ მოვახერხე, თუმცა ბოლო დროს ისევ ვუბრუნდები იმ აზრს, რომ მუსიკით სამყაროს შეცვლა შესაძლებელია. საქმე იმაშია, რომ წლე-

ბის განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი მუსიკოსის, დიდი ოსტატის შეგირდი ვყოფილვარ და მათ შორისაა ან გარდაცვლილი ბილი ჰიგინსი, საოცარი ადამიანი, დრამერი და ჩემი საყვარელი მეგობარი. ამ სამყაროს რომ ტოვებდა, მან მითხრა, – „ჩარლზ, ჩვენ აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ მუსიკაზე ე რ თ ა დ მუშაობა!“ მე ვკითხე, – „უკან დაბრუნებას აპირებ?“ „არა, – მიპასუხა მან, – უკან ვერ მოვბრუნდები, მაგრამ მუდამ შენთან ვიქნები.“ მე ვგრძნობ, რომ ყველა ის დიდი მუსიკოსი, ვისი შეგირდიც ვიყავი, ჰიგინსისვით მუდამ ჩემთან იქნებიან. მათი ლოცვა მეხმარება მუსიკის გამდიდრებაში. რაც შეეხება ჰიგინსს, ის რომ გარდაიცვალა, თავის მაგივრად ერიკ ჰარლანდი (ლოიდის ახლანდელი ბენდის დრამერი კ.თ.) გამომიგზავნა. ასე გაგრძელდება უსასრულოდ, – ერთი წავა და სხვას გამოგიგზავნის; ჰიგინსი წავიდა, ჰარლანდი მოვიდა. სანამ შემოქმედი თავის თამაშს აგრძელებს, მე დაკვრა არ უნდა შევწყვიტო, სხვანაირად არ შეიძლება. როდესაც მუსიკოსები ჩემთან მოდიან და მეუბნებიან, რომ ჩემს მიერ შექმნილ აკუსტიკურ სივრცეში უნდათ მოხვედრა, ეს ჩემთვის ძალის მომცემია. ის მიგანიშნებს იმაზე, რომ ვერ გაჩერდები, უნდა გააგრძელო, რადგანაც ახლა მეც მყავს შეგირდები და მათთან ერთად უნდა გავაგრძელო ფრენა. მაგალითად ჰაერში რომ აიჭრები, უფლება აღარ გაქვს დაბლა დაიწყო ყურება! მხოლოდ ზემოთ უნდა იყურო. ლეროი სეთრელ ფეიჯმა, ბეისბოლისტმა, ერთხელ ასეთი რამე თქვა, – „წინ რომ მირბიხარ, უკან ნუ იხედები, შეიძლება რამე ან ვინმე გენოდესო!“ გეცოდინებათ, რომ ერთხელ, სამოციანების ბოლოს, სწორედ იმის გამო, რომ დავრწმუნდი, მუსიკის მეშვეობით სამყაროს ვერ შევცვლიდი, დიდი ხნით შევწყვიტე დაკვრა. მერე, ოთხმოციანების ბოლოს, ისევ გავაგრძელე და ერთ მშვენიერ დღეს ისევ მეტაკა ეჭვის ჭია; მეგონა,



რომ ის, რასაც ვაკეთებ, არავის ჭირდება და. მზად ვიყავი ყველაფერი მიმეგდო და ბიგ სურში, ჩემ სახლში გამოვკეტილიყავი. ორი თუ სამი კვირის განმავლობაში ვმარხულობდი, მერე კი სტუმრად ჰიგინსი მენვია და მე მას ჩემი ეჭვები გავუზიარე: „ბილი, მგონი არავის ჭირდება ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ!“ მან მიპასუხა: „გავკარი ყველას, ჩვენ ხომ გვჭირდება!“ ის მართალი აღმოჩნდა.

**მუსიკალური სამყარო შეპყრობილია ახალი სექსის იდეით, მაგრამ თქვენ ჯოუტად იმეორებთ, რომ თქვენი მიზანი უფრო ძველის (old) სექსია, ვიდრე ახლის.**

ძველის? იქნებ „მთლიანი“ (whole) ვთქვი?

**არა, ყველაგან სიტყვა „ძველია“ ნახსენები და ეს სწორედ ისაა, რამაც ასე დამაინტერესა.**

მოდით, ამის გარკვევაში დაგვხმარებით, – მე წინაპრებისგან ვსწავლობ ჭკუას და სიბრძნეს; მათგან, ვინც ჩემზე ადრე ცხოვრობდნენ. მე მათ მხრებზე ვდგავარ და იმ სიმაღლიდან ვუყურებ ყველაფერს. მეორე მხრივ, ჩვენ დღევანდელიაში ვცხოვრობთ, შესაბამისად, თანამედროვეობაც უნდა შემოვიყვანოთ იმაში, რასაც ვაკეთებთ. პოეტი არ ვარ და ვერ მოგანვდით თანამედროვეობის საფუძვლიან განმარტებას, ამიტომაც აი, ასე ვიტყვი, – ჩემთვის იყო თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე, ნიშნავს შ ე ქ მ ნ ა, დაუკრამოც ე მ უ ლ მომენტში. ჩვენ ხშირად ვიმეორებთ, რომ თანამედროვე სამყაროში ვცხოვრობთ, მაგრამ მან ვერ მოუტანა ადამიანს ვერც მშვიდობა და ვერც სულიერი სიმშვიდე. მართალია, თანამედროვე სამყარომ სხვადასხვა მიზნების მისაღწევად უფრო მეტი სამუშაო ი ა რ ა ლ ი შემოგვთავაზა და ჩვენ ამ იარაღებს ვიყენებთ კიდეც სამყაროს უკეთ შესაცნობად, მაგრამ მიმაჩნია, რომ საუკეთესო იარაღი მაინც ისაა, როდესაც საკუთარ გონებას შეგირდად ამყოფებ და არა მბრძანებლად. მე წლები მემატება და ვილაცას შეიძლება ეგონოს, რომ ვბერდები. არა, მე არ ვბერდები, მე ვ მ თ ლ ი ა ნ დ ე ბ ი, ამიტომაც ჩემს კონცერტზე კარგი იქნება, თუ სავარძლებს ღვედები ექნება!

**ადამიანისათვის, ვინც სამყაროსათვის კვდება, დრო სხვანაირად უნდა მუშაობდეს, არა?**

არანაირი დრო არ არსებობს! არსებობს მხოლოდ მოცემული წამი, მხოლოდ ა ხ ლ ა! სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც თანამედროვეობაზე ვლაპარაკობ. დრო არაა შენს უკან; ის არც შენს წინაა. ის ახლაა.

**არსებობენ ბგერის შემგროვებლები და ბგერის მძიებლები. როგორ ეძებენ ბგერას ეს უკანასკნელნი?**

ისინი ბგერის მისტიკური გარდასახვის საშუალებებს ეძებენ. ბგერის მისტიციზმი ყველაფერია! მუსიკა კარგი იმიტომაცაა, რომ ის მეოთხე განზომილებაა. მას აქვს ამის შესაძლებლობა. ერთხელ, ათენის აკროპოლისში რომ ვუკრავდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ყველა ქვა გაცოცხლდა და რეაგირებდა მუსიკაზე. ბგერაში ცხოვრება კურთხევასავითაა, ამიტომაც თუ გულახდილი ხარ აუცილებლად შ ე მ ო გ ე გ ე ბ ე ბ ი ა ნ და ყოველთვის ჩანვდები შენს მიღმა არსებულ სიღრმეებს. ასეთ მომენტებში არ გჭირდება არც ნავთობისათვის ბრძოლა, არც მსოფლიოს დაპყრობა. არიან გენერლები, ვინც ადამიანებს და ერებს იპყრობენ, მაგრამ მე იმას გავყვები, ვინც საკუთარი თავის დაპყრობა ერთხელ მაინც მოახერხა. სამყარო ილუზიაა, ის მაიაა, ამიტომაც უნდა გამოიღვიძო და შეიგნო, რომ მთელი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა მზადება სიკვდილისათვის. ეს ციკლური მოვლენაა და ამაში კარგი ისაა, რომ შენ შეგიძლია დაბადების და სიკვდილის ციკლის მიღმა გადააბიჯო და ამას რომ მიაღწიო, თავიდან უნდა დაიბადო სულიერებაში. აქ არ ვგულისხმობ სულიერებისადმი ორგანიზებული რელიგიების ხისტი მიდგომას. მე შეერთებულ შტატებში ვცხოვრობ; ის რელიგიური ქვეყანაა, მაგრამ ის არაა სულიერი ქვეყანა; მე კი სულიერებას ვესწრაფი. ჩემი დიდი ბუბია ჩეროკის ტომის ინდიელი იყო; „თეთრი ღრუბელი“ ერქვა და თავის დროზე, როდესაც თეთრკანიანები ინდიელებს მათივე მიწებიდან ასახლებდნენ, მან უარი თქვა „ცრემლების ბილიკის“ გავლაზე (1930 წელს, პრეზიდენტმა ენდრიუ ჯექსონმა ხელი მოაწერა ამერიკელი ინდიელების მათივე მიწებიდან გასახლების დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ინდიელთა ძალადობრივი მიგრაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიებიდან ე.წ. „ინდიელთა ტერიტორიაზე“ მიგრაციის გზა დღეს „ცრემლების ბილიკითაა“ (ცნობილი. კ.თ.). იქიდან მოყო-

ლებული ამერიკაში არაფერი შეცვლილა. ძალადობა უფრო დახვეწილი და შეუმჩნეველი გახდა, მაგრამ თუ ამ კურსს გადაუხვევ, სხვა გზით მოახერხებ სიარულის გაგრძელებას. მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ, ამერიკელებს, დღესაც ისევ პლანტაციის სისტემასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მე არსდროს მინდოდა რაიმე საერთოს დაჭერა ამ სისტემასთან. სამყარო ისეა მოწყობილი, რომ მას არ უნდა შენი სიმღერა იმღერო. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვაგრძელებთ ჩვენი სიმღერის მღერას. ამ დროს ღმერთს ღმერთისას ვუზღავთ, კეისარს კი კეისრისას, მაგრამ კეისარი ვერ შემოდგამს ფეხს იმაში, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, რადგანაც ჩვენ ბგერაში ბ რ ა ჰ მ ა ნ ი ა ჩაბუდებული.

**ამასთან დაკავშირებით ერთი უცნაური კითხვა მინდა დაგისვით, რომელიც არცერთხელ არ დამისვამს მუსიკოსისთვის. მეორე მხრივ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ის მოულოდნელი იქნება თქვენთვის, რადგანაც თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს ასეთ რამეებზე საუბარი. რამდენად ხართ დაინტერესებული ციფრებით ზოგადად და მუსიკასთან მიმართებაში?**

ყოველთვის მაინტერესებდა მათემატიკა და ზოგადად ციფრები, ფიზიკის სისტემა და ასე შემდეგ, თუმცა არასდროს ვსაუბრობ ასეთ რამეებზე, რადგანაც მიჭირს ამის სიტყვებით აღწერა. სამყარო და მუსიკა ციფრებზე დგას. ციფრები! უცნაური რამაა ციფრები! ცხრა თერთმეტზე რა თქმა უნდა გსმენიათ (9/11 – 2001 წლის 11 სექტემბერი, დღე, როდესაც განხორციელდა ტერორისტული აქტები ნიუ-იორკში, არლინგტონში (ვირჯინია) და შენქსვილში (პენსილვანია) კ.თ.), ამიტომაც ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით, მუსიკისგან მოცილებულს, მაგრამ ციფრებთან დაკავშირებულს. 10 სექტემბერს ნიუ-იორკში ჩავედით და მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ახლოს, სასტუმრო „მარიოტში“ გავჩერდით, აპარტამენტში 44-ე სართულზე, საიდანაც დიდებული პანორამული ხედი იშლება მდინარეზე და მანჰეტენზე. ერთი კვირის განმავლობაში ჯაზ-კლუბ „ბლუ ნოუთში“ უნდა დამეკრა. იმავე დღეს, რაღაც მშენებლობის გამო, სასტუმროში ტელეფონები გაითიშა და დოროთის, ჩემი მეუღლის ბიძამ თავისი სახლი დაგვითმო. იმ სახლის მისამართი იყო 2-25.11 უესთი. მიხვდით?





**ვერა.**  
მიუმატეთ ციფრები ერთმანეთს.

**9/11 გამოდის. გავიგე!**

ეს ამბავი იმიტომ მოგიყვებით, რომ მიმხვდარიყავით თუ რამდენად ყურადღებით ვარ ციფრების მიმართ, მაგრამ ნუ მომთხოვთ მუსიკასთან მიმართებაში ამაზე რომ გესაუბროთ. უბრალოდ, უინტერესოდ გამომივა.

**დღეს, სულ რამოდენიმე საათში, კონცერტი უნდა დაუკრათ, ამიტომაც მოდი ამით დავასრულოთ. ერთსაც გკითხავთ, ეს თქვენი პირველი კონცერტი იქნება საქართველოში. რას ელით ჩვენგან, ქართველი მსმენელისაგან?**

მე არ ვიცნობ ქართველ მსმენელს, მაგრამ, ვიტყვი იმას, რომ გ უ ლ ა ხ დ ი ლ ი და სიყვარულით სავე ჩამოვედი აქ, შესაბამისად ვგრძნობ, რომ იგივეს უნდა ველოდო თქვენგან. ეს განწყობა ჰაერში ტრიალებს აქ. გუშინ საღამოს ჩამოვედით, დადლილი ვიყავი და სადილს ვერ დავესწარი, ამიტომაც დოროთიმ ცოტა საქმელი ნომერში ამომიტანა. დიდებული, ჩემთვის

უცნობი კერძები იყო, მაგრამ ერთი რამ, რაც გავსინჯე ძლიერ გავდა ჩემი ინდიელი წინაპრების სიმინდისგან გამოძცვარ კვერს, ბავშვობაში რომ მიმასპინძლდებოდნენ მემფისში, მისისიპის შტატში. მერე კალმახიც გავსინჯე, რომელიც ზუსტად ისე იყო მომზადებული, ბებიაჩემი როგორც ამზადებდა ხოლმე. უცნაურია, შეგიძლია სენეგალში იყო ან, სადმე სხვაგან და ასეთი ერთი შეხედვით უმნიშვნელო რამეები საკუთარ ბიოგრაფიასთან გაკავშირებდეს ხოლმე. ბევრს ვმოგზაურობ, ბევრი სხვადასხვა მსმენელის წინაშე მიწევს დაკვრა, ამიტომაც ხშირად მეკითხებიან თუ რომელ ქვეყანაში ან ქალაქშია ყველაზე კარგი მსმენელი. ამ შეკითხვაზე პასუხი არ მაქვს, რადგანაც მე მუსიკით მოვდივარ და კარგ მუსიკაზე ყველას ერთნაირი რეაქცია აქვს. ჰო, სხვათა შორის, დღეს დილით დოროთი ქალაქში გავიდა სასაიერნოდ, რომელიც ეკლესიაში შევიდა და იქაური გალობა ჩაინერა ტელეფონზე. სასტუმროში რომ დაბრუნდა, მომასმენინა. საოცრად მგრძნობიარე მუსიკა იყო! საოცრად! და მეც ზუსტად ისეთი რეაქცია მქონდა, როგორც ყველა ნორმალურ მსმენელს. რამდენი წლის ხართ?

**ორმოცდათერთმეტის.**

ესე იგი, შესაძლებელია, რომ 1967 წელს, ტალინში ჩემი ყოფნის დროს, თქვენც დასწრებოდით ჩემს კონცერტს, არა?

**არა, მაშინ შვიდი წლის ვიყავი, მაგრამ რამოდენიმე ჩემი უფროსი მეგობარი და-ესწრო იმ ლეგენდარულ კონცერტს.**

იცოდით, რომ ის ადამიანი, თუ ადამიანების ჯგუფი, ვინც გაბედა და კონცერტზე მიმინვია, ციხეში ჩასვეს ამისთვის?

**დიახ.**

კინალამ გულები გავვისკდა, როდესაც 1997 წელს, ტალინში დავბრუნდით პირველად იმ კონცერტის შემდეგ და ეს გავიგეთ. მთელი ამ წლების განმავლობაში არაფერი, საერთოდ არაფერი ვიცოდით იმის შესახებ, რომ ორგანიზატორები ჩვენს გამო ციხეში ჩასვეს. მაღლობა ღმერთს, ყველაფერი რომ შეიცვალა, ამიტომაც იმედი მაქვს, რომ დღეს კონცერტზე მგრძნობიარე ადამიანები მოვლენ და მათი მეშვეობით მუსიკა კიდევ უფრო ამაღლებული გახდება.

# ჯონ და ჰოლი ბასები – მობზაურები საქართველოში

ავტორები: ნინო ჩიბაძე, თამარ ბაბუაძე





# ჰოლი ჰოლსტარი და ჯონ ზასი თავიანთ აზრებს ერთმანეთს ქველმოღური მეთოდით – მიმოწერით უზიარებლად, თუმცა მადიუმი თანამედროვე იყო: ფურცლისა და კალმის ნაცვლად – მკილი და სკაინი. „გმონია, რომ ჯონი სწორად ამ პერიოდში, წარიღებლად შამიყვარდა“, – იხსენებს ჰოლი.

მესტიიდან უშგულამდე 45 კილომეტრია. ტურისტების უმრავლესობა ამ მანძილს მანქანით გადის. Lonely planet-ის გზამკვლევით ხელში, ზუსტად მიჰყვება იმ ღირსშესანიშნაობებს, რაც წიგნშია მონიშნული. ორი საათი უშგულამდე, გაჩერება კუბდარის საჭმელად, ფოტოების გადაღება ლამაზი ხედების ფონზე და ეგაა – უკანა გზაზე, მანქანის სალონიდან შეიძლება გაამზადოთ მორიგი მოგზაურობის ამსახველი ალბომი სოციალურ ქსელებში ასატვირთად – თქვენ შეიცანით ეგზოტიკური საქართველოს სული.

თუმცა, არსებობენ სხვანაირი მოგზაურებიც, რომლებიც სამანქანო გზის ნაცვლად ოღრო-ჩოღრო ბილიკებით სიარულს არჩევენ, მესტიიდან უშგულამდე ასვლას ორი საათის ნაცვლად ხუთ დღეს ანდომებენ, ფეხით მიდიან, ზურგზე მოკიდებული მძიმე ჩანთებით, ღამეს კარავში ათევენ, დილაადრიან სახელდახელო საგზლით საუზმობენ და მერე ისევ წინ მიიწევენ.

ამ ზაფხულს სვანეთში რომ ყოფილიყავით, ასეთ ზურგჩანთიან მოგზაურებს შორის შესაძლოა ჯონ ზასი და მის მეუღლე, ჰოლი ჰოლცერი ამოგეცნოთ. ისინი მოგზაურები არიან და არა ტურისტები – ახალ ადგილებს გზამკვლევების სტანდარტული ინფორმაციის გვერდის ავლით იკვლევენ.

ჯონ ზასი საქართველოში პირველად 2009 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. ის აშშ-ს მეექვსე ელჩია, რომელმაც თავისი წინამორბედი ჯონ ტეფტი შეცვალა. ეს რიგითი როტაცია უნდა ყოფილიყო – ელჩები, როგორც წესი, ერთ ქვეყანაში 3-4 წელიწადზე დიდხანს არ რჩებიან. ამ შემთხვევაში ახალ ელჩს არამარტო საქართველოში, არამედ, თავად ამერიკაში მომხდარი დიდი ცვლილებების შემდეგ უწევდა ჩამოსვლა. ამერიკის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მართიონულ არჩევნებში 8 წლიანი პრეზიდენტობის შემდეგ, ჯორჯ ბუში და რესპუბლიკელები ბარაკ ობამამ და დემოკრატებმა შეცვალეს.

ჯორჯ ბუში, რომელმაც ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს დემოკრა-

ტიის შუქურა უწოდა, საქართველოსა და მისი ახალი ხელისუფლების პირად მეგობრად და ძღვევამოსილ ლობისტად ითვლებოდა. მისი ამ განსაკუთრებული დამოკიდებულებით ხსნიდნენ 2005 წელს რუსეთის მეზობელ, პატარა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტსაც.

2008 წელს აგვისტოს 5 დღიანი ომი, რომელსაც შესაძლებელია მსოფლიოს განსაკუთრებული ყურადღების მიღმა ჩაველო, ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო დებატების ერთ-ერთ მწვავე საკითხად იქცა. რესპუბლიკელი მაკკეინი, ომის დაწყების მომენტისთვის ობამას რეიტინგებში ჩამორჩებოდა. სამხედრო ოპერაციის დაწყებისთანავე მან დღის განრიგი შეცვალა და საგანგებო განცხადების გასაცნობად მედიას შეხვდა. „რუსეთმა დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა გაიყვანოს მთელი თავისი სამხედრო ძალები დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიიდან“, – განაცხადა სენატორმა.

ამ დროს ობამა ოჯახთან ერთად ჰავაის ერთ-ერთ კუნძულზე ისვენებდა. აგვისტოს ომთან დაკავშირებით მან თავისი პოზიციის დაფიქსირება დააგვიანა. რესპუბლიკელების რეიტინგმა მატება დაიწყო.

საქართველოში მიმდინარე ომს ბარაკ ობამა მხოლოდ მაკკეინის განცხადების შემდეგ გამოეხმაურა. მიუხედავად იმისა, რომ მისი განცხადების დიდი ნაწილი აგვისტოს ომში რუსეთის როლის დაგმობას ეძღვნებოდა, ობამამ აღნიშნა: „ჩვენ გვსურს რუსეთის მთავრობასთან ვითანამშრომლოთ და ვიმეგობროთ რუს ხალხთან. ჩვენ გვსურს, რუსეთმა შეასრულოს თავისი კუთვნილი როლი, როგორც დიდმა ნაციამ“.

საქართველოში და განსაკუთრებით ხელისუფლებაში საპრეზიდენტო კანდიდატების რეაქციებს შორის განსხვავება აღიქვას, როგორც კიდევ ერთი ნიშანი მოსალოდნელი ცვლილებისა. ამერიკაში დემოკრატების გამარჯვებით, შესაძლოა საქართველოს დაეკარგა ფავორიტის როლი.

ამ განცხადებიდან ერთი წლის შემდეგ, 2009 წლის ზაფხულში, როდესაც, თბილისში აშშ-ს საელჩოში როტაცია დაიწყო, თბილისში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მკაფიო პასუხი კითხვაზე – როგორ წარმოედგინა ობამას ადმინისტრაციას რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვა საქართველოსთან მომხდარი ომის შემდეგ.

ვიდრე ზასი ბიუროკრატიულ პროცედურებს გადიოდა, ბარაკ ობამა რუსეთის პრეზიდენტს შეხვდა, ორიოდე კვირის შემდეგ კი საქართველოში აშშ-ს ახალი ვიცე-პრეზიდენტი, ჯო ბაიდენი ჩამოვიდა. როგორც „ნიუ იორკ ტაიმსი“ წერდა, ბაიდენის ვიზიტს ერთი მთავარი მიზანი ჰქონდა: დაებლანსებინა ობამას მიერ წამოწყებული გადატვირთვის პროცესი და დაერწმუნებინა საქართველო იმაში, რომ ამერიკას ის არ დავიწყებია.

ამ ფონზე სტანდარტულმა როტაციამ აშშ-ს საელჩოში განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. მნიშვნელოვანი იყო, როგორ განწყობას, როგორ დამოკიდებულებას ჩამოიტანდა ვაშინგტონიდან აშშ-ს ახალი ელჩი.

„ობამას ადმინისტრაციაში დაინახეს, რომ საქართველოსთან ურთიერთობაში შესატანია მეტი სიცხადე, რათა არ მოხდეს აშშ-ს მხარდაჭერის პირადი პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენება“, – ამბობს პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანი.

ჯონ ზასისთვის ეს ელჩის პირველი პოსტი იყო. მანამდე ის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობდა და საგანგებო მისიებით ხანგრძლივად ცხოვრობდა ჩადში, რომში, ბრიუსელში, ბალდადში. მთელი 1990-იანი წლების განმავლობაში და მერეც, 2000-2001 წლებში, მის სამუშაო სფეროში საქართველო მუდამ ფიგურირებდა. ბილ ქლინტონის პრეზიდენტობის დროს, ის იყო სახელმწიფო მდივნის მოადგილის, სტრობ ტელბოტის საგანგებო მრჩეველი ევროპისა და ევრაზიის საკითხებში. სოვიეტოლოგიის ამ ცნობილ მკვლევართან ერთად მუშაობა ნიშნავდა იმას, რომ ჯონ ზასის არეალში მუდმივად რჩებოდა რუ-

სეთ-ამერიკისა და რუსეთი-ნატოს ურთიერთობა, ამ კონტექსტში კი – საქართველოც. 2003 წლის შემდეგაც ბასი ვაშინგტონიდან ადევნებდა თვალყურს საქართველოში მიმდინარე ცვლილებებს. „ჩემთვის ეს ქვეყანა იყო მაგალითი იმისა, თუ რა შესაძლებლობები არსებობდა პოსტ საბჭოთა სივრცეში“.

საბოლოოდ, ელჩის სტატუსით ჯონ ბასი საქართველოში 2009 წლის 1 ოქტომბერს ჩამოვიდა. კარიერაში წინსვლასთან ერთად, საქართველოში მისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ისტორიაც დაიწყო.

„ნამუშევრების შერჩევაში ამ ქალბატონსაც დიდი წვლილი მიუძღვის“, – სიამაყით გვითხრა ბასმა დაახლოებით წელიწადნახევრის წინ საელჩოში მოწყობილი გამოფენის გახსნაზე და იქვე, პატარა მაგიდაზე, ჩარჩოში ჩასმულ ფოტოზე გვანიშნა, რომლიდანაც ახალგაზრდა, ქერა, სანდომიანი სახის ქალი იღიმოდა. ეს ჰოლი ჰოლცერი იყო. ის ბაქოში, აშშ-ს საელჩოში მუშაობდა. მათი რომანის შესახებ მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა უკვე იცოდნენ.

ჰოლი ჰოლცერი მაღალი ქალია, ტალღოვანი თმით და კლასიკური, სადა ჩაცმულო-

ბით. გაცნობისთანავე ენერგიული, ძლიერი და ხალისიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჯონმა და ჰოლიმ ერთმანეთი ვაშინგტონში, სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობისას გაიცნეს. პირველ პაემანზე ბეისბოლის მატჩს დაესწრნენ. „დასვენების დღე მქონდა და შუადღე ერთად გავატარეთ, ძალიან სახალისო იყო“, – იხსენებს ჰოლი.

თუმცა, შემდეგ, როგორც თვითონ ამბობენ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ნამდვილ დიპლომატიურ რომანში: სამსახურეობრივი მოვალეობების გამო ერთმანეთს დაშორდნენ.

„ჩვენ სხვადასხვა ადგილებზე აღმოჩნდით: ჰოლი ვაშინგტონში დარჩა, მე კი ერთი წლით ბალდადში წავედი“, – მიყვება ელჩი.

ბალდადი კი იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილი იყო მსოფლიოში. 2003 წელს დაწყებული ომი ერაყში ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული: საინფორმაციო საშუალებები თითქმის ყოველდღიურად იუნყებოდნენ იქ მომხდარი ტერორისტული აქტებისა და შეიარაღებული დაპირისპირებების შესახებ. ქალაქის თავზე კი მზის სხივებზე უფრო ხშირად აფეთქებების კვამლი მოჩანდა. ჯონ ბასი იქ პროვინციული რეკონს-

ტრუქციის სამთავრობო გუნდს ხელმძღვანელობდა – ეს გაერთიანება სამხედრო და სამოქალაქო პირებისგან იყო დაკომპლექტებული და ქალაქის ინფრასტრუქტურის აღდგენაზე მუშაობდა.

ჰოლი ჰოლცერი და ჯონ ბასი თავიანთ ამბებს ერთმანეთს ძველმოდური მეთოდით – მიმოწერით უზიარებდნენ, თუმცა მედიუმი თანამედროვე იყო: ფურცლისა და კალმის ნაცვლად – მეილი და სკაიპი.

„მგონია, რომ ჯონი სწორედ ამ პერიოდში, წერილებიდან შემიყვარდა“, – იხსენებს ჰოლი.

წყვილმა გასულ აგვისტოს, კალიფორნიაში იქორწინა და უკვე სექტემბრიდან ჰოლი საქართველოში ახალი სტატუსით ჩამოვიდა – ის თბილისში აშშ-ს ელჩის რეზიდენციის დიასახლისი გახდა. ამ მოვალეობის გამო მას საკუთარი კარიერის ცოტა ხნით გვერდზე გადადებაც მოუხდა. თუმცა, დროებით უმუშევარი დიპლომატი საქმის ნაკლებობას არ უჩივის, მუდმივად ესწრება მნიშვნელოვან ღონისძიებებს და რეზიდენციაზე და მიღებების გამართვაზეც თავად ზრუნავს. ხუმრობს კიდევ, რომ ეს ტრადიციული გაგებით ქალის მოვალეობაა და მისი ცხოვრების



ფოტო: შალა ბოზალაძე

# „ხანდახან თავს ისე ვბრძნობ, თითქოს მებაფონი მეჭიროს ხელში – რაც უნდა ვთქვა, გასილახვით უფრო ხმაავდება ისმის და აღიქმება, ვიდრე რეალურად ვაბოზ“, – მასსუხობს ჯონ ბასი, როდესაც ვაიკითხავი, როგორია მუდმივად გამაღიდავებელი შუშის ქვეშ ყოფნა.

ბასი, როდესაც ვაიკითხავი, როგორია მუდმივად გამაღიდავებელი შუშის ქვეშ ყოფნა.

სტილისგან შორს დგას: „როდესაც მამაჩემი ჩამოვიდა და დიასახლისის როლში მნახა, ძალიან გაუკვირდა, რადგან ვერასოდეს წარმოედგინა ეს“, – ელიმება ჰოლის.

ამერიკის ელჩის რეზიდენცია დილომში, ამერიკულ სოფელში მდებარეობს. ეზოს შუაში, ჭიშკრიდან ათიოდე მეტრში, მწვანედ შეღებილი ორსართულიანი სახლი დგას, დახრილი სახურავით და ბევრი ფანჯრით. საშუალო ზომის დერეფანი დიდ, მაგრამ მყუდრო მისაღებ ოთახში შედის, რომლის კედლებიც განყოფილია რამდენიმე დიდი ზომის ფერწერული ტილოთი და შავ-თეთრი ფოტოებით.

აშშ-ს ელჩი და მისი მეუღლე თანამედროვე ხელოვნებით არიან გატაცებული. რეზიდენციაში ხშირად აწყობენ ამერიკელი და ქართველი არტისტების მიღებებს. იმ ნამუშევრებს, რომლებიც ელჩის რეზიდენციაშია გამოფენილი, აერთიანებთ საერთო კონცეფცია – „განუზრახველი შედეგები“ (Unintended Consequences)

„რაც საქართველოში ვარ, მუდმივად ვაკვირდები: სწრაფი ცვლილებების მოხდენის სურვილს, შესაძლოა ზოგჯერ მნიშვნელოვანი სარგებელი მოჰყვეს, მაგრამ ზოგჯერ ეს ძალისხმევა ხელიდან გაშვებული შანსია და ერთ პრობლემას მეორეთი ანაცვლებს. ამიტომ ის შედეგები, რაც ამ ქმედებებს მოჰყვება, ხშირად წინასწარ არაა განსაზღვრული“, – ამბობს ელჩი.

მისაღებ ოთახში, დივანთან მდგარ პატარა მაგიდაზე სქელტანიანი დასურათებული ნიგნები აწყვია: ამერიკის საელჩოების არქიტექტურა, ამერიკელი მხატვრისა და სკულპტორის – დენ ნამინგას ნამუშევრები, კონსერვაცია და დაცული ტერიტორიები – თემატიკა მრავალფეროვანია.

მისაღები ოთახი ასევე მოზრდილ ოთახში გადის, სადაც ოფიციალური შეხვედრებისთვის განკუთვნილი დიდი ზომის მაგიდა დგას. თვიდან თვემდე ამ მაგიდის გარშემო უამრავი შეხვედრა იმართება. ელჩთან სტუმრად ხან ხელისუფლების მაღალჩინოსნები, ხან მედიის წარმომადგენლები, ხან – ოპო-

ზიციური პარტიების ლიდერები იკრიბებიან. თითოეული მხარისთვის ამერიკის ელჩის კომენტარს, შეფასებას თუ რეაქციას დიდი წონა აქვს. მართალია, მისი, როგორც ელჩის, მთავარი მისია საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერაა, ქართველი პოლიტიკოსები ხშირად მას მთავარი არბიტრის როლს აკისრებენ. თითქოს, ისაა მოსამართლე, რომელმაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მართალი უნდა გამოავლინოს. ამიტომ თითქმის ყველა დაძაბულ სიტუაციაში დგება მოლოდინით სავსე პაუზა, როცა ამერიკის ელჩის კომენტარს ელიან.

„როგორც ვაკვირდები, საკმაოდ უმადური საქმე ყოფილა ელჩობა ჩვენთან ქვეყანაში. ხალხის ნაწილი ამერიკის ელჩს ქვეყნის კულტურულ მმართველად მიიჩნევს, მეორე მხრივ, მას აკრიტიკებენ, რატომ ეს არ თქვა, რატომ უფრო აშკარა პოზიცია არ გამოხატა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ელჩი არ არის ჯადოსნური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი“, – მეუბნება „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერი დავით უსუფაშვილი.

აშშ საქართველოსთვის უმთავრესი მოკავშირე ქვეყანაა. ის ერთდროულად დემოკრატიული ფასეულობებისა და ფინანსური დახმარების დონორია. წელს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლის იუბილე აღინიშნება. თითქმის ითხზიან მოლოდინის შემდეგ, იანვრის ბოლოს, თეთრ სახლში ბარაკ ობამა პირველად მიიღებს საქართველოს პრეზიდენტს. 1992 წლიდან დღემდე აშშ-სგან საქართველომ 3 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება მიიღო. დახმარების ასეთი მასშტაბი პატარა ქვეყნისთვის უჩვეულოა. „ამდენი ძალისხმევა საქართველოში იმიტომ ჩავდეთ, რომ მან აიღო ეს ვალდებულება [ჩამოყალიბდეს დემოკრატიულ, განვითარებაზე ორიენტირებულ სახელმწიფოდ]“, – აცხადებს ბასი ჟურნალ „ლიბერალთან“ 2011 წლის 2 თებერვალს ჩანერილ ინტერვიუში. თუმცა, მეორე მხრივ, საქართველოს მოკავშირეობა გზავნილია რუსეთისთვისაც იმის

ხაზგასასმელად, რომ ვაშინგტონი რუსეთის საბჭოთადროინდელ გავლენის სფეროებს აღარ ცნობს. ვაშინგტონის ამ პოზიციის წარდგენა, გახმოვანება და დაცვა თბილისში ამერიკის ელჩს ევალება.

„ჯონ ბასი კონკრეტულად ლაპარაკობს და აქცენტებსაც ზუსტად სვამს. ის აშშ-ს ელჩია პატარა საქართველოში, რომელიც ფრონტის ხაზზე მდებარე ქვეყანაა და აქ მას შეცდომა არ ეპატიება“, – ამბობს პოლიტოლოგი ალექსანდრე რონდელი.

„ხანდახან თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მეგაფონი მეჭიროს ხელში – რაც უნდა ვთქვა, გაცილებით უფრო ხმაავდება ისმის და აღიქმება, ვიდრე რეალურად ვაბოზ“, – მასსუხობს ჯონ ბასი, როდესაც ვეკითხები, როგორია მუდმივად გამაღიდავებელი შუშის ქვეშ ყოფნა.

2011 წლის მაისში თბილისში პოლიტიკურად დაძაბული მოვლენები ვითარდებოდა. ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ქუჩის საპროტესტო დემონსტრაციებს ედგა თავში. დემონსტრანტებმა, ტრადიციულად, პარლამენტის შენობის წინ რუსთაველის გამზირი გადაკეტეს. ქალაქის მერიამ აქციის მონაწილეებს საპროტესტო ადგილის შეცვლის ულტიმატუმი წაუყენა და განაცხადა, რომ უარის შემთხვევაში ტერიტორიას ძალის გამოყენებით გაათავისუფლებდა. მეორე დღეს იქ დამოუკიდებლობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი აღლუმი იყო დაგეგმილი. დემონსტრანტები რუსთაველის გამზირზე დარჩნენ.

„დემოკრატიულად განწყობილი საზოგადოების ვალდებულებაა, დაიცვას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. თუმცა, მნიშვნელოვანია, საპროტესტო მოქმედებით არ შეილახოს სხვა ადამიანების უფლებები, არ შეეშალოს ხელი თუნდაც გარკვეული მნიშვნელოვანი დღეების სათანადოდ აღნიშვნაში. დღეს ქუჩაში გამოსულ დემონსტრანტებს შორის არიან ადამიანები, რომლებიც კონფრონტაციის გამოწვევას ცდილობენ, ეს ხელს უშლის მათი მოთხოვნების მშვიდობიანი გზით შესრულებას. გარდა ამისა, მათ

მიმართ საზოგადოების ნდობას მნიშვნელოვნად ამცირებს“, – განაცხადა, წინა დღით, ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა.

2011 წლის 26 მაისის ღამეს, ზუსტად 12 საათზე ძალოვანებმა აქციის დაშლა დაიწყეს. როდესაც ბურჯანაძის კორტეჟი ოპერაციის დაწყებამდე ტერიტორიას გამალბული ტოვებდა, საგზაო ინციდენტი მოხდა, რომლის შედეგადაც პოლიციელი გარდაიცვალა. ძალოვანებმა აქციის მონაწილეები სასტიკი მეთოდებით დაშალეს. მედიამ შეძლო, გადაეღო დემონსტრანტების ცემისა და შეურაცხყოფის კადრები. დასისხლიანებული ადამიანების ფოტოები ჟურნალების ყდებზე აღმოჩნდა. 26 მაისს, დანიშნულ დროს, საგულდაგულოდ განმედილ გამზირზე სახელმწიფო დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ტრადიციული აღლუმი გაიმართა.

ბასის წინა დღით გაკეთებული კომენტარი საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ნაწილმა დაინტერესებული მხარის განცხადებად შეაფასა. ელჩს ბრალი დასდეს იმაში, რომ ხელისუფლებას დემონსტრაციის დაშლაში მწვანე შუქი აუთთო. როდესაც დემოკრატიული პრინციპები ირღვევა, ელჩი ვალდებულია, დიპლომატიური ორაზროვნება დაიწყო, რათა ხელისუფლებამ მისი კომენტარი საკუთარი ქმედების გასამართლებლად არ გამოიყენოს – ამტკიცებდნენ უკმაყოფილოები. ამის შემდეგ, ჯონ ბასმა არაერთხელ განმარტა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არასდროს უჭერს მხარს კონკრეტულ პიროვნებებს და ძალის გადაყენების ფაქტების გამოძიება მოითხოვს.

„ელჩები და კონკრეტულად ბასიც ერთგვარ მოთამაშეებად იქცნენ შიდა პოლიტიკაში. თუ ხელისუფლების სასარგებლოდ იტყვის რამეს, ოპოზიციის ნაწილი ღიად ბრაზდება. ხელისუფლება პირდაპირ არ აკრიტიკებს მას, მაგრამ შეიძლება, უკმაყოფილო იყოს. ფაქტია, ერთი და მეორეც ითვალისწინებს ამ საგარეო შეფასებას“, – მეუბნება პოლიტილოგი გია ნოდია, როცა ვეკითხები, რა როლს თამაშობს აშშ-ს ელჩი ქართულ პოლიტიკაში.

2011 წლის დეკემბერში ხელისუფლებამ შემოდგომისთვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისთვის დაიწყო მზადება და ცვლილებები შეიტანა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონში. ოპოზიციური პარტიებისთვის ამ ცვლილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სწორედ ეს კანონი არეგულირებს მათი დაფინანსების საკითხს. ცვლილებების მიხედვით, კანონს უკუქმედების ძალა

მიენიჭა და ისე გამოვიდა, რომ ოთხი ოპოზიციური პოლიტიკური პარტია („რესპუბლიკური პარტია“, „ხალხის პარტია“, „თავისუფალი დემოკრატები“ და „კონსერვატიული პარტია“) ვალდებული გახდა, ზიძინა ივანიშვილის ფონდიდან მიღებული თანხა – 4 მილიონ 400 ათასი ლარი, უკან დაებრუნებინა. განახლებული კანონი უკვე დამტკიცებული იყო, პრეზიდენტსაც ხელი ჰქონდა მონერილი, როცა 29 დეკემბერს აშშ-ს საელჩოს საგანგებო განცხადება გავრცელდა:

„ვშიშობთ, რომ პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი დებულების რეტროაქტიური გამოყენება კიდევ უფრო უთანასწოროს გახდის პოლიტიკურ კონკურენციას“, – ეწერა განცხადებაში. იმავე დღეს, კანონის ეს მუხლი თავიდან ჩასწორდა და მან რეტროაქტიური გამოყენების ძალა დაკარგა.

2010 წლის შემოდგომაზე „ვიკილიქსის“ საშუალებით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა მილიონობით გასაიდუმლოებული დიპლომატიური არხი. იმ პერიოდში გამოქვეყნდა იმ საიდუმლო მიმონერის ნაწილიც, რომელსაც აშშ-ს მოქმედი ელჩი თავის კოლეგებთან ანარმოებდა. ამ მასალების გამოქვეყნების შემდეგ გამოჩნდა, რომ ჯონ ბასის საჯაროდ გამოთქმული კრიტიკა ძალიან ახლოსაა იმ შეფასებებთან, რასაც ის საიდუმლო დოკუმენტებში უსვამს ხაზს.

საქართველო ომის შემდეგ „დღეს ყველაზე სტაბილურია“, თუმცა, ეს გაუმჯობესება დროებითია. „საზოგადოებასა და პოლიტიკაში დაუცველობის შეგრძნება ისევ ძლიერია“, – წერს ჯონ ბასი ავღანეთსა და პაკისტანში ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რიჩარდ ჰოლბრუკს 2010 წლის 17 თებერვალს. ბასი ჰოლბრუკს სთხოვს, სააკაშვილი დაარწმუნოს, რომ თუ ის ქვეყნის შიგნით დემოკრატია არ გააძლიერებს, იმ უსაზღვრო კეთილგანწყობას დაკარგავს, რაც ავღანეთში ქართული მისიის გაგზავნის გამო დაიმსახურა.

ერთ-ერთ არხში ბასი ქართულ მედიასაც ახსენებს: „ძლიერი სამთავრობო ზეგავლენა, თუ პირდაპირი კონტროლი არა, სამაუწყებლო და სხვა მედიასაშუალებებზე განსაკუთრებით ართულებს საქმეს ოპოზიციისთვის... არ არსებობს მყარი კედელი, რომელიც მედიორგანიზაციაში რედაქტორებს მენეჯმენტისგან გამიჯნავს. ჟურნალისტები ხშირად თვითცენზურას მიმართავენ“, – წერს ბასი.

„თქვენი მოვალეობაა, დამისვით მწვავე კითხვები, რომ თავი არაკომფორტულად

ვიგრძნო. ქართველი ჟურნალისტები ასე არ იქცევიან, ვფიქრობ, ამას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს – ან ჟურნალისტები საკმარისად არ უღრმავდებიან თემას, ან მწვავე კითხვის დასმის დროს თავს უსაფრთხოდ და კომფორტულად არ გრძობენ“, – ამას ქართველ ჟურნალისტებს ბასი უკვე პირადად ეუბნება, 2010 წლის 13 დეკემბერს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) გამართულ შეხვედრაზე. ლონისძიების მთავარი სტუმარი ამერიკელი სამხედრო ჟურნალისტი, მარი კოლივინა.

2 დეკემბერს ჯონ ბასი და მისი მეუღლე სასტუმრო „პოლიდეი ინში“ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას ესწრებოდნენ. ელჩი სიტყვით უნდა გამოსულიყო. ტექსტი გულისყურით მოამზადა.

„ბოლო დეტალები მანქანაში ერთად გავიარეთ“, – მეუბნება ჰოლი შეხვედრის დაწყებამდე 5 წუთით ადრე.

როდესაც საქმე ოჯახურ ძალადობასა და ქალთა დისკრიმინაციას ეხება, ჯონ ბასისთვის მთავარი ექსპერტი მეუღლეა. სანამ დიპლომატი გახდებოდა, ჰოლი ჰოლცერი სოციალური მუშაკი იყო. ჩიკაგოში ცხოვრების დროს, ის წლების მანძილზე მუშაობდა პრობლემურ ოჯახებთან, გენდერული ძალადობის მსხვერპლებთან და თავშესაფრებში მცხოვრებ ბავშვებთან, რომელთა რჩენის საშუალებაც მშობლებს არ ჰქონდათ.

ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა ბოსტონში სტაჟირებაზე მოხვდა ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ციხიდან ახალგაზრდა ქალების უფლებებს იცავდა. იქ მან გაიცნო ქალი, რომელიც წლების მანძილზე ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იყო, ერთ დღესაც კი, მეუღლესთან ჩხუბის დროს, როცა ქმარი მის მოკვლას შეეცადა, თვითონ მოკლა მეუღლე. მას ბრალი წაუყენეს და რამდენიმე წლით ციხეში ჩასვეს.

„მჯერა, რომ ადამიანები გარკვეული მიზეზებით შემოდინდნენ შენს ცხოვრებაში: ზოგი ცოტა ხნით რჩება, ზოგიც დიდი ხნით, მაგრამ სხვადასხვანაირად ახდენენ ზეგავლენას. ამ ქალთან ძალიან ცოტა ხნით მქონდა ურთიერთობა, მაგრამ სამუდამოდ შეცვალა ჩემი ცხოვრება და წარმოდგენები“, – ამბობს ჰოლი.

ქალთა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის მანძილზე, სადაც არ უნდა შეხვედროდით ჰოლი ჰოლცერს – თბილისის კინოფესტივალზე, რომელიც ოფიციალურ მიღებაზე, თუ შინ, ელჩის



ფოტო მასა ბონალუამ

რეზიდენციაში, გულზე ყოველთვის თეთრი ბაფთა ეკეთა – გენდერული თანასწორობის სიმბოლო.

„ყოველ დღე ვსწავლობ აქაურ სიტუაციას და ყველას მოთმინებას ვაფასებ, ვისაც ზედმეტად ვაწუხებ ჩემი კითხვებით“, – მითხრა ჰოლიმ ნუცა ალექსი-მესხიშვილის ფილმის „ბედნიერების“ ჩვენების შემდეგ, რომელიც საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ქართველი ქალების ცხოვრებას აღწერს. ბოლო თვეების მანძილზე ჰოლიმ ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალების თავშესაფრებიც მოიარა თბილისში, ბათუმსა და გორში.

გაეროს მოსახლეობის ფონდის ერთ-ერთი ბოლო კვლევის მიხედვით, ქორწინებაში მყო-

ფი ყოველი მე-11 ქალი აღიარებს საქართველოში იმას, რომ ყოფილა მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ამავე კვლევის მიხედვით, გამოკითხულ ქალთა 34 პროცენტი სრულიად დასაშვებად მიიჩნევს ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში; ხოლო 50 პროცენტი ფიქრობს, რომ ცოლი ქმარს უნდა უჯერებდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არ ეთანხმება.

„სწორედ ამ ქალებს გვინდა, მივანვიდინოთ ხმა. ოჯახის სინდინდის მეც მჯერა, მაგრამ ასევე ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავი დაცულად იგრძნოს სახლში“, – ამბობს ჰოლი.

2000-იან წლებში, როდესაც ამერიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მი-

მართული კამპანიები შეასუსტეს, ძალადობის ფაქტებმა საგრძნობლად იმატა. გამოკითხვების თანახმად, 2007 წელს ამერიკაში თითქმის 25 ათასი ქალი გახდა გაუპატიურების, ან სექსუალური თავდასხმის ობიექტი – ორჯერ მეტი, ვიდრე 2005 წელს.

8 დეკემბერს პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელ გოგონებთან შეხვედრა, ჰოლი ჰოლცერ-ბასმა შეაჯამა: „მინდა, რომ ყველამ საკუთარ თავს ჰკითხოთ, რას აკეთებენ თქვენი პარტიები იმისთვის, რომ ქვეყანაში ქალებს და მამაკაცებს თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეთ. ანდა იმისთვის, რომ ქალები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში“, –





უთხრა ელჩის მეუღლემ შეხვედრის ბოლოს ახალგაზრდებს.

ჰოლი ჰოლცერი კალიფორნიაში გაიზარდა. მამა გეოლოგი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორია. დედა არტისტი, რომელიც მარკეტინგის განხრით მუშაობდა. თვითონაც და მისი დაც თავისუფალ გარემოში იზრდებოდნენ. მათ არჩევანს მშობლები ყოველთვის პატივს სცემდნენ, „ჩვენ ყველაფერი შეგვეძლო გაგვეკეთებინა, იმას, რომ გოგოები ვიყავით, მნიშვნელობა არასდროს ჰქონია“, – იხსენებს ჰოლი ჰოლცერი.

სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობა 2003 წელს დაიწყო და სამსახურებრივი მისიით ცხოვრობდა ნეპალში, ერიტრეაში, საქართველოში ჩამოსვლამდე კი – ბაქოში.

საბოლოოდ მიხვდა, რა იყო ის, რაც მას საშუალებას მისცემდა გავლენა მოეხდინა იმაზე, რასაც მნიშვნელოვნად თვლიდა: „დიპლომატია სხვა პლატფორმას და სხვა შესაძლებლობებს მაძლევს, რათა იმ საკითხებზე ვიზრუნო, რომელიც მალეღვებს.“

დიპლომატიის არსს ჯონ ბასიც დაახლოებით ასე ხედავს. „ჩვენ ორივეს სერვისის, სხვათა მსახურების იდეა გვაერთიანებს. გვინდა, სამყარო უკეთესობისკენ შეცვალოთ“, – ამბობს ელჩი.

ის აფსთვით ნიუ-იორკში, ნიუ-იორკის შტატის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ და უსაფრთხო ნაწილში გაიზარდა. მამა ამერიკის საპაერო ძალების პილოტი იყო, რომელიც პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა. ამის გამო თვითონაც მთელი ბავშვობა პილოტობაზე ოცნებობდა. თუმცა, 14 წლის ასაკში მხედველობის პრობლემა გაუჩნდა. „ეს ამ პროფესიისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი იყო, თუმცა მაინც მინდოდა, პილოტი გაემხდარიყავი და როცა სკოლას ვამთავრებდი, ჯერ კიდევ არ მქონდა გადაწყვეტილი, რას ვიზამდი“, – იხსენებს ჯონ ბასი.

ჯერ კიდევ თინეიჯერი იყო, როცა 1979 წელს ირანში ე.წ. „იპლომატიის კრიზისი“ დაიწყო. ის მთელი 444 დღის განმავლობაში ადევნებდა თვალს თეირანში, აშშ-ს საელჩოში მძევლად აყვანილი 50-მდე ამერიკელის ისტორიას. ამ დიპლომატიური კრიზისის დროს, როცა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ირანელებთან ჩამოხლეჩილი მოლაპარაკებების შემდეგ, ამერიკული საელჩოს შტურმით აღების ბრძანება გასცა, ახალგაზრდა ჯონ ბასმა იგრძნო, რა ძალა აქვს მწვავე პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისას დიპლომატიას. მან ამ პერიოდში მიიღო გადაწყვეტილება, რომ დიპლომატია უნდა ესწავლა.

„დიპლომატობა გაძლევს უნიკალურ შანსს, ნახო მთელი მსოფლიო, გაიცნო კულტურების მრავალფეროვნება, იყო „კედელზემწერი“ (fly on the wall) ისტორიული ფიგურების ფონზე, რომლებიც მთელ ეპოქას ცვლიან. ამ ყველაფრის ფასი კი ის არის, რომ ფესვებს ვერსად ვიდგამთ, ვერ ვფუძნდებით“, – მეუბნება ჯონ ბასი.

მან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იმდენად მდიდარი გამოცდილება დააგროვა, ზოგჯერ იმის დაჯერებაც კი უჭირს, რომ აქ მხოლოდ 2 წელია რაც ცხოვრობს.

ამ ხნის მანძილზე საქართველოში მომხდარ თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენაში უშუალო მონაწილეობის შემდეგ,

აშშ-ს ელჩი ზუსტად იხსენებს იმ ცვლილებებს, რისი თვითმხილველიც გახდა.

„ხალხის უმეტესობას ცვლილებების მოხდენა უკვე ორგანიზაციებისა და პოლიტიკური გაერთიანებების შექმნით, დისკუსიისა და კამათის გზით უნდა და არა ქუჩის აქციებით. სახალხო გამოსვლები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ყოველთვის საუკეთესო გზა არაა გარემოს შესაცვლელად“, – ამბობს ჯონ ბასი.

საუბარში ჰოლიც ერთვება. „ყოველთვის არის ცდუნება, რომ თითი გაიშვირო და თქვა, მთავრობა ან სხვა ვინმეა ამაში დამნაშავე. მაგრამ დემოკრატიაში, პირველ რიგში, მოქალაქეები არიან პასუხისმგებლები“.

ჰოლი და ჯონ ბასების ეს გულწრფელი შეფასებაც საზოგადოების ნაწილში ისევე ტრადიციული კამათის საგანი შეიძლება გახდეს. მაინც რას უჭერს აშშ-ს მთავრობა მხარს – დემოკრატიულ პროცესებს, თუ პოლიტიკურ მხარეებს?

ჯონ და ჰოლი ბასები საქართველოში 2013 წლამდე დარჩებიან. მანამდე არჩევნებია საქართველოშიც, ამერიკაშიც და რუსეთშიც. საქართველოს მნიშვნელოვანი გამოწვევები ელის. მაისში ჩიკაგოში ნატოს სამიტი გაიმართება, სადაც ჩვენი ქვეყნის ალიანსში განუერთიანებაზეც იქნება საუბარი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ოქტომბერში დანიშნული საპარლამენტო არჩევნებია, რომელიც კონკრეტულად საქართველოს ხელისუფლებისთვის, ზოგადად, პოლიტიკოსებისთვის და სამოქალაქო საზოგადოებისთვის დიდი გამოცდა იქნება.

„ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ბევრი სირთულე გაჩნდა და იმისთვის, რომ საარჩევნო პერიოდში ხელისუფლების პოლიტიკა საზღვრებს არ გასცდეს, ამერიკის ელჩს, ალბათ, მნიშვნელოვანი როლი ექნება“, – ამბობს გია ნოდია.

2011 წლის თებერვალში აშშ-ს ელჩმა კითხვაზე: „როგორი იქნება თქვენი რეაქცია თუ პრეზიდენტი სააკაშვილი 2013 წლის არჩევნების შემდეგაც დარჩა ხელისუფლებაში პრემიერ-მინისტრის პოსტზე?“ უპასუხა: „დიპლომატიაში დიდი ხნის წინ ვისწავლე, რომ ჰიპოთეტურ კითხვებზე პასუხის გაცემა კარგი იდეა არ არის, – თქვა ბასმა და გააგრძელა, – ვფიქრობ, ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში ახალი თვალთახედვის, ახალი ენთუზიაზმის, ახალი დინამიზმის, პრობლემებზე ახალი შეხედულებისა და ახალი გამოცდილების შეტანა აუცილებელია. სწორედ ეს არის დემოკრატის არსი“.



# ჯიბ სტიკეტან ყავისა და სიგარეტის გარეშე

ავტორი ნინო ჩიხაძე





ჯიმ სტარკი

1982 წლის ერთ მშვენიერ დღეს ნიუ-იორკის ერთ-ერთი მსხვილი კოორპორაციის თანამშრომელი, იურისტი ჯიმ სტარკი, შემთხვევით, რომელიღაც პოეზიის სალამოზე მოხვდა. მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ეს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი შეხვედრა მთელ მის ცხოვრებას თავდაყირა დააყენებდა და რადიკალურად შეცვლიდა ახალგაზრდა, რესპექტაბელური იურისტის უზრუნველ, მაგრამ ერთფეროვან და რუტინულ ყოველდღიურობას. სალამოზე ჯიმმა მიმზიდველი გოგონა, სარა დრაივერი გაიცნო და მოიხიბლა. სარა კინოსკოლაში სწავლობდა და ბუნებრივია, კინოთი იყო გატაცებული. ჯიმმა კი, რომელსაც უნდოდა მასზე შთაბეჭდილება მოეხდინა, იცრუა და უთხრა, რომ ისიც გასართობ ინდუსტრიაში მუშაობდა იურისტად. გოგონა ამით მაინც ვერ მოხიბლა, მაგრამ, როგორც ჩანს, რალაცით მაინც დააინტერესა, რადგან 2 თვის შემდეგ მისგან მოულოდნელი შემოთავაზება მიიღო:

„სარამ დაამირეკა და მითხრა, რომ მისი მეგობარი ბიჭი მოკლემეტრაჟიანი ფილმის სრულმეტრაჟიან მხატვრულ ნამუშევრად გადაკეთებას აპირებდა. კონტრაქტისა და სხვა ბიუროკრატიული დეტალების მოსაგვარებლად კი, იურისტი სჭირდებოდათ. სარას და მის მეგობარს ფული არ ჰქონდათ, ამიტომ ისეთ ადამიანს ეძებდნენ,

ვინც ამ პრობლემებს ანაზღაურების გარეშე გადაუჭრიდა.“ – მიყვება თითქმის 30 წლის წინანდელ ამბავს სტარკი.

„მე კარგი სამსახური მქონდა და ფულის პრობლემა დიდად არ მანუხებდა. კინოც ყოველთვის მაინტერესებდა. „რატომაც არა“ – გავიფიქრე და შეხვედრაზე შევეთანხმდი“ – იხსენებს პროდიუსერი.

სარას მეგობარი – თმაგაჩეჩილი, ჯინსებსა და მაისურში გამოწყობილი ბიჭი მაშინ ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი ჯიმ ჯარმუში აღმოჩნდა. ისიც და ჯიმ სტარკიც ერთი ქალაქიდან, კლივლენდიდან იყვნენ და ერთსა და იმავე ბეისბოლის გუნდს გულშემატკივრობდნენ, ამიტომ ერთმანეთს ადვილად გაუგეს და ფილმზე მუშაობაც მალევე დაიწყეს.

ეს ფილმი დამოუკიდებელი კინოს საეტაპო ნამუშევრად აღიარებული „სამოთხეზე უცნაური“ (Stranger than Paradise) იყო. კინო ეკრანებზე 1984 წელს გამოვიდა და მისი ბიუჯეტი სულ რაღაც 100 000 დოლარი იყო. აბსურდულ-მინიმალისტურმა შავ-თეთრმა კომედიამ, ყველასთვის მოულოდნელად, მსოფლიო აღიარება მოიპოვა: კანის ფესტივალზე მას ოქროს კამერა მისცეს საუკეთესო დებიუტისთვის, მთავარი ჯილდოები დაიმსახურა სანდენსისა და ლოკარნოს კინოფესტივალებზეც, ამერიკის კინოკრიტიკოსთა ასოციაციამ კი, ჯარმუ-

შის ექსპერიმენტი წლის საუკეთესო ნამუშევრად დაასახელა.

„კადრები ისეთი დაცარიელებულია, რომ ყოველ პატარა დეტალს შენიშნავ. პერიოდულ ჩაბნელებებს კი სემუელ ბეკეტის პაუზის ეფექტი აქვს: ისინი გვაიძულებს უფრო ყურადღებით ვუყუროთ, ისევე როგორც ბეკეტი, მეტი ყურადღებით მოსმენისკენ გვიბიძგებს“ – წერდა „ნიუ იორკერის“ კინოკრიტიკოსი, პაულინ კაელი ფილმის შესახებ.

ასე დაიწყო ჯიმ სტარკის კინოკარიერა და მისი მრავალწლიანი ურთიერთობა თანამედროვე ამერიკული Indie კინოს გურუსთან, ჯიმ ჯარმუშთან.

დღეს უკვე სტაჟიანი და გავლენიანი პროდიუსერი საკუთარ გამოცდილებას კინოთი დაინტერესებულ ადამიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უზიარებს და მათ შეკითხვებსაც დაუზარებლად პასუხობს. ამის საშუალება ცოტა ხნის წინ ქართველ კინომანებსაც მიეცათ: სტარკი თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალისა და ამერიკის საელჩოს მოწვევით თბილისში იმყოფებოდა და ფესტივალზე ჯერ საკუთარი ფილმი წარადგინა, შემდეგ კი, თითქმის 2 საათიანი მასტერკლასიც ჩაატარა, რომელიც დამოუკიდებელ კინოში პროდიუსერის შემოქმედებით როლს ეხებოდა.

ჯიმ სტარკი ძალიან უშუალო, ზედმეტი



# „პროდიუსარისა და რეჟისორის ურთიერთობა ქორწინებასავითაა. თუ ხვდები, რომ რეჟისორთან ყოველდღიურ საუბარს და ურთიერთობას ვერ შეძლებ, თანამშრომლობა წარმატებული ვერ იქნება“, – ამბობს ჯიმ სტარკი.

ამბიციებისგან თავისუფალი და საინტერესო ადამიანია, რომელსაც არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა და ძალიან მწყობრად ჩამოყალიბებული ხედვა აქვს.

„როდესაც მეკითხებიან, თუ როგორ ფილმებს ვიღებ, ვპასუხობ ხოლმე – ეს ძირითადად სუბლელური კომედიებია“ – ასე დაიწყო საკუთარ კინოკარიერაზე საუბარი პროდიუსერმა. სტარკმა თავისი პროფესიის დაუფასებლობაზეც იუმორით ისაუბრა.

„ერთხელ, სანდენსის კინოფესტივალზე „ცივი ცხელების“ ჩვენებაზე დასასწრებად ჩავედი. მათ ასეთი წესი აქვთ: ფილმის ავტორებს ბილეთებს უფასოდ ურიგებენ. მეც მივედი შემოქმედებითი ჯგუფისთვის განკუთვნილ მაგიდასთან და ვთხოვე: შეიძლება „ცივი ცხელების“ ბილეთები ავიღო? გოგომ, რომელიც იქ იჯდა, მკითხა – თქვენ ვინ ხართ? „პროდიუსერი“ – ვუპასუხე მე. მან კი მითხრა: — ეს ფილმის შემქმნელების მაგიდაა. მე ვუთხარი, რომ ფილმის სცენარიც ჩემი დანერგული იყო. მან ისევ ხაზი გაუსვა, რომ ეს მაგიდა მხოლოდ ავტორებს ემსახურებოდა. მე ვუთხარი, რომ ფილმის იდეაც ჩემი იყო, ის კი ისევ იმეორებდა, რომ ეს ბილეთები ფილმის შემქმნელებისთვის იყო განკუთვნილი“ – სიცხილთ იხსენებს ამ ამბავს სტარკი.

პირველი ფილმის შემდეგ ჯიმ სტარკი კვლავ განაგრძობს ჯარმუშთან თანამშრომლობას და რეჟისორის მომდევნო ფილმებში, უკვე, პროდიუსერის სტატუსით ერთვება. მათი ურთიერთობა მართლაც კარგად აეწყო, რადგან ჯიმ ჯარმუშს საუკეთესო ფილმები სწორედ სტარკთან თანამშრომლობით აქვს გადაღებული: „კა-

ნონგარეშე“ (Down by law) „ მისტიური მატარებელი“ (Mystery Train) პირველი ორი ნოველა ფილმიდან: „ყავა და სიგარეტი“ (Coffee and cigarettes) , „ღამე დედამიწაზე“ (Night on earth).

უკვე კლასიკად ქცეული „ყავა და სიგარეტი“ შექმნის ისტორიაზე საუბრისას პროდიუსერი იხსენებს, რომ ფილმის პირველი ნოველა, თავდაპირველად, პოპულარული ტელეშოუსთვის: Saturday night live-სთვის გადაიღეს, 1986 წელს.

„მათ ერთგვარი მხარდაჭერა გამოუცხადეს დამოუკიდებელ ამერიკულ კინოს და გადაწყვიტეს, რაღაც პერიოდის მანძილზე მოკლე ფილმები დაეფინანსებინათ. ასეთი ფილმის გადაღება მათ ჯიშსაც შესთავაზეს.“ ნოველა strange to meet you ერთ დღეში გადაიღეს ნიუ-იორკის ერთ ძველ, მიტოვებულ შენობაში. დეკორაციისთვის მხოლოდ მაგიდა, ორი სკამი, ყავა და სიგარეტი დასჭირდათ. მთავარ როლებს ფილმში იმ დროისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი რობერტო ბენინი და სტივენ რაითი არსულბდნენ.

ნოველა იმაზე დიდი გამოვიდა, ვიდრე შოუსთვის სჭირდებოდათ, ამიტომ ეთერში გაშვებისას ეპიზოდების ნაწილი ამოჭრეს. თუმცა საავტორო უფლებას ჯარმუში ფლობდა და ცოცხა ხანში მან ფილმის სრული ვერსიის გამოშვება და მეორე ნაწილის გადაღებაც გადაწყვიტა. მეორე ნაწილი The twins 1989 წელს, როგორც სტარკი იხსენებს, „მისტიური მატარებლის“ გადაღების ბოლო დღეს გადაიღეს და მასში ამავე ფილმის მსახიობები, სენკი ლი, ჯოან ლი და სტივ ბუშემი ათამაშეს.

„როცა ფერად „მისტიური მატარებელს“

მოვრჩით, კამერები შავ-თეთრ სისტემაზე გადავრთეთ და „ყავა და სიგარეტი“ მეორე ნაწილიც გადავიღეთ“, – ამბობს სტარკი.

„ჯიმი დიდი რეჟისორია. ის განსაკუთრებულად ძლიერი მთხრობელია, არაჩვეულებრივ სცენარებს წერს, რომლებიც ძალიან კარგად იკითხება. ამავე დროს, პირდაპირი და გულწრფელი ადამიანია. მის ამ თვისებებს ძალიან ვაფასებ. დღესაც, ყოველთვის ვამაყობ, როცა მისი ახალი ფილმი გამოდის და კარგ შეფასებას იმსახურებს“, – აღნიშნავს პროდიუსერი.

ჯიმ სტარკი ფიქრობს, რომ თუ რეჟისორსა და პროდიუსერს შორის რაღაც უხილავი კავშირი არ გაიბა, არაფერი გამოვა: „პროდიუსერისა და რეჟისორის ურთიერთობა ქორწინებასავითაა. თუ ხვდები, რომ რეჟისორთან ყოველდღიურ საუბარს და ურთიერთობას ვერ შეძლებ, თანამშრომლობა წარმატებული ვერ იქნება.“ – ამბობს სტარკი.

სწორედ პირადი ურთიერთგაგება და ეს მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო განმსაზღვრელი, რის გამოც მისი „ქორწინება“ ჯიმ ჯარმუშთან თითქმის 10 წელი გაგრძელდა. დღეს ისინი ცალ-ცალკე იღებენ ფილმებს, თუმცა პერიოდულად მაინც ნახულობენ ერთმანეთს. მათი დამაკავშირებელი ისევ სარა დრაივერია, რომელიც დღესაც ჯარმუშთან ერთად ცხოვრობს, ჯიმ სტარკთან კი სხვადასხვა პროექტებზე თანამშრომლობს. „სარასგან ვიგებ ხოლმე ჯიმის ამბებს, როცა ვახერხებთ ერთმანეთსაც ვნახულობთ“, – ამბობს პროდიუსერი. ხუთ ფილმში თანამშრომლობის შემდეგ ჯარმუშისა და სტარკის გზები გაიყო: იმ დროისათვის უკვე ორივე ჩამოყალიბებული პროფესიო-

ნალი იყო და გადაწყვიტეს, საკუთარი ძალები ერთმანეთის გარეშე მოესინჯათ:

„რალაც ემართებათ რეჟისორებს, როცა თავს დაიმკვიდრებენ, უფრო რთულდება ყველაფერი; პირველ და მეორე ფილმზე მუშაობა გაცილებით უფრო ადვილია და დაძაბულობაც ნაკლებია ხოლმე: შეგიძლია არაჩვეულებრივი ფილმი გადაიღო და მუშაობის პროცესში საერთოდ არაფერზე იდარდო, მერე კი, რატომღაც, ყველა დეტალზე ბევრს ფიქრობ და ნერვიულობ“, – ამბობს პროდიუსერი.

ჯიმ სტარკს ყოველთვის ხიბლავდა ახალი რეჟისორების აღმოჩენა და თუნდაც რისკის ფასად, მათთან თანამშრომლობის დანება. კარგი ყნოსვისა და პროფესიული ინტუიციის წყალობით, მისი რისკი ძირითადად ამართლებდა. ახალბედა რეჟისორებთან ერთად შექმნილ ფილმებს, როგორც წესი, პროფესონალებისა და მაცურებლების აღიარებას ხვდებოდა.

„საუკეთესო, რაც შეიძლება ვისურვო, ისაა, რომ, როცა დარბაზში შუქი აინთება და ფილმი დასრულდება, მაცურებელმა თქვას: ეს რალაც ახალია, რაც მანამდე არასდროს მინახავს. სწორედ ასეთი გამოხმაურება ჰქონდა „სამოთხეზე უცნაურს“. ისევე როგორც „ცივი ცხელება“. მართალია, ამას ყოველთვის ვერ შეძლებ, მაგრამ რაც უფრო ხშირად მოგახერხებ, მით ბედნიერი ვიქნები“, – აღნიშნავს პროდიუსერი.

„ცივი ცხელება“ (1995) ჯიმ სტარკმა თბილისშიც ჩამოიტანა. ფილმი, რომლის რეჟისორიც ისლანდიელი ფრიდრიკ თორ ფრიდრიკსონია, ე.წ. Road Movie-ს სტილშია გადაღებული და ის ახალგაზრდა იაპონელი ბიზნესმენის მოგზაურობას ასახავს ისლანდიაში: მთავარი გმირი გზადაგზა უცნაურ ადამიანებს ხვდება და მათი საშუალებით უკეთესად ეცნობა საკუთარ თავს და ცხოვრებას. ფილმმა, მოგზაურობისას განვითარებული ამბებითა და ვიზუალური ესთეტიკით, შესაძლოა, ჯარმუშის „მისტიური მატარებელიც“ მოგაგონოთ. სტარკი ამ ფილმის სცენარის თანაავტორიცაა. ეს მისი, როგორც სცენარისტის დებიუტი იყო, რის შემდეგაც ამ ამპლუაში უკვე რამდენიმე მომდევნო ფილმშიც სცადა თავი.

„ცივი ცხელება“, ისევე როგორც სტარკის პროდიუსერობით გადაღებული ფილმების დიდი ნაწილი, დაბალბიუჯეტისაა. ის დაახლოებით 150 000 დოლარამდე დაჯდა.

ჯიმ სტარკს საკუთარი საპროდიუსერო სტუდია არ აქვს. არც რომელიმე მსხვილ კომპანიასთან თანამშრომლობის სურვი-

ლი აქვს: მათი კომერციაზე ორიენტირებული სტანდარტები და კლიშეები, ისევე როგორც, კომპანიების სქელჯიბიანი მეპატრონეები, არასოდეს ხიბლავდა. როგორც თავად ხუმრობით უწოდებს – საკუთარი One man studio-ს საშუალებით ცდილობს ისეთი სპონსორების მოძებნას, რომლებიც მისი და რეჟისორის საქმიანობაში არ ჩაერევიან: „ეს თავისუფლება ჩემთვის ძალიან ძვირფასია, ამიტომ მირჩევნია ჩემით ვეძებო ფინანსები“

პროდიუსერის აზრით, ფილმის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მოულოდნელი სცენარია, რომელიც შეიძლება ძალიან ბანალურ თემებზე იყოს აგებული: სიყვარული, ცხოვრება, სიკვდილი, გამარჯვება, დამარცხება – ამბავი, რომელსაც ყველგან, ყველა ქვეყანაში გაიგებენ და რომელიც ყველა ადამიანისთვის ახლობელია. კარგად გაკეთებული უნივერსალური ამბავი, რომელსაც საინტერესო, გამიზნული დასასრული აქვს – ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ ერთგვარი ფორმულა, რომელსაც ჯიმ სტარკი ყოველთვის ითვისინინებს:

„დასასრულს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მთელი ფილმი ფინალისკენ სვლა უნდა იყოს, ფინალისკენ, რომელიც ლოგიკურად იქნება და არაორდინარულიც“.

კიდევ ერთი რამ, რასაც სტარკი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს – კარგი იუმორია. „მხოლოდ მძიმე ისტორიამ და ძალიან რთულმა იდეამ შესაძლოა დააფრთხოს მაცურებელი, თუ მასში რალაც დოზით მსუბუქი სანელებლებიც არ იქნება შერეული. დროდადრო ფილმში წამოჭრილი სერიოზული საკითხები კონტექსტის შესაფერისი, თუნდაც შავი იუმორით უნდა გაჯერდეს. „თუ ამ ყველაფერს ერთად კარგად შეზავებ და შეფუთავ, მაშინ მოახერხებ მაცურებელი ეკრანთან დატოვო და ფილმი ბოლომდე აყურებინო“, – აღნიშნავს ჯიმ სტარკი.

პროდიუსერის ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნამუშევარი „ფაქტოტუ-მია“ (2005); ცნობილი ამერიკელი მწერლისა და პოეტის, ჩარლზ ბუკოვსკის ნოველის მიხედვით გადაღებული ფილმი, რომლის რეჟისორიც ნორვეგიელი ბენტ ჰამერიია. რეჟისორმა და ჯიმ სტარკმა სცენარი ერთად დაწერეს, შემდეგ ბუკოვსკის ქვრივისგან ფილმის გადაღების უფლება აიღეს.

„ფილმი შუა ხნის ასაკის ბევრ ადამიანს არ მოეწონა, რადგან ბუკოვსკი სწორედ მათ ბურჟუაზიულ-მემწანურ ღირებულებე-

ბს დასცინოდა“, – იხსენებს სტარკი.

ფილმს ბუკოვსკის ფანების ნაწილიც აკრიტიკებდა, რაც ჩვეულებრივი რამაა ცნობილი ავტორების წიგნების ეკრანიზაციისას. მიუხედავად ამისა, „ფაქტოტუმი“ კინოკრიტიკოსებმა მაინც დააფასეს, როგორც ნოველის არაპოლიფუნქციური, არაკომერციული ეკრანიზაცია. განსაკუთრებით კი მსახიობების თამაშით მოიხიბლნენ: „მეთ დილონი გააზრებულად და საინტერესოდ წარმოაჩენს ბუკოვსკის ალტერ ეგოს, ჰენრი ჩინავსკის პერსონაჟს და რაც მთავარია, არ ალამაზებს და ხელოვნურ გლამურულობას არ აკერებს მის ლოთობას“, – წერდა ფილმის შესახებ პიტერ ბრედშოუ, „გარდიენის“ კინოკრიტიკოსი.

სტარკის ბოლო ნამუშევარი ამერიკული ირლანდიური ფილმი „პიერია“, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, საკმაოდ მძიმე დრამა გამოვიდა და მას იუმორმაც დიდად ვერაფერი უშველა.

ფილმის რეჟისორი ირლანდიელი ჯერარდ ჰარლია, რომელიც მთავარ როლსაც თავადვე თამაშობს. „პიერი“ ზაფხულში კარლოვი ვარის ფესტივალზე აჩვენეს, თუმცა მისი ოფიციალური პრემიერა 2012 წელს შედგება. „ეს ძალიან რეალური, სევდიანი ისტორიაა მამისა და შვილის ურთიერთობაზე. ფილმის დამთავრების შემდეგ მაცურებლების დიდი ნაწილი ტიროდა“ – ჰყვება ჯიმ სტარკი.

ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს ამერიკული ინდი კინოს ვარსკვლავი, ლილი ტეილორიც თამაშობს („არიზონას ოცნებაში“ გრეის სტალკერის როლი). ტეილორი სტარკის 3 ფილმშია გადაღებული და მისი ერთ-ერთი საყვარელი მსახიობია. სტარკი, მსახიობების შერჩევას მხოლოდ სინჯებით არ კმაყოფილდება: „შეიძლება მსახიობმა კონკრეტულ სცენას კარგად გაართვას თავი, მაგრამ რეალურად ცუდი მსახიობი იყოს ან როლს ვერ მოერგოს“, – ამბობს სტარკი, რომელიც მსახიობებს სხვა ფილმებში შესრულებული როლებით აფასებს (თუ, რა თქმა უნდა, მსახიობი ახალბედა არაა) და მათ თამაშს ყურადღებით აკვირდება: „განსაკუთრებით მაინტერესებს მსახიობები, რომლებიც ცუდ ფილმებშიც კარგად თამაშობენ. ე.ი. ისინი მართლაც კარგი მსახიობები არიან“, – ასკვნის პროდიუსერი.

„ყოველთვის საინტერესოა ახალი ქვეყნების და ახალი რეჟისორების აღმოჩენა. საქართველოდან კი დიდი ხანია არაფერი გვსმენია და არაფერი გვინახავს“, – ამბობს



# ჯიმ სტარკი თავისი შემოქმედებით და ცხოვრების სტილით ანბრევს მითს იმის შესახებ, რომ ასაკთან ერთად ადამიანები უფრო კონსერვატორები და კონფორმისტები ხდებიან. მისი განწყობა და შეხედულებები დღესაც ისეთივე როვანტორული და ენთუზიაზმით სავსეა, როგორც 30 წლის წინ.

პროდიუსერი, რომელსაც თბილისის კინო-ფესტივალამდე ბევრი არაფერი გაეგო თანამედროვე ქართულ კინოს შესახებ, თუმცა ძველი კლასიკიდან თავის დროზე რამდენიმე ფილმი ნანახი აქვს.

ჯიმ სტარკი ამბობს, რომ ისეთ სიტუაციაში, როგორშიც დღეს ქართული კინოა – სანამ ინდუსტრია განვითარდება და კინოს მხარდაჭერით კერძო პირები დაინტერესდებიან, ყველაზე კარგი გამოსავალი სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა იქნებოდა: „სახელმწიფო ინვესტიციები უფრო მეტი ფილმის გადაღების საშუალებას მოგვცემთ, რაც, დროთა განმავლობაში, ხარისხსაც გააუმჯობესებს“ – ამბობს სტარკი და დასძენს, რომ საქართველოს თავისი ადგილმდებარეობისა და ლანდშაფტის გამო ძალიან კარგი შანსი აქვს საერთაშორისო კინომწარმოებლები მოიზიდოს. მით უმეტეს, რომ აქ გადაღება ბევრად უფრო იაფი ჯდება.

პროდიუსერმა თავის გატაცებას არც საქართველოში უღალატა და განსაკუთრებული ყურადღება თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე დებიუტანტებს მიაპყრო: „მე მომეწონა თქვენი პირველი ფილმი, დარწმუნებული ვარ, წინ საინტერესო მომავალი გელით“ – მისწერა მან ქეთი მაჭავარიანს მისი ფილმის, „მარილივით თეთრის“ ნახვის შემდეგ. „Feel free to contact me anytime“ – ასე ტრივიალურად მთავრდებოდა მეილი, რომელიც რეჟისორმა მისგან მიიღო, თუმცა, ჯიმ სტარკთან პირად კონტაქტზე გასვლა ნებისმიერი დებიუტანტი რეჟისორისთვის კარგი შანსი შეიძლება გახდეს.

„ვფიქრობთ, რომ ჯიმ სტარკი შეიძლება ჩაერთოს კინოგანათლების რეფორმის

საკითხში და საქართველოში საერთაშორისო კინოპროფესიონალების მოწვევაში დაგვეხმაროს. რაც უფრო ხშირი იქნება კონტაქტი, მით უფრო რეალურია, რომ მან თავად გადანყვიტოს საქართველოში ფილმის გადაღება. ვფიქრობ, ეს პროცესი უკვე დაიწყო“, – ამბობს კინოცენტრის ხელმძღვანელი თავო ტატიშვილი, რომელიც თბილისის შემდეგ სტარკს ამ დეტალებზე სასაუბროდ თებერვალში ბერლინის კინოფესტივალზე შეხვდება.

ამ ეტაპზე ჯიმ სტარკი თავის კინოკარიერას ისევე დამოუკიდებელი კინოს მიმართულებით აგრძელებს და ჰოლივუდისკენ გახედვაც არ უნდა. „არც მე მიყვარს ისინი და არც მათ ვუყვარვარ, რატომ უნდა გავაკეთო ეს? – ღიმილით მპასუხობს ამ თემაზე დასმულ შეკითხვაზე.

დღეს ის ნიუ-იორკში ცხოვრობს. სიგარეტს არ ეწევა, ყოველდღე რამდენიმე კილომეტრს დარბის და ცდილობს, ჯანსაღი საკვებით იკვებოს. წლების მანძილზე ზედმეტი წონის გამო მას სულ პრობლემები ჰქონდა, ახლა კი, მას შემდეგ რაც ბოლო ერთი წლის მანძილზე 25 კილო დაიკლო, თავს გაცილებით უკეთ გრძნობს. ჯიმ სტარკი მართლაც სულ სხვანაირად გამოიყურება, ვიდრე ძველ ფოტოებზე, რომელიც ფესტივალზე მის ჩამოსვლამდე ვნახეთ:

„ახლაც დიეტაზე ხართ? როგორ ახერხებთ წონის შენარჩუნებას?“ – ვეკითხები მისი ნებისყოფით გაოცებული. – „არა, უბრალოდ ვცდილობ ჯანსაღად ვიკვებო. ბევრსაც ვვარჯიშობ, ეს ყველაზე კარგი საშუალებაა ფორმაში ყოფნისთვის“ – მეუბნება 60 წელს მიღწეული პროდიუსერი. მისი ენ-

თუზიაზმი ისეთი გადამდებია, თვითონ კი ისეთი თავდაჯერებული, რომ მიუხედავად იმისა, გაქვთ თუ არა წონის პრობლემები, ჩემს მსგავსად, მეორე დღიდანვე ვარჯიშის დაწყება მოგიწევიათ.

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ სტარკი თავის ახალ პროექტზე გააგრძელებს მუშაობას. ეს 3D ფორმატის ვესტერნის ტიპის ფილმი იქნება, დიდი სივრცეებითა და ბევრი შორი ხედით. კინოინოვაციების მიმართ ისეთივე გახსნილია, როგორც ახლებედა რეჟისორების შემთხვევაში.

„დღეს 3D რატომღაც უფრო ანიმაციასთან ასოცირდება, მაგრამ რეალურად ამ ფორმატში ძალიან საინტერესოდ შეიძლება მუშაობა. მაგალითად, ვენდერსმა და მისმა ოპერატორმა „პინასი“ არაჩვეულებრივად გამოიყენეს ნეგატიური სივრცე, რაც ძალიან არტისტული და შთაბეჭდილი გამოვიდა“, – ამბობს სტარკი და იმედი აქვს, რომ ეს ფილმიც, „პინასი“ მსგავსად, საინტერესო გამოვა. მით უმეტეს, რომ მისი თანაპროდიუსერი ვენდერსის კომპანიაა, რაც წარმატების შანსს აორმაგებს.

ჯიმ სტარკი თავისი შემოქმედებით და ცხოვრების სტილით გარკვეულწილად ანგრევს მითს იმის შესახებ, რომ ასაკთან ერთად ადამიანები უფრო კონსერვატორები და კონფორმისტები ხდებიან. მისი განწყობა და შეხედულებები დღესაც ისეთივე ნოვატორული და ენთუზიაზმით სავსეა, როგორც 30 წლის წინ, კინოკარიერის დასაწყისში იყო. შესაძლოა მან ახალი ჯარმუში ველარ აღმოაჩინოს, მაგრამ მისი პროდიუსერობით კიდევ არაერთ საინტერესო ფილმს რომ ვნახავთ, ამაში დარწმუნებული ვარ.

# ბიზნესი

ადამიანები    მეთოდები    სტრატეგიები



**თუ იცი და მოქმედებ – მიალნევი!**

გამოიწერეთ ჟურნალი  
“ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები”  
და მიიღეთ ნომრის გამოსვლის დღეს,  
თქვენთვის სასურველ ადგილას.  
დაგვიკავშირდით: +995 32 2471005 “მედია ჰაუსი დეკომი”



ფოტო: ალექსანდრა ფორჩინიძე



# ღია ქალაქი

ავტორი ნინო ლომაძე

მოდი გუდიაშვილზე! – მოედნისკენ მიმავალ გზას შავი და წითელი სტენსილების კვალი მიჰყვება. მოედანიც და მის ირგვლივ ქუჩებიც ხალხითაა სავსე. სკვერში მუსიკა უკრავს. წრეზე ძველი ნივთებით მოვაჭრეები სხედან. ერთ მხარეს, ცხელ გლინტეინს ჰყიდის – ჭიქას ლარად. მეორე მხარეს, ახალგაზრდა დედა მანიფესტანტებს საკუთარ რძეს სთავაზობს – პირველი ჭიქას ლარად, მეორეს უფასოდ. იქვე ფოტოებს იღებენ უზარმაზარ პლაკატთან. ფოტოსთვის რეკვიზიტად, მეზობელი დახლიდან ქუდებიც ქირავდება – 50 თეთრად. გვერდით ტკბილეულის დახლია, მუყაოს ყუთზე ჭაჭა დგას „ზაკუსკით“. ნახევარი საუკუნის წინანდელი სტუდენტური ამბოხის და 90-იანების ჰიპსტერის ესთეტიკა კულტურული მემკვიდრეობისთვის მეტროპოლითა პროტესტს აშკარად უხდება.

15 იანვარს გუდიაშვილის სკვერში „მინიფესტი, როგორც მანიფესტის“ მეორე აქცია გაიმართა, მოთხოვნით – შევინარჩუნოთ ავთენტურობა! არა იმიტაცია!

იმელის, ზარია ვასტოკას და მზიურის მცირერიცხოვანი აქციების შემდეგ, გუდიაშვილის „მინიფესტი“ მოულოდნელობაა. მანიფესტაციებზე საპროტესტო სლოგანებით არავინ ლაპარაკობს. აქციის მონაწილეები ერთმანეთს ესალმებიან, საუბრობენ, იღიმიან, ცეკვავენ. შეკრების მთავარი მიზნის დროდადრო შესახსენებლად, სლოგანები მხოლოდ სტიკერებიდან და პლაკატებიდან გჭრის თვალს.

ჩანს, რომ ქართულ სამოქალაქო სივრცეში იდეების გასავრცელებლად კომუნიკაციის თანამედროვე ხერხების გამოყენება ნელ-ნელა იწყება. პოლიტიკოსები გაცილებით ადრე მიხვდნენ, რომ შოუს გარეშე იდეები ერთ წერტილში იყინება, ცარიელი პროპაგანდა კი მონოტონურ, ყრუ ხმაურად იქცევა. იდეა მხოლოდ ემოციურად დამუხტულ გარემოში იწყებს მოძრაობას.

ამ დრომდე მხოლოდ პოლიტიკოსების პათეტიკური, ქსენოფობიური და ყალბი პატრიოტული რიტორიკა მუხტავდა ხალხს. ეს შოუები კი კომიკურ, უხამს, ხშირად კი, სამიშ თამაშად იქცეოდა. „შევინარჩუნოთ ავთენტურობა! არა იმიტაცია!“ პროტესტის ახალი გამოცდილება – პოზიტიური, მხიარული და საზეიმო განწყობით. დღეს ეს არის თვითორგანიზების და ერთიანობის წარმატებული და იმედისმომცემი პრეცედენტები, მოძრაობა, რომელსაც პროცესებზე გავლენის მოპოვების ამბიცია აქვს.

თითქოს ჩნდება შანსი, ეს მომხიბვლელი პროტესტი თვითგამოხატვის ახალ ფორმად იქცეს. სოლიდარობის საჯაროდ გამოხატვა კი გადამდები, მოდური ჰობი გახდეს. მთავარია, სალონურობის სიმყუდროვესა და კარნავალის ეიფორიაში პროტესტის მაცოცხლებელი მუხტი და მიზანი არ დაიკარგოს. მოძრაობა საკუთარ თავში რომ არ ჩაიკეტოს და ტენდენციად ქცევა შეძლოს.



ოთხი წელია, გუდიაშვილის მოედანზე – ღობემმოვლებული, ჩარაზული და მიტოვებული ისტორიული ძეგლები დგას. ეს შენობები თბილისის მერიამ მოსახლეობისგან 2007 წელს გამოიყიდა. მალე დაიწყო აგვისტოს ომი და მოედნის შესყიდვით დაინტერესებულ ინვესტორებთან მოლაპარაკებები ჩაიშალა. კულტურულ მემკვიდრეობაზე მზრუნველი საზოგადოება ინვესტორთან მოლაპარაკებების გასაჯაროებას ითხოვს. კატეგორიულად მოითხოვენ, რომ ინვესტორთან ხელშეკრულება მხოლოდ მოედნის ავთენტურობის აბსოლუტური შენარჩუნების ვალდებულებით გაფორმდეს. შენობების უმეტესობა უკვე ცარიელი და მნიშვნელოვნად დაზიანებულია. მათ შესანარჩუნებლად საჭიროა, შენობები დაიშალოს და იგივე მასალით თავიდან აიგოს. ამის რესურსი ქალაქის მერიას არ გააჩნია. ამიტომ, მოედნის ბედი მხოლოდ ინვესტორის კეთილ ნებაზე და მერიის პრინციპულობაზეა დამოკიდებული.

მოედნის კომერციალიზაცია გარდაუვალია – ესაა საერთო მიზანიც. გუდიაშვილის მოედნის გადარჩენა მის კომერციულად გამოცოცხლებასაც გულისხმობს. თბილისის მუნიციპალიტეტი ოფიციალურად აცხადებს, რომ „ამ ტრადიციული დატვირთვის მქონე შენობების სასტუმროებად, რესტორნებად, საკონფერენციო დარბაზებად, ოფისებად, სალონებად, მუზეუმებად და ა.შ.“ გარდაქმნას აპირებს. მათ ახალი ფუნქციით და შინაარსით დატვირთავს. შესაძლოა, ამ მოძრაობის წარმატებულად დასრულების შედეგად, მოედნის გარშემო შენობებმა ფორმა და ფაქტურა სრულად შეინარჩუნონ, მაგრამ შეიცვლება მათი „ავთენტური“ ფუნქცია და შინაარსი.



1881 წელს დასავლეთ სომხეთის დევნილი მოსახლეობის დახმარების მიზნით, გუდიაშვილის მოედნის ერთ-ერთ შენობაში, კავკასიურ-სომხური საქველმოქმედო ორგანიზაცია დაარსდა. ორგანიზაციას შეუერთდნენ მაშინდელი თბილისელი საქმოსნები: გაბრიელ სუნდუკიანი, ალექსანდრე მანტაშევი, სენეკერიმ არცრუნი, ავეტიკ ეზეკიანი, ოვანეს ჩიტახოვი და სხვები. 1881 წლის 4 იანვარს, დღევანდელ გრიბოედოვის თეატრში, საბჭოს სხდომაზე, ორგანიზაციის ხელმძღვანელად, განსაკუთრებული წვლილისათვის, ბაგრატ ნავასარდიანი აირჩიეს. რეგიონულ ცენტრებში ფონდი თავის განყოფილებებს ხსნიდა, ასეთები ჰქონდა: ერევანში, შუშაში, ყარსში, ნახიჩევანში, გორში, ბათუმში, თელავში, ახალქალაქში, სიღნაღში და სხვ. რამდენიმე წელიწადში ორგანიზაცია მთელ ქსელს – ოცდაერთ რეგიონულ განყოფილებას მართავდა. დღეს შენობაში საბავშვო ბიბლიოთეკაა. სახლში კი მხოლოდ ერთი მოსახლე ცხოვრობს.



ფოტო ლიანა ხარბულაძე

გუდიაშვილის მოედნისა და ლერმონტოვის ქუჩის კუთხეში – ცისფერი ბათქაშით, თეთრი ხის ქვირული აივნით – დგას თბილისის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული არქიტექტურული ძეგლი, – ყოფილი „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის შენობა. გარედან თეთრად შეღებილი ღობე აქვს შემოვლებული. ეზო მცენარეებითაა დაფარული. აქა-იქ აივნის რიკულის ნაწილები ყრია. სახურავზე ბზარები და ნაპრალებია. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის თანამშრომლებმა ხუთი წლის წინ დატოვეს იქაურობა. ორი საუკუნის წინ შენობაში რუსული არმიის შტაბი იყო. სარდაფებში სამხედრო ჰაუბტვახტი ჰქონდათ. მოგვიანებით შენობა ოფიცერთა სასტუმროდ გადაკეთდა. ერთ-ერთ ოთახში 1838 წელს ცხოვრობდა მიხეილ ლერმონტოვი. ქუჩას მისი სახელი ჰქვია.



ფოტო ლევან ჩიჩხაიშვილი

სახლები დაცლილია. ჩამტვრეულ ფანჯრებში და ღია დარაბებს მიღმა, ძველი საცხოვრებლების ნაშთები მოჩანს. ზოგან ტილო გდია, ზოგან ავეჯის დეტალი, დამტვერილი, გაფერმკრთალებული. ძეგლების ნაწილს დაზიანებული სახურავიდან წვიმა დასდის, კედლები აქა-იქ ჩამორღვეულია. გუდიაშვილის მოედანი ძველი სახით შემორჩენილი უკანასკნელი მოედანია. ისტორიული შენობების უმეტესობა XIX საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული. ისინი ქალაქის ქსოვილის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას ნაწილს წარმოადგენს.


გუდიაშვილის მოედნის ყველაზე ძველი დოკუმენტი XVIII საუკუნის მინურულის ქალაქის გეგმაა, ალექსანდრე პიშჩევიჩის შედგენილი. პირველი სახელი მოედანს რუსულმა ადმინისტრაციამ დაარქვა, ახლად დაპყრობილი სპარსული ქალაქის სახელი – აბას-აბადი. მანამდე კი, მოლნის მოედანს ეძახდნენ, რადგან იქვე, დღეს ნახევრად დანგრეული და მიტოვებული, ღვთისმშობლის სომხური ეკლესია იყო. მოლნის მოედანს 1828 წელს რუსულმა იმპერიულმა ადმინისტრაციამ გენერალ პასკევიჩის მიერ სპარსული ქალაქის, აბას-აბადის დაპყრობის აღსანიშნავად – აბას აბადის მოედანი უწოდა. 1923 წელს „დამსახურებული“ ბოლშევიკის, სტეფანე ალავერდოვის პატივსაცემად, მოედანს სახელი შეუცვალეს. ლადო გუდიაშვილის სახელი კი 1988 წელს დაერქვა.



ფოტო ლიანა სასასალონიძე

აბო თბილელის და ბეგლარ ახოსპირელის ქუჩებზე ჯერ კიდევ ცხოვრობენ. ეს რამდენიმე ოჯახია, ვინც მოედანს მთავარ ხიბლს უნარჩუნებს და ისტორიული ძეგლების გარემოცვაში, უნიკალურ ატმოსფეროს ქმნის – სრულიად ეკლექტიურს, ერთმანეთში არეული სტილით და ესთეტიკით, ცხოვრების წესით და რიტმებით. ყოფილი ქვემო კალას ტერიტორიაზე როგორც კი გაივლი, გრძნობ, რომ ფიზიკური დისტანცია საგრძნობლად მცირდება. აქ ფერმკრთალია, ან სულ წაშლილია საზღვრები.

ქალაქის ძველ უბნებს ფრანგი სოციოლოგი Chambert de Lauwe აკულტურაციის ზონებს უწოდებდა. ის ამბობდა, რომ კულტურა იბადება იქ, სადაც განსხვავებული ცხოვრების წესის, რიტმის, სოციალური თუ კლასობრივი იდენტობის ადამიანები ერთ სივრცეს იყოფენ, ერთმანეთში ირევიან. მხოლოდ ღია, არაიზოლირებულ სივრცეებში, სადაც მრავალფეროვანი და ინტენსიური კომუნიკაცია, შეიძლება დაიბადოს რაღაც ახალი და გაგრძელდეს სიცოცხლე.



ფოტო: ლევან ხარაულიძე

ლერმონტოვის ქუჩა № 2. შენობა გუდიაშვილის მოედნიდან დადიანის ქუჩისკენ მიმავალ გზაზე შეგხვდებათ. პირველ სართულზე ერთი კედელი მთლიანად ჩამონგრეულია და შპალერზე ღია ფერის, წვრილი ყვავილის ორნამენტები მოჩანს. ნარინჯისფერი ხის რიკულიანი შუშაბანდი მეორე სართულს ბოლომდე გასდევს. შენობის მარჯვენა კიდე ხის დახვეული კიბე მიუყვება, მასიური მოაჯირით და ხის ოვალური სახურავით, რომელსაც დახრილი, ორნამენტებიანი საყრდენი იჭერს. ეზო აქაც ველური მცენარეებითაა სავსე. შენობა 1896 წელსაა აგებული. სახლის პირველი მეპატრონე არტიმ ლარიბოვია. აგების თარიღი და მეპატრონის ინიციალები შენობის ფასაღზეა აღნიშნული.



# ერთი დღე ავჭალის ბავშვთა კოლონიაში

ავტორი ლადო კილასონია  
 ილუსტრაცია რუსლან ბერიძე

ავჭალის ბავშვთა კოლონიის მოთამაშეთა სახელები შეცვლილია

პროექტს Avchala Rugby Challenge ჰქვია, მაგრამ ჩვენში, რეგბისტებში, ამას, ანუ ავჭალის ბავშვთა კოლონიაში კვირაში ორი დღე რეგბის ვარჯიშების ჩატარებას, „ციხეში შესვლა“ დაერქვა და დღემდე ეგრე ეძახიან.

მწვრთნელებს რომ ეკითხები ხოლმე, საით მიდიხარო, ციხეში შევიდვარო, – გასაუხობენ.

პროექტში ოთხი კაცია ჩართული: ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი, ჩვენებურად „ცუნცუნლა“, ვეტერანი რეგბისტი ზურა ქიქოძე, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე ნოდარ „ნონო“ ანდლულაძე და საქართველოს ნაკრების ამჟამინდელი ფრთა, ლექსო გუგავა.

ამ პროექტით თავიდანვე დავინტერესდი და ბევრ რამეს ვეკითხებოდი ხოლმე ლექსოს, ნონოს, ზურას და ცუნცუნლას. ისინიც მიყვებოდნენ: პატარა, უბრალო, ხელოვნურ მოედანზე (აი, ეზოებში რომ აშენებენ ახლა), სადაც მაგრად იყვლიფებოდა იდაყვები და მუხლები; მიყვებოდნენ თავისუფლებაზე გასულ და ათ დღეში უკან დაბრუნებულ პატარა მიშკაზე, დახვედრა რომ მოუნყვეს ბიჭებმა; უცნაურ რეგბიზე, იმ მოედანზე რომ თამაშობდნენ თავიდან, სანამ ბიჭები გაიგებდნენ, რა იყო რეგბი და რა და როგორ ხდებოდა; რეგბიზე, რომლის დროსაც შებოჭვის და კონტაქტის სიმძლავრე და აგრესია კოლონიაში არსებულ „იერარქიაზე“

იყო დამოკიდებული (და აქ, ქურდული, ან რამე ეგეთი არაფერ შუაშია, ეგ ის იერარქიაა, რომელიც ყველგან არის – ციხეშიც და გარეთაც, კამერაშიც და სამსახურშიც), იერარქია, რომლის წესებითაც, სუსტი პატიმარი (და სუსტში საერთოდ არ იგულისხმება ფიზიკური სისუსტე) ძლიერ პატიმარს უხეშად ვერ დააგდებდა ძირს .

– ერთი ბიჭი იყო, ახლა თვრამეტის გახდა და დიდებში გადაიყვანეს, -მიყვებოდა ზურა, – იცი როგორ თამაშობდა თავიდან? ბურთს რო მიიღებდა, ჩერდებოდა და მისკენ წამოსულ დამცველებს თვალეში უწყებდა ყურებას, აბა, თუ გაბედავ და ზახვატს გამიკეთებო, და ვერ უქეთებდნენ!



მიყვებოდნენ რამდენიმე მართლა მაგარ ბიჭზე, აი, იმ „შეკურკასავით“ მოედანზე ბოლომდე რომ სდებდნენ თავს და რომლებიც შეიძლებოდა კარგი რეგისტები გამხდარიყვნენ და რაც მთავარია, მიყვებოდნენ გამოკეტილ, ცოტა უცნაურ, საურთიერთობოდ რთულ ბიჭებზე, რომლებსაც ფაქიზად უნდოდათ მიდგომა და რომლებიც დანაშაულის, სისუსტის, სიძლიერის, სიმაღლის, სისქის, ხასიათის და იმ უცნაური, შეუფერებელი სახელის, „პატიმრის“ მიუხედავად, ბავშვები იყვნენ და სხვა არაფერი. ცხოვრებაარეული, პატარა ბავშვები.

მერე ბიჭებმა ნელ-ნელა ისწავლეს რეგები, მისი წესები და დაუნერული კანონები (რომლებიც, ნაღდად ვიცი, ყველაზე მეტად მოწონებოდათ იქ – და საქართველოში ხომ დღემდე ეგრეა, – დანერილზე მაღლა დაუნერული კანონები დგას), გუნდს სახელიც მოუფიქრეს „IAPI“, რაც, თურმე, ნიშნავს პატიმარს, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესს ირჩევს (სხვათა შორის, სახელი სწორედ იმ ბიჭმა მოიგონა, ბურთის მიღებისას რომ ჩერდებოდა და თვალეში უყურებდა მისკენ წამოსულ მონინაღმდეგეს, და მარტო სახელზე არ შეჩერებულა, ფართომასშტაბიანი პროექტიც ჩაუფიქრებია – რუსეთის კოლონიებიდან იქაური თანატოლების ჩამოყვანა და დიდი მატჩის გამართვა), ფორმაც შეიკერეს თეთრ-წითელში და პირველი თამაშის ითამაშეს თბილისის „ლელოსთან“ სწორედ იმ პატარა ხელოვნურ მოედანზე.

ამ მოედანზევე ჩამოვიდა Total Rugby-ი (რაგბის მსოფლიო საბჭოს (IRB) ოფიციალური სარაგბო გადაცემა), მთელ მსოფლიოში რომ ტრანსლირდება და პატარა სიუჟეტი გააკეთა (სიუჟეტის ნახვა youtube-ზე ამ სათაურით შეგიძლიათ: Total Rugby - JWRT Prison Story, GEORGIA), რომლის დროსაც ავჭალის კოლონიის ხელოვნურ სტადიონს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი – რიჩი დიქსონი და მსოფლიო ალაფზე ჩამოსული ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელები და მოთამაშეები ენვივნენ და არა მარტო ენვივნენ, ივარჯიშეს კიდევ ბიჭებთან ერთად.

ახლა კიდევ ახალი წელი ახლოვდებოდა, ნონო და ზურა დამიკავშირდნენ: ათი ბავშვი შეკრიბე, კოლონიაში ვითამაშოთო. მაგრამ ციხეში შესვლა ორჯერ

გადაიდო, ერთხელ, უცებ მოსული თოვლის, მეორედ კი, კოკისპირული წვიმის გამო, რაზეც ნონო ნერვიულობდა: ეწყინებათ ბიჭებს, მაგრა ელოდებიან ხოლმე მაგ დღეს, თან, ხო იცი, მაგათთან სიტყვის გატეხვა განსაკუთრებით ცუდ საქციელად ითვლება!

ბოლოს, როგორც იქნა, ამინდი გამოვიდა, ღრუბლები გაქრა, ცაზე მზე ამოცურდა და აი, ციხის მაღალ, მავთულხლართებით დაფარულ კედელთან ვიდექით რიგში, დიდი ნაცრისფერი კარის წინ და სამ-სამად შევედიოდით.

ციხეში ყველაფერი სხვანაირია, ყველა კარი რკინისაა, მძიმეა და სპეციალური ლილაკებით თუ „რიჩაგებით“ იღება და

**მიყვებოდნენ  
გამოკეტილ, ცოტა  
უცნაურ ბიჭებზე,  
რომლებიც  
დანაშაულის, სისუსტის,  
სიძლიერის, სიმაღლის,  
სისქის, ხასიათის  
და იმ უცნაური,  
შეუფერებელი სახელის,  
„პატიმრის“  
მიუხედავად,  
ბავშვები იყვნენ და  
სხვა არაფერი.**

იხურება, რომლებიც სპეციალურ ოთახებშია მოთავსებული, ოთახების გასაღებები კი ბადრაგის ხელშია.

მობილური, ფული, გასაღებები შემოსასვლელში დაგვატოვებინეს, მეტალოდეტექტორი აგვის-ჩამოგვისვებს, ნონო ბიჭებს უხსნიდა: ნურაფრის შეგეშინდებათ, ნურაფერზე ინერვიულებთ, თქვენ-ნაირი, თქვენხელა ბიჭები არიანო და შევედით.

მარცხენა მხარეს წითელი აგურით ნაშენი ეკლესია იდგა, რომლისკენაც ხრეშინი გზა მიდიოდა. წინ, დიდი თეთრი, აქა-იქ ბათქაშჩამოცვენილი შენობები იდგა. დაცვა გვერდში მოგვყვებოდა, ეკლესიას გავცდით, მარცხნივ გავუხვიეთ და სტადიონიც გამოჩნდა. ხის გრძელსკამიან ტრიბუნებზე ბავშვები

ისხდნენ, ისხდნენ და უხმოდ გვაკვირდებოდნენ. ვესალმებოდით, ზოგი გვაპასუხობდა, ზოგი – არა.

სტადიონზე ჩავედით. თეთრ ფორმაში გამოწყობილი გუნდი ჩვენსკენ დაიძრა. ზოგი ძალიან მაღალი და ასაკითაც დიდი იყო, ზოგი – დაბალი, გამხდარი და პატარა, ზოგი – სქელი, წელში მოხრილი და მორიდებული. ზოგი, გაბედული, თამამად იქცევოდა, თვითონ გართმევდა ხელს და ლაპარაკს გინწყებდა.

ხელი ჩამოვართვით, ცოტა გავხურდით და თამაში დავიწყეთ. თავიდანვე შეთანხმებული ვიყავით, რომ შვიდი-შვიდზე უნდა გვეთამაშა. სტადიონი პატარა იყო, ჩვენ სულ ათნი ვიყავით, ისინი კი – ბევრი და ამიტომ, ხშირ-ხშირად იცვლებოდნენ. სათადარიგოები და მწვრთნელები ერთად ვისხედით, ან ვიდექით და ვლაპარაკობდით და მე ახლავ ვხვდებოდი, რას გულისხმობდა ნონო, როდესაც ამბობდა, ბავშვები არიანო!

მელაპარაკებოდნენ თქვენობით, თვალეზანთებულები, აინტერესებდათ და უკვირდათ სრულიად უბრალო რაღაცები: მომწონდა თუ არა მათი თამაში; ენეოდნენ თუ არა სიგარეტს რეგისტები (და მაგრად გაუხარდათ, როდესაც ვუთხარი, რო ბევრს ენეოდნენ, იქ თითქმის ყველა ეწევა, გავლენ შუა ვარჯიშიდან, მონევენ და სტადიონზე ბრუნდებიან, დაბალმა და ჯანიანმა გურამამ, ადრე მოჭიდავე რო ყოფილა, მითხრა, ათი წელია, უკვე ვენევიო, არადა, სულ თექვსმეტის იყო), რამდენი ბავშვი ვარჯიშობდა ჩვენს კლუბში, მართლა ეგეთი მაგარი ხელოვნური მოედანი იყო ავჭალის და „შევარდენის“ სარაგბო ბაზაზე (ეს ბაზები ახალი აშენებულია და ეტყობა, არ ჰქონდათ ნანახი), როგორც ამბობდნენ და როგორც ტელევიზორში ჩანდა თუ არა. ისე იყვნენ მოწყურებულიები უცხოს, რომ ყოველ ჩვენს სიტყვას ყლაპავდნენ.

მე კიდევ, ჩემსას ვეკითხებოდი: როგორ იყვნენ აქ, რითი ერთობოდნენ. ტელევიზორი გვაქვსო, მითხრეს, დივიდიო, სონის კომპიუტერები, ჭამა ნორმალურია, თბილაო, ცხელი წყალი არისო. მაგაზე ზურაც მიყვებოდა – უვლიანო, იქ, ძირითადად, არასამთავრობოები მუშაობენ და რაღაც-რაღაცებსაც ასწავლიანო – მინაქრის კეთებას, არის სკოლა, ბიბლიოთეკა, ჰყავთ ფსიქოლოგებიო.

– რა უბნელი ხარ? – მკითხა ყველაზე მაღალმა და აქტიურმა ბექამ, თამაშიდან რომ გამოსულიყო დაღლილობის გამო.

საერთოდ, ეგ კითხვა ყველაზე ხშირად ისმოდა, განსაკუთრებით ჩემს მოთამაშეებს, ანუ თავის ტოლ ბიჭებს ეკითხებოდნენ და მერე იქიდან ეძებდნენ ნაცნობებს თუ ძმაკაცებს, მოკითხვის შესათვლელად.

– ოქროს უბნელი, – ვუპასუხე.

– ვაა, სად ცხოვრობ? – თვალები აენტო ბექას.

– თევდორე მღვდელზე.

– მე გოგოლზე.

– მართლა? – ახლა უკვე მე გამიკვირდა. გოგოლი, ჩემი ქუჩის მაღალა და გრძელ, ვინრო ზოლად იჭრება ოქროსუბნის დანგრეულ სიღრმეებში.

– ანუ, ბიჭებს იცნობ, – ჩამოვუთვალე ჩემი ძმაკაცების სახელები.

კიო, კიო – ყველას იცნობდა.

– ვაა, რატო არ მახსოვხარ? – გამიკვირდა.

– ოთხი წელია, აქა ვარ, აქ გავიზარდე, – თქვა და გაეცინა.

მერე, გასვლისას, ერთ-ერთმა ბადრაგმა მითხრა, აქ ვიყავი, ეგ რო მოიყვანეს, მკერდამდე ძლივს მწვდებოდაო, ახლა კიდე ორმეტრიანი ბიჭი დამყურებდა თავზე.

და ეგეც უცნაურია, არა, ბადრაგს რო ახსოვს შენი ზრდა?

ბექა მარტში გამოდიოდა, მაგრამ რამდენიმე დღეში თვრამეტის ხდებოდა და დიდებში გადაჰყავდათ – ან ქსანი, ან რუსთავიო.

ბევრ რამეს მეკითხებოდა უბანზე, ბიჭებზე და ისეთი ხალხი ახსოვდა, რომელიც უკვე საერთოდ აღარ ჩანდა, თავიდან გამიკვირდა, სანამ არ მივხვდი, რომ ბექას მესხიერება ოთხი წლის წინანდელი იყო და იქ ჯერ კიდევ შემორჩენილიყვნენ ისინი, ვინც ჩემთან გამქრალიყვნენ.

მაგრამ მთავარი ლაპარაკი არ იყო, მთავარი ის რეგები იყო, რომელიც სტადიონზე ტრიალებდა და რომელსაც თამაშობდნენ ბიჭები – ჯიგრიანს, ლამაზს, უშიშარს.

IAPI-ის პირველმა გუნდმა პირველი თამაში 5:3 მოგვიგო ლელოებში, არადა, ჩვენ საქართველოს „ბ“ ლიგის ჩემპიონატში (საქართველოს ჩემპიონატი 15-16 წლის ბიჭებს შორის) ვთამაშობთ აგერ

უკვე მეორე წელია, რამაც ცოტა აზრზე მოიყვანა ჩემი ბიჭები და მიახვედრა, რომ აქ, ამ პატარა ხელოვნური ხალიჩის ნაგლეჯზე, მათ არავინ არაფერს დაუთმობდა. და მერე, კიდე უფრო მაგარი რეგები გაჩაღდა, ლელო ლელოზე, „ზახვატი“ „ზახვატზე“ და ხის გრძელ სკამებზე ჩამომსხდარი მაცურებელი, ანუ ციხის მთელი შემადგენლობა – პატიმრები, ბადრაგი, მზარეულები, ყველას – ჩვენც და იმათაც – გამალებით გვიკრავდა ტაშს.

ამ თამაშში ბევრი მაგარი რამე და ვინმე ვნახე. ვნახე „კნოპკა“, ქერთმიანი და ცისფერთვალეა, დაბალი, ბოლნისელი ბავშვი, ბინის ქურდობაზე რომ

**მოდიხარ, წინ ბადრაგი  
მიახიჯებს, უკან  
პატიმრები ბიჭრავინ  
ტაშს, თავზე ლურჯი,  
უღრუბლო სა განავს  
და ბედნიერი ხარ  
მარტო იმით, რომ  
სიკეთი, რაღას  
ძალიან ქარბი  
გააკეთი.  
მაგ ბრძნობას  
კიდევ, ძნელად რო  
შეიღაროს რამე!**

აქვს მისჯილი ხუთი წელი, ხვლიკივით რომ დაძვრებოდა დაცვის ხაზში;

ვნახე დაბალი, ძარღვიანი, კლდის ნატეხივით უდრეკი დათო, რომელმაც, თურმე, ნონოს უთხრა ერთხელ: რა შიში! შიში, იცი, როდის დამთავრდა? ორი წლის წინ, აი, ის რკინის კარი რომ მომიხურეს ზურგსუკანო.

ვნახე ვერცხლისწყალივით მოძრავი და სწრაფი ყაჩაღი ამაშუკელი, ჩემი მეზობელი გოგოლელი ბექას ლამაზი პასუხები (საერთოდ ბექა ყველაზე აქტიური იყო, ვერ ისვენებდა, ვერ ითმენდა, სულ ნონოსთან და ზურასთან მიდიოდა, შემისვით, შემისვითო, რაზეც ერთხელ ზურამ უთხრა, ორი წუთი რაღა გაგიხდა, შე კაცო, ოთხი წელია იცდიო!).

ვნახე ძველი მოჭიდავე ხიფათიანი გუ-

რამა, მენისკი რომ ჰქონდა, სულ მუხლი ეთიშებოდა, მაგრამ მალევე გასდიოდა ტკივილი და ისევ თამაშში ბრუნდებოდა, ეს, თურმე, მთელმა ციხემ იცოდა და როდესაც ამ თამაშზეც გაეთიშა და გარეთ გაიყვანეს, გრძელ ხის სკამებზე ჩამომსხდარ მაცურებელს, აბსოლუტურად ყველას, პატიმრებიდან დაწყებული, ბადრაგითა და ციხის უფროსით დამთავრებულს, სიცილი აუტყდა და გურამამაც არ დააყოვნა რამდენიმე წუთში გიჟივით შემოვარდა სტადიონზე და ისევ ჩაება თამაშში.

და ვნახე ნიკა, თხელი, თავგადაპარსული, უბრალო „ნაკოლკებით“ ხელებაჭრელებული ბიჭი, ყაჩაღობაზე რომ იხდის სასჯელს, როგორ თავით უვარდებოდა და ბეჭებზე დებდა იმ რეგბისტებს, საქართველოს ჩემპიონატშიც რომ ძნელად აკავებენ ხოლმე.

„უკომპრომისო ადამიანებით მოხიბვლა ყველაზე ადვილია“, – ეუბნება „მამაც გულში“ რობერტ ბრუსს მამამისი – ცბიერი, დაუნდობელი, მრავლისმნახველი. რეგებში კიდე ყველაზე უკომპრომისო შებოჭვა – „ზახვატი“ იმიტომ, რომ იქ მარტო ხარ, ის მოდის, შენ დგახარ და ზუსტად მანდ გამოჩნდება, ვისი აჯობებს. მეც ამ სპორტში ყველაზე მეტად „ზახვატი“ მიყვარს და ზუსტად მაგიტომ „ზახვატჩიკით“, ანუ კარგი მბოჭავით მოხიბვლა ყველაზე ადვილია.

– ესეც არ უკეთებდა იმ ბიჭს ზახვატს? – ვკითხე ზურას.

– არა, ეს ყველას უკეთებდა, და მე კიდე უფრო მეტად მომეწონა ნიკა, იმიტომ, რომ მშვიდი იყო, ბევრს არ ლაპარაკობდა, „ზახვატს“ აკეთებდა... რატომღაც მომეჩვენა, რომ ისეთი ტიპი უნდა ყოფილიყო, რომელიც ყველაზე მეტად მომწონს და როგორც ვერასოდეს გავხდი თვითონ – სხვებს ტყუილად რომ არ გაუტრაკებს, მაგრამ დაჩაგვრითაც არავის არ დააჩაგვრინებს თავს და არავის მოერიდება.

გამოველაპარაკე. ხელზე წვრილად ეხატა სვასტიკა და კიდევ ბევრი გაუგებარი რაღაცები, ვერ გავარჩიე. შებოჭვის კეთების სწორი მოძრაობები ვუჩვენე. კაიო, მითხრა, თავი დამიქნია და გაჩუმდა.

მერე ისე მოხდა, რო გვერდი-გვერდ აღმოვჩნდით, ის ისვენებდა, მე თამაშს ვუყურებდი.



– რამდენი დაგრჩა? – ვკითხე.  
 – აქ ორი და მერე კიდევ სამი დიდებში, – მიპასუხა.  
 – ააა, – გავიფიქრე, რო გამოვია, ჩვენთან მოვა-მეთქი.  
 – რავი, აბა, რო გამოვალ, ოცდაერთის ვიქნები და მერე უნდა მოვიფიქრო, რას ვიზამ საერთოდ და როგორ ვიზამ, – თამაშისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე მითხრა.  
 – ხო, იმიტომ, რომ ჩვენთან კარგია, ბიჭები ერთმანეთთანაც და ჩვენთანაც ძმაკაცობენ, მწვრთნელები ახალგაზრდები ვართ, ესეც ვიცით და ისიც, ერთი ეგეთიც გვყავს, ადრე არი აქ ნამყოფი, – ვუთხარი და მაშინ ნიკამ პირველად გამიცინა, გამოაჩინა თავისი სწორი, თეთრი კბილები და თაფლისფერი თვალებიც აუციმციმდა.  
 მერე ჩემები დაილაღნენ, ისინი კი ვერ ძღებოდნენ, კიდევ ვითამაშოთო, ერთი ხუთწუთიანი ტაიმიც მოვახერხეთ და მერე წამოვედით, თბილად დაგვემშვიდობნენ, გადაგვეკოცნეს, ორმა ბიჭმა, ერთ კვირაში გამოვდივართ და თქვენთან მოვალთო, მაყურებელიც ჩამოვიდა სტადიონზე და ისევ თავიდან წავიდა: ვინ რა უზნელი იყო და ვინ ვის იცნობდა. ჩემმა ბიჭებმა მაიკები აჩუქეს, ზოგმა გამოართვა, ზოგმა – არა, მე ისედაც კარგად

ვარ, ძმაო, და შენ გქონდეს ეგ მაიკაო!  
 იმ ადგილს რომ მივალნიეთ, რომლის იქით გამოსვლის უფლება აღარ ჰქონდათ, დადგნენ და ტაში დაგვიკრეს, მე და ნიკა ერთმანეთს გადავეხვიეთ და ისე დავშორდით.  
 მოდიხარ, წინ ბადრაგი მიაბიჯებს, უკან პატიმრები გიკრავენ ტაშს, თავზე ლურჯი, უღრუბლო ცა გაწვეს და ბედნიერი ხარ მარტო იმით, რომ სიკეთე, რაღაც ძალიან კარგი გააკეთე და არა იმიტომ, რომ ჯოჯოხეთს აცდე ან სამოთხის დავთარში ჩაენერო, არამედ ისე, არაფრისთვის, გულით. მაგ გრძობას კიდევ, ძნელად რო შეეძაროს რამე!  
 P.S. ნიკას, ალბათ, მეტი ვეღარ ვნახავ, მაგრამ ერთი რამე ჩავიფიქრე და ნაღდად ვიცი, რომ გავაკეთებ: საქართველოს ცხრამეტ წლამდე ნაკრების უნომრო მაისური მაქვს – ლამაზი, ჩაუცმელი, წითელი. ჰოდა, უეჭველი შევუგზავნი ამ დღეებში, როგორც კი ნონოს, ან ლექსოს შევხვდები. დანარჩენი კიდევ ფანტაზიის ამბავია და მეც წარმოვიდგინე: როგორ ირგებენ „ნაკოლიკიანი“, ჯერ კიდევ ბავშვური ხელები კოხტა „მაიკას“ გალუულ მხრებზე, როგორ გარბის თეთრი შენობების სიღრმეში ჩამჯდარ, პატარა, მწვანე სტადიონზე, თხელი, თავგადაპარსული ბიჭი და რო-

გორ უკანმოუხედავად უვარდება ფეხებში მისკენ წამოსულ ახმახებს.


*Avchala Rugby Challenge-ის იდეა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს, გია ნიჟარაძეს გაუჩნდა ჯერ კიდევ ორი წლის წინ. „Unicaf“-თან მუშაობა კი ჯანსაღი ცხოვრების სტილის პროპაგანდისთვის ნონო ანდლულაძემ დაიწყო და იდეას ხორციც შეასხა.*

*ამ პროექტის მთავარი მიზანია კოლონიიდან გათავისუფლებული ბავშვების ქართულ სარაგბო კლუბებში განაწილება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, მათი ქუჩიდან მოწყვეტა. პროექტი „avchala rugby challenge“ აპრილში დაიწყო და, ფაქტობრივად, ნოემბერში დასრულდა, მაგრამ მწვრთნელები მაინც აგრძელებენ კოლონიაში სიარულს, აბა, ბიჭებს ხომ არ მივატოვებთო.*

*ამჟამად პროექტი ელის დაფინანსებას კერძო კომპანიებიდან, მაგრამ ჯერ არავინ გამოჩენილა, თავის მხრივ, „Unicaf“-იც აგრძელებს დაფინანსებას და სპორტის დეპარტამენტიც დაინტერესებულია, მაგრამ, პროექტის შესანარჩუნებლად საჭიროა, გამოჩნდეს კერძო სტრუქტურა, რომელიმე კომპანია, რომელიც ამ საქმეში ფულს ჩადებს.*

# თქვენი ცხოვრების ისტორია ინტერნეტში

ავტორი ნინო ნატროშვილი  
ილუსტრაცია შაკო ნიკვა



რა შეიძლება დატოვოს ადამიანმა ანდერძად? სახლი, მანქანა, აგარაკი, წილი რომელიმე კომპანიაში, ან, სულაც, მთლიანად კომპანია, ძვირფასეულობა, ნივთები, უკანასკნელი სურვილები და საიდუმლო კოდები... ოღონდ სეიფის და ბრილიანტების საცავის კი არა, სოციალური ქსელების.

სოციალური ქსელების პაროლები თანამედროვე ანდერძების ნაწილია. ლონდონის უნივერსიტეტის კვლევით, ყოველი მეათე ადამიანი სიკვდილის წინ ოჯახის წევრებს, მეგობრებს ან ახლობლებს საკუთარ პაროლებს უტოვებს.

რას გაუგებ ადამიანებს, თანაც სიკვდილის წინ, მით უფრო, რომ ინტერნეტის ეპოქაში სიკვდილიც სხვანაირი გახდა. კვდები, მაგრამ ვირტუალურ სამყაროში არსებობას კვლავაც აგრძელებ. სოციალურ ქსელებში რჩება შენი პროფილები, ფოტოები, სტატუსები, კომენტარები, ტვიტები, შეტყობინებები, ლაიქები, ჩატების ისტორია... არადა, იქნებ გსურთ, რომ დაგივინყონ? არც იოცნებოთ, აბსოლუტურად ყველა დეტალი, ერთი like-ც კი ვირტუალურ სამყაროში სამუდამოდ რჩება. შეიძლება წაშალოთ, დამალოთ, მაგრამ რომელიმე სერვერზე ეს ინფორმაცია მაინც განაგრძობს არსებობას და არავინ იცის, როდის და სად იჩენს თავს.

24 წლის ავსტრალიელმა სტუდენტმა მარკ შრემსმა გადაწყვიტა, გაეგო რა ინფორმაციას ფლობდა მასზე Facebook და ყველაზე პოპულარულ სოციალურ ქსელს პროფილის მონაცემების ასლი ოფიციალურად მოსთხოვა. ადმინისტრაციისგან მან 1200 გვერდიანი ჩანაწერი მიიღო, რომლის დეტალურად შესწავლის შემდეგ შრემსმა აღმოაჩინა, რომ ამ ინფორმაციის ნაწილი ძალიან დიდი ხის წინ ჰქონდა წაშლილი, თუმცა Facebook ამ მონაცემებსაც საგულდაგულოდ ინახავდა. მოკლედ, ამ ცნობისმოყვარეობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყველაფერი, რაც ოდესმე გამოგიქვეყნებიათ, შენახულია და არა მარტო შენახული, არამედ „დაინდექსებულიც“ – ინდექსებისა და პირობითი ნიშნების ერთობლიობის მიხედვით სისტემატიზირებული, შემდეგ კი ერთმანეთთან და თქვენს პირად მონაცემებთან დაკავშირებული.

ყველაფერი 1995 წელს Classmates-ით დაიწყო. პირველი სოციალური ქსელის პროექტი წარმატებული გამოდ-

გა და 2000-იანების დასაწყისში ბევრი ამგვარი რესურსის შექმნას მისცა ბიძგი. 2003-2004 წლებში myspace, facebook, LinkedIn გაჩნდა, პირველი მსოფლიო აღიარება კი წილად myspace-ს ხვდა. Web 2.0-ის განვითარებასთან ერთად სოციალურმა ქსელებმა პოპულარობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ბოლო რამდენიმე წელია მთელ მსოფლიოში სოცქსელების ბუმი. მრავალ ქვეყანაში ადგილობრივი ქსელები გაცილებით უფრო პოპულარულია, ვიდრე საერთაშორისო. რუსი ინტერნეტ-მომხმარებლები ოდნოკლასნიკებიდან ВКонтакте-ზე გადაბარგდნენ. რომელიც, როგორც დიზიანით, ისე ფუნქციებით Facebook-ის

**ქსელები, გაბრაზებული ვირტუალური სამყაროში არსებობას კვლავაც აბრძობენ. არადა, იქნებ ბსურთ, რომ დაბივიწყონ? არც იოცნებოთ, აბსოლუტურად ყველა დეტალი, ერთი LIKE-ც კი ვირტუალურ სამყაროში სამუდამოდ რჩება.**

კლონია. ინტერნეტ-ცენზურის არსებობის გამო ჩინელებს არჩევანი ნაკლებად აქვთ და ადგილობრივ Baidu Space-სა და RenRen Network იყენებენ. საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში საკმაოდ ცნობილია ფრანგული Skyrock, ლათინური ამერიკის ქვეყნებში კი – Hi5

ერთ დროს ძალიან პოპულარული Myspace ახლა ნაკლებად ახსოვთ, კვლავაც ცოცხალია LinkedIn, რომელიც პოტენციური პარტნიორების, კლიენტებისა და პროფესიული ურთიერთობების გაფართოებისთვისაა განკუთვნილი და საკუთარი ნიშა აქვს ნაპოვნი. გაცილებით პოპულარულია Twitter, რომლის ძირითადი იდეა 140 სიმბოლოანი ტვიტება. „ინტერნეტის სმს“-ს ყველაზე მოხერხებულად მედია იყენებს.

2011 წელს სოციალურ ქსელებს google+ შეემატა. მიუხედავად იმისა, რომ google+-ს უკვე 67 მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავს, ეს უფრო შემთხვევით დარეგისტრირებული ადამიანები არიან, ვიდრე აქტიური მომხმარებლები. ჯერ-ჯერობით მაინც ყველა Facebook-ზეა, ყველაფერი აქ ხდება, აქ დულს ვირტუალური ცხოვრება და თუ Facebook-ზე არ ხარ, ესე იგი, რაღაც თვალსაზრისით არც არსებობ. თუკი 2010 წლის ივლისში ფეისბუქის მომხმარებლების რაოდენობა 500 მილიონი იყო, 2011 წლის ივლისში ეს რიცხვი 750 მილიონს, დეკემბერში კი უკვე 800 მილიონს აჭარბებდა, 2012-ში კი, სავარაუდოდ, მილიარდსაც მიაღწევს.

მარკ ცუკერბერგის ინფორმაციული მონსტრი, რომელსაც სინამდვილეში ჩვენვე ვქმნით, გიგანტურ მასშტაბებს იღებს, ამავე დროს არავინ არაფერს გვაძალებს, ჩვენი სურვილით ვწერთ ყველაფერს: სად ვცხოვრობთ, სად ვმუშაობთ, ვინ არიან ჩვენი ოჯახის წევრები, რა მუსიკას ვუსმენთ, რას ვკითხულობთ, სად ვსადილობთ, რას მივირთმევთ, რა და ვინ გვიყვარს, როგორია ჩვენი პოლიტიკური შეხედულებები. ვირტუალური სამყარო ძალიან მაცდურია: სოციალური ქსელები სულ უფრო გვითრევენ, განახლებებითა და დამატებითი ფუნქციებით გვაიძულებენ ჩვენი ცხოვრების უმცირესი დეტალიც კი სხვებს გავუზიაროთ, ყველაფერი, რაც შეიძლება დაგვჭირდეს ან მოგვინდეს, აქ გვაქვს. Facebook-ის ბოლო განახლებები – თაიმლაინი და ტიკერი, ინტეგრაცია მუსიკისა და ფილმების პორტალებთან, იმას ნიშნავს, რომ მარკ ცუკერბერგი ქმნის ინტერნეტ-სივრცეს ინტერნეტ-სივრცეში, ჩვენი ცხოვრების დეტალურ ვირტუალურ ისტორიას, რომელიც მუდამ ემასხვრებათ.

რამდენიმე წლის წინ ინფორმაციული უსაფრთხოების კომპანია Sophos სპეციალისტებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს: Facebook-ზე ვინმე 56 წლის დინეტ სტოუნის სახელით პროფილი შექმნეს, სადაც საკმაოდ მწირი ინფორმაცია გამოაქვეყნეს. იქ ეწერა, რომ დინეტი დაოჯახებულია და მის ერთ-ერთ ფოტოზე ორი ფისო ნებივრობდა. მერე ქსელის 200 მომხმარებელს მეგობრობის თხოვნა გაუგზავნეს. 41 მომხმარებელი დინეტს დაუმეგობრდა და ნება დართო ენახა მისი პროფილი, ელექტრონული ფოსტა,

დაბადების თარიღი, სწავლისა და მუშაობის ადგილი, საცხოვრებელი მისამართი კი, ათმა ადამიანმა კი მას თავადვე გაუგზავნა მეგობრობის თხოვნა.

„10 წლის წინ ამ ტიპის დეტალური ინფორმაციის მიღება კერძო დეტექტივის აყვანას და დიდ დროს მოითხოვდა. სამსახურად, სოციალური ქსელების მომხმარებლები საკუთარი ცხოვრების ისტორიას თავადვე ლანგრით მართმევენ ხოლმე სრულიად უცნობ ადამიანებს“, - აღნიშნავს Sophos-ის ექსპერტი პოლ დაკლინი.

წარმოიდგინეთ, რა ხდება საქართველოში, სადაც პირადი და საჯარო სივრცის გამიჯვნა რეალურ ცხოვრებაშიც კი უჭირთ.

როცა ვეკითხები გააკეთა თუ არა მარკ ცუკერბერგმა ყველაფერი მომხმარებლების პირადი მონაცემების დასაცავად, სოციალური მედიის კონსულტანტი დოდაკ ხარხელი მოულოდნელ პასუხს მცემს: „ხშირად ხუმრობენ, რომ Facebook-ის უსაფრთხოების პარამეტრები უფრო დიდია, ვიდრე ამერიკის კონსტიტუცია. რაც უფრო იზრდებოდა ქსელი და ემატებოდა ახალი ფუნქციები, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა ადამიანის მიერ გაზიარებული ინფორმაციის შეზღუდვა თუნდაც ცალკეული ჯგუფებისთვის. ნელ-ნელა სოციალური ქსელი მივიდა იქამდე, რომ ჩამოაყალიბა ძალიან კარგად განერილი პარამეტრები, აბსოლუტურად ყველაფერი შეგიძლია აკონტროლო, მაგრამ პრობლემა სხვა რამეშია: ეს პარამეტრები ისეა ჩახლართული და გართულებული, რომ ადამიანს ძალიან უჭირს მათში გარკვევა. სირთულის გამო უმეტესობა უბრალოდ უგულებელყოფს მათ. როცა კლასში 20 ბავშვი ზის და აქედან 18 მასწავლებლის ახსნილ გაკვეთილს ვერ იგებს, ვისი ბრალია? ალბათ, მასწავლებლის ხომ?“

არაკომერციული ამერიკული ორგანიზაცია Electronic Frontier Foundation (EFF) ადამიანების ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ უფლებებს იცავს. ორგანიზაციის იურისტი კურტ ოქსალი ამბობს, რომ მომხმარებლების უმეტესობა არც კი ეჭვობს, სინამდვილეში რა ხდება: „ჩემი ქალიშვილი, რომელიც 18 წლისაა, კონტროლის მხოლოდ იმ მექანიზმებს ფლობს, რომელიც მას სჭირდება. მისთვის მთავარია მე და ჩემმა მეუღლემ არ წავიკითხოთ ის, რაც მან დაწერა, და-

წარჩინი კი არ ალღევებს. Facebook-მა აუცილებლად უნდა გაამარტივოს პირადი ინფორმაციის დაცვის პარამეტრები და მომხმარებლებმაც უნდა იცოდნენ, რა კონტექსტში ხდება მათი პირადი ინფორმაციის გამოყენება“, - აცხადებს ოქსალი.

როდესაც მომხმარებელი რეგისტრირდება, სანამ ის პირადი უსაფრთხოების პარამეტრებამდე მივა, პერსონალურ მონაცემებს ყველას უზიარებს. „ეს უნდა შეიცვალოს. მარტივად და გასაგებად დაწერილი პარამეტრები რეგისტრაციის ერთ-ერთი ეტაპი უნდა გახდეს და პირადი ინფორმაცია თავიდან ყველასთვის დაიხუროს“, - აცხადებდა ამერიკელი

**არს FACEBOOK-ის ეჭვიანი მეულა და არს GOOGLE-ის მკაცრი მამა. მათ მხოლოდ იმის გაგება უნდათ, სად მიდიხართ და როგორ ყავას სვამთ, იმიტომ, რომ ხვალ თქვენი სახით როგორღაც ყავის მწარმოებელს ან ქაფის მწარმოებელს, კოტენსიური მიჰყიდონ.**

სენატორი ელენ კორბეტი. მან გასულ წელს „სოციალურ ქსელებში პრივატულობის“ კანონის გატანა სცადა. Facebook-მა, Google-მა და Twitter-მა ამ კანონპროექტს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. „ყველაფერი ისედაც გასაგებად გვინერია“, - ასეთი იყო მათი არგუმენტი.


არსებობის მანძილზე Facebook-მა პირადი ინფორმაციის კონტროლის პარამეტრები რამდენჯერმე შეცვალა, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა: „ეს უფრო კოსმეტიკური შინაარსის ცვლილებებია. არსებობს სხვა საშუალებებიც და ერთ-ერთი მათგანი არჩევანის უფლებაა. კომპანიამ არ უნდა მოსთხოვოს მომხ-

მარებელს, რომ ან მიიღოს ახალი თამაშის წესები, ან საერთოდ უარი თქვას Facebook-ზე“, - აცხადებს შოპსოს-ის მთავარი კონსულტანტი გრეგემ კლული.

ცალკე საკითხია პარამეტრების სანდობა. ხომ შეიძლება სერვერს ან ადამიანებს შეცდომა მოუვიდეთ, Facebook-ის გამართული მუშაობა ხომ ურყევი კანონზომიერება არ არის.

ცოტა ხნის წინ დოდაკმ შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ინფორმაცია, რომელსაც ის გარკვეულ დახურულ ჯგუფებში პოსტავდა, მინიმუმ ერთი ლამით ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. აი ასე: წერდა რაღაცებს მხოლოდ 5 მეგობრისთვის და უცბად აღმოაჩინა, რომ ამ ყველაფერს მისი ასობით ფრენდი ხედავდა. მიზეზი სოციალური ქსელის შეცდომა გახდა. Facebook-მა ახალი სერვისი დაამატა და „ბაგი“ მოუვიდა. „ამ შემთხვევამ ძალიან კარგად დამანახა, რომ ჩემი უსაფრთხოება სულაც არაა გარანტირებული, რომ აბსოლუტური დაცვა არ არსებობს და მიუხედავად იმისა, რომ მე უსაფრთხოების ყველა წესს დეტალურად მივსდევ, მაინც არ აღმოვჩნდი დაზღვეული პირადი ინფორმაციის უნებართვოდ გასაჯაროებისგან“, - ამბობს დოდაკა.

ინოვაციები სოციალურ ქსელებში გარდაუვალია. სხვაგვარად იგივე Facebook ვერ გახდებოდა ის, რაც დღეს არის, ვერ გააერთიანებდა 800 მილიონ ადამიანს და ვერ გაუძლებდა კონკურენციას. მარკ ცუკერბერგს საკუთარი იდეა აქვს, კონცეფცია, რომლის მიხედვითაც არა მარტო ადამიანი, არამედ ყველა ადგილი და მოქმედებაც კი ინტერნეტში უნდა იყოს ჩართული, მაგრამ მე, როგორც ერთ-ერთ მომხმარებელს, რატომ არ მაქვს საკუთარი იდეებისა და არჩევანის უფლება? მჭირდება კი ეს ტიკერი ან რუკა Facebook-ზე? ამას არავინ მეკითხება და მეც ყოველი მსგავსი ახალი სერვისის მერე, რამდენიმე დღე ვწუნუნებ, თუმცა ბოლოს ინდიფერენტული ვხდები. სწორედ ასე მოხდა თაიმლაინის შემთხვევაშიც: სიახლე მომხმარებელთა უმრავლესობამ მაშინვე პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევად მიიღო და დიდი აჟიოტაჟიც ატეხა, მერე Twitter-ზეც დაიჩივლა, ზოგმა სათადარიგო პროფილი Google+-ზეც გახსნა, მაგრამ ბოლოს ყველა მიეჩვია, უფრო მეტიც მოეწონათ კიდევ. არა მხოლოდ იმი-



ტომ, რომ ინტერნეტ-მომხმარებლების ფსიქოლოგია ასეთი: Facebook მონოპოლისტია და დიდი არჩევანი არ გვაქვს. ან მისი თამაშის ყველა წესი უნდა მიიღო, ან არა და – ნახვიდე! წასვლა კი ასეთი მარტივი არაა: როგორ უნდა იცხოვრო სოციალური ქსელების ეპოქაში ისე, რომ ამ ქსელებში არ განწვერიანდე? როგორ მოწყდე თანამედროვეობას, თუკი გინდა მსოფლიოს განუყოფელი ნაწილი იყო?

თაიმლაინის გამო ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ ბევრმა Google+-ის შეაფარა თავი. თუმცა გვაძლევს კი ვინმე იმის გარანტიას, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისიც არ შეიცვლება? განა თავიდან Facebook-იც ერთი უწყინარი არსება არ იყო? ვინ წარმოიდგენდა, რომ მარტივად, მხოლოდ ტიკერის საშუალებით გააკონტროლებდით ასობით მეგობრის მოქმედებებს? გაისხენეთ, რამდენჯერ დაუდანაშაულებიათ პირად ცხოვრებაში ჩარევის გამო Google-ც, რომელიც ამბობს, რომ სოციალურობა ანონიმურობაზე მნიშვნელოვანია, ბლოკავს ყველა

იმ მომხმარებელს, რომელიც გამოგონილი სახელით რეგისტრირდება და Facebook-ის მსგავსად ხისტად აცხადებს: თუ არ მოგნონთ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ! დაახლოებით 20 წლის წინ ესპანელი პლასტიკური ქირურგის ჰუგო რუსოსის ერთ-ერთ პაციენტს მკერდის კორექციის ოპერაციის შემდგომი გართულებები დაეწყო. ნაციონალურ პრესაში ქირურგის შესახებ არაკორექტული პუბლიკაციები დაიბეჭდა. ექიმი მოგვიანებით უდანაშაულოდ სცნეს, თუმცა ეს მისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავდა: სტატია Google-ს საძიებო მანქანამ დააინდექსირა და ახლა რამდენჯერაც ჩაწერთ საძიებო მოთხოვნის ველში ჰუგო რუსოს, იმდენჯერ ნახავთ ამ პუბლიკაციას. ექიმმა სცადა სტატია Google-დან გამქრალიყო, მის ამ მოთხოვნას მხარს ესპანეთის მარეგულირებელი ორგანოები და პირადი მონაცემების დაცვის სააგენტოც უჭერდნენ, რომლებმაც ინტერნეტ-გიგანტს არქივების გასუფთავების თხოვნით არაერთხელ მიმართეს, თუმცა

Google-მა განაცხადა, რომ მარეგულირებელი ორგანოები საკუთარ უფლებამოსილებას აჭარბებდნენ.

როცა Gmail-ი და Google-ი სხვადასხვა სერვისებით უფასო სარგებლობის საშუალებას გაძლევთ, გგონიათ, რომ ინტერნეტ-გიგანტი ამას თქვენი სიყვარულის გამო აკეთებს? მას უბრალოდ უნდა, რომ თქვენი ყველა წერილი დაინდექსირდეს და თქვენს ინტერესებს დაუკავშირდეს, რათა მერე ზუსტად თქვენზე მორგებული კონტენტური რეკლამა მიიღოთ.

არც Facebook-ია ეჭვიანი მეუღლე და არც Google-ია მკაცრი მამა. მათ მხოლოდ იმის გაგება უნდათ, სად მიდიხართ და რომელ ყავას სვამთ, იმიტომ, რომ ხვალ თქვენი სახით რომელიმე ყავის მწარმოებელს ან კაფეს მეპატრონეს, პოტენციური მომხმარებელი მიჰყიდონ.

Facebook-ზე ხშირად წერთ, რომ პიცა გინდათ და თან უკვე მოასწართ იმის აღნიშვნა, რომ ვაკეში მუშაობთ? მაშინ მოემზადეთ: შესაბამის ველში ვაკეში მდებარე პიცერიების რეკლამა გამო-

გიჩნდებათ. მეგობარს Gmail-ით წერილს უგზავნით და წერთ, რომ დიეტაზე ხართ? მაშინ Google-ის კონტექსტური რეკლამა ახალ ფიტნეს კლუბში სიარულს შემოგთავაზებთ. ჯერჯერობით ქართულ ენაზე ეს სისტემა ბოლომდე ეფექტურად არ მუშაობს, მაგრამ არც ისე შორსაა დრო, როცა რეკლამის დამკვეთებისთვის ქართველების ინტერესების შეთავაზებაც უფრო ოსტატურად მოხდება. ერთი შეხედვით ეს ცუდი არ არის, მაგრამ იცოდეთ, რომ გარკვეულ საფასურს ამ „სერვისში“ იხდით და ამ შემთხვევაში ეს პირადი ცხოვრებაა, რომელსაც არცერთი სოციალური ქსელი არ უფრთხილდება.

სტივ რაბამი საგამოძიებო სააგენტო Pallorium Inc.-ის დამფუძნებელია. იგი აქტიურად მონაწილეობს ორგანიზაცია HOPE (Hackers on Planet Earth)-ის საქმიანობაში და მათ კონფერენციებზე სისტემატურად გამოდის ანგარიშით „Privacy Is Dead – Get Over It“. ერთ-ერთ ასეთ გამოსვლაში რაბამი აცხადებდა: „თქვენ სარგებლობთ Gmail-ით იმიტომ, რომ ის

მარტივი, სწრაფი და იაფია? ის არ უჩვენებს თქვენს IP მისამართს მსოფლიოს, გაძლევთ მილიონობით გიგაბაიტს, გეუბნებათ, რომ არ წაშალოთ თქვენი წერილები და შეინახოთ ისინი. როგორ ფიქრობთ, სერგეი ბრინმა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მისი შორეული ნათესავი ხართ? არა, რა თქმა უნდა! უბრალოდ, მას სურს, რომ თქვენს შესახებ სრულ ინფორმაციას ფლობდეს. იცით, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც Twitter-ის მუდმივ მონიტორინგს ახორციელებენ? მათ მარკეტოლოგები ჰქვიათ. ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ თქვენი ისტორია Twitter მხოლოდ ტვიტებისგან შედგება. იქ არის თქვენი IP, ადგილმდებარეობა, რამდენად ხშირად შედიხართ მასზე და ა.შ. ვებ-ბრაუზერში არსებობს რესურსი 140proof.com, უკავშირდებით მათ და ეუბნებით, რომ გინდათ გაყიდოთ თქვენი პროდუქტი ადამიანებზე, რომლებსაც ჩინელი ბებიები ჰყავთ და რომელთა სახელიც სრულდება ო ასოზე. ისინი შეხედავენ მონაცემთა ბაზას და გეტყვიან, რომ ჰყავთ ასეთი 500 კანდიდატი“, – ამბობს იგი.

თქვენს მიერ დატოვებული ციფრული ანაბეჭდების წყალობით ონლაინ-რეკლამას აღმავლობის ხანა აქვს, სოციალური ქსელების ეპოქაში იგი მეორედ დაიბადა. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ყველა ქმედება – რას ეძებთ, რას წერთ, სად ხართ – ფიქსირდება და პირობით ვირტუალურ საქალაქში ერთიანდება. ამ ვირტუალური საქალაქის გაანალიზებით მარტივად შესაძლებელია ადამიანის მომავალი ქმედებების და სურვილების განსაზღვრა, ამიტომ რეკლამის დამკვეთები უკვე ყიდულობენ არა სარეკლამო ადგილს, არამედ კონკრეტულ ადამიანებს. რეკლამის სფეროს წარმომადგენლები არც მალავენ, რომ სოციალური ქსელები მათ უსაზღვრო შესაძლებლობებს ანიჭებენ, რომ მათ იმდენი ინფორმაცია დააგროვეს ადამიანებზე, რომელზეც ტოტალიტარული რეჟიმები ვერც იოცნებებდნენ.

2010 წელს facebook-მა თავადვე აღიარა, რომ მისი ქსელიდან პერსონალურმა მონაცემებმა გაჟონა და 20-ზე მეტი კომპანია სპეციალური დამატებების დახმარებით მომხმარებლების პირად ინფორმაციას მათი გაფრთხილების გარეშე იღებდა. 2011-ში უფრო სკანდალური განცხადება Symantec-მა გააკეთა: ჩვენი პერსონალური მონაცემები დაახლოებით 100 ათასი პოპულარული თამაშისა და აპლიკაციისთვის იყო ხელმისაწვდომი. ისინი კი ამ მონაცემებს სარეკლამო კომპანიებზე ყიდდნენ.

გასულ წელს Wall Street Journal-ის ჟურნალისტებმა ამერიკის 50 ყველაზე პოპულარული საიტის ტრეკინგის ინტენსივობა შეაფასეს. აღმოჩნდა, რომ ყველა მათგანი საშუალოდ სატესტო კომპიუტერში 64 მოთვალთვალე ფაილს ტოვებდა, რისთვისაც 100-მდე ინსტრუმენტს იყენებდა. ერთადერთი გამონაკლისი საიტებიდან ვიკიპედია იყო, ყველაზე მეტი კი Google-სა და Microsoft-ს ჰქონდათ. საბოლოო ჯამში, კომპიუტერში 3180 ჯაშუში ფაილი აღმოჩნდა. ზოგიერთი მათგანი მონეტალურად ინერდა ყველაფერს, რასაც ადამიანები ონლაინ კრეფდნენ, შემდეგ კი უკვე შესაბამის სერვერზე ანალიზისთვის და ამ პირის სოციალურ კავშირებთან მიზმისთვის აგზავნიდა. გაგზავნილი ინფორმაციის მიხედვით კი მარტივად შეიძლებოდა მომხმარებლის ასაკის, სქესის, რასის, საფოსტო ინდექსის, შემოსავლის, ოჯახური მდგომარეობის, ონლაინ-შენა-





ძენების, საყვარელი ტელეგადაცემებისა და ფილმების დადგენა.

ჰო, მართლა... Facebook მაშინაც გივალთვალვებო, როცა ქსელში არ ხართ. სოციალური ქსელი მოხმარებლების ინტერნეტ-აქტიურობას მაშინაც აკვირდება, როცა ისინი ქსელიდან გადიან. Facebook სოციალური ქსელის მიერ მომხმარებლების კომპიუტერებზე მათი იდენტიფიკაციისა და დამატებებთან მუშაობისთვის Cookie ფაილებს აგზავნის და როცა „ლოგაუთს“ აჭერთ, სინამდვილეში ისევ ქსელში რჩებით – უბრალოდ, ერთი Cookie ფაილი მეორით იცვლება, რაც ქსელიდან გამოსვლის იმიტაციას ქმნის. Facebook კი მისთვის საჭირო ყველა ინფორმაციის შეგროვებას აგრძელებს: რა საიტებზე დადიხართ, რა სერვისებით სარგებლობთ, სად იმყოფებით ახლა და ა. შ. მოთვალთვალვა Like-ს ლილაკიც, რომელიც სხვადასხვა საიტებზეა განთავსებული და როდესაც ამ ლილაკს აჭერთ, Facebook ავტომატურად იღებს შეტყობინებას, მიუხედავად იმისა, გაააქტიურებთ თუ არა Like-ს. ამას გარდა, Cookie ფაილებს ააქტიურებს ყველა ის ვებ-გვერდი, რომელზეც Facebook Connect-ია ინტეგრირებული, ინფორმაცია ასევე მომხმარებლის ნებართვის გარეშე გროვდება და სოციალურ ქსელს გადაეცემა. ასე რომ, Facebook პრაქტიკულად მთლიანად უთვალთვალვებს ვებსივრცეს: Facebook Connect ხომ ახლა ყველა „თავმოყვარე“ საიტს აქვს. უფრო მეტიც: თუნდაც ახლა დარეგისტრირდეთ Facebook-ზე, თქვენს სუფთა „აქაუნტს“ თქვენი ისტორია – თუ რომელ საიტებზე შედიოდით მანამდე – მომენტალურად მიეზღვება და მისთვის უკვე ხელმისაწვდომი გახდება.

აღამიანის უფლებათა დამცველები, მარეგულირებელი ორგანოები, ექსპერტები დიდი ხანია ფიქრობენ, როგორ გამოვლიჯონ სოციალურ ქსელებს ეს ინფორმაცია, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტული გამოსავალი არ არსებობს. თუ გინდა, რომ აბსოლუტურად დაცული იყო, უარი უნდა თქვა სოციალურ ქსელებზე, მეორე უკიდურესობაში გადავარდე და იზოლირებული აღმოჩნდე.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო 18 წლის ენჯი ვერონამ მას შემდეგ, რაც 4 წლის წინ მას ფოტოჰოსტინგ Photobucket-ზე პროფილი გაუტეხეს და ყველა ის ზედმეტად გულახდილი ფოტო, რომელიც შეყვარებულისთვის გადაიღო, ინტერ-

ნეტში ვირუსულად გავრცელდა. მხოლოდ Google-ში 65 000-მდე ფოტოა, Facebook-სა და Twitter-ზე კი ენჯის უამრავი ყალბი პროფილია შექმნილი. გოგონა დეპრესიაში ჩავარდა, ნარკოტიკებს იღებდა და თვითმკვლელობაც სცადა. ინტერნეტ-რესურსებთან მისი ბრძოლა კი უშედეგოდ დამთავრდა.

შარშან კომპანია Norton-მა სრულწლოვან ბრიტანელებს შორის, თემაზე – რა გავლენა შეიძლება მოახდინოს სოციალურმა ქსელებმა მათ რეპუტაციაზე, სპეციალური კვლევა ჩაატარა. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ სურს ნაშალოს ყველაფერი, რაც კი ოდესმე ინტერნეტში გამოუქვეყნებია,

## აღამიანის უფლებათა დასაცავი, დიდი ხანია ფიქრობენ, როგორ გამოვლიჯონ სოციალურ ქსელებს ეს ინფორმაცია, მაგრამ კონკრეტული გამოსავალი არ არსებობს.

მათ შორის ის ფოტოები და პირადი მონაცემები, რომლებიც ნამდვილად არ უნდა, რომ დამსაქმებლებმა ნახონ. 35% კი დაწინაურებულია, რომ ვერასდროს იფიქრებს პოლიტიკურ კარიერაზე იმ კომპრომატის გამო, რომელიც მასზე ინტერნეტში არსებობს. „ჩვენ ყველას გვინდა ახალი ტექნოლოგიებით სარგებლობა, მაგრამ მომხმარებლებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რამდენად სახიფათოა, როგორც პირადი, ისე პროფესიული თვალსაზრისით ონლაინ პერსონალური ინფორმაციის ზედმეტად ღიად გაზიარება, დაფიქრდით სანამ რამეს გამოაქვეყნებთ“ – ასეთ რჩევას იძლევა Norton-ის ექსპერტი შერლი ზაიტცი.

ჰო, მართლა, ნაგიკითხავთ შეთანხმება Facebook-თან, რომელსაც დარეგისტრირებისას დაეთანხმეთ? გადახედეთ. ევროპასა და ამერიკაში ინტერნეტ-მომხმარებლების ნაწილი უკვე აცნობიერებს, რომ ქვეყნის ნორმების გარკვეული ერთობლიობა ონლაინ სივრცეშიც უნდა

დაიცვას, რომ მისი ყველა სიტყვა და ქმედება ისევე შეფასდება, როგორც რეალურ ცხოვრებაში, რომ არ უნდა უზიარებდე ყველაფერს იმ ათასობით „ფრენდს“, რომელთაგან შესაძლოა, ნახევარზე მეტს არც იცნობ და თუკი გინდათ, რომ ვერავინ ნაიკითხოს და ნახოს თქვენი ქმედება ინტერნეტში, საერთოდ ნუ გამოაქვეყნებთ მას.

ახალ სოციალურ გარემოში სხვაგვარად აზროვნება და ფიქრია საჭირო: რაც წვეულებაზე ხდებოდა, დიდი ალბათობით სოციალურ ქსელებში მოხვდება, კარგად უნდა დაეფიქრდეთ, სანამ ინტერნეტში რამეს გამოაქვეყნებთ, რადგანაც ჩვენი „ვირტუალური ცოდვები“ წინ დაგვხვდება და ჩვენც წინასწარ უნდა შევეგუოთ ამ აზრს. სოციალური ქსელები დროსთან ერთად კიდევ უფრო ღრმად შემოიჭრებიან ჩვენს ცხოვრებაში და არ გაჩერდებიან, სანამ ყველა დეტალს არ გაამჟღავნებენ.

Cisco-ს ბიზნეს ანალიტიკოსი სუშანტა საჰანი მომავალს პირობითად სოციალურ ქსელ 2.0-ს უწოდებს და ამბობს, რომ პერსპექტივაში ადამიანებს მოქმედების უფრო მეტი თავისუფლება ექნებათ. თუკი თქვენმა მეგობარმა Facebook-ზე ან Google+-ზე რომელიმე კურორტზე გადაღებული ფოტო განათავსა, თქვენ კურსორის ფოტოზე მიტანით ამ კურორტზე არსებული სასტუმროების ფასს შეიტყობთ. მერე სოციალური ქსელი ალტერნატიულ დასვენებასაც შემოგთავაზებთ და ავიაბილეთისა და სასტუმროს დაჯავშნაშიც დაგხმარებათ. იგივე პრინციპი იმუშავებს სხვა პროდუქტების შეძენისასაც: თუ Twitter-ზე თქვენი ყურადღება ახალი ტელევიზორის შეძენის შესახებ შეტყობინებამ მიიპყრო, კურსორის ანალოგიური მიტანით მომენტალურად მიიღებთ ინფორმაციას მის ფასებზე, მაღაზიებზე, სადაც იყიდება, მომხმარებლების შეფასებებზე და ყიდვასაც შეძლებთ. მომხმარებლის სოციოგრამაზე დაყრდნობით, სოციალური ქსელი მას, მისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას სწრაფად მოუძებნის, რეკომენდაციებს მისცემს და მომდევნო მოქმედებების განხორციელებაშიც დაეხმარება. ეს ყველაფერი კი, ისევ და ისევ, პირადი ცხოვრების ხარჯზე... სიახლეებს ვერსად გავექცევით, უკან გზა მოჭრილია, ამიტომ, ყოველი შემთხვევისთვის, ფიქრიც გააკონტროლეთ: მალე შეიძლება, ისიც საჯარო გახდეს...



## მუშთაიდი – წელი წელი

ავტორი ნინო ძანაძვა

თბილისში ცოტაა ისეთი ადგილი, რომელსაც ვერ კიდევ აქვს შერჩენილი საბჭოთა კავშირის ატმოსფერო. ძალიან ძნელია ახსნა რას გულისხმობს საბჭოთა ატმოსფეროში, მით უფრო ძნელია ჩემთვის, ვინც ამ კავშირში სულ რამდენიმე წელი იცხოვრა და ოქტომბრელობაც კი არ მოუწია. ბალის სივრცე მიკროსამყაროს შთაბეჭდილებას ქმნის, რომელიც ღიაა და ჩაკეტილი ამავდროულად და რომელიც გარემომცველი ლანდშაფტიდან დღეს საკმაოდ ამოვარდნილია. შეიძლება ჩემი თაობის ადამიანებისთვის ის ცოტა ეგზოტიკურიც იყოს ან რომანტიული. მუშთაიდში ყველაფერს სიძველის და სევდის ელფერი დაჰკრავს. სასაცილო (სიცილის) ოთახი ზუსტად ისეთივეა, როგორც ბავშვობაში გემასხოვრებათ, საბჭოთა საქანელები ჭრიალის გამყიფან ხმას გამოსცემენ, საბჭოთამდელებს კი გადაუდებელი რესტავრაცია სჭირდებათ, დეიდა სვეტაც ისევ ეკითხება მნახველებს: „ქალაქში რა ხდება? მიტინგებს კიდევ ატარებენ?“

ამ პარკის ფერიც სხვანაირია. ერთიანი ტონალობა აქვს და ქალაქის დანარჩენი პარკების სიჭრელისგან ამითაც განსხვავდება. მართალია, შავ-თეთრი კადრები რეალობას ცვლის, მაგრამ მუშთაიდის შემთხვევაში შავ-თეთრი ფოტო ისეთ ფატალურ სხვაობას არ იძლევა, როგორსაც რომელიმე სხვა თანამედროვედ მოწყობილი პარკის გადაღებისას მოგვცემდა. პროექტის მიზანი ისტორიის ფალსიფიკაცია არ ყოფილა, დიახ, ეს ფოტოები გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერშია გადაღებული და არა 30-40 წლის წინ, როგორც ეს რედაქციაში ივარაუდეს თავდაპირველად.

პარკის ადმინისტრაცია ამბობს, რომ 2012 წლის 1 ივნისისთვის მუშთაიდი სრულიად განახლდება.

















SINCE 1884

**SARAJISHVILI**

სარაჯიშვილი

სხალი  
შოქოლადი

# სტილი



ინტერვიუ  
უტა ბეჟანია

ისტორია  
ალექსანდრ მაკუინი

მოდის ისტორია  
რკინის ლედი



## მოდა – ბიზნესი თუ ხელოვნება?!

თამარ ალავეიძე

ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მოდა (ჩაცმულობის თვალსაზრისით და არა მისი ზოგადი კულტურული კონტექსტი) ხელოვნებაა და რომ „მოდის კეთება“ მხოლოდ ჭეშმარიტად ხელოვანი ადამიანების პრეროგატივა უნდა იყოს. „ხელოვნებაში“ უცილობლად სამუზეუმო ექსპონატების შექმნას არ ვგულისხმობ, არამედ მიდგომას ამ ხელობისადმი – დიზაინერის პროფესიისადმი. მგონია, რომ საკუთარი შინაგანი, სულიერი თუ ემოციური განწყობით, ამ ადამიანებს უნდა სჯეროდეთ, რომ რაღაც ღირებულს ქმნიან და არა უბრალოდ სეზონზე-აქტუალური-ტენდენციების-წარმატებულ-ნაკრებს, რაც, სამწუხაროდ, ბოლო წლებში საკმაოდ პოპულარულ გზამკვლევადა იქცა ბევრი დიზაინერისათვის.

თუმცა, იმავდროულად, ვაცნობიერებ, რომ ჩვენს საუკუნეში, როცა ახალ-ახალი მოდის სახლები თუ ბრენდები წვიმის შემდეგ ამოსული სოკოებივით ჩნდებიან და მრავლდებიან, ძნელია „წარმატებულად“ განსხვავებული და გამორჩეული იყო, მხოლოდ საკუთარი შემოქმედებითი ნიჭის და ენერჯის ხარჯზე. არსებული კონკურენციის პირობებში, შიშველი კრეატივით, აშკარად, ვერ გახვალ ფონს. ამიტომაც, არაერთმა შემოქმედმა გაცნობიერა აუ-

ცილებლობა, მაქსიმალურად აენყო ფეხი ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტემპისათვის – სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი იძულებული გახდნენ ბიზნესზე ორიენტირებულ შემოქმედებად გადაქცეულიყვნენ.

თავის დროზე ამ ბალანსს იდეალურად ინარჩუნებდნენ კოკო შანელი და კრისტიან დიორი, რომლებმაც მოდის ისტორიაში თავ-თავიანთი „პატარა რევოლუციების“ მოხდენაც მოახერხეს და იმავდროულად ფინანსურად წარმატებული იმპერიებიც დაუტოვეს შემდეგ თაობას. არანაკლები შემოსავალი მოუტანა პარტნიორის პიერ ბერჟეს თანადგომით დაარსებულმა მოდის სახლმა, რომელიც ლეგენდარული სმოკინგის შემქმნელმა დიზაინერმა საკუთარივე ნებით დატოვა 1996 წელს – მოდის ზედმეტად „კომერციალიზებისადმი“ თავისი შეუწყნარებლობის გამო.

ასეთ „არაკომერციულ“ შემოქმედად ვთვლიდი მუდამ ალექსანდრ მაკუინისაც. მისი ნამუშევრების შემხედვარეს, პირველი, რაც აზრად შეიძლება მოგივიდეს, ალბათ, ამ ქმნილებების უკან მდგომი ადამიანის „არანორმალური“ და „არამქვეყნიური“ ხედვაა, ისევე როგორც

ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტის მოსმენისას. ალბათ, წარმოუდგენელიც იქნებოდა ასეთი სიღრმისეული განცდების გამოვლენა სამყაროში მიმდინარე ამა თუ იმ მოვლენის მიმართ „სტანდარტულად კრეატიული“ აზროვნების ფარგლებში. მაკუინის ყოველი ჩვენებაც ხომ, დიზაინერის ფარული განცდების გაცოცხლების და მათი თეატრალიზებულად გადმოცემის მცდელობა იყო.

სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დიდი სიურპრიზი იყო ჩემთვის იმის აღმოჩენა, რომ თავის საქმეს მაკუინი ბიზნესად მიიჩნევდა და არა ხელოვნებად: „არჩევანი გარდაუვალია – ან ხელოვნების ან ფულის კეთების გზა უნდა აირჩიო, იმიტომ, რომ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი მაინც ბიზნესამდე მიდის – აღნიშნავს ერთ-ერთ ინტერვიუში მაკუინი – მე არ ვქმნი ხელოვნებას, მე ვქმნი ტანსაცმელს იმისთვის, რომ ადამიანებმა ის ატარონ“. ალბათ, გაცილებით კომფორტულად ვიგრძნობდი თავს, მისნაირი ატიპური აღქმის ადამიანისგან სრულიად საპირისპირო რომ მომესმინა. თუმცა, მისი გენიაც, ალბათ, იმაშია, რომ მან მომგებიან ბიზნესად აქცია საკუთარი შემოქმედება – ქმნილებები, რომლებიც ყოველთვის ხელოვნებად დარჩება ისტორიას.

# KÉRASTASE PARIS



KÉRASTASE

HUILE **K** SUBLIME

OLÉO-COMPLEXE

RECHERCHE AVANCÉE  
— L'ORÉAL —  
PARIS

RECHERCHE AVANCÉE  
— L'ORÉAL —  
PARIS

KÉRASTASE წარმოადგენს  
ზეთების მავიანს

## KÉRASTASE ELIXIR ULTIME

1- ლი მულტიფუნქციური მოვლა Kérastase - გან  
გამდიდრებული ოლეო-კომპლექსით ოთხი  
ძვირფასი ზეთისგან

- ვრუბანის ზეთი
- არგანის ზეთი
- მანისის ზეთი
- ახმელის ზეთი



Recherche Avancée L'Oréal




# რკინის ლედი

ავტორი თამარ ალავეიძე  
სტატია მომზადდა Daily Telegraph-ის და Vanity Fair-ის მასალებზე დაყრდნობით

ნებისმიერი ოპოზიციური ლიდერი-სათვის საჯარო აღიარება რთულად მისაღწევი მიზანია. გამონაკლისს არც მარგარეტ ტეტჩერის წარმოადგენდა პარტიის ლიდერობის პირველი ოთხი წლის განმავლობაში. თუმცა სულ სხვა

ამბავია მისი პრემიერ-მინისტრობის შემდგომი პერიოდი, როდესაც საკმარისი იყო ტეტჩერის უბრალოდ მოხსენიება – „ის ქალი“ (She) და ყველამ იცოდა, ვისზეც იყო საუბარი. მსოფლიო გაცხოველებული ინტერესით აკვირდებოდა

ბრიტანეთის ისტორიაში პირველ ქალ პრემიერ-მინისტრს, თუმცა, ამ ინტერესს მისი მოღვაწეობით კმაყოფილება ავტომატურად არ მოჰყოლია. ბევრი ამომრჩეველი, მათ შორის, ქალი ამომრჩეველები, ეჭვით უყურებდნენ პოლიტი-



**buddha-bar**  
**Tbilisi**

**Coming soon...**



ქალკი ფილიპინა „რაინის ლიდი“, 2012 წელი



მარბარა ტატერი და კლემენტ კოლი



ფოტო REUTERS

მარბარა ტატერი Asprey-ის სწოხილი ხელრანით და Salvatore Ferragamo-ს ფესსახელებით

კოს ქალს, რომელიც დიდ სიმპათიას არასდროს იმსახურებდა, მით უმეტეს, მისი თავდაპირველი იმიჯის გათვალისწინებით. მას ლიად აკრიტიკებდნენ „გამგმირავი“ ხმის ტემბრისა და უგემოვნო ჩაცმულობის გამო. მისი, ოდნავ წინნამოწეული და არასწორი წყობის კბილებიც კი არ დარჩენილა კრიტიკის მიღმა. ყოველი ნაკლი, რომელიც მამაკაცი პოლიტიკოსის შემთხვევაში აღნიშვნის ღირსიც არ გახდებოდა, განსაკუთრებული განხილვის საგანს წარმოადგენდა.

არაერთი ბრიტანელი დიზაინერი შეეცადა საკუთარი თავის წარმოჩენას ტეტჩერის ხმის სანინალმდეგო განწყობის საჯაროდ გამოხატვით. ჟურნალ Tatler-ის 1989 წლის ყდაზე, მარგარეტ ტეტჩერის საყვარელ ბრიტანულ ბრენდ Aquascutum-ში გამოწყობილი ექსცენსტრული ბრიტანელი დიზაინერის ვივიენ

ვესტუდის ფოტო, წარწერით „ეს ქალი ერთ დროს პანკი იყო“, სხვა არაფერი იყო, თუ არა ტეტჩერის პაროდიულად წარმოდგენის მორიგი მცდელობა.

ამ ყოველივემ მეთოდისტური ოჯახის უმკაცრეს შეხედულებებზე გაზრდილი მარგარეტ ტეტჩერის თვითკრიტიკული მხარე გამოავლინა. მისი ბიოგრაფის, ჩარლზ მურის სიტყვებით, ტეტჩერი ყოველთვის ამაცობდა საკუთარი გარეგნობით და ერთხელ მურისთვის კიდევაც უთქვამს: „არ არის სავალდებულო იყო არისტოკრატიული იმისათვის, რომ ლამაზი, ლურჯი თვალები გქონდეს“. თუმცა, ტეტჩერი იმავდროულად მაღალ სტანდარტებსაც უყენებდა საკუთარ გარეგნობას. როდესაც მისი გარეგნობისა და ჩაცმის სტილის გამო დიდი მითქმამოთქმა ატყდა, ტეტჩერმა პრაქტიკული საპასუხო რეაქცია გამოავლინა: ყოფილი ტელე-პროდიუსერის გორდონ რი-

სის დახმარებით, მან საკუთარი სტილის სრულყოფაზე დაიწყო მუშაობა. მისი გარდერობიდან ეტაპობრივად გაქრა ქაოტური ბაფთები, კბილები გასწორდა, ვარცხნილობამაც უფრო ელეგანტური ელფერი შეიძინა. თავსაბურავები დავიწყებას მიეცა, ძალიან იშვიათი გამონაკლისების გარდა. ერთადერთი, რაც ტეტჩერმა არ დათმო, 1953 წელს ტყუპების გაჩენასთან დაკავშირებით მეუღლის, დენისის მიერ ნაჩუქარი მარგალიტის ყელსაბამი იყო.

საბოლოოდ, პრემიერ-მინისტრობის შუა პერიოდისათვის ტეტჩერი უკვე გამორჩეულად ელეგანტურ და გემოვნებით ჩაცმულ ქალად იქცა: მისი მაღალი საყვარლების დამსახურებით, მას ხშირად ელისაბედ პირველის თანამედროვე ვერსიად, „Gloriana“-ად მოიხსენიებდნენ. თუმცა, მეტაფორების სერიიდან ყველაზე პოპულარულად, მაინც, ფრან-





# ინტერვიუ უტა ბექაიასთან

ავტორი თამარ ალავეცი

უტა ბექაია ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი მულტიმედია არტისტი და კოსტიუმის დიზაინერი, რომელსაც, ბოლო 10 წლის განმავლობაში, არაერთი საინტერესო პროექტი აქვს გაკეთებული თეატრსა და კინოში. 2010 წელს მან თბილისის მოდის კვირეულზე პირველი კოლექცია წარადგინა, 2012 წლის გაზაფხული-ზაფხულის ჩვენებებში კი, უკვე, ვიზუალურ არტისტ ლევან მინდიაშვილთან ერთად დაფუძნებული „UTALEVAN“-ის ბრენდის სახელით მიიღო მონაწილეობა. ვერ იტყვი, რომ მისი შექმნილი სამოსი ჩვეულებრივი და ყოველდღიური მოხმარებისთვისაა. უტა ბექაიას კოლექციები არტისა და ქუჩიდან „მოპარული“ შთაგონებების სინთეზია.

**უტა, პეპლები, რომლებიც თქვენს ბოლო, 2012 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციას გასდევდა ხაზად, საიდან მოფრინდნენ და რატომ აღმოჩნდნენ მოდელების ტუჩებზე?**

ვინაიდან ეს გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია იყო, მინდობდა, რომ „დუხიც“ შესაბამისი ყოფილიყო. ტუჩებზე კიდე იმიტომ დავსვი, რომ მომწონს, ლამაზია. თანაც, პირი რომ არ ჩანს, ეს განსაკუთრებით მომწონს. მინდობდა, რომ აქცენტის სტილისტურ გაფორმებაზე ყოფილიყო და არა – მოდელების სახეებზე.

**როგორ აღმოჩნდით თბილისის მოდის კვირეულზე და რით იყო თქვენთვის საინტერესო მასში მონაწილეობა?**

შარშან დედაჩემის სანახავად ვიყავი ჩამოსული, ათი წელი არ ვიყავი თბილისში ნამყოფი. მაშინ, ჩუბიკა კვირეულისთვის კოლექციას ამზადებდა. საერთოდ, მე მოდას არ ვაკეთებ, როგორც ასეთი, მოდის დიზაინერი არ ვარ. რაც საქართველოდან წავედი, თეატრის და კინოსთვის ვქმნიდი კოსტიუმებს. ჰოდა, შარშან ჩუბიკამ მეც შემომთავაზა მოდის კვირეულისთვის კო-

ლექციის გაკეთება და მგონი, საბოლოო ჯამში, კარგიც გამოვიდა.

ამ მომენტში იმ ყველაფრის დიდ წილს, რასაც მე ვაკეთებ, ერთი მდიდარი ამერიკელი, ასე ვთქვათ, ჩემი „ბოსი“ აფინანსებს, ის ფულს დებს მისთვის საინტერესო იდეებში. მეც დავარწმუნე, რომ თბილისის მოდის კვირეულისთვის შექმნილი კოლექცია ძალიან კარგი იქნებოდა „UTALEVAN“-ის ბრენდის პოპულარიზებისთვის. ჰოდა, ისიც დამთანხმდა. ასე აღმოვჩნდი მოდის კვირეულზე შარშან პირველად.

**რატომ აირჩიეთ ქეთათო ამ ჩვენების ერთ-ერთ მოდელებად?**

ქეთათო ჩემი დიდი ხნის მეგობარია, ისევე, როგორც ირაკლი იყო. „შენ აფრენ“ სიმღერის კლიპი თუ გახსოვთ, აი, მანდ, ჩემი კოსტიუმებია და მეც ვარ გადაღებული. 1993 თუ 1995 წელი იქნებოდა, ზუსტად არ მახსოვს. წელს რომ ჩამოვედი, ქეთათომ მთხოვა, მისი რამდენიმე გამოსვლისთვის კოსტიუმები შემერჩია. როდესაც შევეურჩიე, ვთხოვე კიდეც, რომ ჩვენებაზე გამოსულიყო. ისიც დამთანხმდა.

**უტა, თუ მეგობრობთ ან თანამშრომლობთ ქართველ დიზაინერებთან?**

ეს ბოლო კოლექცია, რაც თბილისში ვაჩვენე, ბუენოს-აირესში მცხოვრებ მხატვარ ლევან მინდიაშვილთან ერთად ვაკეთე. რამდენიმე თვის წინ ჩვენ კომპანია „UTALEVAN“ დავაარსეთ. ლევანი ძალიან წარმატებული მხატვარია, საკმაოდ „გახურებული“, კარგად ყიდის თავის ნამუშევრებს. მე ნიუ-იორკში ვარ, ლევანი ბუენოს-აირესში და მონაცვლეობით დავდივართ, ხან მე ჩავდივარ, ხან თვითონ ჩამოდის და ასე ვმუშაობთ. მე რაღაც მაკლია, ლევანს აქვს და პირიქით. თბილისის მოდის კვირეულისთვის კოლექციაც ბუენოს-აირესში შეიკერა. არგენტინაში ვიყავი ოთხი თვით და ერთად ვაკეთეთ პროექტი, რომელიც მოდა არ იყო, იყო

უფრო პერფორმენსი, თეატრი. მოდის ეს კოლექცია ყველაზე კომერციული რამაა, რაც კი ოდესმე გამიკეთებია და ეს ძალიან მახარებს.

**თქვენი ყველა კოლექცია ბუენოს-აირესში იკერება?**

კი, ყველაფერი ბუენოს-აირესში ხდება. სულ რამდენიმე მკერავი ქალი ქმნის ყველაფერს – არა ქარხნულად, არამედ ხელით. ერთ-ერთი მათგანი საოცარ თარგებს ამზადებს და თან, ძალიან იაფად, გაცილებით იაფად, ვიდრე საქართველოში. არგენტინა საკმაოდ უცნაური ქვეყანაა ექსპორტ-იმპორტის თვალსაზრისით. ძალიან ბევრი რამ, იმპორტის სირთულის გამო, არ შედის ქვეყანაში, ამიტომ, დიდი ნაწილი, ადგილზევე იწარმოება. არჩევანიც მრავალფეროვანია – იაფფასიანი ქსოვილებიდან ძვირადღირებულამდე. შარშან საქართველოში რომ ვიყავი ჩამოსული, კარგად შევისწავლე ქსოვილების ბაზარი და დიდი ნაწილი, რაც მისაღებ ფასად იყიდებოდა, მოძველებული იყო, კარგი და ახალი კი ძალიან ძვირი ღირდა.

**დღევანდელი გადმოსახედიდან როგორ გესახებათ ქართული მოდის ინდუსტრიის პერსპექტივები?**

ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, რაღაც მარცვალი არის ჩაგდებული, ჯერ ბიზნესი არ არის, ფული არ ტრიალებს ამ სფეროში. ჯერ რაღაც ბომონდის დონეზეა, ხალხი მიდი-მოდის. თუმცა, შემოქმედებითი კუთხით თუ შევხედავთ, არიან ძალიან კარგი დიზაინერები: გიო შალაშვილი, ჩუბიკა, რომლის ნამუშევრებიც ხელოვნებაა; გუდუ, ჩემი აზრით, ამომავალი ვარსკვლავია, თუ არ დაიზარა და იმუშავა, ძალიან ნიჭიერია; შაკო ნიკვა, პატარა და ნიჭიერი ბიჭია, რომელსაც ასევე, ხელის შეწყობა სჭირდება. თამუნა ინგოროყვაც ძალიან მომწონს, ხარისხიანი ქსოვილებით კერავს, ბევრ ქალს გაუხარდებოდა მისი



კაბების ჩაცმა და ადვილადაც ყიდის კოლექციებს, ასე ვთქვათ, ბიზნესს აკეთებს. მოდების სახლი „მატერიალ“ წარმატებულად მუშაობს, აქვთ კომერციული პროექტები, შეკვეთები, რაც ძალიან მიხარია. ზოგადად, ინტერესი, როგორც ვხედავთ, დიდია: ხალხს აინტერესებს მოდა, ისევე როგორც პოლიტიკა და ფეხბურთი. ამდენად, თუ ფული ჩაიდება, ეს ინდუსტრია შეიძლება კარგად განვითარდეს. კარგი მენეჯმენტი იმისთვისაა საჭირო, რომ ეს ყველაფერი ისე და ისე თბილისის ჩაკეტილ წრეში არ ტრიალებდეს და შეძლოს საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლა. მოდა უფრო ბიზნესია, ვიდრე ხელოვნება, მართლა! თუ არ მიუდევს როგორც ბიზნესს, წინ ვერ წახვალ ამ სფეროში – მე ასე ვფიქრობ ახლა, ამ ეტაპზე.

**„UTALEVAN“-ის გარდა, პარალელურად, რა პროექტებით ხართ დაკავებული?**

ობა მომწონს, ვიდრე ვინმე რეჟისორთან. კინოსთვისაც მაქვს კოსტიუმები გაკეთებული, მოკლემეტრაჟიანი ფილმებისთვის. რუსეთთანაც ვითანამშრომლე, რაღაც სერიალზე: სამარცხვინო სერიალი კი იყო, მაგრამ კარგად იხილდნენ და ამიტომ დავთანხმდი. კინოზე მუშაობისას ძალიან ილღები, მაგრამ, იმავდროულად, უზომოდ საინტერესოა, მომწონს თავად გადაღების პროცესიც, დილიდან ღამემდე იქ რომ ხარ – ესეც მომწონს. ერთი თვე გიჟივით ხარ, მაგრამ შემდეგ შეგიძლია თავს უფლება მისცე და ერთი თვე დაისვენო – ესეც ძალიან მომწონს. თან, კარგადაც იხილიან ყველთვის.

**კოსტიუმების დიზაინის მხრივ, თუ გამოარჩევთ რომელიმე კონკრეტულ დიზაინერს, რომლის ნამუშევრებიც განსაკუთრებით მოგწონთ, მაგალითად, ჟან პოლ გოტიეს, კრისტიან ლაკრუას ან ვინმე სხვას?**

გეტყვით, რაც შემძინა. ექსტრემალურ სიტუაციებში შემიძლია რალაცების აწყობა ორ წუთში – აი, ეს შემძინა. შემიძლია ყველაფერს გავუძლო, როცა საქმე სამუშაოს ეხება. კიდევ ის შემძინა, რომ ვისწავლე ჩემი თავი როგორ გავიტანო, სახელოვნებო თავისუფლების დარღვევის გარეშე, ისე, რომ ჩემი სიტყვის თქმა შევძლო.

**საქართველოდან 1998 წელს წახვედით. რატომ?**

ძალიან ცუდი სიტუაცია იყო: სიბნელე, შიში... ვფიქრობდი, ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ვცდილობდი, რომ გადავრჩენილიყავი და ტყვია არ მომხვედროდა. თუმცა, ახლა ვხვდები, რომ იმ დროს, გაცილებით მეტი იყო შემოქმედებითი მუხტი, ვიდრე ახლა. თავდაპირველად, სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი, ინდუსტრიული დიზაინის ფაკულტეტზე, დიპლომიც კი მაქვს, თუმცა არაფერი მისწავლია. ძალიან არეული სიტუაცია იყო და არაფერი გამოვივიდა. შემდეგ თეატრალურში ჩავაბარე, კინოს მენეჯმენტს ვსწავლობდი. მაგრამ აღარ დავამთავრე სწავლა და წავედი. წასვლით კი, იმიტომ წავედი, რომ აქ პერსპექტივას ვერ ვხედავდი.

**იცოდით, სად ან ვისთან მიდიოდით?**

ნაკლებად. მასხოვს, 1996 წელს, თბილისში ამა (ავანგარდული მოდის ასამბლეა) გაიმართა და მეც მივიღე მონაწილეობა. ძალიან ჭრელი, „ბრდღვიალა“ კოლექცია გავაკეთე, მამაჩემს ხისგან უზარმაზარი ქუსლიანი ფეხსაცმელები გამოვათლევინე, გუაშებით შევღებე მოდელები, მე თვითონ ცისფერი პინგვინით ვიყავი გამოპრანჭული. მაგ დროს ტექნო „მეფასებოდა“ და მაგრად ვუბერავდი. ლონდონის სენ-მარტინის კოლეჯშიც კი გავაგზავნე ჩემი პორტფოლიო – ქალის ტანსაცმლის დიზაინის ფაკულტეტზე – და მიმიღეს. ძალიან იაფი ჯდება იმ დროს სწავლა, წელიწადი 7.000 ფუნტი, ამიტომაც, სწავლა რომ დამეფინანსებინა, ამერიკაში წასვლა გადავწყვიტე. ჩემმა მეგობარმა ვიზა გამომიგზავნა, ჩამირტყეს და წავედი, ვითომ, ლონდონისთვის ფულის შესაგროვებლად და, ჩავრჩი.

**სენ მარტინი აღარ შედგა?**

**ათი წლის წინ საერთოდ სხვა ადამიანი, იდეალისტი ვიყავი, ენოთერიკით გატაცებული.**

**ახლა სულ სხვა ადამიანი ვარ – დამინახული გავხდი, მიწდა ფული ვაკეთო, რომ სხოვრახის გარკვეულ ეტაპზე, მომავალში, ჩემთვის სასიამოვნო საქმეს მივუბრუნდე. მთავარია, საშუაო მქონდეს, ძალიან მსიამოვნებს მუშაობა.**

ემუშაობ კომპანიისათვის „Saint Hollywood“, რომელიც ერთგვარი ხელოვნების ქარხანაა: გვაქვს უზარმაზარი სტუდია ნიუ-იორკში, ძალიან კარგ ადგილას და ვუშვებთ სხვადასხვა ტიპის პროდუქტებს იმისათვის, რომ „გაპიარდეს“, მეტი არაფერი. ოღონდ, ამას მოგების გამო არ ვაკეთებთ, უბრალოდ – იდეისთვის. ისე, ჩემი ძირითადი საქმე, კოსტიუმების დიზაინია, სცენის დიზაინსაც ვაკეთებ ხოლმე, მაგრამ უფრო მეტად კოსტიუმებზე ვმუშაობ. აი, ახლაც, ნიუ-იორკში რომ ჩავალ, რამდენიმე დაკვეთა უნდა შევასრულო თეატრისთვის. ამით ვაკეთებ ძირითადად ფულს. საქართველოდან რომ წავედი, 6 თვეში დავინწყე თეატრისათვის მუშაობა, სრულიად შემთხვევით შემომთავაზეს და შემდეგ, ასე აენყო. მომწონს ეს საქმე, მაგრამ უფრო – დამოუკიდებლად, საკუთარ თავზე მუშა-

ჟან პოლ გოტიეს ძალიან ბევრი აქვს თეატრისთვის ნამუშევარი და კინოსთვისაც აქვს კოსტიუმები გაკეთებული. ჩემი აზრით, ალექსანდრ მაკკვინს უნდა გაეკეთებინა ყველაზე „მაგრად“ თეატრისთვის, მაგრამ, რამდენადაც მასხოვს, არაფერი გაუკეთებია ამ მიმართულებით. თუმცა, მისი ჩვენებები, ცალკე ადებული, თეატრი იყო ნამდვილად, ისევე როგორც, გალიანოს ჩვენებები. ახლახან ვიყავი მაკკვინის გამოფენაზე, მეტროპოლიტენის მუზეუმში და ცრემლებიც კი მომადგა – მსგავსი არასდროს, არაფერი მინახავს. გეგონება, წინა საუკუნის ნამუშევრებია, ქანდაკებები.

**თქვენთვის, როგორც ხელოვანისთვის, რამდენად ღირებული იყო ეს ყველაფერი? თეატრსა და კინოსთან თანამშრომლობას ვგულისხმობ. რა შეგძინათ?**

სენ მარტინი გვერდით მომრჩა! კი მიფიქრია, ხომ არ სჯობდა, რომ წავსულიყავი და მესწავლა, მაგრამ, ალბათ, ყველაფერი ისე უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა.

**ამერიკაშიც აღარ გიცდიათ სწავლის გაგრძელება?**

არა, მე ხომ „ქუჩის ბიჭი“ ვარ!..

**თქვენს მშობლებს რა დამოკიდებულება აქვთ თქვენი პროფესიის მიმართ? არ ჰქონდათ თქვენთვის რამე „საოცნებო პროფესია“ შერჩეული?**

დედაჩემი და მამაჩემი ყოველთვის, ყველაფერში მხარს მიჭერდნენ, მაშინაც კი, როდესაც ძალიან გიჟი ვიყავი. მე თვითონ ძალიან დამოუკიდებელი ადამიანი ვარ და ჩემი მშობლებიც, შესაბამისად, ნაკლებად ერევიან ჩემს საქმეში. რაღაც ზღვარი არის, რომელსაც პატივს სცემენ. ბავშვობიდან კარგად ვხატავდი და დედას ძალიან მოსწონდა ეს და ხელს მინცობდა. მე მყავს ორი და – ერთი ექიმი, ლუდუშაურის კლინიკაში რენანიმატოლოგია, მეორე – ჟურნალისტი და ვფიქრობ, მათი „ბობოლა-ბობოლა“ პროფესიებით ჩემმა მშობლებმა შეიღებინათვის სასურველი პროფესიების ოცნების რეალიზება მოახდინეს.

**ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ პუბლიკას თქვენს სამოსს როგორ დაუხასიათებდით?**

სიმართლე გითხრათ, არავის მინდა, თავზე რამე მოვახვიო. ყველას თავისი გემოვნება აქვს. მე მყოფნის ჩემი პუბლიკა და არც მაქვს სურვილი, რომ „დეიდებმა“ მოისურვონ ჩემი ტანსაცმლის ჩაცმა. ვიტყვოდი, რომ უფრო ახალგაზრდული, „funky“ სამოსია, რასაც ვაკეთებ. ძალიან ქალური და სექსუალური ტანსაცმელი არ არის ჩემი მოწონება – პირიქით, საერთოდ არ მინდა, რომ სექსუალური იყოს ჩემი სამოსი. მე უფრო ჩვეულებრივი ადამიანები მომწონს, „ზედმეტი“ ჰორმონები რომ არ გააჩნიათ. ისე, ურთიერთობაშიც ასეთი ადამიანები მირჩევენია და სამოსსაც ასეთი ქალებითათვის ვკერავ.

**თქვენს დებს თუ სცმიათ თქვენი სამოსი?**

არაა, ჩემი დები „დეიდები“ არიან! ჩემი სამოსი, ძირითადად, უფრო, 30 წლამდე ასაკის ქალებისთვის არის, ან ისეთი „გი-

უებისთვის“, რომლებიც მთელი ცხოვრება გიჟურ სამოსს ატარებენ, ლეიდი გაგას მსგავსად.

**ხშირად, ხელოვანი ადამიანების შემოქმედება კონკრეტული მუზის ირგვლივ ტრიალებს, ვისგანაც შთაგონებას იღებენ და, შესაბამისად, კოლექციებსაც ქმნიან. თქვენთვის თუ არსებობს ასეთი მუზა?**

ნიუ-იორკი, მთლიანად ქალაქი და ნიუ-იორკის ქუჩები არის ჩემი ძირითადი ინსპირაცია. ძალიან მოდური ქალაქია, ყოველდღიურად რეველუციები ხდება ქუჩაში მოსიარულეების ჩაცმულობაში და ისეთი რამე შეიძლება ნახო, რაც არასდროს, არსად გინახავს – ჩემთვის ეს არის ინსპირაცია. და ისე, ალექსანდრ მაკქვინზე ვგიჟდები – ვგიჟდები და ვკვებები ხოლმე, როცა მის ნამუშევრებს ვუყურებ. ძალიან მომწონს ასევე, ამერიკელი დიზაინერი ჯერემი სკოტი. მაგრამ, მოდა, პრინციპში, ჩემთვის არ არის ამოსავალი ნერტილი, ანუ ამაზე ბევრს არ ვფიქრობ.

**მაშინ რისი კეთება გსიამოვნებთ?**

ინსტალაციების, ტანსაცმლის სახით. ჩემი ყოველდღიურობაც ეგ არის, როგორც გითხარით, თეატრისთვის ვმუშაობ, სისტემატურად. ძალიან მინდა, რომ ჩემი შემოსავალიც იმ საქმიდან მოდიოდეს, რასაც მე სიამოვნებით ვაკეთებ და, მივალწვევ კიდევაც.

**თქვენი ცხოვრება წიგნად რომ წარმოიდგინოთ, რა იქნებოდა მისი ბოლო თავი?**

ბიზნესი. ისე, ჩემი ცხოვრება მართლა წიგნივით არის, ათწლეულებად მაქვს დაყოფილი და ამ დეკადებში რადიკალურად მეცვლება ყველაფერი. თავისდაუნებურად ხდება ასე. მე თვითონაც რადიკალურად ვიცვლები, ათი წლის წინ საერთოდ სხვა ადამიანი, იდეალისტი ვიყავი, ეზოთერიკით გატაცებული. ახლა სულ სხვა ადამიანი ვარ – დამინებული გავხდი, მინდა ფული ვაკეთო, რომ ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, მომავალში, ჩემთვის სასიამოვნო საქმეს მივუბრუნდე. მთავარია, სამუშაო მქონდეს, ძალიან მსიამოვნებს მუშაობა.

**ისეთ სამუშაოზე თუ დათანხმებულხართ, რომელიც არანაირ სიამოვნებას არ განიჭებდათ და მხოლოდ მატერიალური ინტერესის გამო აკეთებდით?**

როგორ არა?! ნიუ-იორკში რომ ჩამოვედი, რამდენიმე თვე ოფიციალტად ვმუშაობდი, შემდეგ, ძალღებს ვასეირნებდი. ოფიციალტის სამუშაო ძალიან არ მომწონდა, ძალღების გასეირნება კი, პრინციპში, არ იყო ცუდი. მაღაზიაში გამყიდველადაც მიმუშავია, რაც ყველაზე მეტად მეზიზღებოდა, მიჟულდა! ნივთების გადატანის გამოცდილებაც მაქვს. მაგრამ, რა არის, იცით? გარკვეული პერიოდის მერე ყველაფერს ეჩვევი და ყველაფრისგან, რაღაც კარგი შეგიძლია აილო, გამოცდილებას ვგულისხმობ: მზიდავად რომ ვმუშაობდი, ფიზიკურად გავძლიერდი; ძალღებთან რომ ვმუშაობდი, უფრო რბილი გავხდი; ოფიციალტად რომ ვმუშაობდი, ფეხზე დიდხანს დგომას და გამძლეობას შევეჩვიე; გაყიდვების კონსულტანტობისას ინგლისურში გავინვრთენი, კარგად ვისწავლე. სხვა გზა არ მქონდა: თბილისიდან განებივრებული ბიჭი ჩავედი, რომელსაც დედა გოგლი-მოგლით დასდევდა და რაღაცით თავი ხომ უნდა გამეტანა?! არავის არაფერში ვანტერესებდი! სადღაც ორნახევარი წელი დამჭირდა იმისათვის, რომ ჩემთვის საინტერესო საქმისათვის მომეკიდა ხელი. გარდატეხა კი ჩემს ცხოვრებაში იმ ერთმა სპექტაკლმა მოიტანა – ჩეხოვის პიესის მიხედვით „ივანოვო სვადბა“ – რომელიც რუს რეჟისორთან ერთად გავაკეთე და საბოლოოდ, ძალიან კარგი გამოვიდა. სრულიად უსასყიდლოდ ვიმუშავე, ცენტიც არ ამიღია, სამაგიეროდ, ამ ერთმა სპექტაკლმა მიმახვედრა, თუ რა მიმართულებით უნდა წავსულიყავი და რა უნდა მეკეთებინა. ამას გარდა, ნელ-ნელა სხვა სპექტაკლები და შეკვეთებიც გამოჩნდა. ასე რომ, არაფერი იკარგება, ყველაფერი კვალს ტოვებს და რაღაც მოაქვს.

**უახლოეს მომავალში რა გეგმები გაქვთ?**

ახლა, ნიუ-იორკში ჩასვლისთანავე, სამი სპექტაკლი მაქვს გასაკეთებელი, კიდევ, მაღაზიების ვიტრინების გაფორმების რამდენიმე შემოთავაზება მაქვს. ეს არის კონკრეტულად, რაც ვიცი. საქართველოს რაც შეეხება, მაისში მინდა ისევე ჩამოვიდე. მე და ლევანი ვგეგმავთ საინტერესო პროექტის გაკეთებას, რაც გულისხმობს თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენის მოწყობას არგენტინაში და საპასუხოდ, საქართველოში არგენტინელი არტისტების ჩამოყვანას. ჯერჯერობით, ეს პროექტი იდეის დონეზეა. მოკლედ, ვნახოთ.



ფოტოგრაფი პიოტრ ნაბინიძე





ფოტოგრაფი პიოტრ ნაბინიძე





ალექსანდრ ბაკუნინი

# სილაგაზის ბნელი მხარე

ავტორი თამარ ალავიძე







ALEXANDER MCQUEEN, 2008 წლის ბაზაზუსული



ALEXANDER MCQUEEN, 2004 წლის ბაზაზუსული

„როდესაც ამქვეყნად აღარ ვიქნები, ადამიანებს ეცოდინებათ, რომ 21-ე საუკუნე მაკქუინით დაიწყო“, – თქვა 1996 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში 27 წლის ახალბედა ბრიტანელმა დიზაინერმა, ალექსანდრ მაკქუინმა. იმ დროს ეს განცხადება ბევრმა უბრალო ტრაბახად ჩათვალა.

13 წლის შემდეგ, 2010 წლის 11 თებერვალს, მანჰეტენზე, ნიუ-იორკის მოდის კვირეული გაიხსნა. „მაკქუინი თანამედროვეობის გენიაა“, – ხშირად გაისმოდა დანაწევრებით ნათქვამი ფრაზა იმ დღეს ბრაიანტ პარკში.

ნიუ-იორკში მოდის კვირეულის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე, დილაადრიან, მაკქუინის ლონდონის ბინაში მისი მსახური, ცეზარ გარსია მივიდა. ცენტრალური შესასვლელი დახურული დახვდა. სახლში უკან კარიდან შევიდა. წინ, მაკქუინის სამი ძალიანი შეეგება წმუტუნით. მთავარ საძინებელში არაფერი იყო. მეორე საძინებელში კი, დიზაინერის პირადი ნივთები დახვდა მიმოყრილი. ჯერ კიდევ ბუფტავდა პირდაპირ იატაკზე დაწეპებული სანთელი. გარსიამ გარდერობის კარი შეაღო. თოკზე ჩამოკიდებული დიზაინერი უკვე გარდაცვლილი იყო.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ, საძინებელ ოთახში, ვიზუალური არტისტის, ვოლფე ფონ ლენკივიცის წიგნის უკანა გვერდზე, გაკრული ხელით დაწერილი პატარა ტექსტი შენიშნა: „გთხოვთ, მიხედოთ ჩემს ძაღლებს. ბოდის გიხდით, მიყვარხართ. ლი. პ.ს. გთხოვთ, ეკლესიაში დამასაფლავოთ“, – ეწერა ბოლო ფურცელზე.

ლი ალექსანდრ მაკქუინი 1969 წლის 17 მარტს ლონდონში დაიბადა. მამა ტაქსის მძღოლი იყო, დედა – სოციალური მეცნიერების პედაგოგი. ლი მათი მეექვსე, ნა-

ბოლარა შვილი იყო. ბავშვის დაბადებიდან მალევე ოჯახი საცხოვრებლად სტეპნიში, ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში გადავიდა. ახალ უბანს ორი უკიდურესი მახასიათებელი აღმოაჩნდა: ერთი მხრივ, იქ ტრადიციების მკაცრად დამცველი ოჯახები ცხოვრობდნენ, მაგრამ თან „სკინჰედების“ აუღებელი ბასტიონიც გახლდათ. ლისთვის კი არც ეს ექსტრემისტული დაჯგუფება წარმოადგენდა სასურველ კამპანიას და არც – საგვარეულო ტრადიციების ერთგულად მიმდევარი ოჯახები. ამიტომ, თავს მთელი ბავშვობა, როგორც თვითონ ამბობს, „თეთრ ყვავად“ გრძნობდა.

უფროს მაკქუინს თავის შვილებთან დაკავშირებით განსაკუთრებული ამბიციები არასდროს ჰქონია. ის იმიტაც ბედნიერი იქნებოდა, ლი რომ ერთი რიგითი სანტექნიკოსი გამოსულიყო. ამიტომ ვერაფრით შეეგუა ნაბოლარა ვაჟის უცნაურ ახირებას, „კაბების მკერავი“ გამხდარიყო. ლის არჩევანს ვერც ძმები ამართლებდნენ – ერთი, მამის გზას გაჰყვა და ტაქსისტობა დაიწყო, მეორე – მშენებელი გახდა. სამაგიეროდ, უმცროსი ვაჟის გადანყვეტილებას დედა ჯოისი და ლის სამი და მოეკიდნენ გაგებით. ამიტომ, როდესაც სევილ როუს ქუჩაზე ჯოისი ახალბედა მკერავებისთვის სტაჟირების შესახებ გამოკრულ განცხადებას გადაანყდა, უმალ გადანყვიტა, ლისთვის ეთქვა.

ცენტრალურ ლონდონში, მეიფერის რაიონში მდებარე პატარა ქუჩა, სევილ როუ, მამაკაცის ტრადიციული სამოსის ყველაზე პრესტიჟული მაღაზიებითაა ცნობილი. ისინი, ელიტარული წრის წარმომადგენელი მამაკაცებისგან, კოსტიუმისა და სხვა სამოსის ინდივიდუალურ დაკვეთებზე მუშაობენ და ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული, ერთგულ კლიენტთა

ნუსხა აქვთ. უინსტონ ჩერჩილი, ლორდი ნელსონი და ნაპოლეონ მესამე – ყველანი იქ იკერავდნენ სამოსს.

16 წლის იყო მაკქუინი, როდესაც სევილ როუზე, Anderson & Sheppard-ის მაღაზიაში მოეწყო სტაჟირ-გამომჭრელად. ლის ხშირად უწევდა მუშაობა მიხეილ გორბაჩოვის და უელსის პრინც ჩარლზის შეკვეთებზე, რომლებიც Anderson & Sheppard-ის საპატიო კლიენტთა რიცხვში შედიოდნენ. ლეგენდის თანახმად (მოგვიანებით, თავად მაკქუინი ხან უარყოფდა, ხან ადასტურებდა ამ ლეგენდას), პრინც ჩარლზის ერთ-ერთი კოსტიუმის სარჩულში, დიზაინერს ბარათი ჩაუკერებია წარწერით: „მე ვარ ძუკნა!“ მოწყენილი ვიყავი და გავერთეო, – ელიმებოდა, – ჩემს უფროსებსაც ვუთხარი ამის შესახებ, შეიცხადეს და პრინციისთვის გაგზავნილი შეკვეთა უკან გამოითხოვეს, თითოეული ნივთის საგულდაგულოდ გადასამოწმებლადო.

მაკქუინი ანარქისტი იყო. სამეფო რეგალიებისადმი ზიზღს ყოველთვის ღიად გამოხატავდა. ბრიტანეთის დედოფალი მისთვის იყო ადამიანი, რომელიც „საკუთარ უკანალზე ზის და ამაში აურაცხელ ფულს იღებს“. ამის მიუხედავად, ლის ცხოვრებაში მოგვიანებით დადგა მომენტი, როცა ელისაბედ მეორე სხვა თვალთ დაინახა: 2003 წელს ბრიტანეთის იმპერიის სარდლის წოდების მისაღებად ის ბუკინგემის სასახლეში გამართულ ოფიციალურ ცერემონიაზე გამოცხადდა. „გადანყვეტილი მქონდა, დედოფლისთვის თვალეში საერთოდ არ შემეხედა, – იხსენებს Guardian-ისთვის მიცემულ ინტერვიუში – მაგრამ ისე მოხდა, რომ ორივემ ერთდროულად შევხედეთ ერთმანეთს: მან სიცილი დაიწყო და მეც ავყვივი, ეს კადრი ფოტოზეც კი არის აღბეჭდილი.



ALEXANDER MCQUEEN, 2010 წლის გაზაფხულის ჩვენება PLATO ATLANTIS



მაკქუინი მსახიობ სარა ჯეისიკა პარკერთან ერთად, 2006



მაკქუინი და იზაბელა ბლოუ, დევიდ ლევაკოვის ფოტო „ხანძარი სახლში“, 1997

როცა თვალეზში ჩაგხედე, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ამ ქალს თავისი სამყოფი პრობლემები აქვს და შემეცოდა. არადა, საერთოდ არ ვაპირებდი იქ მისვლას. რომ არა დედაჩემი, რომელსაც ძალიან უნდოდა სასახლის და დედოფლის ნახვა, არც წავიდოდი. ეს ჯილდო არაფერში მჭირდებოდა“.

Anderson & Sheppard-ის ფირმიდან წამოსვლიდან რამდენიმე ხანში მაკქუინმა იაპონელ ავანგარდისტ დიზაინერ Koji Tatsuno-სთან გააგრძელა სტაჟირება. ერთი წლის თავზე კი ლი უკვე თავისი სათაყვანებელი დიზაინერის, Romeo Gigli-ის ასისტენტად მოეწყო იტალიაში. როგორც მოგვიანებით იხსენებდა, ხელობის გარდა, გამოცდილი იტალიელი დიზაინერისგან ბრიტანელმა ახალბედამ ისიც ისწავლა, რომ თვითრეკლამის გარეშე, დიზაინერის წარმატებული კარიერის გაკეთება შეუძლებელია. თუმცა, ეს ის რჩევა იყო, რომელიც წარმატების მისაღწევად მაკქუინმა ყველაზე ნაკლებად გამოიყენა.

ის ინტროვერტული ადამიანი იყო. დიდება და საყოველთაო აღიარება არასდროს იზიდავდა, – იხსენებენ მისი გარემოცვის წევრები. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში მოდის ინდუსტრიის უმაღლეს ეშელონებში შედიოდა, ლის ეს ინდუსტრია არ უყვარდა და იშვიათი გამონაკლისების გარდა, არც მისი წევრებისადმი იყო კეთილგანწყობილი.

„საკუთარ After-Show-ს წვეულებებს არასდროს ვესწრები. რატომ უნდა დავრჩე?! ეს გიჟური პერიოდი უკვე გამოვლილი მაქვს. ვიცი, რა ტიპის სამყაროში ვმუშაობ და მისი პოლიტიკური და სოციალური მხა-

რეები ძალიან მთრგუნავს. არ ვარ ვალდებული, სხვისი თამაშის წესებით ვითამაშო“, – ამბობდა დიზაინერი.

მაკქუინი ხშირად დათქმულ შეხვედრებზეც არ ცხადდებოდა. ამერიკული Vogue-ის მთავარი რედაქტორი ანა ვინტური იხსენებს, როგორ არ გამოცხადდა მაკქუინი შეთანხმებულ ფოტოსესიაზე და როგორ დატოვა Vogue-ის რედაქცია ხახამშრალი. არადა, ეს არ იყო თავზედი ვარსკვლავის საქციელი. მაშინ მაკქუინი, ერთი, ჯერ კიდევ, თითქმის უცნობი დიზაინერი იყო. მოგვიანებით ვინტურმა შეიტყო, რომ მაკქუინი, თურმე, ბრიტანეთის სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს ემალეობდა – იმ პერიოდში უმუშევართათვის გამოყოფილი სოციალური დახმარების ამარა ცხოვრობდა და არ სურდა, ვინმეს მისი ფოტო მოდის ჟურნალში ენახა.

იტალიაში გატარებული წელიწადის შემდეგ, მაკქუინი ისევ ლონდონში დაბრუნდა და ხელოვნებისა და დიზაინის პრესტიჟულ სასწავლებელში, Central Saint Martins-ში თარგის გამოჭრის მასწავლებლად სცადა მონყობა. ადმინისტრაციას იმ მომენტისთვის შესაფერისი ვაკანსია არ აღმოაჩნდა, მაგრამ მისი ნამუშევრებით იმდენად აღფრთოვანდნენ, რომ მაკქუინი, რომელსაც 16 წლის ასაკიდან არსად უსწავლია, პირდაპირ მაგისტრატურის კურსზე მიიღეს.

1994 წელს მაგისტრანტი მაკქუინის სადიპლომო ნაშრომის ჩვენება გაიმართა. ცერემონიალს ერთ-ერთი ყველაზე ექსცენტრული ბრიტანელი ქალბატონი, იმ დროისთვის ჟურნალ Tatler-ის მოდის რედაქტორი, იზაბელა ბლოუ ესწრებოდა. არისტოკრატიული

წარმომავლობის ბლოუ ლონდონის მოდის საზოგადოებაში ანგარიშგასაწივე ფიგურა იყო. ექსცენტრული ბუნების და საზოგადოებისთვის ხშირად შოკისმომგვრელი ფოტოსესიების გარდა, ბლოუს ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენის განსაკუთრებული უნარიც გააჩნდა: თავის დროზე, სწორედ მან აღმოაჩინა შემდგომში ძალიან წარმატებული მოდელები – სოფი დალი, სტელა ტენანტი და ცნობილი ქუდების მკერავი, ბრიტანელი ფილიპ ტრეისი. თუმცა, იზაბელას ყველაზე დიდი „საგანძური“ მაინც ახალგაზრდა მაკქუინის აღმოჩენა გახდა.

მის სადიპლომო ჩვენებას იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ბლოუზე, რომ რამდენჯერმე დაურეკავს მაკქუინის დედასთან და მისი „ნიჭიერი შვილის გაცნობა“ უთხოვია. მოგვიანებით იზაბელამ 5.000 ფუნტად შეისყიდა მაკქუინის სადიპლომო კოლექცია. შემდეგ კი ყველა საშუალება გამოიყენა დამსყები დიზაინერის და მისი ახლად დაარსებული ბრენდის პოპულარიზებისთვის.

იზაბელა ბლოუმ ალექსანდრ მაკქუინი პირადი მფარველობის ქვეშ აიყვანა. ისინი საუკეთესო მეგობრები გახდნენ. ბლოუ, რომლის ჩაცმულობასაც მუდამ გამადიდებელი შუშით აკვირებოდნენ, ხშირად ჩნდებოდა საზოგადოებაში მაკქუინის კოსტიუმებში გამოწყობილი. ამით კი, ვითომ, უნებლიეთ უკეთებდა ახალბედა დიზაინერს რეკლამას. თავის მეგობარ მწერალს, მაიკლ რობერტსს, რომელიც ჟურნალ „ვენითი ფეარში“ მუშაობდა, ეუბნებოდა: უნდა გაიცნო ეს ახალგაზრდა დიზაინერი. ნამდვილი აღმოჩენაა. აუცილებლად უნდა დანერო მასზე!



მაკუინი ჰაით მოსთან ერთად



ლი დლასთან, ჯონს მაკუინთან ერთად, 2004

ბლოუს პიარმა იმუშავა. 1996 წელს ახლად კურსდამთავრებული მაკუინი ძველი, ფრანგული სახლის Givenchy-ის შემოქმედებით დირექტორად მიიწვიეს. მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ მოსწონდა ეს დამტვერილი, მოძველებული ფასეულობების მქონე მოდის სახლი, ხუთწლიან კონტრაქტს სრულიად შეგნებულად მოაწერა ხელი. სოლიდურ ანაზღაურებას, რომელსაც Givenchy-ისგან იღებდა, თითქმის ხელუხლებლად საკუთარი ბრენდის გასამართად იყენებდა. მალე, პირველი ფინანსური მოგებაც ნახა. 1995-96 წლების შემოდგომა-ზამთრის კოლექციას 400.000 ფუნტის შეკვეთები მოჰყვა, 1996 წლის გაზაფხულის კოლექციის ჩვენების შემდეგ კი ეს რიცხვი ერთ მილიონამდე გაიზარდა.

1995 წლის შემოდგომაზე მოდის კრიტიკოსები და მოდის ინდუსტრიის წამყვანი ფიგურები ახალბედა ალექსანდრ მაკუინის ჩვენებაზე მიიწვიეს, სახელწოდებით – „შოტლანდიური მთების გაუპატიურება“ (Highland Rape). მაკუინი ინგლისის მიერ შოტლანდიის დაპყრობას უძღვნიდა თავის ერთ-ერთ პირველ კოლექციას – თემას, რომელსაც „ჩემთვის პირადი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩემი ოჯახი წარმოშობით შოტლანდიდანაა“, – განმარტა თვითონ. ინდუსტრიული სივრცე, სადაც ჩვენება გაიმართა, მაკუინმა სვედისმომგვრელ ბრძოლის ველად გადააქცია. მისი წარმოსახვით, ეს კალოდენის ბრძოლის ინსცენირება იყო – შეტაკება, რომელშიც, დიზაინერის თქმით, მისი წინაპრები იბრძოდნენ. სცენაზე დაძინებული ტანსაცმლით, საგანგებოდ დამახინჯებული მოდელები დაბორიალო-

ბდნენ. ეფექტი დაუფიქრარი იყო, მოდის სამყაროსთვის კი – საშინლად გამაღიზიანებელი. პირველ წლებში არაერთი მოდის კრიტიკოსი ლიად და საჯაროდ აცხადებდა მაკუინის კოლექციებს „ექსტრემალური დიზაინის“ გამო. ეს მწვევე კრიტიკა ძალიან ჰგავდა იმ ემოციებს, რაც, თავის დროზე, პარიზში იაპონელი დიზაინერების გამოჩენამ გამოიწვია: იოჯი იამამოტოს და რეი კავაკუბოს შემოქმედება (სხვათა შორის, მაკუინი რეი კავაკუბოს დიდი თაყვანისმცემელი იყო) მოდის მესვეურებმა 1980-იან წლებში სასტიკად დაგმეს. არც მაკუინის ანარქიზმი აღმოჩნდა მისაღები მოდის მესვეურთათვის – ანარქიზმი, რომელიც მისი შინაგანი სამყაროს გარეგანი გამოხატულება იყო.

მაკუინის ყოველი მორიგი კოლექციის ჩვენებაზე უზარმაზარი რიგები იდგა. ყოველი მომდევნო შოუ წინაზე შოკისმომგვრელი იყო. მაკუინის თაყვანისმცემლებმა წინასწარ იცოდნენ, რომ დარბაზში დახვდებოდათ ისეთი თეატრალიზებული წარმოდგენა, რომლის მსგავსიც მანამდე არსად ენახათ.

1999 წელს დიზაინერმა ჩვენებაზე მოდელი შალომ ჰარლოუ აქეთ-იქით დამონტაჟებული რობოტებით გაუშვა სცენაზე. სიარულისას, რობოტებმა ჰარლოუს კაბაზე საღებავი გადაასხეს, მოდელმა დახვეწილი მოძრაობა გააკეთა, გაიარა და უცებ გედად გარდაისახა. 2004 წლის გაზაფხულის კოლექცია სიდნი პოლაკის ფილმის „ცხენებს ესვრიან, არა?!“ (They Shoot Horses, Don't They?) მოტივებზე ააგო. შოუში ქორეოგრაფიის დეტალები შეიტანა და მასში მონაწი-

ლეობას მოდელებთან ერთად პროფესიონალი მოცეკვავეებიც იღებდნენ.

მაკუინის თვითმკვლელობის შემდეგ, BBC-იმ შეადგინა იმ აქსესუარების ექვსეული, რომელთა გამოც ამ დიზაინერის სახელი მუდამ დარჩება მოდის ისტორიაში. ერთ-ერთი მათგანი, ჯერ კიდევ მისი კარიერის დასაწყისში შექმნილი დაბალწელიანი შარვალი ე.წ. Bumsters-ი იყო. შარვალი უკანა მხარეს იმდენად ამოჭრილი იყო, რომ დუნდულების ზედა ნახევარს სრულად აშოშვლებდა. მოდის კრიტიკოსმა Bumsters-ი „ეროტიკის უხამს გამოვლინებად“ შერაცხეს. თვითონ მაკუინი კი ამბობდა: „ჩემი მიზანი სხეულის დაგრძელება იყო და არა დუნდულების გაშიშვლება. ხერხემლის ქვედა დასასრული ადამიანის სხეულის ყველაზე ეროტიკულ ზონად მიმაჩნია და სწორედ, ამიტომაც გამოვჩინე“. კრიტიკის მიუხედავად, Bumsters-ი გამოჩენისთანავე აიტაცეს ტანსაცმლის მწარმოებლებმა და მალევე, შარვლის „ნაკლებად გულახდილი“ ვარიანტები, ძირითადად ჯინსების სახით, ქალების ერთ-ერთ საყვარელ სამოსად იქცა.

Alexander McQueen-ის ბრენდის ამ თავბრუდამხვევი წარმატებების ფონზე მის მიერ Givenchy-ისთვის შექმნილი კოლექციები აბსოლუტურად უფერული ჩანდა. უურნალ Vogue-სათვის მიცემულ ინტერვიუში, Givenchy-ისთვის შექმნილ თავის პირველ კოლექციას თვითონაც კი „ნაგავი“ უწოდა. ასე გაგრძელდა მომდევნო ხუთი წელი – Givenchy-ისთვის მაკუინი შემოქმედებითად ბოლომდე არასდროს დახარჯულა. ამიტომ მთელი ის დრო, რაც მაკუინმა



ALEXANDER MCQUEEN, 2006 წლის შემოდგომა



ALEXANDER MCQUEEN, 2009 წლის შემოდგომა



ALEXANDER MCQUEEN, 2008 წლის შემოდგომა

ფრანგული მოდის სახლში დაჰყო, სახლის მფლობელებთან და მენეჯმენტთან გაუთავებელ კამათში გაატარა.

უსაზღვროდ რომანტიკული და მგრძნობიარე ხელოვანის კვალობაზე, მაკქუინი საკმაოდ „საკმიანი“ და ბიზნესზე ორიენტირებული ადამიანი იყო. Givenchy-ის სახლში მუშაობის დანებების გარდა, ეს იმითაც დადასტურდა, რომ კონტრაქტის ამონურვისთანავე, მან თავისი ხელმძღვანელობისთვის შოკისმომგვრელი ნაბიჯი გადადგა და 80 მილიონ დოლარიანი გარიგება გააფორმა Givenchy-ის სახლის მფლობელი კონგლომერატის, LVMH-ის მთავარ მეტოქესთან, Gucci Group-თან. Gucci-ის მან საკუთარი ბრენდის აქციების 51 პროცენტიც მიჰყიდა. „მიგზვი, რომ საკუთარ მენტალურ კმაყოფილებასა და კომპანიის ფინანსურ საჭიროებას შორის აუცილებლად უნდა დამეცვა ბალანსი. ასეა – კოლექციის ორი მესამედი არტისტულ მხარეს, დანარჩენი ერთი მესამედი კი ბიზნესს ემსახურება“, – ახსნა მან.

მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით ამტკიცებდა, ხელოვნებას არ ვქმნიო, დღეს მის კოლექციებს სწორედ ასე აფასებენ – ალექსანდრ მაკქუინის მემკვიდრეობა – ესაა ხელოვნება მოდის კომერციული მინარევებით.

მაკქუინის კოლექციები მუდამ მის ემოციურ მდგომარეობას გადმოსცემდა. შთაგონებას ორი ძირითადი წყაროდან იღებდა: სახვითი ხელოვნების არტისტებისგან და საბუნებისმეტყველო და შემეცნებითი ტიპის სატელევიზიო გადაცემებიდან. ანა ვინტური იხსენებს, რომ ბავშვობაში ლის

საყვარელი გასართობი, სახლის სახურავიდან საათობით ჩიტების დაკვირვება იყო. მოგვიანებით, ჩიტების თემა ხშირად ჩნდებოდა მის კოლექციებში, არამარტო ინსპირაციის, არამედ, ფრინველის ბუმბულის სახითაც, რაც არაერთხელ გამოუყენებია სამოსის გასაწყობად.

მაკქუინის ყოველი კოლექცია წარმოსახვის და პრაგმატიზმის სინთეზი იყო. მის გიჟურ და ღრმა ემოციებით გაჯერებულ ჩვენებებზე, დაპრესილი კორსეტების თუ თხემით ტერფამდე სირაქლემას ბუმბულებით დაფარული ექსტრავაგანტული საღამოს სამოსის გვერდით, ყოველთვის ნახავდით ტანზე მომდგარი სილუეტის მქონე ქურთუკებს და უზადოდ აჭრილ კაბებს. ლიმ ერთხელ აღნიშნა კიდევ, რომ ძალიან უნდოდა, ადამიანის სხეულის ფორმებზე კიდევ უფრო რადიკალური ექსპერიმენტები ჩაეტარებინა, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ სამოსი, პირველ რიგში, გასაყიდად გამოსადეგი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც სამუშაო პროცესი მისთვის მუდმივად იყო „საპირისპირო და კონფლიქტური იმპულსებით სავსე“. „ამით პურს ვერ შევჭამ, – აღნიშნა ერთხელ მაკქუინმა ექსპერიმენტული დიზაინის შესახებ – სწორედ აქ უშვებს შეცდომას დიზაინერი, რომელიც საკუთარ თავს ხელოვანს უწოდებს. არჩევანი გარდაუვალია – ან ხელოვნების, ან ფულის კეთების გზა უნდა აირჩიო, იმიტომ, რომ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ბიზნესამდე მიდის – მე არ ვქმნი ხელოვნებას, მე ვქმნი ტანსაცმელს იმისთვის, რომ ადამიანებმა ის ატარონ“.

ერთ-ერთი მოდის ჟურნალისტი, რომელიც მაკქუინის კლერკენვილის ატელიეში ესტუმრა, იხსენებს თუ როგორი მოქნილობით, სიმსუბუქით და პროფესიონალიზმით ხმარობდა ლი მაკრატელს, რაც ძალიან იშვიათად გამოსდით დიზაინერებს. „მე ხომ სევილ როუს სკოლა მაქვს გამოვლილი. 16 წლის ასაკიდან ვსწავლობდი, როგორ გავმხდარიყავი არქიტექტორი: სამუშაოს დიდი წილი გამოჭრასა და პროპორციებზე მოდის. აუცილებლად უნდა იცოდეს წესები, იმისათვის, რომ შემდგომ მათი დარღვევა შეძლო!“ – ამბობდა თვითონ.

მიუხედავად იმისა, რომ მოდის ინდუსტრია, მთლიანობაში, მაკქუინის სიმპატიებს არასდროს იმსახურებდა, მისი საუკეთესო მეგობრები სწორედ ამ წრიდან იყვნენ. ბევრი მეგობარი არ ჰყავდა – ადამიანების ახლოს მოშვებას უფრთხობდა მტკივნეული გამოცდილებების გამო. ამიტომაც, იმ რამდენიმე ადამიანისადმი, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე შემორჩა, ძალიან ერთგული იყო. „ლი ძალიან ყურადღებიანი და გულუხვი მეგობარი იყო, ყოველთვის ზედმეტი ხმაურის გარეშე გინვდიდა ხელს“, – იხსენებს მისი უახლოესი მეგობარი დაფნა გინესი. როდესაც ქვით მოსი კოკაინის სკანდალის გამო საყოველთაოდ გაკიცხეს და ზურგი შეაქციეს, ალექსანდრ მაკქუინი ერთ-ერთი ჩვენების შემდეგ პოდიუმზე გამოვიდა მისურით, რომელზეც ეწერა: „ქვით, გვიყვარხარ!“

2007 წელს ალექსანდრ მაკქუინმა უახლოესი ადამიანი დაკარგა. იზაბელა ბლოუმ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისი გარდაცვალებით თითქოს ლის ცხო-





ALEXANDER MCQUEEN. 1998 წლის გაზაფხული



ALEXANDER MCQUEEN, 2007 წლის გაზაფხული



ALEXANDER MCQUEEN, 2001 წლის გაზაფხული

ვრების ღირებული ეტაპი დასრულდა. მისი დაკარგვით მიყენებული ტკივილი მაკქუინს ბოლომდე არ განელებია. მან თავისებურად მიაგო პატივი მეგობრის ხსოვნას. ერთ-ერთ ჩვენებაზე, დარბაზში ის სუნამო მოაფრქვევინა, რომელსაც იზაბელა წლების განმავლობაში უცვლელად იყენებდა.

როგორც მეგობრები იხსენებენ, მაკქუინს არასდროს უყვარდა ლონდონიდან გამგზავრება, რადგან ხალისიანიც არ უნდა ყოფილიყო ეს მოგზაურობა. უკან დაბრუნებული ვატერლოოს ხიდს მიაშურებდა ხოლმე, რადგან იქიდან დანახული წმინდა პავლეს ტაძრის ხედი ემოციურად საოცრად მუხტავდა. ყველაზე ხანგრძლივი მგზავრობა, ბოლოს ინდოეთში ჰქონდა – მთელი ერთი თვე გაატარა იქ. უკან ახალი მისწრაფებებით დაბრუნდა და, როგორც თვითონ იხსენებდა, პირველი, რაც გააკეთა თვითმფრინავის ტრაიდიან ჩამოსვლის შემდეგ, იყო ის, რომ თავის პარტნიორთან მივიდა და საბოლოოდ დაშორდა მას.

მაკქუინის სასიყვარულო რომანები, როგორც წესი, დიდ ხანს არ გრძელდებოდა. საკუთარ თავს მონოგამად მიიჩნევდა, მაგრამ ვერცერთ პარტნიორთან ვერ მოახერხა ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნება. 2000 წელს მალიბუში, იახტაზე, დოკუმენტალისტ, ჯორჯ ფორსიტთან იქორწინა (ეს არაოფიციალური ქორწინება იყო), მაგრამ წარმატება არც ამ ურთიერთობას ეწერა და ისინი მალევე დაშორდნენ.

თვითონვე იხსენებდა, რომ უკვე 8 წლის ასაკში იცოდა საკუთარი ჰომოსექსუალობის შესახებ. მომავალში არც არასდროს უცდია ამის დამალვა, თუმცა სექსუალური

ორიენტაცია საკუთარი პროფესიის ამოსავალ წერტილად არ მიაჩნდა. ერთხელ, ერთ-მა ჟურნალისტმა ჰკითხა, თუ რატომ ირჩევდა ამდენი ჰომოსექსუალი სწორედ ქალის სამოსის დიზაინერის პროფესიას. ლიმ უპასუხა: „იმიტომ, რომ ძალიან ვუფროთხით სანტექნიკოსის ხელობას“. თავისი ოჯახის ტრადიციული შეხედულებების გამო, საშინლად გაუჭირდა, საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ მამასა და ძმებთან ესაუბრა. ეს მას დიდ ძალისხმევად დაუჯდა, აღსარების თქმაში დედა დაეხმარა.


ჯოისი ლისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო – საუკეთესო მეგობარი და მრჩეველი. 1990-იან წლებში მაკქუინის პირველ ჩვენებებზე ჯოისი პოდიუმის კულისებში ჩაის და სენდვიჩებს ამზადებდა შოუს მონაწილეებისათვის. მაკქუინის მეგობრები იხსენებენ, რომ ნებისმიერი განსაცდელის დროს, ლი ყოველთვის დედას მიმართავდა. 2004 წელს ბრიტანულ გამოცემა Guardian-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ მაკქუინთან, რომელშიც შეიღს კითხვებს ჯოისი უსვამდა. ერთ-ერთი კითხვა ასეთი იყო: „რით ამაყოფამ ქვეყნად ყველაზე მეტად?“ მაკქუინმა უპასუხა: „შენით!“

ჯოისი 2010 წლის 2 თებერვალს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა – ლის თვითმკვლელობამდე 9 დღით ადრე. დედის გარდაცვალებამ მაკქუინს წარმოუდგენელი დარტყმა მიაყენა. ამ ყველაფერს წლების განმავლობაში დაგროვილი სტრესიც ერთვოდა. როგორც მისი ფსიქიატრი იხსენებს, ბოლო 3 წლის განმავლობაში, ლის ხშირად სტანჯავდა დეპრესია: „სამუშაო წარმოუდგენელ ენერჯიასა და ემოციას

ართმევდა. თუმცა მოდა ორპირა მახვილივით იყო მისთვის – ეს იყო ცხოვრების ერთადერთი სფერო, რომელშიც ხელშესახებ წარმატებას მიაღწია. ჩვენებების შემდეგ კრახის, დაცემის გრძნობა ეუფლებოდა. მარტოსული და განდეგილი ხდებოდა“. ორჯერ ნარკოტიკების გადამეტებული დოზის მიღების გამო სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. თვითმკვლელობამდეც, ტოქსიკოლოგის დასკვნით, კოკაინის, საძილე საშუალებებისა და ტრანკვილიზატორების საკმაოდ რაოდენობა ჰქონდა მიღებული.

კრიტიკოსების ნაწილი მას გამუდმებით სდებდა ბრალს ქალთმობულოებაში იმის გამო, რომ ის მოდელს ხშირად საექსპერიმენტო კურდღლებივით იყენებდა. შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი ეფექტის მისაღწევად, მათ ხან მინის ყუთებში ათავსებდა, ხან სანახევროდ ახრჩობდა, ნიღბებით უფარავდა სახეებს, პირუტყვებივით აბამდა და აიძულებდა, შოპისმოგვრელად მალაქუსლიანი ფეხსაცმელებით გაევილოთ პოდიუმზე. მაკქუინის პასუხი კი ასეთი იყო: „ჩვენ აქ მოდელის გრძნობებზე არ ვსაუბრობთ. საქმე ჩემს პირად გრძნობებს ეხება“.

მართლაც ასე იყო: ყველაფერი მისი გაცდების და ემოციების ირგვლივ ტრიალებდა – გრძნობების, რომელიც ერთი ადამიანისათვის და ერთი ცხოვრებისთვის ზედმეტად „მძიმე ტვირთი“ აღმოჩნდა. მაკქუინის ცხოვრება სილამაზის ბნელი მხარის მუდმივი ძიება იყო. თუმცა, ის მაინც დარჩა გენიოსად, რომელიც „მეტეორივით დაინვა, იმისათვის, რომ დედამინა განათებული დაეტოვებინა“.



ალექსანდრ ბაკუნი, 1997

კოპე  
**მარჯანიშვილის**  
სახელოვის  
სახელოვან  
დრამატული **თეატრი**

**ბესო კუპრეიშვილი**



**მოსეტიანა სული**

**რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი**

საქართველო ბანკის სპონსორი



საქართველოს  
კულტურის  
და სპორტის  
მინისტრო

[gadalyade.ge](http://gadalyade.ge)

მხარდობები

[www.marjanishvili.com](http://www.marjanishvili.com)

 [www.facebook.com / MARJANISHVILI.THEATRE](https://www.facebook.com/MARJANISHVILI.THEATRE)

მარჯანიშვილის ქ. №8

საღარი მუშაობს ყოველ დღე 12:00 – 20:00


შესვენება 15:00 – 16:00

ბელ.: +995 32 2955 966 / 247 57 68 (საღარი)

+995 32 295 35 82 (საინფორმაციო)

ფაქსი: +995 32 295 40 01

სხალი  
შოკოლადი  
ლიტერატურა



აკა მორჩილაძე  
ჩემი სანდრო

გიორგი ავალიანი, გიორგი მაისურაძე  
რობოტების ყვავილები

მოთხრობა  
ზამინა



# ჩემი სანდრო



აკაკი მორჩილაძე

კარგა ხნის წინათ ერთი ცოტათი მოულოდნელი რამე დამემართა. წერის ამბავში, თორემ ისე, შეხვედრილი მოულოდნელობებით თავს არ შეგანწყენთ.

მაშინ, მგონი, კარგა სქელ წიგნს ვწერდი თბილისელ არტისტებზე. ძველი დროის მსახიობებზე.

მთავარი გმირები მოგონილები იქნებოდნენ, მაგრამ ცნობილნიც გამოერეოდნენ. წიგნს ან „ყუმბარა“ უნდა რქმეოდა, ან „ელგუჯა“.

მოქმედება 1905-07 წლების რევოლუციის დროისა იყო, ამბავი თბილისში ხდებოდა და საქმეში მსახიობებთან ერთად, ტერორისტებიც იყვნენ გარეულნი, ძველი ნაწილებიც კი.

რახან მსახიობებზე ვწერდი, ცხადია, ალექსანდრე ყაზბეგიც გამახსენდა, მაგრამ ამ ნაწერში ვერაფრით შემოვიყვანდი, – აბა, იმ რევოლუციამდე, რამდენი ხნით ადრე გარდაიცვალა!

ოლონდაც, ყოველთვის ასე მეგონა, რომ ყაზბეგისთანა ბიოგრაფია იშვიათად რომ მწერალს ჰქონოდა, და იმის ცხოვრება ცალკე ასი წიგნის ამბავი იქნება, კაცი რომ მიჰყვეს.

მაგრამ მეტად მინდოდა, რალაცნაირად მაინც მოხვედრილიყო ამ არტისტების წიგნში და ერთი ამბავიც გამახსენდა, რომლის ნამდვილობას ვერ ვიტყვი, თუმცა რამდენიმეგან კი წამიკითხავს, ან სულაც გამიგონია.

უკვე საავტოროში მოხვედრილმა სანდრომ, სანამ შეეძლო, წერილი მისწერა გი დე მოპასანს, რომელიც ასევე საავტოროში იყო იგივე უბედურების გამო მოხვედრილი და პასუხიც მიიღო. იმ მიწერ-მოწერის სინამდვილე ამას იქით უცნობია, მაგრამ ამბავი მართლაც განსაკუთრებულია. ორივეს ფსიქიატრები წამლობდნენ და ორივეს აღარ ჰქონდა დიდი დღე. ჰოდა, ასეთი რამ ვიფიქრე, რომ თითქოსდა, ამ ძველ ტერორისტებს შორის ყოფილიყო ერთი, რომელიც იმავე დროს იყო მიხეილის საავტოროში და სინამდვილეში კი, ყაზბეგს ვითომდა წერილების გატანაში ეხმარებოდა, ისე კი, ინახავდა.

ახლა კი ეს ტერორისტი ამ წერილებს კითხულობს, როგორც

წიგნს და ფიქრებს მიეცემა ხოლმე.

რა თქმა უნდა, მოგონილი ამბავია. საავტოროში ყაზბეგი ველარ წერდა, ასოები აკლდებოდა მოკლე ნაწერში და კითხვაც აღარ შეეძლო. მოკლედ, წიგნისთვის რას არ გამოიგონებ. იმ საავტოროში მისამართიც იოლად დავადგინე, სადაც მოპასანი იწვა და ყაზბეგის პირველი ორი წერილიც დავწერე, რომლებიც, თუ არ ვცდები, მგონი, სადღაც დავებეჭდე კიდეც. თავს ვერ დავდე.

იმიტომ ვერ დავდე თავს, რომ ამ წიგნის წერა, კარგა შუაში ვიყავი გასული, რომ მივატოვე და დღემდე აღარც მიმიხედია იმისკენ. კარგა ხნის წინ იყო ეს ამბავი. არ ვიცი, ეგებ ათი წლის წინაც.

მთელი იმ ნაწერებიდან, სწორედ ეს წერილები დამამახსოვრდა, მოწუხბარიძე რომ სწერდა მოპასანს და არ ვიცი, რა იყო თუ როგორ, ნელ-ნელა და ნელ-ნელა იმას მივამატებდი ხოლმე. ანუ ამ წერილების წერა გავაგრძელე. ამას რატომ ვაკეთებდი, არ ვიცი. წერილის გამგზავნი და ადრესატი რა მძიმე დღეში იყვნენ, კარგად ვიცი. ოლონდაც, თანდათან ეს წერილები სულაც აღარ იყო წიგნისთვის, ან რაიმე სხვა გამოცემისთვის. ფსიქიატრიისა და სხვა კეთილი მეცნიერებებისა მე სულ არაფერი გამეგება. თანაც, რომ დავაკვირდი წერილებს, ისე სულაც არ ვწერდი, რომ, აი, მოპასანი და ყაზბეგი გამახსენდნენ და არიქა, მივამატო-მეთქი.

ზოგჯერ ფიქრის მსვლელობის აღწერა ძნელია და არასაინტერესოც, მაგრამ უცებ მივიღოდი ხოლმე ამ წერილებამდე. განა ხშირად, იშვიათად.

რალაცას რომ ფიქრობ, და უცებ, გაიფიქრებ, სწორედ ახლა არის დრო, მოპასანს წერილი მივწერო საგიჟეთიდანო.

ზოგჯერ არც დავამთარებდი ხოლმე რომელიმე ასეთ წერილს. ერთხელ, მატარებელში დავწერე და იქვე დამრჩა. ისინი ვერაფერს გაუგებდნენ, დრეზდენ-ბერლინისა იყო. რა ვიცი, სად აღარ.

წერილებს ყოველთვის ისე ვწერდი, როგორც თბილისის მიხეილის საავადმყოფოში გამოკეტილი ავადმყოფი, რომელიც ვერაფრით შეძლებდა წერილების წერას და ისიც მახსოვდა ხოლმე, რომ ვისაც საბრალო სწეული იმ წერილებს უგზავნიდა, ამ წერილებს ვერ წაიკითხავდა თავისივე სწეულების გამო. ასე იყო, თუ ისე, რაც დრო გადიოდა, ხანდახან, დავეტაკებოდი და დავწერდი წერილს სანდროსგან მოპასანის სახელზე. მთელი ამ დროის განმავლობაში ოცდაცამეტი მოგროვდა. იმ დღესაც მორიგი გავაგზავნე, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ოლონდ, ცოტა კი შევშინდი.

აქამდე დიდად არ დაფიქრებულვარ და წერილებიც არ გადამიკითხავს, მაგრამ ვიცოდი, რომ ამ წერილებს, მაინცდამაინც სახალისო ჟამს არ ვწერდი ხოლმე და მგონი, მომავალშიც ეგრე გამოვა. ისიც აღარ ვიცი, რატომ ვწერ და რას ვწერ, ვის ვწერ, ეგეც აღარ. უბრალოდ, იმას ვფიქრობ, რომ ნამდვილად შეიძლება, საშინელ გუნებაზე მყოფი ადამიანი, რომელიც ისე არ ხედავს რაღაც სურათს, როგორც სხვანი, ვიღაც ისეთს წერდეს წერილებს, ვინც ეგებ, ვერც კითხულობდეს მათ, მაგრამ მიმწერმა იცოდეს, რომ წერილს იმას უგზავნის, ვისაც უნდა გაუგზავნოს. მე მგონია, რომ სანდრო სწორად აგზავნიდა წერილებს.

დიდი ბრძნული დასკვნა ეს არ არის, რომ ყველა ადამიანში მოიძებნება ასეთი სანდროსეული წუთები, ეგებ – საათებიც, და იმათ ქალაქი და კალმისტარი სჭირდება.

ჰოდა, ვიფიქრე, ერთ-ორ წერილს გამოვაქვეყნებ-მეთქი. ადრინდელვარა, მეოთხე და მეხუთე. დიდი კი არაფერი, მაგრამ, რა ვიცი. კაი ხანს აღარ შეგანუხებთ, ამ წერილებით. ახლა ისიც გამახსენდა, მოპასანის უკანასკნელი სიტყვები: უკუნია... ოოოოო... უკუნი!

*საფრანგეთი,  
პარიზი,  
პასი, ბერტონის ქ N17.*

*დოქტორ ესპრი ბლანშის სამკურნალო,  
მწრ დე მოპასანისთვის გადასაცემად*

**ძვირფასო ბატონო დე მოპასან,**

ბაღში გამოსეირნება ამიკრძალებს. ცუდი ამინდების მომიზეზებით. როდის არის მაისში ცუდი ამინდები. მაისი არ არისო, არის მარტო. მაშ, როგორღა არის აყვავებული ხეები ჩემი ფანჯრის წინ? ბაღში რახან ვერ გამოვედი, თქვენი წერილიც არ მიმიღიან. როგორ დავიჭერდი ფოშტის ტრედებს, როცა გარეთ არ გამომიშვებენ? ექიმ გედონოვმა იცოდა უთუოდ, რომ მოველოდი თქვენგან უსტარს და ამიტომაც ტრედს. იმან ტრედები შეამჩნია.

ის უყურებს ცუდი თვალთ ჩვენ მიმონერას, ვითარცა საზიანოს. საერთოდ, კალმისტარს ყოველ დროში რომ მოვკიდებდი ხელს, ყველა ცუდათ ხდებოდა.

განა არ ვიცი, ამ მკურნალს ფრანგი სძულს მოდგმით, ვინაიდან ერთს მომღერალს ხვდებოდა კაფემანტანში, ტფილისში, რომელიც იყო ფრანგი. ის მომღერალი გამოდგა სუფრაჟისტი. სამართებელი დაისვა თავის მკერდზე ერთი სიმღერისას, და როგორც სიმღერის გათამაშება ისე ეგონათ, ხოლო იმისი სისხლი საღებავათ დაინახეს თავის წარმოდგენაში, როგორც ეს დრამაში არის, რომ უბეში დამალულ შუშიდან საღებავს გადმოიღვრი თეთრს ახალბუნებდ, რათა აჩვენო, რომ სასიკვდილოთ დაჭრილი ყოფილხარ. იმათ ასე ეგონათ, რომ რახან მღეროდა, არ

იქნებოდა სამართებელი გადმოესვა თავის ლამაზ და მაგარს მკერდის ძუძუებზე. იმან კი მართლა გადმოისვა და ამის მერე ექიმს შესძულდა ფრანცია, როგორც ამ ქალის სამშობლო. ამიტომ, ტრედებს უქშია, როგორც იროდ მეფე შეიშინა ჩვილის გაჩენის უწყებამ, ისე იმან შეიშინა ფრანცია და თქვენცა, ბატონო. თქვენზე ამდენი ინერება გაზეთებში, რომ ამ სამკურნალომდიაც აღწევს.

მე ერთი ბეჭედი მქონდა ადრე. ცხენებიც იმდენი მყვანდა, რომ არ მიყვარდა. ყველას ვხედავდი ერთნაირათ და რომელს ამოვირჩევდი შესაყვარათ.

ამაში ის მიშლიდა, რომ სათვალე არა მქონდა. მძაგს სათვალე. ოლონდ ამ ფრანგის მომღერალ ქალის ამბავი მანამდევე ავწერე ჩემ რომანში, სანამდეც მოხვდებოდა ცხოვრებაში. ამის რომანი დავსწერე, ნახევარი. ამხანაგმა მაგიდა მათხოვა ერთი გაზეთის რედაქციაში და მომცა დიდი ფურცლები. ოლონდაც, ნახევარი რომ დავსწერე, კალამი ჩამიტყდა და გაფჩერდი. სანამ ახალი კალამი ვიშოვნეთ, იქ წაიკითხეს იქ მყოფ ეშმაკეულებმა და დაინუნეს. ამიტომ, აღარ გამაგძელებიეს. თოკით ზურგის უკან შემიკრეს ხელები და ამიკრძალებს, ვინაიდან ისე მაგრათ დავწერე და იმხელა ასოებით, რახან სათვალე არ მქონდა, რომ ყველას შიში დაეხადა რომ თუ გავაგრძელებ, უეჭველად იმის წამკითხველი ყველა დაიხოცება. მე გამომიყვანეს გორგონათ. რომ თუ შეხედავ ჩემ ნაწერებს, ისინი იმგვარად არის, რომ კაცს მოკლავს, დაუხეთქავს გულს. ხელები შემიკრეს და მიმაბეს იმ ოთახში.

მე კიდევ რახან აღარ მანწერინებდნენ და ყოველ მხრიდან ეშმაკეული მესეოდა, რასაც ჰქვიან მწერლები, რომლებსაც შეშურდა, დავინყე ხმამალალ ყვირილით მოყოლა ამ ამბის მეორე ნახევარისა და ყოველი მსმენი ამისა გარბოდა კვილით, ვინაიდან, მივადექი იმ ადგილს, სადაც უნდა იძროს სამართებელი და გადაისვას ქალმა.

სახელი ამ ქალის, ფენვიევა ბლო. ვინც ყველამ იცოდა ტფილისში, იმიტომ, რომ ვარდისფერი თვალები ჰქონდა, ხოლო თმა სხეულის ყოველ ნაწილზე ბუნებითი ცისფერი. მე ეს არცერთი არ მენახა, ვერა ვხედავდი თვალბრმობით ვინრო სურათებს, ოლონდაც დავსწერე ეს რომანი ნახევარი და გამაჩერეს. ხოლო რახან ვყვიროდი, მომიყვანეს ჯერ შემლოცველი ქალი, რომელიც კვილით გაიქცა, ოლონდაც ერთი თუმანი, რაც სამოცამდე ფრანკი გამოვა, მაინც აულია. მერე კიდევ მომიყვანეს მღვდელი, ეშმაკებთან შესაბრძოლებლათ. მე კიდევ ერთ დროს თავათ ვიყავი მღვდელი. ჩემ მამულებში ყოველ ჯვრისწერას მე მოვახდენდი. შეყვარებულებს და შორით მტრფობულებს გამოვიცნობდი, გამოვიხმობდი იმით, რომ გენერალი მოდგმით ვარ და დავწერდი ჯვარს სიყვარულისთვის.

ეს რომანი აღარ დამანწერინეს, ხალხი დაიხოცებო, ისევე თიატრში გამაგდეს, იქ ითამაშოს გენერლებიო. რახან ვიცოდი გენერლობა როგორ უნდა.

გედონოვმა დაჰკეტა ფანჯრები, რათა თქვენი ტრედები არ მოფრინდეს. იმათ არ იციან ჩემი ფანჯარა. ეფარება ხის ტოტეები. რომანი დასწევს და დაბუგეს კასრში, მე კიდევ ისევე გაყოჭილი ამ სამკურნალოში მომიყვანეს. იმ კასრში იბანავა მერე იმ ქალმა, რომელიც იყო სუფრაჟისტი და რომელიც ტრფობით ცეცხლს უკიდებდა მკურნალს გედონოვს. კაფე შანტანიდან ექიმი არ გამოდიოდა და ბაღში ხვდებოდა ამ აქტრისას წვიმაში, როცა ღამე იყო. ამ ქალმა გადაისვა სამართებელი და სწორედაც იმიტომ, იმ კასრში იბანავა, რომელშიაც იყო ჩამწვარი ჩემი



ნახევარი რომანი. იქ ჩამწვარებში არ იყო ის ადგილი, რომ ჟენეივეა ბლომ სამართებელი გადაისვა, რომლებითაც ტფილისში გადარია ხალხი. ის ზეპირად მოვყევი, როცა დამაბეს და რახან დაწერილი არ იყო, ახლა ამ სუფრაჟისტის ცხოვრებაში გადმოვიდა კასრიდან. არ სჯერავთ.

ამიტომ არ მიშვებენ ეზოში, რათა მივიღო თქვენი წერილი. ამით მოწყენილი ვარ. შოკოლადები, თამბაქო, გაზეთი დახეული მომივიდა, ვერ ვკითხულობ. წამკითხველი დღეს არ მოვიდა.

*თქვენი წერილების მომლოდინე*  
**ს.**

*რუსეთი,*

*ტიფლისი,*

*მიხეილის სამკურნალო, ზამთარი*

*საფრანგეთი, პარიზი,  
პასი, ბერტონის ქ.№17,  
დრ. ესპრი ბლანშის  
სამკურნალო,  
მნრ დე მოპასანისთვის  
გადასაცემად*

#### **ბატონო დე მოპასან,**

კვლავაც არ მიმიღიან თქვენი წერილი, რომელსაც აღარ მოველოდები, ვინაიდან გაზეთიდან შევიტყე, რომ ისევაც უფრო ავად გამხდარხართ და ჩემ საპასუხოდ არ გეცხებულა.

უეჭველათ თაფლი უნდა მიირთოთ. მე დღეს მომიტანეს თაფლი ჩემ ამხანაგებმა. იმათ უკვირთ, რომ არ ვლაპარაკოფ. ვერ ვიცანი და უცნობთან დალაპარაკება კი უადგილოა. მომიტანეს თაფლი და ყურძენი და ჩემი წიგნი, რომელიც დაუბეჭდავთ. ვერ მივხვდი კი რომელი.

ერთი წიგნიდან გამოვა ძალიან ბევრი თამბაქოს გასახვევი ქალაღი. თუ ერთი ფურცელი ოთხათ გაიჭრება, გამოვა, რომ ერთი ფურცელი გამოდგება ოთხი ღეროს გასახვევათ. ერთ ასეთ პატარა ფურცელზე გააკეთებ პაპიროზს, რამდენ მნიკვ თამბაქოთი? იქნებ ორი მნიკვი კოხტათ ეყოს. თუ ასე მიჰყვები საქმეს, მაშინ კი, სულ ბოლოს თამბაქო უფრო მეტი გამოვა დედამინაზე ვიდრე წიგნები. წიგნები გათავდება და თამბაქო კიდევ დარჩება გაუხვეველი და ისევ მოითხოვს კაცი ჩიბუხებს. ანდა პაპიროზის ქალაღს.

როცა გამოვა ამინდები, უეჭველათ გამოგიგზავნით საზამთროებს და ნესვებს. ერთხელ თერგის პირზე მოვდიოდი ცხენით და მომქონდა საზამთროები გლეხის ბაღებისთვის, რათა მესწავლებინა, რომ დედამინა მრგვალი გახლავს. დამიხვდა წინ ოთხი მგელი. მე იმათი ოდენობა ვერ დავინახე. სხვას დაუთვლია. მოვიძვრე თითიდან ბეჭედი, რომელიც ძველათ მომცა ოსის აფიცურმა, როგორც სარწმუნო ძველი კუთვნილება ჩემი გვარისა და გადავსწყვიტე დამედალა ისინი, რათა ყოველს სულიერს დედამინაზე სცოდნოდა რომ ჩემს კუთვნილს მიწაზე, სადაც მოსჩქებს გოლიათურის ბლავილით მაღლა კლდეებიდან მდინარე თერგი, მე ცხენი და ცხვარი კი არა მხოლოდ, მგელიც დანიშნული მყავს ჩემი ბეჭედით. მე ის ოთხი მგელი დავდალე და ჩემ მონათ ვაქციე. მგელს მოვერიე და გადავსწყვიტე ეს ამბავი გადმომეცა მოთხრობებში, როგორც ამბავი.

#### **ჩრდილივით**

*ყველგან დაგყვები, სადაც მიდიხარ,  
ჩამოგრჩები ერთი ნაბიჯით,  
ჩრდილივით ხარ, წინ რომ მისწრებს.*

*როცა მზე ჩადის და როცა ქრები,  
მინც მშვიდი ვარ – აქვე ხარ, ვიცი  
და ჩემს ირგვლივ დაბორილებ,  
ჩრდილივით ხარ, რომელიც არ ჩანს.*

*თავზე ისევ დაგვეცემა შუადღის მზე  
და მანქანებზე, ქვაფენილებზე,  
შენობებზე აირეკლები.*

*ვიცი, შენი მიმართულებით  
თვალს მუდმივად გამოვაპარებ,  
შენს სიმბოლოებს წავიკითხავ...  
ასე ჩუმად გამუდმებით ვიურთიერთებთ  
(რაც არავის ეცოდინება)...*

#### **მაგრამ გაგიმხელ:**

*დავატარებ ფარულ შიშს, რომ ერთხელაც  
აღარ მოგიხდება ჩრდილივით ყოფნა  
და ცხადში თვალწინ ამეტუზები...  
მეშინია, რომ ველარ გიცნო...*

#### **ნენე გიორგაძე**

თქვენ კი, ბატონო დე მოპასან, შეხვედრიხართ მგელს? ერთხელ წავიკითხე წიგნი, რომელშიაც აღწერილია მგელის ბუნება. მოთხრობის დაწერაში სურვილი მქონდა, რომ ამენერა, ამ წიგნის გამოყენებით ჩემი შეხვედრა ოთხს მგელთან და იმათი ჩემგან მოთვინიერება და დადაღვა. ჩემი ამხანაგი იყო მონაფე სულიერების სასწავლებლისა და ჩვენ ბევრი აპელსინები ვიყიდეთ ერთხელ. ეს აპელსინები მენყო მე წინ და დავცნოსავდი. ოლონდაც მეუბნებოდნენ, დაძველდა აპელსინები და დაეთხოვეო. მე კიდევ ვსწერდი და იმის დათხოვება გონებაშიაც არ გამივლია. დიდის სისწრაფით მოვათავე ეს მოთხრობა, რომელსაც დავარქვი მგლის ნიშანი და ვსცდილობდი, რომელსამე ჟურნალს დაებეჭდა. ოლონდაც ყველგან უკან მიბრუნებდენ, ჩვენ ვოდვეილებს არა ვბეჭდავთო და მიმითითებდენ თიატრებისკენ. თქვენ კი დაგმართინათ ასეთი შემთხვევა თქვენს ცხოვრებაში ბატონო? რომ ასე მოგექცეოდნენ?

კვლავაც წყეულ ვილაცეებმა მოახდინეს ასეთი საქმე: თავფურცელი ჩემი ნაწერისა დასტოვეს, თითონ ამბავი კი სხვა ნაწერით გამოსცვალეს. ჩემი ამბავი მგლებზე შესცვალეს იაფ ვოდევლით, რათა კიდევ ერთხელ გავემასხრებინე. მე თითონ ვერ ვკითხულობდი, თუ რომ დიდი შუშა არ დამემიზნებინა ფურცლისთვის და ჩემმა ამხანაგმა კი წამიკითხა და მართლა გამოდგა ვოდევლი. ამ მანქანებით უნდოდათ მოვეკალი. მე აღარ მახსოვდა ვითარ აღვწერე მგლების ჩემგან მოშინაურება და ვერ ვამტკიცებდი, რომ ვოდევლი არ დამინერია. ერთი თიატრის უკან ოთახებში შევიდნენ და იქ განჯინაში იპოვეს ორმოცდაათი პიესა, სულ ჩემი დაწერილები, რომელსაც არ თამაშობდნენ უვარგისობის გამო და დამითვალეს ვოდევლები იმათში და გამომაცხადეს ვოდევლის უნიჭო დამწერათ. მე იმათ დავუწერე მგელი როგორ უნდა მოათვინიეროს ადამიანმა, ხოლო მგელი არის ცხოველთა მეფე, რაც ზოგიერთს აფრიკის ველურ ტომთაგანს ლომი ჰგონიავ. მათ კიდევ ეს გადამიქციეს ვოდევლით იაფ ვაჭრებზე და ჩერჩეტს თავადებზე. ისევ მოიპარეს ჩემი ნაწერი მგლებზე, რაშიც სისხლი ჩავანურე და დამაბრალეს ისევ ვოდევლობა.

ბალერა



ანუკ ბელუჯა  
The Army, ტუში, ფანქარი, 2011

ჩემი ამხანაგი ვინც აპელსინების გადაგდებას მირჩევდა, გადამიდგა. მომიწყო ნათქვამები, რომ მე თურმე ფიქრში მგლებზედ ვწერდი, ეს კიდევ ქალაღზე გადადიოდა, როგორც ვოდევლი და ცირკის თამაშობა, რადგან დამპალს აპელსინებს ვყოსავდი და აპელსინმა კი იცის თავის სურნელობით ვოდევლიზე ფიქრები. მაშ, დამანახებდნენ, რომ რაც რამ ტრალედია დასწერო, მაინც ვოდევლით გადაიქცევა. აი, ამისთვის ვარ სამკურნალოში.

თუ გინახავთ ჩერქეზი სურათებზე და იმის სამოსელი? ეს არის ვაჟუკაცის სამოსელი. ჰქვიან ჩოხა. ჩოხა ოსმალური სიტყვაა და ნიშნავს ტანისამოსს. ჩემს მამულზე ახლო არის სოფელი და იმის სახელი ჰქვიან. რახან ეს მანქანობა გამითამაშეს, მე უკუვაგდე საერთოთ ევროპული სამოსელი, რომელშიაც ვიყავი, როგორც დენდი და ამიტომ ვერავინ დაინახავდა რომ მე მგლების ასე მომრევი ვარ და ვიყიდე ჩერქეზული სამოსელი და იმიერიდან მხოლოდ ის მეცვა. ამით მე დავანახვე კუდიანებს, რომ ბრძოლა შემოძლიან და რომ მართლაც დავსწერე მგელთან ომის ამბავი. მოითხოვეს რომ მომეკლა მაიმუნი. ჩერქეზივით ჩაცმული დადიხარ და მაშ არნივი უნდა ატარო ბეჭზე და არა მაიმუნიო. ლამაზი მაიმუნი იყო, მეზღვაურებმა მომიყიდეს. მეზღვაურები იყვნენ მალაის მხარიდან. ის მაიმუნი იყო ნამდვილი ამხანაგი ჩემი. ყოველი ესმოდა, რასაც ვეცყოდი. რას უშლიდა? ერთხელ მთელი კოლოფი სპიჩკა შეაჭამეს, რათა წუმწუმით მოენამლნათ. კეთილათ ვიყავნით ერთათ, მე ბრმათ, ის კიდევ მუნჯათ.

ცხოველს ლაპარაკი არ შეუძლიან. ნეტავი ადამიანსაც არ შეეძლოს. მხოლოდ წერა იცოდეს. ამის გამო წერილი დავსწერე გაზეთში, რომ თუკი ადამიანებს ლაპარაკის ნებას მივსცემთ, მხოლოდ როცა რაიმე უნდა იყიდოს, მაშინ ქვეყნიერება გახდება კეთილშობილი. დანარჩენი სწეროს. ნაწერს სად წაუვა? ამით კიდევ ერთხელ გიჟათ გამომაცხადეს. დრამის იაფი არტისტი, ვინც სცენაზე ლაპარაკით სჭამს პურს, ლაპარაკს გვიღკრძალავსო.

მთელი ხანძრები ჩაიქრობა დუმილით. ერთხელ მივედი ტფილისის მეხანძრეთა რაზმში და განგაში დავეცე. ქარვასლა იწოდა ხიდთან. გაუძეხ ზარის ჩქარი რეკით და გამოდგა, რომ არ იწოდა. მეხანძრეებში ხანჯლით გზის კაფვა მომიწია. ისევ მიმიყვანეს სამკურნალოში.

მთელი ხანძრები აინთებოდა დუმილით. მე დავინახე ის აბრიანება. დევები სწვავდნენ ინდოურებს. გოლიათები ხიდთან. მთები მენატრებოდა, ჩემი მინები და მამულები სულ მთებშია. დევები ჰქვიან ჩვენს ენაზე გოლიათებს. რატომღაც ბოროტებათ დაუსახავენ ხალხს. სუნი უსდით და კაცის ხორც სჭამენო. ყოველი ადამიანი სჭამს კაცის ხორცს. მე ვინეკი და ჩემ ხორცებს ჭამდნენ. დამცინოდნენ ჭამის დროს. დამანახებდნენ ქალებს. რამდენი რომანები დავწერე. აბა, დაამთავრონ, რომელს შეუძლიან დაამთავროს სხვისი რომანები?

ბატონო მოპასან, ქალი არ დამინახია რამდენი ხანია. ის დამავიწყდა კიდევაც როგორი არის. თქვენი ნახატი მაქვს უბეში და ვხვდები, რომ ქალი არის იმპერატრიცა. მაგრამ მგონი ქალი სხვანაირი იყო. მახსოვს რომ არის ქალი და მასმევენ პარაშოკებს, რათა ვერაფრით გავიხსენო. მგონია, რომ გუშინსწინ მახსოვდა ქალი, დღეს კი აღარ მახსოვს. ქათამს ჰგავსო, მითხრა ჩემ ლალამ. უთუოდ მასხარად მიგდებს. ქათამი მახსოვს და ჰგავს ქალი? სულ მახსოვდა, რაც მომიყვანეს სამკურნალოში.

მოველი კვლავაც თქვენს წერილს.  
თქვენი ნაწერების წამკითხველი,  
გენ. ყაზიბეგი



# რობოების ყვავილები

ავტორები: გიორგი ავალიანი, გიორგი მაისურაძე  
ილუსტრაცია გიორგი ავალიანი

## დასაბამი

ყველაფერი დაიწყო მაშინ, როდესაც ალექსანდრემ, რომელიც ტანმორჩილი იყო, მაგრამ მაინც დიდს უწოდებდნენ, ბოსფორის სრუტე გადალახა და თავისი მცირერიცხოვანი არმიით თვალუწვდენელი აზიის დაპყრობას შეუდგა. აზიის ხალხები, რომლებიც უკვე ისედაც დაპყრობილები იყვნენ და სპარსეთის ტოტალიტარული იმპერიის უღელქვეშ იტანჯებოდნენ, ზარზიმიითა და „პოლიქრონიონის“ ძახილით შეეგებნენ ბერძენ ჭაბუკს, რომელსაც მათთვის დაპყრობასთან ერთად დემოკრატია და სხვა ელიზური ფასეულობები მოჰქონდა, განსხვავებით სპარსთაგან, რომლებმაც თვინიერ ტირანიისა არა უწყოდნენ რა. ამიტომაც ალექსანდრესგან დაპყრობის მსურველთა რიცხვი დღითიდღე მატულობდა და ბოლოს, ისეთ რაოდენობას მიაღწია, რომ მაკედონელი იძულებული გახდა შერჩევაზე გადასულიყო და დაპყრობის კანდიდატებს პირობები წაუყენა, რომელთა ვერდაკმაყოფილების შემთხვევაშიც, ის, ასეთი ქვეყნისაკენ გალაშქრებაზეც კი კატეგორიულ უარს ამბობდა.

დაპყრობის მსურველთა სიაში ქართლიც აღმოჩნდა, რომლის მკვიდრნიც ოფიციალური წერილით მიმართეს ალექსანდრეს და მეგობრული ვიზიტით მცხეთაში მიიპატიჟეს. ალექსანდრეც ეწვია ქართლს და „პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყენი, რომელთა ქცევის წარმოქმნა უხერხულ არს... საფლავი არა იყო, მკუდარსა შესჭამდეს“ –

წერდა საკუთარი წინაპრების უსაქციელობით XI საუკუნეშიც კი დარცხვნილი ლეონტი მროველი.

ქართლებს ისტორიკოსთაგან სმენოდათ, რომ ალექსანდრე ყმანვილებს ჰყვარებდნენ და მალალი სტუმრისათვის პატივსაცემად, ყველაზე ძვირფასი ქართული სადილი – თაფლში შემწვარი მოხრაკული და ნიგვზით შეკმაზული მცხეთის მამასახლისის 15 წლის ვაჟი მიართვეს ვერცხლის ტაბლათი. ამის დანახვაზე შეძრწუნებული ალექსანდრე შემოახტა თავის სახელგანთქმულ ცხენს – ბუკევალოსს და ისე გაქუსლა მცხეთიდან, რომ პერსეპოლისამდე უკან არ მოუხედავს, ხოლო თავის ჟამთააღმწერლებს უბრძანა, რომ ქართლში მისი ვიზიტის ამსახველი ყველა დოკუმენტი გაენადგურებინათ. ამის შემდეგ ის ბოლემიით დააეადა და მალე სულიც განუტევა. ამბობენ, თვალის ბოლო დახამხამებამდე სძულდაო ალექსანდრეს თაფლი და ფუტკარი.

ქართველები, თუმცა გადაეჩვივნენ ადამიანის ხორციით კვებას, მაგრამ თაფლში შეკმაზულ ყმანვილთა შეჭამადი მაინც დაილექა მათ ხსოვნაში და ამ ტკბილი გემოს მოსაგონრად საუკუნეების შემდეგაც კი სრულდებოდა თაფლცხების რიტუალები, რომელიც „ცოტანაობის“ სახელით იყო ცნობილი. ამ ძირძველი დღესასწაულის დროს ყმანვილკაცები შიშველ სხეულზე თაფლს იცხებდნენ და მერე ერთმანეთს ლოკავდნენ, სანამ XIII საუკუნეში მონღოლებმა საბოლოოდ არ აღკვეთეს ფუტკრის ნაჟურთან ეგზომ მწყრალი მოპყრობა, როდესაც ქართველი ერისთავები მონღოლთა ყაენს დედიშობილა და თაფლწასმულები შეეგებნენ და იმდენხანს იკოტრიალეს დარცხვნილი ყაენის კარვის

ნინ, სანამ ზოოპარკიდან დამშეული დათვები არ გამოცვივდნენ და ენაგადმოგდებულნი ტანმომწონე ქართველ დიდებულებს არ დაერივნენ. ამ უბედურ შემთხვევას სამეგრელოს ჭაბუკი ერისთავის სიცოცხლეც კი შეენირა, რომელიც მშიერ მონღოლ დათვს შემოეხრამუნა. ერისთავის სახელი უცნობია, მაგრამ ადამიანთა ხსოვნაში მას „ცოტანაე დათვიანი“ ეწოდა, დროთა განმავლობაში კი „ცოტნე დადიანად“ გადაკეთდა. ამდენად, სახელი „ცოტნე“ თავლისა და მისით საკუთარი ტანის დაზღვევა-ალოკვისაკენ ქართველთა უძველეს ლტოლვას შეიცავს, ხოლო სიტყვა „თავისუფლება“ კი თავლის უფლებიდან წარმოსდგება.

**წინოს სიზმარი**

საუკუნეებმა ისე განვლეს, რომ ქართველთა ზნე-ჩვეულებანი არ შეცვლილა, როგორც ამას XII საუკუნეში საქართველოს კათოლიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე ადასტურებს: „ყოველთა ნათესავთა უმძვინვარესნი და უველურესნი იყუნეს ნათესავნი ესე“-ო, წერდა მისი უწმინდესობა და უნეტარესობა. როგორც ჩანს, ქართველთა არნახული სიველურე იმდენად აუტანელი გახდა დედამიწის მკვიდრთათვის, რომ IV საუკუნეში მათი მორჯულების მისია თავად ღმერთმა იკისრა, მაგრამ რადგანაც ღმერთი უხილავია, ის პირადად ვერ ეწვეოდა ქართლს და უჩვეულო ხრიკს მიმართა: „ამისათვისცა დედაკაცი წარმოავლინა. ამისათვისცა უძღურესისა ბუნებისა დედაკაცისა მიერ მოაღბო ქედფიცხელობაი უღმობელთა მათ“ – იუწყება კათოლიკოსი ნიკოლოზი.

დედაკაცი, სახელად ნინო, რომელიც „მეცნიერ იყო მცირედ ენასა სომხურსა“ და უკვე გაქრისტიანებული სომხეთიდან ქართლის დედაქალაქისაკენ მიიწვედა და თან სომხურის მცოდნეს ეძებდა, რომელიც მას მცხეთის გზას მიასწავლიდა და ისიც იყო, სომხურად მეტყველ მწყემსს გადაეყარა, რომელმაც მიუგო, რომ მცხეთა ის დიდებული ქალაქია, „სადათ ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“, რომ ჩამოხდებოდა კიდეც და ნინომ, რომლის სახელიც სომხურად ნუნედ იწოდებოდა, ლოდზე თავი ჩამოღო და ჩაეძინა. ძილში მას შუახნის თმაშეთხელებული მამაკაცი ეახლა და წიგნი გადასცა, რათა მას ეს წიგნი ქართლის წარმართი მეფისათვის მიერთმია. ნინო ატირდა და თქვა: „უფალო, მე დედაკაცი ვარ, უცხო და უმეცარი და არცა ვიცი ენა, ვითარ მივიდე უცხოთა ქუეყანასა და უცხოთა ნათესავთა თანა.“ თმაშეთხელებულმა მამაკაცმა დაამშვიდა ნინო და მისი საიდუმლო მისიის არსი გაუმხილა: „სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქუას დედაკაცი ესე. არცა მამაკაცება არს, არცა დედაკაცება, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ.“

ნინომაც ირწმუნა, რომ არ უნდა შეშინებოდა არც ქართლის მკვიდრთა სიმხეცის და არც საკუთარი დედაკაცობის გამო ეგრძნო თავი დისკრიმინირებულად და მტკიცედ გაუდგა მცხეთის გზას და ლენა ტაძრები კელაპტრიანი და სვეტიტა ცხოველითა დათრგუნა სიველურე ნათესავთა ქართველთა.

მას აქეთ საქართველოში არავინაა არცა დედაკაცი და არც მამაკაცი, არამედ ყველა ერთსქესიანია.

**ქალის როლი სხოველის მამაკაცად ევოლუსიაში**

ერთ-ერთი უძველესი გადმოცემის თანახმად, ღმერთებმა თავდაპირველად ადამიანის მსგავსი მამრობითი სქესის არსება – ენქიდუ შექმნეს, რომელიც ცხოველი უფრო იყო, ვიდრე ადამიანი. ენქიდუ პირდაპირ ველზე, პირუტყვთა შორის

გამოიძერწა და „გილგამეშის ეპოსიც“ მას „ველზე ნაშობად“ მოიხსენიებს, რომელიც „ქურციკებთან ერთად ძოვს ბალახს, გარეულ ჯოგთან ერთად სარწყულებელს აწყდება, პირუტყვებთან ერთად წყლით გულს იჯერებს.“ მისი გაადამიანების მისია ქალღმერთმა იშთარმა იკისრა, რომელიც, თუმცა ქალღმერთი ეწოდებოდა, მაგრამ არც მთლად ქალი-ღმერთი იყო: იშთარს დილაობით წვერი ამოსდიოდა და მეომარ-მამაკაცად გარდაიქმნებოდა, ღამით კი კვლავ ქალად ყოფნას უბრუნდებოდა და როგორც ქალღმერთი, თავის ძირითად ფუნქციას – ცდუნებას ალასრულებდა. სწორედ ქალ-ღმერთობისას გადაწყვიტა იშთარმა ენქიდუს გამამაკაცება და მას თავისი მსახური – „ღვთაებრივი როსკიპი“ – შამხათი მიუგზავნა.

შამხათმა ასწავლა ენქიდუს მამაკაცობა, – სწორედ მის ტანმკერდგავლით გაიკვალა ნახევარცხოველის გზა სიველურიდან პრივილეგირებულ სქესამდე, როსკიპის აღმურში დაიბადა მამრობითი სქესი. აქედან მოყოლებული, მამაკაცობის დასტური ქალია, მან უნდა აგრძნობინოს მამრს თავი მამაკაცად, ბეჭედი ჩაურტყას მონობაში, ურომლისოდაც მამრს საკუთარ მამრობითობაში ეჭვი ეპარება.

შამხათი ენქიდუს განკაცების მისტერიას მამაკაცობის მეორე ატრიბუტით შემოსვით აგვირგვინებს და მათრობელა სასმელს აწვდის: ენქიდუმაც


„შვიდი კათხა შესვა სასმელი,  
გუნება გაეხსნა, გამხიარულდა,  
გული გაუხალისდა, სახე გაუნათდა.  
ბანჯგვლიანი ტანი ზეთით განიპოხა,  
კაცურად ალაპარაკდა,  
ჩაიცვა სამოსი, სიძეს დაემსგავსა.“

ალკოჰოლის როლი ცხოველის გან(მამა)კაცების საქმეში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ქალისა: კაფკას ერთ მონობაში მაიმუნის გაადამიანებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი არყის სმის სწავლაა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ალკოჰოლი ცხოველის მამაკაცად ევოლუციის პროცესში ქალის სუბსტიტუტია, რომელიც, ამავე დროს, თუნდაც სულ რამდენიმე საათით, ევოლუციის უკუქცევადობასაც შესაძლებელს ხდის და მამაკაცს, საკუთარ ფესვებს ბოლომდე რომ არ მოწყდეს, ცხოველურ სანყისებთანაც აბრუნებს.

**ტრფობა ნამეპულთა**

„მე ვარ როსკიპი, ჭეშმარიტი, რომელმაც იცის პენისის ფასი!“ – ეს სიტყვები ღრმადრელიგიური შინაარსის ჰიმნიდანაა და ის იშთარს, იგივე ინანას – შუმერთა და ბაბილონელთა სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთს ეკუთვნის, რომელიც საკუთარ თავს როსკიპად მოიხსენიებს. მის თაყვანისმცემელ – ამ უძველესი და პირველი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხებს – როსკიპობაც ღვთაებრივ საქმედ მიაჩნდათ. ნებისმიერი სახის სასიყვარულო აქტი, თუნდაც ერთჯერადი ვნების დაკმაყოფილება, ისიც ფულის ან სხვა სახის ძღვენის სანაცვლოდ, ღვთაებრივ საიდუმლოდ გაიგებოდა და იშთარის ლოცვა-კურთხევით აღესრულებოდა. უფრო მეტიც, ყოველ მოკვდავს, განურჩევლად სქესისა, სექსის დროს სხეულში თავად დიდი ქალღმერთი უსახლდებოდა. ამდენად, სექსი, როსკიპობაც კი, რომელიც მოგვიანებით კაცობრიობამ სარცხვენ და მდაბალ საქმედ გამოაცხადა, მოკვდავ ადამიანს თავს უკვდავ ღვთაებად განაცდევინებდა. იშთარის ორსქესიანი ბუნება კი სე-

## ბალერა



ანუკ ბელუგა

Psychoanalysis, ტუში, ფანქარი, 2011

ქსში სექსთა თანასწორუფლებიანობას ნიშნავდა, ანუ სექსში ყველა თანასწორი იყო და, განურჩევლად წარმომავლობისა თუ სოციალური მდგომარეობისა, ყველა იმთარად ინოვებოდა და შვებით შეეძლო ნავარდი იმთარის მშობლიურ ქალაქ ბაბილონში, სადაც ღმერთების ჭიშკარი იდგა („ბაბ“ – „ჭიშკარი“, „ილუმ“ – „ღმერთი“).

მაგრამ დროთა განმავლობაში სინაის უდაბნოდან წამოსულმა უსხეულო მოჩვენების თაყვანისცემამ წააქცია ბაბილონი, ხოლო მძვინვარე მეუდაბნოეს მსახურებმა ადამიანებს ცოცხალი ღმერთის განცდის გზა ამოუქოლეს, ბაბილონი კი ცოდვისა და ღვთის წყრომის მრისხანე სიმბოლოდ გამოაცხადეს.

ღვთის ჭიშკარი გადაირაზა, ხოლო ღვთაებრიობაგამოცლილ და შერყვნილ ტრფობას კი, რომელსაც მავანთ „მტლაშა-მტლუში“ უწოდეს, წამებად და გვემად ექცა კაცობრიობას:

„ხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!  
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია.  
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან სანუნელია;  
უშნოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!“

## ქიდეო ერთი დაბადება

ის დაიბადა იანვრის თვეში, ახალი წელი რომ იწყებოდა. ყინვა და სიცივე იდგა მისი სახლის წინ, ლამპიონის შუქის ქვეშ. ამბობენ, აპოლონმა გვირგვინი მოიხსნა და ახალშობილის აკვნის წინ დადებას აპირებდაო, მაგრამ ვერ მოასწრო: იანვრის იმ სუსხიან ღამეს ახალშობილი მშობელმა დედამ კალათაში ჩასვა და მდინარის ცივ ტალღებში გადაუძახა, რათა თავად მისთვის გაუგებარი და უსიამო კითხვებისათვის თავი აერიდებინა. საბრალო ქალი მთელი ცხრა თვე არ იჯერებდა, რომ ორსულად იყო, რადგანაც ცხრა თვის წინ მის საძინებელ ოთახში არათუ რომელიმე მამრ, არამედ არანაირ არსებას ფეხი არ შეუდგამს, გარდა იმისა, რომ ერთ ღამეს მოწმენდილი ციდან იწვიმა და მის ოთახში წვიმა ჭერიდან ოქროსფერ წვეთებად ჩამოიღვარა და მძინარე ქალი დანაშა.

ასევე სრულიად გაურკვეველი გზებით, რომლებიც დღემდე შეუცნობელია, კალათამ ეგვიპტემდე ჩააღწია და ის ნილოსის ნიანგებმა აღმოაჩინეს მემფისის დელტაზე და ყრმის რძით გამოსაკვებად, ყოველდღე თითო ცინცხალი ეგვიპტელი დედის

# აღამიანთა მოღვივის უდიდესი ნაწილი მკვლარია. თითქმის ყველა, ვისაც ოღესმე მხოვლი მიწის ზაღაპირის შელახვა გაუზღავს, თავად შელახულა იმავი მიწის ქვეშ. ყოველი თვალი – კატიოსანისა და ავაზაკის – უკუნისამდე უკუნეთი სიზნელის საჭვრატადაა განიჭული.

ნოყიერი ძუძუ მოჰქონდათ. როცა ყრმას კბილები წამოეზარდა, აღმზრდელი ნიანგი მას საკუთარი კვერცხების ერბოკვერცხებს უმზადებდა მზის აღმზრზე, რამაც ყრმა ისე გააყოფოჩა, რომ უკვე მოზარდობისას საკუთარ თავს უდაბნოს მრისხანე ღმერთსაც კი უთანაბრებდა. ამან ისედაც ბოროტი მეუღაბნოვე განარისხა და კალიები მიუსია ეგვიპტეს, რის გამოც ყრმა იძულებული გახდა გამზრდელ ნიანგთან ერთად ეგვიპტიდან გაქცეულიყო და თავი ზოოპარკისათვის შეეფარებინა, სადაც ის დღისით მებალედ მუშაობდა, ღამ-ღამობით კი მძინარე დავებთან იყოფდა სარეცელს.

ოდეს მებალედ მუშაობდა, ყრმა იშთარმა შეიყვარა. ის ციდან მინაზე დაეშვა ყრმისთვის სიყვარულის ხელოვნების გასაზიარებლად. მაგრამ იშთარი ღვთაება იყო და ამიტომაც სიტყვებს ღვთაებრივ ენაზე წარმოთქვამდა, რომლებიც ადამიანთა ენაზე უკუღმა ჟღერდა და ყრმამაც ვერ გაიგო იშთარის გულის ნადები და შეფოთდა და გამზრდელი ნიანგის ხახას შეაფარა თავი, რათა მის მუცელში დამალვოდა უგონოდ გამიჯნურებულ იშთარს. სამი დღე და ღამე იმალებოდა ყრმა, სანამ ნიანგს მუცლის გვრემა არ დაეწყო და საკუთარი აღზრდილი მონელეზულ საკვებთან ერთად გარეთ არ გამოისროლა. თუმცა მისი სახე ნიანგის შიგნულში მოგზაურობას დაეუსუფთავებინა, მაგრამ იშთარმა ყრმაში უმაღვე თავისი ძმა და სატრფო ოსირისი შეიციწო და თავადაც მიხვდა, რომ ის, იშთარი კი არა, სინამდვილეში, ისიდა იყო. ყრმა დარწმუნდა, რომ ისიც ღვთაება იყო და აღარ შეეშინდა ინცესტის, როცა ერთმანეთს შეეყარა მინაზე ერთგან მოყმე და მხცოვანი, და ამასობაში წამოზრდილმა ყრმამაც ბოლოს და ბოლოს აღიარა, რომ ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიცოცხლე სჯობს და სატრფოსთან ერთად უდაბნოს ღვარძლიან მბრძანებელს აუმხედრდა სამშობლოს უკეთურ კალიათაგან გასათავისუფლებლად.

მას აქეთ ისისისა და ოსირისის სახელები მოწინებით მოიხსენიება სამყაროს დიდი არქიტექტორის ტაძარში და როცა ორი ადამიანი, რომელიც ურთიერთკოლიზიის კურსს აიღებენ, ამ რთულ და ფათერაკიან გამოცდის გზაზე, სანამ მათი სხეულები მარგალიტებს მისცემენ ერთურთს, ეს წმინდა ლოცვა აღევლინება:

„ო, ისის და ოსირის, თქვენ მიანიჭეთ სიბრძნისა სული გამოცდისა ჟამს ამ ახალ წყვილსა! თქვენ, ვინც უმართავთ მწყობრ ნაბიჯებს მოხეტიალეთ, ძალა მიეცეთ მათ და მოთმინება განსაცდელშია.“

## როზა ლუქსემბურგის სახე ბეთანიის ეკლესიაში

1919 წლის 15 იანვარს ბერლინში გერმანელმა სამხედროებმა შეიპყრეს როზა ლუქსემბურგი და სასტიკი წამებით სიცოცხლეს გამოასალმეს. მისი დასახიჩრებული სხეული კი მდინარეებს —

შპრეესა და ოდერს შორის გაყვანილ არხში ჩააგდეს, რომელსაც ლანდვერკანალი ეწოდება.

რამდენიმე თვის შემდეგ როზა ლუქსემბურგის გვამი თბილისელმა მეთევზეებმა მტკვარში, მადათოვის კუნძულის ნაპირას იპოვეს და წმინდა სამების ტაძარში გადაასვენეს.

ორმოცი დღე დასტიროდა საქართველო მსოფლიო პროლეტარიატის ღირსეულ ასულს. 1920 წელს მგლოვიარე საქართველოს სოცინტერნი ესტუმრა, 1921 წლის 25 თებერვალს კი, თბილისს მართლმორწმუნე-მომძე რუსეთის დელეგაცია შემოუერთდა.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინაისწარმეტყუელმან, რაიმეთუ წელი ათასი ვითარცა ერთი დღე.

და არავინ უწყის, როდის დაიკრძალა როზა ლუქსემბურგი ან სადაა მისი საფლავი. ერთი ვერსიის თანახმად, იგი ორთაჭალჭესის ქვეშ განისვენებს. მეორენი ამბობენ, ცხრა კუბო გამოასვენესო წმინდა სამების ტაძრიდან ცხრა ძმა ხერხეულიძემ, რომლებიც შემდგომ კრწანისის ველზე დაეცნენ. მესამე ვერსიის თანახმად კი, იერუსალიმში დაკრძალესო როზა, წინაპართა საფლავების გვერდზე... უტყუარი მხოლოდ ისაა, რომ მისი ხატება ბეთანიის ეკლესიის კედელზე ჩნდება ხოლმე ყოველი წლის 15 იანვარს, ღამის 12 საათზე, რომელიც ერთხელ გრიგოლ ორბელიანსაც შეუნიშნავს, რის გამოც, მას, გენერლის მუნდირზე უარი უთქვამს და სისხლიანი მახვილი მელნიან კალამზე გაუცვლია და ეს სტრიქონები უძღვნია როზას მზერით გულგათანგულს:

შენს წმინდა სახეს,  
მშვენიებით საესეს,  
სახიერებით განსხივებულსა,  
ვუმზერ კრძალვითა,  
თაყვანცემითა,  
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!  
მიხარის – გიმზერ,  
ვჰსწუხვარ – და გიმზერ,  
და ესრეთ მზერა მსურს სიკვილიამდე,  
არ გამოვფხიზლდე,  
რომ აღარ ვჰგრძნობდე  
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..  
ყვავილოვანი  
წალკოტი შენი,  
შენის დიდების სხივ-მოკლებული,  
აღარა ჰშვენის,  
აღარ გვიბრწყინვის  
შავ დროთა ძალით ფერ ნახდენილი!..  
და, ვით განვილილსა  
სიზმარსა ტკბილსა,  
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,

ვიგონებთ შენს დროს,  
გული გვიმაგროს,  
სრულად არ წავგვწყვეტთ ცის შემრისხავნი!

CADAVERITAS

ადამიანთა მოდგმის უდიდესი ნაწილი მკვდარია. თითქმის ყველა, ვისაც ოდესმე მშობელი მიწის ზედაპირის შელახვა გაუბედავს, თავად შელახულა იმავე მიწის ქვეშ. ყოველი თვალი – პათოსანიცა და ავაზაკიც – უკუნისამდე უკუნეთი სიბნელის საჭვრეტადაა განწირული. ჩვენი შვილები, რომლებსაც საზოგადოების პასუხისმგებლიან წევრებად გავზრდით და ბრწყინვალე კარიერისთვის მოვამზადებთ, უდიდეს წარმატებას მშობლიური კერიდან შორს ხრწნასა და გაცამტვერებაში მიაღწევენ. საბედნიეროდ, გვამები იშვიათად იტკიებენ თავის ქალებს მოქალაქეობრივი ვალის მოხდით. მიუხედავად ამისა, ისინი ჩვენს გულებში თუ არა, ჩვენს ქალაქებში მაინც მოზრდილ ალაგს იკავებენ.

სავალალოა, რომ მკვდართა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. საოცრად მოსახერხებელია, გავკიცხოთ ეპიდემიები, ომები, სტიქიები, მაგრამ ამ შემაშფოთებელი სტატისტიკის მიზეზი მხოლოდ ჩვენ ვართ. როგორც ჰიდრას ბალღამით დასწეულ ქირონს სურდა სტიქის წყართა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულთა ჩვენთა გარდაცვლილთა კომფორტულ რიგებში დავანება. თუმცა სხვა დანარჩენის მსგავსად, სიკვდილიც საკმაოდ გვეზარება. ჩვენი მოუქნელობა შემადრწუნებელია – როდესაც მზიანი ნეოლითის ხანაში ოციოდე წლის პრაგმატულად მოაზროვნე ჰომინიდს მხეცკბილა ნადირხვილის წვლილი შექონდა აგრარულ რევოლუციაში საკუთარი ნეომოპალის სახით, დღეს მის თანატოლს აგრარულ უნივერსიტეტში სასწავლად საბუთების შეტანაც ეთაკილება. ოცდამეერთე საუკუნის საშუალოდ ამპარტავანი ადამიანი ჭადრაკის სასიკვდილო პარტიის გადადებას სამოცდაათ წლამდე ახერხებს. სწორედ ამიტომ თამაშობენ ამ ეგზომ მოსაწყენ თამაშს მხოლოდ მოხუცები – ემზადებიან!

შეუძლებელია, ამდენი ცხედარი ცდებოდეს! თავს უხერხულად ვგრძნობთ ჩვენს გაშეშებულ წინაპრებთან. უბრალოდ, გვერიდება, რომ სამარადჟამოდ ვიცოცხლოთ. განა მზად ვართ, სამუდამოდ ვიტანჯოთ ცვალებადი სამუშაო ბაზრისა და მერყევი ეკონომიკის პირობებში?! ასეთ არსებობას, ჩვენი გულისთქმა რამეს რომ ცვლიდეს, ჩვენივე სისხლით ნაპატივებ კოლოსაც არ ვუსურვებდით. შესაბამისად, სიხარულით ვმასპინძლობთ ტანად თანატოლს ჩვენს მოკრძალებულ საცხოვრისში. თავად ვწნავთ ჩვენს ყულფს და თავად ვლესავთ ცელს, რომელიც ჩვენს ტრაქებს წმინდა ვიტუსის დარად საცეკვაოდ გამოიწვევს. ჭეშმარიტად, ყოველი სიკვდილი თვითმკვლევლობაა.

შინ მოაქსია ჩარჩოებში ზოსუარი რომაირი?

M\*A\*S\*H-ი ცრუობდა – თვითმკვლევლობა უმტკივნეულო სულაც არ არის. სავარაუდოა, რომ სერგო შალიბაშვილი სიამოვნებით გარდაცვლიდა წარუმატებლად შესრულებული სამნახევარბრუნინანი პირუკუ მალაყით გამონეულ კომაში გატარებულ საკუთარი ცხოვრების უკანასკნელ კვირას ნიგერიის წარმტაც დაბა კომაში გატარებულ თუნდაც ორშაბათზე. აღსანიშნავია, რომ ბედის ამგვარი წყალობითაც ვერ დაიკვებნის თვრამეტი წლის ბოლივიელი თვითმკვლელი ჭაბუკი, რომლის სახელიც გვართურთ გულმავინწყმა ბოლივიელმა ერმა როსარიო დელ

იატას მდინარეს გაატანა, ამავე ჭაბუკის ადგილობრივი პირანების მიერ სასიკვდილოდ დასახიჩრებული სხეულის მსგავსად. არადა ამ უკანასკნელმა მყუდრო კანოე წყლის ზვირთებში წყნარად ჩაკარგვის სურვილით ანთებულმა დატოვა.

განსაკუთრებით არ უმართლებდათ აცტეკ ქურუმებსაც, რომელთა გულებიც, სხეულშიც და მარჯვენა ხელშიც, სიკვდილის სურვილით იდაგებოდა. ისინი ხოტბას აწუნებდნენ ჰუიცილოპოჩტლის, ასტიგმატიზმით დასწეულ მზის ღვთაებას, რომელმაც დედამის კოატლიკუეს მყუდრო საშოში შეიტყო საკუთარი დის კოიოლქსაკის მზაკვრული გეგმების შესახებ, საბრძოლველად აღჭურვილი იშვა, ავისმოსურნე და-ძმა ცასთან გაასწორა და კოსმოსში მიმოაბნია კამარის სამშვენივებად. რასაკვირველია, აცტეკები ნათლად ჭვრეტდნენ, რომ ეს ხრიკები ქურუმებმა თავიანთი ნამდვილი ნადილის – თვალუნვდენელი ტაძარ-პირამიდების გულზე ამხანაგთა სისხლით გაპოხილ ციცაბო საფეხურებზე ფეხის აცურებით სიკვდილის – შესანიღბად შეთხზეს. მიუხედავად ღვთისკაცთა ამგვარი მუხანათობისა, ერი მაინც კოხტად ირგებდა ნამებულის გვირგვინს და უტელევიზორო არსებობასთან გაყრის ყოველ საშუალებას

ბაღირეა



ანუკ ბელუვა  
Snail comics, ტუში, ფანქარი, 2011

\* \* \*

დამიხურდავე ჩემი სიყვარული –  
ერთი დიდი ოქროს მონეტა.  
მძიმეა. ვერც გულზე ვიკიდებ, ვერც ცალ მხარზე.  
დახურდავებუღს გადავანანილებ  
სხვადასხვა ჯიბეებში და გავნონასწორდები.  
თანაც, ხომ იცი, თადარიგი მიყვარს -  
თუ გამიჭირდა, ნელ-ნელა შეველევი...  
და თუ ჯიბეში ერთი გროში მაინც მექნება,  
გოფიქრებ, რომ აქვე ხარ, ხელის განვდენაზე ...

**ნენე გიორგაძე**

**აკვიატება**

ვერ გამიგია მაინც –  
რატომ ვეჭვიანობ გარდაცვლილ ქალზე,  
ქმარს რომ უყვარდა  
ჩვენს შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე...  
შავ-თეთრ ფოტოზე ორივე ერთად ვნახე  
და თვალში ჩამებეჭდა:

დახრილი პროფილები დაჟინებით  
იმზირებიან,  
ნატიფი თითები სათუთად ერთმანეთს  
ეხებიან,  
თითქოს ორივეს ეშინია,  
რომ არ გაქრეს ერთ-ერთი უეცრად...

ვერ გამიგია მაინც, რატომ ვეჭვიანობ  
ალარარსებულ სიყვარულზე,  
დამცხრალ ვნებაზე...  
განა იმიტომ,  
რომ (ვიმეორებ)  
განუმეორებელია  
განუმეორებელია  
როგორც დღეების ორომტრიალში ჩარჩენილი  
წუთები ჩვენი სიყვარულის?

**ნენე გიორგაძე**

ეპოტინებოდა ბრინჯაოსფერი ხელებით. ბანანის ქერქის მა-  
გიურმა თვისებამ, რომელიც კონკისტადორებმა აღმოაჩინეს,  
ტენორტიტლანის ლუბრიკანტების საქალაქთაშორისო ბირჟაზე  
ადამიანის სისხლის რეპუტაციას გული გაუპო. ამ მოვლენამ  
უამრავ მსხვერპლს დაუკარგა სამსახური, მოუსპო სარჩო და  
უკანასკნელი ლუკმა წაართვა. საგრძნობლად იმატა თვითმკვ-  
ლელობათა რიცხვმა და რომ არა ესპანელთა მიერ დიდსულოვ-  
ნად ადმინისტრირებული საყოველთაო ჟლეტა იმედგაცრუებუ-  
ლი მოსახლეობისა, კიდევ უამრავი აცტეკი დატკებოდა გენის  
მეშვიდე წრის საზარელი ინტერიერით.

თანამედროვე ეკონომისტთა გარკვეული ნაწილი თანხმდება,  
რომ საბერძნეთის ფისკალური თავნებობისა და სახელმწიფოს  
მიერ ფინანსების ბუნდოვანი განკარგვის ტრადიცია ანტიკურ  
ხანაში იღებს დასაბამს. ელისეს მინდვრების ღირსეული უმ-  
ცირესობის დაჟინებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ერე-  
ბუსის მოსახლეობამ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეთერთმეტე  
საუკუნეში ჩატარებულ რეფერენდუმში ერთხმად დაუჭირა მხა-  
რი სრულიად საბერძნეთის მკვიდრთათვის მენავის გადასახა-  
დის სახელმწიფო ხაზინიდან დაფინანსებას. სავარაუდოა, რომ  
ზემოხსენებულ მკვდართა შთამომავლები, რომელთაც ობოლი  
ობოლიც აღარ აბადიათ, დღემდე საკუთარი ჯიბიდან უხდიან  
წინაპართა ვალებს ქარონს, რომელმაც მეოცე საუკუნის ოთხ-  
მოცდაათიან წლებში სატრანსპორტო იმპერია კაპიტან ქრანს  
გადაულოცა და თავად ვენეციაში მოეწყო გონდოლიერად, რად-  
გან თურმე იაპონელი ტურისტები სიცოცხლეში გაცილებით  
გულუბრყვილოები არიან.

ქართველი მემათიანეები ცდილობენ, გვერდი აუქციონ გიორ-  
გი ბრწყინვალეს მეფობის ერთობ მუქ ეპიზოდს, მაგრამ ის ის-  
ტორიკოსები, რომლებიც დროსა და სივრცეში მანევრირების  
სილალით არ არიან დაჯილდოებულნი, ამას მაინც ვერ ახერხე-  
ბენ. ნაკლებად ცნობილია ის ფაქტი, რომ გიორგი ბრწყინვალემ  
იაპონიის მმართველი კამაკურელი შოგუნის კართანაც დადო  
გარიგება და საქართველოში ჩამოსახლა ჰარაკირითხუროების  
სამი ათეული კომლი მთაში სეპუკუს ლამაზი ტრადიციის გასა-  
ვრცელებლად. სამწუხაროდ, მეფე გიორგის არ დასცალდა ოც-  
ნების ხორცშესხმა. მისი მიძინების შემდეგ, ჰარაკირითხუროთა  
ნაწილი ცხვარს გაედევნა, ხოლო ნაწილმა დასავლეთ საქარ-  
თველოს მიაშურა და რაჭა დააარსა.

განუზომელია ის ზიანი, რასაც გარდაცვლილები ცოცხლებს  
აყენებენ. თვითმკვლელობის ხიბლი დღესაც უამრავ ადამიანს  
იზიდავს და, ალბათ, კვლავ მიიზიდავს, სანამ ჰაიმდალის საყვი-  
რი საეჭვოდ დუმს. ცხედართა სამყარო გამუდმებით გვახსენებს  
თავს თავისი უკიდურესობებით – პრეზიდენტ კენედის ახირე-  
ბა, პრეზიდენტ ლინკოლნზე უფრო შთამბეჭდავი აღსასრულით  
შეელო ისტორიის კარიბჭე, ტეხასელ გადასახადების გადამხ-  
დელებს საკმაოდ ძვირად დაუჯდათ. ოთხმოცდაათიან წლებში  
საქართველოში გამეფებული სიდუხჭირის მიზეზიც მანდალო-  
რიანელი მემორისა და გალაქტიკაში სახელგანთქმული მკვლე-  
ლის, ბობა ფეტის დაქირავება გახდა პრეზიდენტ ზვიად გამსა-  
ხურდიას ხორციელი მისიის შესასრულებლად.

გარდაცვალების უამრავი ხერხი არსებობს, მაგრამ მისივე  
მეუღლის მტკიცებით, მათგან ყველაზე სრულყოფილი ორმო-  
ცდათორმეტი წლის ტაილანდელ მენაყინე დამნოენ საენ-უმს  
დაესიზმრა 2003 წლის ერთ მშვენიერ ღამეს. შედეგად ბატონ  
საენ-უმს რამდენიმეწუთიანი უწყვეტი ხარხარის შემდეგ ნაცად-



მა გულმა უმტყუნა, ისე რომ ძილს თავი ვერ დააღწია. ოჯახის ახლობლებმა მსწრაფლ აიტაცეს პირმცინარი მენაყინის ხილვის ღვთაებრივი ხასიათი – მისი ტყრუშული კიოსკი ტაძრად გადააკეთეს იმ რწმენით, რომ სიკვდილის შემდეგ ყველა სულიერი დამნოენთან ერთად მოცხარის ნაყინს შეექცევა და მის სიზმარზე გაიცინებს. ცხედრის სასტუმრო ოთახის ტემპერატურამდე გაციებისთანავე თანამეცხედრემ დასძინა, რომ არ არის გამო-რიცხული, დამნოენს მეზობლის ლეღვის ფოთლებს დანაფებუ-ლი მთვრალი ვირი ეზმანა იმდღევანდელივით, თუმცა დანამდ-ვილებით ვერაფერს იტყვის.

**ერთი შუამრული თიხის ფირფიტიდან:**

მუდამ  
 ისმის მისი  
 ყრმა სულის ხმა ამაყ  
 ვარდთა დარად. შენ ავდარად გადაფარავ,  
 არარაა,  
 რაც ანათებს, აღარ  
 ხარობს, როცა ერთხელ ნანახ  
 არეს სერავს შენი მზერა  
 რა მზე? რა ცა? – სად შენ არ ხარ...

**ეპილოგი**

„უმანკოების ქადაგება არის საჯარო დაგეშვა გაუკუღმართე-ბისაკენ. ყოველგვარი ზიზლი სქესობრივი ცხოვრების მიმართ,

მისი გაუნმინდურება ისეთი ცნებით, როგორცაა „უნმინდური“, – სწორედ ეს არის ცოდვა სიცოცხლის სულიწმინდის მიმართ“, – თქვა ნიცშემ, სანამ დადუმდებოდა.

მამათა და შვილთა ბრძოლა დოგმატიკის სფეროსაც გა-დასწვდა: უფროსი თაობის მართლმორწმუნენი ღვთისმშობელს „მადონას“ უწოდებენ, უმცროსნი – „ლედი გაგას“.

1995 წელს თბილისში პირველი სუპერმარკეტი გაიხსნა, რომელსაც „ბაბილონი“ ერქვა. გახსნას ესწრებოდნენ: საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

ის ფაქტი, რომ დინოზავრის ნაკვალევი სათაფლიის გამოქვაბულში აღმოჩნდა, ქართული ისტორიული მეხსიერების უძველეს შრეებში დაღეჟილ თაფლის მნიშვნელობაზე მეტყველებს: ქართველები თაფლს დინოზავრთა ეპოქაშიც კი იყენებდნენ როგორც გასტრონომიული, ასევე რიტუალური მიზნებისათვის.

როგორც 13 ნოემბერს ყველა ჭეშმარიტი ქართველი მართლმადიდებელი ასი ათასი წმინდა მონამის დღეს მსვლელობით აღნიშნავს, ასევე 15 იანვარს ყველა ჭეშმარიტი გერმანელი მემარცხენე მიაგებს პატივს როზა ლუქსემბურგის მონამეობრივ სიკვდილს მისი სახელობის მოედნიდან მდუმარე მანიფესტაციით მდინარე შპრეეს ერთ შენაკადამდე, სადაც როზა ლუქსემბურგის გვამი გადაადგეს მისმა ჯალათებმა. ასე არიან მტკვარი და შპრეე ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა.

## ჩარგეიშვილის სახელმწიფო დარბაზი

**ბიზნეს და საგადასახადო დავები**

**სამეწარმეო**

**კორპორაციული სამართალი**

**შრომის სამართალი**



**სამოქალაქო სამართალი**

**სისხლის სამართალი**

**(ეკონომიკური დანაშაულები)**

**ადმინისტრაციული სამართალი**

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 15ა ოფისი 28ა, ქ.თბილისი  
 ტელ: (+995 32) 237 93 00  
 ფოსტა: info@chargeishvili.ge  
 ვებ-გვერდი: http://www.chargeishvili.ge



# ზამინა

ავტორი ზაზო კვიციანი  
ილუსტრაცია თათია ნაღარკვიანი



პარასკევი, 8:09 a.m.

თვალს ვახელ. გათენებულა. ჩემს გვერდით, სანოლში, ექვსოდე წლის ბიჭი იღვიძებს, დგება და ოთახიდან გადის. ტელევიზორს რთავს. ცოტა ხანში იღვიძებს, ასევე, ჩემს გვერდით მწოლიარე ახალგაზრდა ქალი, რომელიც მეუბნება, რომ ავდგე და იმ ბიჭს მივხედო: ჩავაცვა, ვასაუზმო და ნავიყვანო. სად უნდა ნავიყვანო, არ ვიცი, მაგრამ მაინც ვდგები და ქალს ვეუბნები, იქნებ შენც ადგე-მეთქი... რატომ უნდა ავდგეო, მეკითხება. პასუხი არ მაქვს. ვდგები და ვიცვამ. ვიცი, რომ თუ არ ვიქარე, დამაგვიანდება. უფრო სწორად, ორივეს დაგვაგვიანდება – მეც და იმ ბიჭსაც. სად დაგვაგვიანდება, არ ვიცი, ამიტომ სწრაფად, ენერგიულად ვიცვამ და ოთახიდან გამოვდივარ. ბიჭი ზის და ტელევიზორს უყურებს. ოთახიდან მეორე, უფრო პატარა, 3-4 წლის ბიჭი გამოდის და ცალ ფეხზე მეხუტება. ხელში ამყავს და სავარძელში ვათავსებ. ოთახიდან ქალი მეძახის. სიტყვებს ვერ ვარჩევ. ოთახში შევდივარ. მიმეორებს. ვბრუნდები და პატარა ბიჭი საძინებელში შემყავს, სანოლში ვანვენ. ბიჭი ლოგინში არ ჩერდება და ტირილით მომდევს. ხელში ამყავს და ისევ სავარძელში ვათავსებ. ტელევიზორიდან საშინელი ხმაური მოისმის. ექვსი წლის ბიჭს ვეუბნები, რომ საპირფარეოში შევიდეს. ტელევიზორს ვთიშავ და პატარა ბიჭი ხელში ამყავს. ვეფერები. ბავშვი მეხუტება. თავს მხარზე მადებს. ცოტა ხანს გაუნძრევლად ვდგავარ. მერე ბიჭს ოდნავ ვაქანავებ, თითქოს მისი დაძინება მინდა ისევ. ბავშვი არ იძინებს, ძირს დახტება და მუყაოს წამოქცეულ ყუთთან მიიბრუნს, საიდანაც სათამაშოების მდინარის პირი მოჩანს. ექვსი წლის ბიჭი ოთახში ბრუნდება და პულტით ტელევიზორს ისევ რთავს. მოისმის საშინელი ხმაური. ბიჭს ტანსაცმელს ვაცმევ. რალაცებს მეკითხება. შორისდებულებით ვპასუხობ. საშინაო ტანსაცმელს ვიხდი. შიშველ ბარძაყზე პატარა ბიჭი ისევ მეხუტება. შენი ტანსაცმელი სად არის-მეთქი, ვეკითხები. არ ვიციო. საძინებლიდან ქალი მეძახის. ექვსი წლის ბიჭი პატარას ჩაცმაში ეხმარება. ამასობაში მეც ვიცვამ. გვაგვიანდება. ბინის კარს ვაღებ. პატარა ბიჭი ორივეს გვკოცნის. კარს გავიხურავ და კიბეზე ვეშვებით. უცებ, ვჩერდები. ბიჭს ვეუბნები, რომ რალაც დამრჩა და აქ დამელოდოს. ვბრუნდები. რა დამრჩა, არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ რალაც დამრჩა. ბინაში შევდივარ. პატარა ბიჭი ლამის ქოთანზე დამჯდარა. დიდი, გაცივებული თვალებით მიყურებს. არაფერს ვეუბნები. ვეძებ იმას, რაც დამრჩა, მაგრამ ვერ ვპოულობ. ბიჭთან ვიხრები, ვკოცნი. ბიჭი მეუბნება, დავამთავრეო. წამოდგომას აპირებს. მე რა ვქნა-მეთქი? სველი ხელსახოცი უნდა აიღოო. აი, იქ ინახავს დედაო. პატარა ბიჭი ისევ მაცილებს, კიდევ მკოცნის და გარეთ გამოვდივარ. კარს ვხურავ და კიბეზე ვეშვები. ექვსი წლის ბიჭი არსად ჩანს. სადარბაზოდან გამოვდივარ. აგერ ყოფილა. ეზოში, მერხზე ჩამომჯდარა. დგება და მივდივართ. ჩქარა. ნაბიჯებს ვერ მიწყობს და თითქმის სირბილით მომდე-

ვს. გზა იცი-მეთქი? კიო. სად მივდივართ, იცი-მეთქი? კიო. ახლა აქეთ უნდა ჩავუხვიოთო. ნაგვის კონტეინერიდან მოულოდნელად ამომხტარი ძალღი აფრთხობს და ხელს მიჭერს, ნაძალადევი ღიმილით ამომხედავს. მივდივართ. გზას ვაგრძელებთ. ჩქარა. რალაცისგან დამფრთხალი ბელურების გუნდი ერთი ხიდან აიშლება და მეორე ხეზე ინაცვლებს. ბიჭი თვალეზზე ჩამოფხატულ თმას გადაინევს და გალიმებული მომდევს. რალაცაზე ფიქრობს. უცებ, პატარა ბიჭი მახსენდება, ბინაში რომ დარჩა, ქალთან ერთად. არ ვიცი, ვინ არის, მაგრამ ვგრძნობ, რომ მომენატრა. ახლა სადღაც რომ მივდივართ, ხომ მივალთ, როცა იქნება?.. ჩემი ვარაუდით, ეს ბიჭი იქ უნდა დარჩეს, სადაც მივდივართ, და ხომ შეიძლება, მოვბრუნდე და ისევ ბინაში მივიდე?.. რატომ არ უნდა შეიძლებოდეს თუ გზა არ დამავინწყდება... ამიტომ, ახლავ უნდა დავიმახსოვრო, რა გზით მოვდივართ. ნეტავ, აქამდე გამხსენებოდა... მგონი, ერთხელ შევეუხვიეთ მარჯვნივ და ორჯერ მარცხნივ. კი, ასე იყო. გამოდის, რომ დაბრუნებისას ორჯერ მარჯვნივ უნდა შევეუხვიო და ერთხელ მარცხნივ. გზად აუცილებლად უნდა შემხვდეს ნაგვის კონტეინერი და ბელურებიანი ორი ხე. არ უნდა იყოს ძნელი. კაცო, ეს სკოლა არ არის?.. აგერ, რამდენი ბავშვია, ნახე... მე რომ მოვიყვანე, იმ ბიჭით, ჩანთა უჭირავს ყველას. გარბიან, გამორბიან. საშინელი ღრიანცელია ირგვლივ. ჩემს წინ ახალგაზრდა ქალი დგას და რალაცას მელაპარაკება. აშკარად მე მელაპარაკება, იმიტომ, რომ თავს ვუქნევ. თუ მე არ მელაპარაკება, მაშინ ვის უნდა ვუქნევდე თავს?.. გიჟი ხომ არ ვარ?.. არა, ნამდვილად მე მელაპარაკება. რალაც რვეულს მაჩვენებს, ფურცლავს. ის ბიჭი, მე რომ მოვიყვანე, საკლასო ოთახში, მერხთან დამჯდარა და ჩანთაში იქექება. ახლა წავალ-მეთქი, ახალგაზრდა ქალს ვანყვებინებ. ქალი ჩუმდება და გაკვირვებული მიყურებს. არ ვიცი, წესით, უნდა წავიდე, და თუ საჭიროა, დავრჩები-მეთქი... ქალი უფრო გაკვირვებული შებრუნდება და საკლასო ოთახში შედის. ჩემი მოყვანილი ბიჭი მეძახის, ქურთუკი გავიხადე და მიდი, ჩამოკიდეო. ვართმევ ქურთუკს და საკიდს ვეძებ. დანარჩენი ბავშვები მეხმარებიან საკიდის მოძებნაში. ოთახიდან გამოსვლისას ბიჭი ისევ მეძახის და მეუბნება, მოდი, გაკოცოო. მკოცნის და მოვდივარ.

**ზამინა**

თქვენ იცნობთ ზამინას?  
 მე ვიცნობ.  
 30-35 წლის თათრის ქალია. გამხდარი, შავი, ლოყებჩაცვენილი სახე, გაქუცული თმა, უძუძუო მკერდი და ბაჯალლოს კბილებით გამოტენილი პირი აქვს. მწვანელი ყიდის. ძვირად, მაგრამ მე მიკლებს ყველაფერზე. ბლომად ვიღებ ხოლმე ქინძს, ოხრახუმს, კამას, ნიახურს, რეჰანს, ტარხუნას და წინმატს. რომ ჩამილაგებს ხოლმე, მწვანე წინაყებს და ბოლოკებსაც

მიაყოლებს. ფეშქაშ, მეუბნება ბაჯალლოს ღიმილით. დიდ მა-  
დლობას რომ ვეტიყვი, აი, სალოლო, და სველ ხელებს ზუნ-  
ტლიან წინსაფარზე გაისვამს. ზოგჯერ არ დამხვდება ხოლმე.  
მეზობელ თათრებს ვეკითხები, რატომ არ არის-მეთქი. ისვენე-  
ბს ჩათლახიო. გასიებული, ოქროებასხმული ქალები არიან და  
დიდი ძუძუები სიცილისგან უთახთახებთ. კაცებში დაძვრება  
და დროს ატარებსო, ბაჯალლოს ლოჯებს აჩენენ თათრის დე-  
დაკაცები და აზერბაიჯანულად დააბოლოებენ ხოლმე პასუ-  
ხს. ზამინა რამდენიმე წლის წინ გავიცანი და სულ მაგასთან  
ვეიდულობ მწვანის. ახლა იმიტომ გამახსენდა, რომ ავტობუ-  
სის ფანჯრიდან გამვლელს მწვანის კონა დაფუნახე ხელში.  
6 წლის ბიჭი რომ მივიყვანე სკოლაში, უკან აღარ დავბრუნდი  
მეორე, პატარა ბიჭის სანახავად. ინტუიციით ვიგრძენი, რომ  
სამისო დრო არ მქონდა, სხვაგან უნდა წავსულიყავი და წა-  
მოვედი. ზამინა ძალიან მახინჯი ქალია, მაგრამ გული კეთილი  
აქვს. გულუხვია. ჩემი ამბავიც იცის და როგორც შეუძლია,  
მგულშემატიკვრობს. რა ამბავი იცის, არ მახსოვს, მაგრამ...  
ერთი სიტყვით, მახინჯია და გულკეთილი.

**იზიპე დღე, 10:43 a.m.**

ეს გოგო გათხოვილია. არ არის ცუდი გოგო. არა უშავს.  
სახის ნაკვთები მეტ-ნაკლებად სრულყოფილი. ტუჩები აქვს  
ცოტა თხელი და ნევროზული. სამაგიეროდ, ტან-ფეხი და ძუ-  
ძუ-მკერდი არ დაწუნება. მშვენიერია! გადასარევი! რა, ცუდი  
გოგოა?.. ჰოდა, მეც მაგას ვამბობ. ზის თავისთვის. 13:00-  
ზე შესვენება ექნება: უცხიმო ხაჭო და დიეტური ნამცხვარი.  
ფისი ტუალეტში და ისე მუშაობა. რაო, გვრიტო? ავსებ მო-  
რიგი დებილისთვის შემოსავლის ფურცელს? შენი ფსიქოტი-  
პიდან გამომდინარე, ორგანოში სექსის დაწყებიდან 5-7 წუთში  
უნდა გქონდეს. გააჩნია პროკოიტუსური ალგზნების ხარისხს.  
უფროსობის გემინია, წესიერად იქცევი, სამსახურში არ აგვიან-  
ნებ და ქმარს თუ გაეყრები, პრობლემა არ იქნება – მეგობრე-  
ბად დარჩებით. რაც მთავარია, ახლა ყველაფერი კარგადაა  
შენს თავს. ზიხარ კომპიუტერთან და ლამაზი ფეხუცები თბი-  
ლად გაქვს 250-300 ლარიან ჩექმებში. ვიცი, რომ თავს არა-  
ვის დააჩაგვრინებ და შენი პირადი ცხოვრება მხოლოდ შენი  
საქმეა. მე მაპატიე, არანორმალურს, რომ ათას სისულელეზე  
ვფიქრობ შენი შემხედვარე. აბა რა ვქნა? რაზე ვიფიქრო იმ 5  
წუთის მანძილზე, სანამ შემოსავლის ფურცელს გაამზადებ და  
ამოხეჭდავ. მე ხომ შენს წინ ვზივარ?.. ნეტავ რას მიპასუხებ,  
ახლა რომ გკითხო: შეიძლება თქვენთან ერთად რამდენიმე ბო-  
ბოქარი ლამის გატარება?.. არა, ჩვეულებრივი მორიგი დებილი  
კი არა, ნამდვილი იდიოტი ვარ, გენაცვალე.

- ფული თქვენთან, თუ?..
- არა, ბატონო, აქ და აქ ხელი მოაწერეთ...
- ვანერ. ქალაქს პლასტმასის სახაზავს ადებს, ნახევარს  
კოხტად აახევს და მეორე ნახევარს მიწვდის.
- ამით მიბრძანდით სალაროში და იქ გადაიხადეთ.
- დიდი მადლობა.
- კიდევ ხომ არაფერი გნებავდათ?
- დიას.
- გისმენთ...
- ხომ არ იცით, შაბათს ზამინა იქნება ბაზარში?..
- უკაცრავად... ვერ გავიგე, რას მეკითხებით...
- თქვენ ზამინას იცნობთ?.. მწვანის ყიდის ბაზარში...

- თუ შეიძლება მიბრძანდით, კლიენტები არიან რიგში...
- ძალიან კარგი მწვანელი აქვს და ყველაზე იაფად ყიდის.  
ყოველ შემთხვევაში, უფრო იაფად, და თანაც ასეთი ქორფა  
მწვანელი, არსად შემხვედრია...
- ბატონო, თუ არ მიბრძანდებით, დაცვას დავუძახებ...
- რატომ ნერვიულობთ, გენაცვალე... გკითხეთ უბრალოდ.  
ხომ არაფერი დამიშავებია?..
- არ ვნერვიულობ. მიბრძანდით სალაროში და რიგი დაუთ-  
მეთ სხვას. გელოდებიან...
- სალაროში რომ არ მივბრძანდე?..
- სადაც გნებავთ, იქ მიბრძანდით!
- თქვენ ფიქრობთ, რომ მე უბედური ვარ?..
- მე არაფერს არ ვფიქრობ. სჯობს თქვენ იფიქროთ, რას  
ლაპარაკობთ...
- დღეს დილით ვილაც 6 წლის ბიჭი სკოლაში მივიყვანე.  
გზაში ნაგვის კონტეინერიდან ძალღი ამოხტა. ბიჭს შეეშინდა,  
მაგრამ არ შეიმჩნია. მერე, ხეზე შემსხდარი ბელურები რა-  
ღაცამ დააფრთხო და ყველა ერთად აფრინდა და სხვა ხეზე  
გადაინაცვლეს...
- რამდენიმე წუთით დაგტოვებთ. მალე დავბრუნდები.
- სად მიდიხართ?..
- მოშარდვა მინდა...
- მერე სად უნდა წახვიდეთ? წყალში ხომ არ ჩახტებით?..
- წყალში რა მინდა?..
- კი მაგრამ, ირგვლივ წყალია და გასაბერ ნავში ვსხედ-  
ვართ... რა სასაცილოა, ღმერთო ჩემო...
- აბა, რა ვქნა?..
- შევბრუნდები და ქენით...
- სად?..
- აქ, ნავში...
- დაცვას დავუძახებ...
- დაუძახეთ...
- რაღაცას ამბობდით ჩემს ორგანოზე...
- არაფერს არ ვამბობდი. თუ შეიძლება, შემეშვიტო. არ შემი-  
ძლია თქვენი ხმის გაგონება.
- რასაც მეტყვით, გავაკეთებ...
- თქვენ რისი გაკეთება გნებავთ?..
- რასაც თქვენ მეტყვით...
- ყველაფერს შეძლებთ?
- აბსოლუტურად.
- შეგიძლიათ, ისე გამიკეთოთ, რომ...
- შემიძლია...
- არა, ნუ მანყვეტინებთ. ისე გამიკეთოთ, რომ თქვენთან  
ყოველთვე აღარ ვიყო მოსასვლელი... და არც არასდროს მო-  
ვიდე?..
- ეს თქვენი ვალდებულებაა, ბატონო...
- აკი ყველაფერი შემიძლიაო?..
- ყველაფერი, ოფიციალური ვალდებულებების გარდა...
- მეცოდებით...
- თქვენ გგონიათ, ეს 300 ლარიანი ჩექმა ჩემია?..
- ჯანდაბამდე გზა გქონიათ თქვენი ჩექმებიანად!..
- დაქალს ვეთხოვე ხელფასამდე...
- ახლა შეგაგინებთ...
- სამსახურში ყველას ისე კარგად აცვია, რომ...
- ჩვეულებრივი, იაფფასიანი ახალგაზრდა ქალი ხართ...

ბაღირა



ანუკ ბელუგა

Power and Cynicism, ტუში, ფანქარი, 2011

- სხვათა შორის, არც ორგაზმი მაქვს...
- არც ჩექმა და არც ორგაზმი... ეს უკვე... არ ვიცი, რა გითხრათ...
- შეგიძლიათ ზამინა გამაცნოთ?..
- კი მაგრამ, ქმართან ცხოვრობთ? ხომ ხართ გათხოვილი?
- დიახ, ვცხოვრობ. კვირაში ერთხელ ან ორჯერ. ყველაფერი ჩვეულებრივად: მას აქვს, მე - არა. და არც ვფენმძიმდები...
- ვწუხვარ...
- თქვენ გგონიათ, მე მინდა, რომ ყოველთვის გხედავდეთ ჩემს სამსახურში?..
- ზამინას მაინც არ გაგაცნობთ...
- ან მე ვინ გგონივართ?.. ერთი უპერსპექტივო გოგო ვარ. ეს სამსახური ძლივს ვიშოვნე. ძლივს მიმიღეს. არც კი გრცხვენიათ, როცა ჩემზე რამეს ფიქრობთ...
- მე თქვენ მიყვარხართ, გენაცვალე...
- თუ სხვა არაფერი გნებავთ...
- არა. არაფერი.
- მაშინ სალაროში მიბრძანდით. წარმატებულ დღეს გისურვებთ.

- ამ ნავს ნიჩბები არ აქვს?..
- რომელ ნავს, ბატონო?..
- აი, ამას...
- არა, ბატონო. ეს უნიჩბო ნავია. ხელშეკრულებაში ხომ გინერიათ, რომ ნავი უნიჩბო იქნებოდა?..
- კი მაგრამ, როგორ გავცურო?.. ხომ უნდა გავცურო?..
- სამწუხაროდ, მე ვერაფრით დაგენმარებით. ეს თქვენი ვალდებულებაა, რომელიც უნდა შეასრულოთ.
- რომ გავგიჟდე?..
- ჯარიმა ითვალისწინებს ერთჯერად 200 ლარიან საურავს, შემდეგ კი, ათვისებული თანხის 0,02 პროცენტს ყოველ ვადა-გადაცილებულ დღეზე.
- გული მერევა...
- ასეთი მუხლი თქვენს ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი.
- დაუძახეთ თქვენს მენეჯერს!
- მენეჯერი გასულია და დღის ბოლომდე არ დაბრუნდება.
- წელან რომ თქვით, მოშარდვა მინდაო...

- მერე, ბატონო?..
- შევბრუნდები და ქენით. მართლა გეუბნებით. ნუ გერიდებათ. ცოდო ხართ, უბრალოდ. ამდენი ხანი რომ...
- ბატონო, თავიდანვე ხომ გითხარით, რომ ხელშეკრულების დადებისას უნდა მოგეთხოვათ...
- რა?..
- შევბრუნება.
- ახლა რომ მოვითხოვო?..
- ახლა გვიანია, ბატონო. ხელშეკრულება გაფორმებული, ნოტარიულად დამონმებული და ბეჭედდარტყმულია. ახლა როგორ უნდა შევბრუნდეთ?..
- თქვენ ახლა უნდა ნახვიდეთ?..
- დიახ. სამწუხაროდ, უნდა დაგტოვოთ.
- მეზიზღებით...
- ასეთ საკითხებს სპეციალური კომისია იხილავს. თუ გნებავთ, შეავსეთ განაცხადი და გავიტანთ განსახილველად. მაგრამ წინასწარ გეტყვით, რომ ათიდან ცხრა მოთხოვნა არ კმაყოფილდება.

ბაღირა



ანუკ ბელუგა  
INRI, ტუში, ფანქარი, 2011

- რას აკეთებთ?! ძალიან გთხოვთ, არ გადახტეთ! მარტო ნუ დამტოვებთ, გოგონა! ნიჩბები მაინც მომეცით!!! დავსველდი, შე შობელძაღვლო!!!

იზივა დღე, 11:53 p.m.

- რა ქენი დღეს? შეიტანე?..
- კი.
- ბავშვი როგორ დატოვე სკოლაში?
- კარგად.
- მასწავლებელმა რაო?..
- რა ვიცი... არაფერი. რალაცას მელაპარაკებოდა.
- რას?..
- არ მახსოვს. მეძინება. შენ რა გითხრა, გამოსაყვანად რომ მიხვედი?..
- კარგად სწავლობს, მაგრამ ძალიან უნესო ბიჭიაო.
- რას ერჩის? რა დაუშავა?..
- პატარა მთელი დღე შენ გახსენებდა... დილით, რომ ნავიდა, ისევ დაბრუნდაო. მე ქოთანზე ვიჯექი და ძალიან გამიხარდა, რომ დავინახეო. მერე ისევ ნავიდა და მეგონა, რომ ისევ დაბრუნდებოდაო. მაგრამ აღარ დაბრუნდაო...
- დღეს ერთ გოგოსთან ერთად გასაბერ ნავში ვიჯექი და ვლაპარაკობდით?.. გესმის?..
- ვისთან იჯექი?!
- ერთ გოგოსთან ერთად...
- სად?!
- გასაბერ ნავში-მეთქი... და ნიჩბები არ მქონდა... მერე ის გოგო წყალში გადახტა და მარტო დავრჩი... რატომ აანთე შუქი?..
- დალიე სადმე?..
- რა მეტყობა?..
- აბა, რას ლაპარაკობ, ვერ ვხვდები...
- არაფერს. ჩააქრე შუქი, ძალიან გთხოვ. დიდი მადლობა.
- მე მთელი დღე შენზე ვფიქრობ...
- მერე?.. მეც, რომ იცოდე... რა გატირებს, ე?..
- გამანებე თავი...
- კარგი, ჩემო სიხარულო... რა დაგემართა?.. ჩუუ... ბავშვები არ გაალვიძო, შეეშინდებათ... გეხუმრე, შე შტერო...
- მაგარი ხუმრობაა...
- კარგი, კარგი... მორჩა. დამშვიდდი. კარგი. ეხ...
- რა?..
- არაფერი. ხვალ შაბათია, ხო?..
- ხო.
- ნეტავ ზამინა იქნება?..
- ზამინა ვინ არის?..
- მწვანის ყიდის ბაზარში. გინდა, გაგაცნო?
- ვინ?
- ზამინა. იმ გოგოსაც ვუხსენე დღეს...
- რომელ გოგოს?..
- არავის. დაიძინე.
- გიყვარვარ?..
- კი. შენ?..
- მეც.
- გასაბერი ნავით, უნიჩბოდ გიცურავია?.. შუქი არ აანთო, ისე გეკითხები...



# 20 წელი 12 თვე

ავტორი მათი სამადაშვილი  
ფოტო ბესო უზნაძე

20 წელი/12 თვე – თუ არ ჩავთვლით ლიტერატურულ პრემია „საბას“, თიბისი ბანკის ყველაზე მასშტაბური კულტურული პროექტია, რომელიც კომპანიის 20 წლის იუბილეს უკავშირდება. პროექტის პირველი ეტაპის პრეზენტაცია 2011 წლის მიწურულს შედგა. კონცეფცია მარტივად განისაზღვრა – თიბისი ბანკი საზოგადოებას არა 2012 წელს, არამედ მომავალ თორმეტ თვეს სათითაოდ ულოცავს. თორმეტი მწერალი კონკრეტულ თვეზე ნოველას ქმნის, თორმეტი ფოტოგრაფი კი ამ ნოველებს ასურათებს. 29 დეკემბერს თიბისი ბანკმა და საკომუნიკაციო კომპანია „Windforce“-მა საზოგადოებას 2012 წლის კალენდარი და ბლოკნოტი წარუდგინა, რომელთა შექმნაშიც მწერლები – აკა მორჩილაძე, გურამ დოჩინაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, დათო ტურაშვილი, კოტე ჯანდიერი, ზურაბ ქარუმიძე, ნესტან-ნენე კვინიკაძე, თეონა დოლენჯაშვილი, ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბუღაძე, ზურაბ ლეჟავა, ბესო ხვედელიძე და ფოტოხელოვანები – ბესო უზნაძე, იური მეჩითოვი, კახა კახიანი, გიო სუმბაძე, ლევან ხერხეულიძე, გურამ ნიბახაშვილი, ნიკო ტარიელაშვილი, დიმა ჩიკვაძე, დავით მესხი, ნათელა გრიგალაშვილი, გოგა ჩანადირი, ირინა აბუხანდაძე

მონაწილეობდნენ. თითოეულ წევილს სრული შემოქმედებითი თავისუფლება და 2 კვირის ვადა ჰქონდა. მათი შრომის შედეგის ნახვა ამიერიდან, „ცხელი შოკოლადის“ ფურცლებზე შეგიძლიათ.

„Windforce“-ს სცენარების მიხედვით, ფოტოხელოვანების და მწერლების მონაწილეობით, ახალი წლის მისალოცი ვიდეოკლიპები გადაიღეს, რომლებიც თვეზე მეტია ტელეეთერში ტრიალებს.

შემდეგი ეტაპი ნოველების სცენარებად ქცევაა, რაზეც, ავტორებთან ერთად, კონკურსის წესით შერჩეული ახალგაზრდა სცენარისტები იმუშავენ, კონკურსი გამოცხადდება თორმეტი შემოქმედებითი ჯგუფის დასაკომპლექტებლად, რომელიც თორმეტი ნოველისგან შემდგარ სრულმეტრაჟიან ფილმს გადაიღებს. 20წელი/12თვე ამით არ სრულდება. მთელი წლის მანძილზე ყოველთვიურად გამოცხადდება კონკურსი პოეტების, მხატვრების, ვიზუალური და მულტიმედია არტისტების შესარჩევად, რომელთა შემოქმედებასაც საზოგადოებას წარუდგენენ, მათი და სხვა არტისტების ნამუშევრები ვებგვერდზე განთავსდება, რომელიც სულ მალე ჩაირთვება.



იანვარი

## რიჩმონდის პარკმა იცის ეგეთი დილის ნისლეზი

მწერალი აკა მოჩილაძე  
ფოტოგრაფი ბენო უზნაძე

\*\*\*

რიჩმონდის პარკმა იცის ეგეთი დილის ნისლეზი.

იმ დროს იქ ბევრი არავინაა ირმების გარდა. ირმები გუნდ-გუნდად დადიან. ნისლი რბილია და განელილი. პარკის შორეული ბოლოსკენ ტრასა ჩანს, მაგრამ მანქანების ხმა აქამდე არ აღწევს. ირმები რომ ჩაირბენენ, ისიც მდუმარება. არც ფლოქვების ხმა, არც რამე ზედმეტი. მინა დამბალია და რბილი. დილა – ადრიაანი. ყველაფერი ისე დუმს, როგორც ხმაჩანეულ ტელევიზორში. რალაც ძველი ფილმივით – ირმები პარკში ადრიანი დილით. ცაც ჩუმი, ნისლში დამალული, იშვიათი, იმიტომ, რომ იქ გამოკიდებული თვითმფრინავი არ ჩანს.

ეს მართლა იშვიათი სურათია:

ლონდონის ცაში, კრიალა ის, თუ ჯანდიანი, ყოველთვის დაინახავ ერთ თვითმფრინავს, ასევე მდუმარეს და შორეულს. ქალაქის დასავლეთ კიდეზე დიდი სამყაროა, ჰითროუს აეროპორტის სამყარო, ცის ქვეყანა, რომლის მიწისქვეშეთიც მეტროს და რკინიგზის ხაზებით უკავშირდება ქალაქს.

ჰითროუს მეტროს სადგური. მოულოდნელად ხალვათი ვაგონი. ხუთი-ექვსი კაცი ჩემოდნებით ქალაქისაკენ მიმავალ გზას შედგომია. ხნიერი წყვილ-კოხტები, გაღიმებულები, არაბი კაცი ფირუზის ბეჭდით და დიდი, ბენტლისავით ტელეფონით. ვილაც კიდევ იქით.

პირველი გაჩერება და შემინებული ქალი, რო-

მელიც უცებ წამოხტება და თავის ჩემოდანს ვაგონის შორეული კუთხისკენ მიაგორებს.

– ნამოდი! – ეძახის ქმარს.

ქმარი მხოლოდ იღიმება.

არაბი კაცი, ხმელი, ოდნავ გაუპარსავი, ჟანრენოს ცხვირით, ორ ენას ურევს ტელეფონზე ლაპარაკისას.

– ნამოდი! – იძახის ისევ ქალი. – თქვენც მოერიდეთ, ვერ ხედავთ მაგ უპატრონო ჩანთას?

მეტროს ლურჯ სავარძელზე ქალის შავი ხელჩანთა დევს.

– ვინ იჯდა მანდ? იჯდა ვინმე? – კითხულობს ქმარი.

– არ მახსოვს, მოერიდეთ! მოიტანე შენი ჩანთა! – ქალი ღმილით ლელავს.

ზამთრის ნისლეზი. მატარებელი უკვე მიწის ზემოთ ამომძვრალა.

– მეშინია მაგ ჩანთის.

– დარჩა ალბათ ვილაცას. – ამბობს არაბი. ვნახოთ რა არის.

– არ მიეკაროთ! – იძახის ქალი.

ქმარი კვლავ იღიმება, არც ეკარება ჩანთას, მაგრამ არც ერიდება, ისევ ზის.

– მოდი ვნახოთ, – ამბობს არაბი. – არაფერი არ არის ქალბატონო. მივიდეთ, ვნახოთ!

მივდივართ.

– ხელის მოკიდება არ შეიძლება. სწორედ მასე ფეთქდება. – ამბობს ქალი იმ რალცნაირი ღმილით, – გამოვიძახოთ ვინმე.

– გაჩერდება და გამოვიძახებთ. – ამბობს არა-

ბი და ჩანთას კიდებს ხელს. – არაფერი არ არის, ქალბატონო.

მარტო წიგნებია შიგ. მგონი კოლეჯის რალაცებია.

ქმარი ისევ იღიმება, არაბი საგანგაშო ღილაკს აჭერს.

– დადეთ ეგ ჩანთა ძირს, თორემ ეგებ სულაც თქვენად ჩათვალონ და დაგკითხონ, – ამბობს ქალი. მაინც არ ჯდება ძველ ადგილას.

ვილაცები ამოდიან.

ოფიცერს ჩანთა მიაქვს.

– ვილაცას დარჩა, – ამბობს არაბი და ისევ თავის მოელვარე ტელეფონს ჩასცქერის.

არაფერი არ იყო, მართლა.

მატარებელი მიქრის.

– მაპატიეთ, ჩვენ ბელფასტიდან ვართ, – იღიმება ქმარი. – ჩვენ ყურადღება გამახვილებული გვაქვს. ასეთი ნივთები ფეთქდებოდა.

– მაქედან უნდა დაგეწყოთ, – ისმის მორიდებული სიცილი ვაგონში.

– ეხლა როგორ ხართ ბელფასტში?

– რა შედარებაა.

– აბა კარგად.

– კარგად, მეგობარო.

მატარებელი მიდის.

ბაქანზე უნისლო ნისლი. ნისლეზი. ნისლების ცაში – დამალული თვითმფრინავები, მიწისქვეშე დარჩენილი ჩანთები მორბენალ ქალაქში, ირმების გუნდები.

ლონდონი, იანვარი, ორშაბათი.





ბესო უზნაძე



აკა მორდუხაიძე

ფოტოები: ლევან ხაჩიკაშვილი

## ლონდონის ნისლიანი კვიზაჟები

ავტორი: ბაშო სამადაშვილი

სულიერი მოქმედი პირები: აკა მორჩილაძე, ბესო უზნაძე.

უსულო მოქმედი პირები: კომპიუტერი, ან კალამი და ფურცელი, ფოტოკამერა.

მოქმედების ადგილი და დრო: ლონდონი, 2011 წლის ნოემბერი.

უკვე დიდი ხანია, ბესო უზნაძე ლონდონში ცხოვრობს. რამდენიმე წელია, მას აკა მორჩილაძეც შეუერთდა. ისინი ერთმანეთს კარგად არ იცნობენ, თუმცა საერთო ნამდვილად აქვთ – ორივე ნისლიან ქალაქში ცხოვრობს და მუშაობს. აკა წერს, ბესო იღებს.

ნოემბერში საერთო დავალებაც მიიღეს, ლონდონის იანვარზე ამბავი უნდა მოეთხროთ – აკას უნდა დაეწერა, ბესოს გადაელო. წესით, ერთმანეთს რამდენჯერმე უნდა შეხვედროდნენ, ესაუბრათ, ემსჯელათ, იდეები განეხილათ და განეხორციელებინათ, მაგრამ სხვა გზით წავიდნენ.

აკასგან ბევრი არაფერი ისმოდა, ბესო კი, მთელი ნოემბრის განმავლობაში ერთადერთ კითხვას უსვამდა ნაცნობ-მეგობრებს: „როგორია იანვარი? რასთან ასოცირდება ის შენთვის?“ პასუხები არაერთგვაროვანი, მაგრამ ერთი შინაარსისა იყო: „წლის დასაწყისი კია, მაგრამ წლის ბოლოცაა, ამიტომ უფუ-

ლობასთან, უძილობასთან, დაღლილობასთან და მსგავსებთან“.

დაღლილი, უფულო და გულწასული ადამიანის გადაღების იდეამ ბესო დიდად არ მოხიბლა, ამიტომ ფიქრს და ძებნას განაგრძობდა, სანამ მეგობარმა სემმა, დასვენების დღეების გასატარებლად თავისთან არ დაპატიჟა.

კვირა დღით, ნაბახუსევზე, ბესომ სუფთა ჰაერზე გავლა გადაწყვიტა და სრულიად შემთხვევით რიჩმონდ-პარკში ამოჰყო თავი. პარკში ისეთი ნისლი ჩამოწოლილიყო, ორი მეტრის რადიუსზე არაფერი ჩანდა. – აი, იანვარიც – გაიფიქრა ბესომ, კამერა მოიმარჯვა და რამდენიმე კადრი გადაიღო. მოგვიანებით, რიჩმონდის პარკის ბინადრების, ირმების დიდი ჯოგიც გამოჩნდა. ბესომ ფოტოაპარატი ისევ მოიმარჯვა და კიდევ რამდენიმე კადრი გადაიღო. ერთი, გამორჩეულად კარგი გამოვიდა და ის, თიბისის კალენდრის პირველსავე გვერდზე შეგხვდებათ – საოცარ ნისლში მდგარი ირმის მხოლოდ კონტურებს გარჩევთ.

აკას და ბესოს არაფერი შეუთანხმებიათ, სიმართლე რომ ითქვას, არც კი შეხვედრიან ერთმანეთს. ბესოს ერჩივნა ტექსტის შესახებ არაფერი სცოდნოდა და გადაღებისას სრულიად თავისუფა-

ლი ყოფილიყო. ალბათ, აკასაც. ნამუშევრების თბილისში გაგზავნამდე სულ ცოტა რჩებოდა, ბესომ 5 საუკეთესო ფოტო აარჩია და აკასთან დარეკა:

– აკა, გადავიღე ირმები, ნისლი და რიჩმონდ პარკი, შენ რას შვრები?

– ნისლიანი რიჩმონდის პარკი?! შენ გაიხარე! – ბესო მიხვდა, რომ ეს სამი სიტყვა სულ მალე იქცეოდა ნოველად იანვრის შესახებ.

ასეც მოხდა. დათქმულ დროს ტექსტიც და ფოტოებიც მზად იყო. ამ ნამუშევრებით იწყება თიბისის 2012 წლის საქმიანი ბლოკნოტი.

ვიდეოკლიპიც უნდა გადაეღოთ: ბესო და აკა ავტობუსის გაჩერებაზე ისხდებოდნენ და იანვარზე ისაუბრებდნენ, ცოტა ხანში აკა ორსართულიან, ძველ, ინგლისურ ავტობუსში ავიდოდა და გაუჩინარდებოდა. თუმცა, აქაც ყველაფერი სხვანაირად მოხდა: აკამ თავად დაწერა სცენარი, ვიდეო კი სანდრო კაკაბაძემ გადაიღო.

ლონდონში ისევ ნისლია, აკა ისევ წერს, ბესო იღებს, სანდრო კი ისევ უმუშევარია.

მათგან ბევრი არაფერი ისმის, სანამ ახალი წიგნებით და იდეებით „დაჭურვილები“ ისევ თბილისს არ დაუბრუნდებიან.

ფოტო: ლონბარდონის მუზეუმი



კაჯი-მურატის კორბატი, დაღესტანი

# კაჯი-მურატის თოფები

ავტორები ნანა კობალაძე, ლაშა ბაქრაძე

ნიკო ბურის (ნიკოლოზ გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის) ქვრივმა, ანა ალექსანდრეს ასულმა ბუჭყიაშვილმა, 1939 წლის 29 აპრილს ლიტერატურის მუზეუმს გადმოსცა ჰაჯი-მურატის ორი კაჟიანი თოფი.

შამილის სახელგანთქმული ნაიბი, ხუცაბის მმართველი, ჰაჯი-მურატი 1851 წლის 8 დეკემბერს, რუსებისგან ხელშეუხებლობის გარანტიის მიღების შემდეგ, თბილისში ჩამოვიდა და კავკასიის მეფისნაცვლის და კავკასიის ჯარების მთავარსარდლის, თავად მიხაილ ვორონცოვის (1782-1856) წინაშე წარსდგა. ერთ-ერთი ვერსიით, ამის მიზეზი ის გახდა, რომ შამილმა, თავის მემკვიდრედ – შემდეგ იმამად – არა მისი მოადგილე (ნაიბი) ჰაჯი-მურატი, არამედ საკუთარი შვილი გამოაცხადა. ამან შამილსა და ჰაჯი-მურატს შორის დიდი განხეთქილება გამოიწვია. საიდუმლო შეკრებაზე შამილმა და მისმა საბჭომ ჰაჯი-მურატს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ჰაჯი-მურატი გააფრთხილეს და მან გაქცევა შეძლო, მაგრამ მისი ოჯახი შამილის ტყვეობაში დარჩა.

8 თუ 9 დღის მანძილზე ჰაჯი-მურატი და მიხაილ ვორონცოვი ერთმანეთს ყოველდღე ხვდებოდნენ და საუბრობდნენ. ჰაჯი-მურატი, რომელიც მხატვრულ ლიტერატურაში ლევ ტოლსტოიმ უკვდავყო, თბილისში დიდი ყურადღებით სარგებლობდა. დაღესტან-ჩეჩნეთის წინააღმდეგობის ერთ-ერთი მეთაური, მეჯლისებზეც დადიოდა და ოპერასაც სტუმრობდა.

თბილისში მან ჭადრაკის თამაშიც ისწავლა. სწორედ თამაშის დროს რუსმა მხატვარმა გრიგორი გაგარინმა ნაიბი ფანქრით დახატა. ეს ჰაჯი-მურატის სიცოცხლეში შექმნილი ერთადერთი აუთენტური პორტრეტია.

საშუალო სიმაღლის, ხშირი, აღმოსავლური წესით შეღებილი წვერით, გამჭოლი მზერით, ჩოხა-ახალუხში გამონყობილი და იარაღსხმული ჰაჯი-მურატი ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ის ნელა დადიოდა, სიარული-სას გემივით ქანაობდა, რადგანაც ორივე ფეხი მოტეხილი ჰქონდა. 1841 წელს ტყვეობიდან თავდასაღწევად იგი ხრამში გადახტა და მიუხედავად იმისა, რომ

ორივე ფეხი მოიტეხა, ხოხვით გააღწია სამშვიდობოს.

პატივისცემით მოპყრობის მიუხედავად, ჰაჯი-მურატის შეთავაზებაზე, გაეთავისუფლებინათ მისი ოჯახი და ის, საერთო მტრის, შამილის განადგურებაში დაეხმარებოდა რუსებს, პასუხი ვერ მიიღო.

ჰაჯი-მურატს თბილისში დარჩენა აღარ უნდოდა და ნუხაში (დღეს ქალაქი შაქი, აზერბაიჯანი) სალოცავად წასვლის სურვილი გამოთქვა. ვორონცოვი დათანხმდა ამ წინადადებას და სამეთვალყურეოდ კაპიტანი ბუჭყიევი დაუნიშნა.

ია (ივანე) ბორისის ძე ბუჭყიაშვილი რუსეთის მოქმედი არმიის ოფიცერი, ახტის სიმაგრის დაცვაში მონაწილეობისათვის, რომლის დროსაც ფეხი დაკარგა, 1848 წელს მეოთხე ხარისხის წმიდა გიორგის ჯვრით დააჯილდოვეს. მაგრამ მას მეთვალყურეობის გამოცდილება არ ჰქონდა და, რუსი ისტორიკოსების აზრით, სწორედ ბუჭყიევის ბრალი იყო, რომ ჰაჯი-მურატმა გაქცევა მოახერხა.

1852 წლის 26 აპრილის გაზეთი „კავკაზი“ იუწყებოდა:

„22 აპრილს გასეირნების საბაბით ქალაქიდან გასულმა ჰაჯი-მურატმა, რომელიც ქ. ნუხში იმყოფებოდა, უეცრად დამბაჩით დაჭრა მისი მეთვალყურე ოფიცერი, ხოლო მისმა თანამგზავრმა ბადრაგის ურიადნიკი მოკლა, ამავე დროს მოლაღატემ და მისმა ოთხმა თანამზრახველმა ცხენები მთებისკენ გააჭენეს. მაგრამ ნუხის მაზრის გამგებლის, პოლკოვნიკ ყორღანოვის ენერგიულმა განკარგულებებმა აღკვეთეს ჰაჯი-მურატის გაქცევის მცდელობა. ნუხისა და ყარაბაღის მილიციის ნაწილებმა მაიორ თავად თუმანოვისა და შტაბს კაპიტან თავად არდუთინსკი-დოლგორუკის მეთაურობით და ელისუს მილიციამ პრისტავის პორუჩიკ ხაჯი-აგა-ბეკისა და კორნეტ ახმეტ-ხანის ხელმძღვანელობით გაქცეულები ტყეში სოფელ ბელეჯიკის სიახლოვეს აღმოაჩინეს და დილას, 23 აპრილს, გააფთრებული წინააღმდეგობის შემდეგ ყველანი ადგილზე დახოცეს“.

ვორონცოვი ფიქრობდა, რომ ნუხაში ჰაჯი-მურატს ზედმეტი თავისუფლება მიანიჭეს. მიუხედავად იმისა, რომ მასზე მკაცრ ზედამხედველობას ახორციელებდნენ და ლამბამობით მის სახლს ყარაულობდნენ. დღისით ბუჭყიევი მას ნებას რთავდა, ქალაქიდან სასეირნოდ მხოლოდ ხუთი-ექვსი კაზაკის ბადრაგით გასულიყო, რაც, რასაკვირველია, არ იყო საკმარისი მაშინ, როდესაც ჰაჯი-მურატს თავისი ოთხი შეიარაღებული ნუკერი ახლდა. დღის მანძილზე, როგორც ჩანს, მისი გაქცევის მცდელობა გამოირიცხული იყო, რადგან ნუხის მცხოვრებლებს კარგად ახსოვდათ მისი თარეში, მტრად მიიჩნევდნენ და კაზაკებზე უფრო გაფაცვიცებით დარაჯობდნენ. ასე გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ პოდპოლკოვნიკ ყორღანოვთან (მაზრის უფროსი) სადილზე ჰაჯი-მურატმა ქალაქის შემოგარენის დათვალიერების სურვილი გამოთქვა. ყორღანოვმა ხალისით მიიღო ეს წინადადება და ბუჭყიევთან ერთად გაჰყვა მას სასეირნოდ. შინ გვიან დაბრუნდნენ და შეთანხმდნენ, უფრო ხშირად ესეირნათ, რადგან, როგორც მაშინ მოეჩვენათ, ყოველთვის გულჩათხრობილი ჰაჯი-მურატი ამ გასეირნებისას ბავშვივით იყო აღტაცებული.

მეორე დღეს, 22 აპრილს, ჰაჯი-მურატმა ცუდ გუნებაზე გაიღვიძა. თქვა,

რომ შეუძლოდ არის და მთელი დღე შინ გაატარა, საღამოხანს ყორღანოვთან მისვლის ნება აიღო და თავისი ნუკერების, ურიადნიკისა და ხუთი გამოცდილი კაზაკის თანხლებით სახლიდან გავიდა. ბუჭყიევი შინ დარჩა. კაზაკებისთვის არ იყო ცნობილი მარშრუტი და ამიტომაც მის ქალაქიდან გასვლას არ შეინაღმდეგებინ. როგორც კი ქალაქს ვერსახვევით გასცდა, მოულოდნელად ჰაჯი-მურატმა ტყვია დაახალა ურიადნიკს, რომელმაც იქვე განუტევა სული. ამავე ნუთში, ერთ-ერთმა ნუკერმა ჰაჯი-მურატის გვერდით მყოფი კაზაკი მოკლა. ხუთმა მიურიდმა დაღესტინისაკენ გააჭენა ცხენები.

23 აპრილს, დილით, გაქცეულებს დაენიენ და ალყა შემოარტყეს. სრო-



ლის შემდეგ ჰაჯი-მურატმა თავის ოთხ ნუკერთან ერთად თავი ტყეს შეაფარა, სადაც ხანჯლებითა და ხმლებით მიწაში ღრმა ორმო გაჭრეს. მრავალჯერ დაჭრილი ჰაჯი-მურატი ნატყვიარებს ხავსით ივსებდა და ბრძოლას არ წყვეტდა. მას შემდეგ, რაც მის თვალწინ ორი თანამებრძოლი დაეცა, ნაიბი სამალავიდან გამოვიდა და ხანჯლით დაიწყო ბრძოლა. როდესაც ჰაჯი-მურატი მოკლეს, მის გარშემო 17 მტრის გვამი ეგდო. ნაიბთან ერთად დაიღუპნენ მისი მიურიდებიც. ბრძოლა არათანასწორი იყო – ხუთი კაცის წინააღმდეგ იბრძოდა 100-ზე მეტი, ზოგიერთი ცნობით 300-ზე მეტი კაზაკი და მათი მომხრე კავკასიელები.

ჰაჯი-მურატის საფლავი სოფელ ონჯალიში (კახის რაიონი) ზიარათი – წმინდა ადგილი, გახდა.

ჰაჯი-მურატს თავი მოჰკვეთეს და თბილისში გაგზავნეს. ვორონცოვმა მიიჩნია, რომ თავის სარზე ჩამოცმა და მოედანზე საჯაროდ აღმართვა უხერხულია. მისი ნახვა შეიძლებოდა ჯერ პოლიციის შენობაში (ზოგი ცნობით, სახანძრო დეპოში), ხოლო მოგვიანებით ანატომიურ თეატრში, რომელიც საქალაქო სახლის პირველ სართულზე მდებარეობდა ერევნის (ამჟამად თავისუფლების) მოედნისა და ველიამინოვის (ამჟამად შალვა დადიანის) კუთხეში (იქ, სადაც ცოტა ხნის წინათ აფთიაქი იყო).

მოგვიანებით ჰაჯი-მურატის თავი პეტერბურგში გაგზავნეს. მოკლული ნაიბის თავის ქალა დიდხანს ინახებოდა სანკტ-პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ფონდებში, ხოლო შემდეგ, 1959 წელს, ეს „ექსპონატი“ ნომრით 119 გადაეცა ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმს, ყოფილ კუნსტამერას.

როგორც ჩანს, ჰაჯი-მურატის გაქცევის შემდეგ, მისი თოფები ანა ბუჭყიაშვილის წინაპარს ია (ივანე) ბუჭყიაშვილს დარჩა. ამ მოსაზრებას ამყარებს ლევ ტოლსტოის მიმონერა პოდპოლკოვნიკ იოსებ ყორღანოვის ვაჟთან, ივანე ყორღანოვთან, რომელიც ლევ ტოლსტოის შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა გაქცევისას ჰაჯი-მურატს თან თოფები, წერდა: „ვინტოვკები ჰქონდა თუ არა, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, მგონი, ხანჯლის, ხმლისა და პისტოლეტის გარდა გაქცევისას თან სხვა იარაღი არ წაუღია“.



# წიგნები არ იწვიის

## ისევ ფრანგული ლიტერატურის თარგმანების გამო

ავტორი გიორგი ლომაქანიძე

საქართველოში ფრანგული კულტურის ცენტრი ყველა სხვა უცხოურ მისიაზე უფრო აქტიურად გამოსცემს წიგნებს. თვითონ მე უკვე მესამედ მიწვეს ამ ცენტრის ახალ გამოცემებზე წერა და ამას დიდი სიამოვნებით ვაკეთებ, რადგან მიმაჩნია, რომ ასეთი ყურადღება მაღლიერების გამოხატულებაა საფრანგეთის მხარის მისამართით, რომლის ხელშეწყობითაც ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ეს სეგმენტი დინამიურად ვითარდება.

ფრანგებზე უკეთ, აბა, ვის მოეხსენება, რომ ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს, მაგრამ როდესაც ორენოვან პროექტებზე მუშაობ, კარგია, თუ მეორე მხარის სურვილებსაც გაითვალისწინებ, რათა მუსიკა, თუნდაც ძალიან კარგი, სიტუაციას შეუსაბამო და უშედეგოდ დაკრულ-დაღვრილი არ აღმოჩნდეს.

მეტაფორებს რომ თავი დავანებოთ, საქმე ის არის, რომ ფრანგული კულტურის ცენტრისა და მერაბ მამარდაშვილის პროგრამის საგამომცემლო პოლიტიკა ეყრდნობა იმ პრიორიტეტებს, რაც მნიშვნელოვანია ფრანგული მხარისათვის. ეს პრიორიტეტები კი ზოგჯერ ქართული ლიტერატურული პროცესის კონტექსტში შეუსაბამოდ გამოიყურება.

სხვაგვარად, სამწუხაროდ, ვერ შევაფასებ ვითარებას, როცა ამ საგამომცემლო პოლიტიკის წყალობით, გვაქვს, ვთქვათ, ვინმე შან სას წიგნები, მარგერიტ იურსე-

ნარის უმთავრესი ნაწარმოებები კი ჯერ-ჯერობით არ გამოცემულა.

ცხადია, ნებისმიერი საჩუქრი მაღლიერებით უნდა მიიღო და თუ ფრანგული ცენტრის გამოცემებსაც მხოლოდ ისე უნდა შევხედოთ, როგორც ძღვენს, მაშინ ხმა არ ამოგვეღება, მაგრამ თუ ფრანგულ მხარეს სურს ფრანგულ-ქართული სალიტერატურო და კულტურული პროცესების განვითარებაზე იმოქმედოს, მაშინ რჩევას ქართველ კრიტიკოსებსა და ლიტერატორებსაც უნდა დაეკითხოს, მაგალითად, გარკვევის ვის უფრო მეტი შანსი აქვს ქართულ ინტელექტუალურ გარემოში ადაპტირებისა – შან სასა თუ მარგერიტ იურსენარს...

შან სას ტიპის მწერალთა პოპულარიზაციის ქვეტექსტი გამჭვირვალე და გასაგებია: მულტიკულტურული საფრანგეთი მიესლამება სხვა ეროვნების ფრანგულენოვან მწერალთა განვითარებას და ამას ხელს ყველანაირად შეუწყობს. ჩვენი შან სას ეგებ ყველაზე ნათელი მაგალითია სხვა ეროვნების ფრანკოფონთა ინტელექტუალური ოცნების ახდენისა. ის სულ რაღაც 15 წლის წინათ ჩავიდა პარიზში, მაგრამ ამ მოკლე ხნის მანძილზე მასპინძელი ქვეყნის ენობრივ და კულტურულ სივრცეში სრული ადაპტაცია მოახერხა. ამიტომაც, რა ვუყოთ, თუ ფლობერივით ვერ ფლობს სტილს, მისი პოპულარიზაცია მაინც ღირს, თუნდაც როგორც მაგალითისა...

არსებობენ მეორე ტიპის ლიტერატორები, რომელთა პოპულარიზაციისათვის ფრანგული კულტურის ცენტრი სიამოვნებით ირჯება. ეს ის ფრანგი მწერლები არიან, ვინც დრო და დრო შემოდის მოდაში და მთელ მსოფლიოში ქუხს მათი სახელები...

„მარინა: არა, წიგნები.

უხერხული სიჩუმე.

დანიელი: მარინა, წიგნები საწვავი არ არის.

მარინა (მიამითური ლიმილით): როგორ არა, დანიელ. გადასარეგად იწვის.

პროფესორი: წიგნების დანვას თუ დავინწყებთ, ომი ნამდვილად წაგებული გვექნება.

მარინა: ომი უკვე წაგებული გვაქვს!“

/ამელი ნოტომი, „საწვავი“, ფრანგულიდან თარგმნა თამარ ხოსრუაშვილმა/

ამელი ნოტომი სწორედ ის ავტორია, ვისაც ბოლო ხანს დიდი ხალხით თარგმნიან ჩვენში. ამ თარგმანთა დიდი ნაწილი თავის დროზე პატიოსნად წავიკითხე, მაგრამ დღეს აღმოვაჩინე, რომ წაკითხულიდან არაფერი დამამახსოვრდა. ამას მაინცდამაინც ჩემს მეხსიერებას ნუ დააბრალებთ. ქართულად ნოტომი ძალიან ერთფეროვანი და მოსაწყენი გამოვიდა. ერთი გაბმული ტრალალალალა, რომელიც ღამით კარგად გაძინებს, მაგრამ ამის მეტს ვერას მოგცემს, მეტი ვერაფერი გამოდნება ამ უღიმღამო „სექენდ ჰენდიდან“...

მზია ბაქრაძის გამოცდილებამ კიდევ რაღაცა შესძინა ავტორს და ამიტომაც „კრძალვითა და ცახცახით“ ყველზე კარგი რომანი იყო.

აი, დანარჩენის... სათაურებსაც კი ძლივს ვიხსენებ იმისას, რაც ქართულად ნავიკითხე, თუმცა ძალიან კარგად მახსოვს ნოტომის ერთადერთი ფრანგულად ნაკითხული რომანი „ანტიქრისტა“.

კიდევ კარგი, ხელში ჩამივარდა ეს წიგნი, რადგან სწორედ მისი მეშვეობით მივხვდი, რა კარგი მწერალია ეს უცნაური ქალი. ნოტომის რომანი სტილის ნამდვილი ფოიერვერკია. ლალი თხრობა ისე მიხტის აზრის ხვეულებზე, როგორც მთის მდინარე ლოდებზე. მისი ფრაზა ნამდვილი შაქარყინულია, რომლის სიტკბოსაც ანელებს ემოციის და ინტელექტის ზიგზაგურობა...

არსებითად, ერთადერთი თარგმანი, სადაც ნოტომის სტილის საუკეთესო მიღწევებია შენარჩუნებული, თამარ ხოსრუაშვილის მიერ შესრულებული პიესა „სანავია“. იმის მიუხედავად, რომ პიესა ლიტერატურის სპეციფიკური ჟანრია და მისი კითხვა ზოგადად არცთუ სასიამოვნო პროცესია, თამარ ხოსრუაშვილის თარგმანი დიდი ინტერესით იკითხება, რადგან ამელი ნოტომის დრამატურგიაში დომინანტური მაინც სიტყვა და ფრაზაა.

საერთოდ, ალბათ, ძალზე იშვიათია დღევანდელ ლიტერატურაში დრამატურგიულად ასე აწყობილი და გათვლილი ტექსტი. ბუნებრივია, პიესა, როგორც ჟანრი, თავისთავად მოითხოვს ამას, მაგრამ ამელი ნოტომის „სანავი“ ისეთი აწყობილი და ნაწარმოების საერთო იდეაზე ორიენტირებულია ნებისმიერი რემარკა, რომ პიესა დიდი ოსტატობით ნათამაშებ საჭადრაკო პარტიას ემსგავსება.

თანაც, პრობლემა, რომელიც ამ ნაწარმოებში დაისვა, პირადად ჩემთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა. არ ვიცი, აგვისტოს ომის გამო თუ არ ვიცი, იმიტომ, რომ ადამიანი მუდმივად დგება დილემის წინაშე: რა შეიძლება გასწიროს რის ხარჯზე.

თამარ ხოსრუაშვილის მიერ თარგმნილი ეს პიესა 2010 წელს დასტამბა გამოცემლობა „აგორამ“ და გამოცემიდან ცოტა ხანში კიდევ ნავიკითხე. ამ დროს უკვე გადავლილი იყო აგვისტოს ომი და პიესის კითხვისას კიდევ ერთხელ ირონიულად გამახსენდა, როგორ მენანებოდა ჩემი ბიბლიოთეკა იმ შემთხვევაში, თუ რუსები თბილისს დაბომბავდნენ...

ცხადია, ეს ყოფითი დეტალი – წიგნების დანვა გაყინული ოთახის გასათბობად და თავის გადასარჩენად – პიესაში ღრმა სიმბოლური შინაარსითაა დატვირთული და ლამის სულისა და ხორცის, სულიერი და მატერიალური სანყისის დაპირისპირების მნიშვნელობას იძენს.

ნაცისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ პარიზში, დაბომბვის შიშით, ერთ ოთახში გამოკეტილი სამი ადამიანის – პროფესორის, მისი სტუდენტის დანიელისა და ამ სტუდენტის შეყვარებული ქალის მარინას – ურთიერთობაში კი ისეთი საკითხები წამოიჭრება, რაც სცდება ერთი პარიზული აპარტამენტის საზღვრებს და ამქვეყნიური ყოფიერების ზოგადადამიანურ კითხვებად იქცევა...

ოღონდ, თუ ომი ნოტომისთვისაც და, ალბათ, დასავლელი მკითხველისთვისაც მხოლოდ მეტაფორაა, რომელიც სიმბოლურად დღევანდელ მსოფლიო სინამდვილეზე მიუთითებს, ჩვენთან ეს მეტაფორა ორმაგად მარკირებულია, რადგან ომიც კი სინამდვილედ არის ქცეული.

ასეთ ვითარებაში ნოტომის ტექსტი სულ სხვა, სიღრმისეულ, დატვირთვას იძენს და მიკვირს, ჩვენი თეატრები დღემდე რატომ არ დაინტერესდნენ ამ შესანიშნავი პიესით. შესაძლოა, იმიტომ, რომ ამელი ნოტომის „სანავი“ ზედმეტად ინტელექტუალურია ჩვენი – უხამსობას შეჩვეული და სიღრმეს გადაჩვეული – მასობრივი მაყურებლისათვის. ანდა, შეიძლება იმიტომაც, რომ ჩვენ ჩვენი ეროვნული გამოღვიძება სწორედ წიგნების დანვითაც დავიწყეთ და შევეცადეთ ამისათვის კეთილშობილური სარჩულიც დაგვედო.

ნოტომის ამ პიესამ ჩემი ადრეული სტუდენტობის ის საშინელი აუტოდაფე გამახსენა, როცა ვერის პარკში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა კოცონი დაანთეს და შიგ ჩაყარეს ყველა იმ მწერლის წიგნი, რომელიც გამსახურდიას მთავრობას არ ეთანხმებოდა.

დღეს, როცა ეროვნული მოძრაობისა და ზვიადიზმის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რატომღაც არავის აღარ უნდა გაიხსენოს ან აღარავის ახსენდება ეს ეპიზოდი: 1991 წლის შემოდგომაზე ვერის პარკში დანთებული კოცონი და შიგ ჩაყრილი ასობით წიგნი.... მე კი სწორედ მაშინ დამიტრიალდა თავში ყველა ის შეკითხვა, რაც მწყობრად ჩამოყალიბებული და არსებითად პასუხგაცემული ვიხილე ამელი ნოტომის პიესაში.

ამ პიესის ერთ-ერთი პერსონაჟი, დანიელი, სასონარკვეთილი ამოიძახებს: „არა, წარმოგიდგენიათ? ეს რა ხალხში ვარ! კაცი ყველაფერს კადრულობს იმიტომ, რომ ომია და ქალი ყველაფერს კადრულობს იმიტომ, რომ სცივია!“

ეს არის ძალზე მოკლე და ზუსტი აღწერა ჩვენი დღევანდელი მდგომარეობისა, საიდანაც ამელი ნოტომის პიესის თანახმად, ერთადერთი გამოსავალი არსებობს, თუ გვინდა, რომ ყველანი ცხოველებს არ დავემსგავსოთ, წიგნების დანვაზე ხელი უნდა ავიღოთ. როგორც არ უნდა გვციოდეს, ერთი წიგნი მაინც უნდა დავიტოვოთ, რომელსაც სიცოცხლის ფასადაც კი ვერ შეველევი.

ამელი ნოტომის პიესა შორს არის ბანალური პათეტიკისაგან სწორედ იმის გამო, რომ აქ ერთმანეთს ერწყმის დრამატურგიის რამდენიმე პლასტი: გროტესკი ბუფონადაში გადადის, ბუფონადა ტრაგედიაში, ტრაგედია ტრაგიკომედიაში. ხოლო ეს გადასვლები შესრულებულია დიდი ოსტატობითა და გემოვნებით....

ქართული თარგმანი ადეკვატურად ასახავს ფრანგული ტექსტის სტილურ თავისებურებებს. თამარ ხოსრუაშვილი ძირითადად ახერხებს მკვეთრად დასვას ყველა ის აქცენტი, რაც ნოტომისთვისაა მნიშვნელოვანი. ფრაზა ბუნებრივია, გადაუტვირთავი, რიტმი – ცოცხალი და ვითარების შესაბამისი.

ალაგ-ალაგ ხოსრუაშვილსაც ეპარება გრამატიკული შეცდომები. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფრანგულიდან თარგმნილი ტექსტებისათვის სწორედ ქართული გრამატიკა და სტილისტიკა გვევლინება აქილევსის ქუსლად, ამ ფონზე დასაფასებელია შედეგი, რომელსაც ეს კონკრეტული მთარგმნელი გვანვდის.

თანაც, ქართული გრამატიკისა და სტილისტიკის ელემენტარულ ნორმათა უცოდინრობა, რაც თვალში საცემია ჩვენს მთარგმნელებთან, არა მარტო მთარგმნელების, არამედ იმის ბრალია, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, თითქმის აღარ არსებობს რედაქტორის საჭირო და აუცილებელი ინსტიტუტი.

მართალია, აქა-იქ ჭიკჭიკებს ერთი-ორი „მერცხალი“ (ვთქვათ, ანა ჭაბაშვილი და ლალი ქადაგიძე – დიოგენეში, ხოლო ლოლა ქადაგიშვილი – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში), მაგრამ „გაზაფხული“ ანუ სასურველი შედეგი ჯერ მაინც შორს არის.

გამოცდილი რედაქტორის დეფიციტი იგრძნობა ფრანგული ლიტერატურის თარგმანზე ორიენტირებულ გამოცემლობა „აგორაშიც“. ამას ობიექტური მიზეზი აქვს – გამოცემლობა შედარებით ახალი შექმნილია და იმედია, სამომავლოდ ბევრი რამ, მათ შორის, ეს საკითხიც დაიხვეწება. მით უმეტეს, რომ მთლიანობაში „აგორას“ მოღვაწეობა ძალზე დადებითი მოვლენაა თანამედროვე კულტურულ პროცესებში და გამოცემლობის არაერთი ინიციატივა ნამდვილად მისასალმებელია.

თუნდაც ის სერიაც რომ ავიღოთ, რითაც ჩვენ მიერ განხილული ამელი ნოტომის პიესა დაისტამბა.

„ავანსცენა“ შესანიშნავი სერიაა, რომელიც თანამედროვე ფრანგული პიესების თარგმანს აერთიანებს. ეს კი მეტისმეტად საშური საქმეა ჩვენი ლიტერატურისთვისაც და თეატრალური ცხოვრებისათვისაც. რადგან ქართული ლიტერატურის ყველაზე სუსტი მხარე, ჩემი აზრით, მაინც დრამატურგიაა. „ავანსცენა“ კი უსათუოდ ამოავსებს ამ ხარვეზს, მთავარია, ჩვენმა ახალბედა რეჟისორებმა კითხვა ისწავლონ და სცენა მხოლოდ საკუთარი უმნიშვარი ლიტერატურული მცდელობების ასპარეზი არ ეგონოთ.

უშუალოდ ამ სერიით კი ალბერ კამიუს შესანიშნავი პიესაც დაისტამბა „რეკვიემი მონაზონისათვის“, რომელიც ფრანგული ლიტერატურისა და სწორედ კამიუს ძალიან კარგმა მცოდნემ, გიორგი ეკიზაშვილმა თარგმნა.

პიესა უღლიამ ფოლკნერის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით არის დანერილი და კამიუს საუკეთესო ნაწარმოები არ არის, მაგრამ აქ სწორედ მნიშვნელოვანია თარგმანის ხარისხი, რაც შეიძლება ერთგვარად სანიმუშო იყოს იმათთვის, ვინც გადანყევს თარგმანის უძნელეს ხელოვნებას მოჰკიდოს ხელი.

შეიძლება მთარგმნელს შევდავებოდით სათაურში მოცემულ ფორმაზე „მონაზონისათვის“. ჩვეულებრივ ეს სიტყვა კუმშვადია და ნათესაობითი გვადღევს ფორმას „მონაზონისათვის“, მაგრამ გიორგი ეკიზაშვილი იმ რანგის პროფესიონალია, რომლის ტექსტებშიც ნებისმიერი გრამატიკული დარღვევა შეიძლება ერთგვარ ლიცენცია პოეტიკად განვიხილოთ და იმაზე ვიფიქროთ, რატომ ამჯობინა მთარგმნელმა ნორმად დადგენილი ფორმისაგან გადახვევა, რა მხატვრულმა მოტივაციამ უბიძგა ამისაკენ.

პირადად ჩემთვის საოცრებაა ერთი

ობიექტური გარემოება: გიორგი ეკიზაშვილთან, რომელიც ამდენს თარგმნის და შეიძლება ყველაზე ხელხვაიან მთარგმნელადაც მივიჩნიოთ, პრაქტიკულად ვერსად ნააწყდებით არათუ ტავტოლოგიას, არამედ ერთი ძირიდან ნაწარმოები სიტყვების არაფილიგრანულ ურთიერთმეზობლობას. ამდენად, ტექსტი ქართული ლიტერატურის სრულყოფილებიანი ნაწილი ხდება, სადაც ენა მიზანს კი არა, კარგად გააზრებულ საშუალებას წარმოადგენს.

გამომცემლობა „აგორამ“ 2011 წელს გიორგი ეკიზაშვილის კიდევ რამდენიმე თარგმანი გამოსცა. ალბერ კამიუს შედარებით ადრეული ესეების კრებული „ქორწინება, ზაფხული“ და მოგვიანო ხანის „გადასახლება და სამეფო“. ფრანგული ეგზისტენციალიზმის ამ უდიდესი წარმომადგენლის თეორიული ნააზრევის კინტესენციად სწორედ ეს ესეები შეიძლება მივიჩნიოთ. ამდენად, ამ ორი კრებულის გამოცემით უმნიშვნელოვანესი საქმე გაკეთდა. გიორგი ეკიზაშვილის თავდადების წყალობით კი დღეს ალბერ კამიუ მეოცე საუკუნის ფრანგი მწერლებიდან ქართულად ყველაზე უხვად და ეგებ, ყველაზე უკეთ თარგმნილი მწერალია.

შემთხვევითი კი არ იყო ის ამბავი, რომ კამიუს შემდეგ ეკიზაშვილმა სერიოზულად მოკიდა ხელი მიშელ უელბეკის თარგმანს და მისი ორი რომანის – „ელემენტარული ნაწილაკებისა“ და „ბრძოლის ველის განვრცობის“ ქართულად ამეტყველებით – არსებითად მონიშნა ის უმთავრესი სტილური მახასიათებლები, თუ როგორ უნდა გადმოღებულყო ქართულად ამ უცნაური და დიდი მწერლის თხზულებები.

ამ ორი წლის წინათ კი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ დასტამბა უელბეკის კიდევ ერთი რომანი „პლატფორმა“, რომელიც ქართულად თარგმნა ძალიან ნიჭიერმა მწერალმა ირმა ტაველიძემ. მწერლის მიერ შესრულებული თარგმანი სულ სხვა ფენომენია და ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა ირმა ტაველიძის მიშელ უელბეკმა.

ირმა ტაველიძე ძირითადად მიჰყვა ეკიზაშვილის გზას სტილის თვალსაზრისით, მაგრამ განავრცო და ძალზე საინტერესო შიდადინებებით დატვირთა ეს უმთავრესი სქემა. უელბეკის „პლატფორმა“ ქართულად შვებით მსუნთქავი ტექსტია, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და ყველა მხატვრული ხერხი ისე ჯდება მთლიან კონტექსტში, რომ საოცარი ჰარმონიის შეგრძნებას გიქმნის ეს სავესები

დისჰარმონიული წიგნი.

წელან ალბერ კამიუსა და მიშელ უელბეკის ტიპოლოგიურ ნათესაობაზე რომ მივანიშნე, ერთ გარემოებასაც ვგულისხმობდი. ალბათ, შემთხვევითი არ არის ის, რომ კამიუს „უცხო“ დედის სიკვდილით იწყება, ხოლო მიშელ უელბეკის „პლატფორმა“ – მამის სიკვდილით. შვილი კი ორივე ტექსტში იმდენად არის გაუცხოებული მშობლისაგან, რომ ეს ამბავი სრულებით არ აღელვებს. მხოლოდ გარკვეული ფილოსოფიური განსჯისაკენ უბიძგებს კამიუს გმირსაც და მიშელ უელბეკის პერსონაჟსაც.

ცხადია, კატეგორიულად რაიმეს მტკიცება გამორიცხულია და ლიტერატურის მცოდნეობაში 2-ჯერ 2 ყოველთვის არ არის 4-ის ტოლი, მაგრამ მაინც მგონია, რომ მიშელ უელბეკის რომანი სწორედ კამიუს გზის შინაგანი განვითარების შედეგია. სტილის დისკურსი ძალზე ფაქიზი რამაა და ერთი მწერლის შემოქმედების ცოდნას კი არა, მთელი ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინებას ითხოვს, რათა თარგმნისას ადეკვატური შედეგი მიიღო.

სწორედ ამ მახასიათებლის გამო არ არსებობს კომპლიმენტი, რომელსაც დავინანებდი ირმა ტაველიძის მიერ თარგმნილი „პლატფორმის“ მისამართით. ის ბოლო წლების ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად მიმაჩნია. გადამალეთ ქართული „პლატფორმის“ ნებისმიერი გვერდი და ამაში თვითონვე დარწმუნდებით. ისე კი, რა თქმა უნდა, სჯობს, კითხვა პირველივე გვერდიდან დაიწყოთ, რადგან მერე ტექსტს თვალს ველარ მოაცილებთ და ამ ინტელექტუალურ ჯოჯოხეთს, არაჩვეულებრივი თარგმანის წყალობით, სულ რაღაც ერთ ლაშქში გაივლით...

თუ მიშელ უელბეკის „პლატფორმასთან“ დაკავშირებით ჯოჯოხეთი ან განსაზღვრული წიგნის შინაარსიდან გამომდინარე გაგახსენდება, არის თარგმანი, რომლის კითხვისას ჯოჯოხეთი იმიტომ გამახსენდება, რომ თუ ის ნამდვილად არსებობს და სიკვდილის მერე სწორედ იქ აღმოვჩნდი, ჩემი სასჯელი, ალბათ, ის იქნება, გამუდმებით ასეთი თარგმანების კითხვა მომისაჯონ!

არადა, საქმე ეხება სტილის ისეთ ჯადოქარს ფრანგულ ლიტერატურაში, როგორიც ლუი ფერდინანდ სელინი ბრძანდებოდა.

სიბილა გელაძის მიერ ქართულად გადმოღებული მისი რომანი „მოგზაურობა ღამის დასალიერში“ 2008 წელს დასტამბა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ და ალბათ, სხვა შემთხვევაში თარგმანი წლის კულტურულ მოვლენად უნდა ქცეულიყო, მაგრამ სელინს საქართველოში არ გაუმართლა.

სულ თავიდან რომ დავიწყოთ, ჯერ ერთი, ვერ ვხვდები, რატომ მაინცდამაინც „მოგზაურობა ლამის დასალიერში“ და არა „ლამის კიდემი“ ან „კიდეზე“. თარგმანის სიზუსტეს რომ თავი დავანებოთ, განა ფრაზის, მით უფრო, სათაურის სისხარტე არაფერს უნდა ნიშნავდეს მთარგმნელისთვის?

თუმცა ეს რბილი შეკითხვა მაშინვე გაგიქრებათ, როცა ტექსტის კითხვას შეუდგებით. ეს არის ტავტოლოგიებით სავსე, გრამატიკული შეცდომებით გადატენილი აბდაუბდა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სელინის დახვეწილ სტილისტიკასთან.

ვინმემ მიკერძოებაში რომ არ დამდოს ბრალი, წიგნს ალაღებდზე გადავშლი და რამდენიმე ფრაგმენტსაც მოვიყვან. აი, თუნდაც ეს ტავტოლოგიებით აჭრელბული მონაკვეთი რად ღირს:

„ოთხი კვირის დაწყებული იყო ომი, ჩვენ კი უკვე ძალიან დაღლილები და უბედურები ვიყავით. იმ ზომამდე ვიყავით მისულელები, რომ გზის შიში ცოტათი გამიქრა. ისეთ წამებაში ვიყავით დღე და ღამე ჩინოსნების გადამკიდე, განსაკუთრებით კი წვრილი ჩინოსნების ხელში, რომლებიც ჩვეულებრივზე მეტად იყვნენ გამოშტერებულიები, დაწვრილმანებულები და ზიზლით აღსავსენი, რომ ყველზე ჯიუტი ადამიანიც კი დაეჭვდებოდა, ღირდა თუ არა სიცოცხლის გაგრძელება მათ ხელში.“

თავი დავანებოთ იმას, რომ მთარგმნელმა აშკარად არ იცის მიზეზისა თუ მიზნის გარემოების ანდა ზმნიზედის ადგილი ქართულ წინადადებაში და ამის გამო ისეთი ემოციური და აზრობრივი მომენტების აქცენტირება ხდება, რაც დედანში სულაც არ არის მნიშვნელოვანი, ხოლო უფრო მნიშვნელოვანი მომენტები იჩქმალება ან უკანა პლანზე გადადის. საქმე ის არის, რომ მშობლიურ ენას ასეთ რამეს მხოლოდ მაშინ უზამ, როცა მშობლიური ენა არ იცი, თორემ ფრანგული შესაძლოა მართლაც გემარჯვებოდეს...ამის განმსჯელად მე აქ ვერ გამოვდგები..

მომდევნო გვერდებზე ასეთი წინადადებაც გვხვდება: „აქაურ სოფლებში შემა კარგად ხმებოდა სამთვიანი ზაფხულის მანძილზე“. ქართველი კაცი და, მით

**შავი ფრინველი**

თითქოს აქ არის,

ამ მტვრიან და ხრინწიან ქალაქში,

ამ მოტორტმანე, მთვრალ ქალაქში,

ამ შიშველ, მროკავ, უღარუნა ქალაქში,

აქ, ყოველღამე ფრთების ტყლაშუნით

ეშვება დიდი შავი ფრინველი,

ჯდება ყველაზე მაღალ ბორცვზე

და არწივის მზერით იმახსოვრებს

ამ ქალაქის კორპუსების დაცვენის კბილებს,

ლამ-ლამობით სარდაფებიდან გამომავალ მწარე ოხშივარს,

ადამიანთა სრიალს ლიფტით ცაში და ციდან,

გარეუბნების ბნელ ქუჩებზე ვირთხის გარბენას...

მონადირე ხომ არ არის?

სისხლის სუნი ხომ არ დაგეშა?

შავი ფრინველი ფრთების ტყლაშუნით იმახსოვრებს

ფანრის სუსტ შუქზე განათებულ

ბიჭის და გოგოს მხურვალე კოცნას,

ზამთრის ამ ცივ შავ-თეთრ ღამეს

ნითელ ლაქად რომ მიეხატა,

იმახსოვრებს ღნავილს კატების, ციხეებში რომ დაძრწიან

და კაცების წკავწკავს ციხის საკნებში,

რკინის კარების ავბედით ჭრიალს

და ჟანგიანი ბოქლომების ბოროტ ქირქილს, ღამეს რომ სერავს,

იმახსოვრებს შეშლილების ბოდვას და წყევლას,

ფსიქიატრიულ საავადმყოფოს დერეფნებში ჩრდილის ბოდიალს,

მოხუცების თავშესაფარში ჩამტვრეული ფანჯრების ჩიფჩიფს,

კაზინოებში ავბედითი ქალების მკერდზე

ნაკბენ მოლურჯო-მონითალო ლაქებს კერტებთან,

იმახსოვრებს ყოველ ბგერას,

სუნს მარტოობის, სუნს სიყვარულის და სიძულვილის...

თითქოს აქ არის,

ამ მტვრიან და ხრინწიან ქალაქში,

ამ ქალაქში, რომელსაც ყოველღამ მუცელი ეშვება...

ანგელოზია თუ ეშმაკი

თუ მონადირე შავი ფრინველი?

**ნენე გიორგაძე**

ბალერა



ანუკ ბელუვა  
Self Portrait, ტუში, ფანქარი, 2011

უმეტეს, მთარგმნელი ამ „ხელი გავიქნიე ფეხს“ ბუნებრივად ასე იტყოდა: „აქაურ სოფლებში შეშა კარგად ხმებოდა ზაფხულის სამი თვის განმავლობაში“.

მსგავსი მაგალითების მოძებნა უსასრულოდ შეგვიძლია. უბრალოდ, ამ მიმოხილვითი წერილისათვის, ვფიქრობთ, ეს რამდენიმე ნიმუშიც საკმარისია.

მერიის მიერ დაარსებულ ლიტერატურულ კონკურსზე „გალა“, რომელსაც დიდი ამბიციები გამოარჩევს, სიბილა გელაძის ამ თარგმანს, 2008 წელს, საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში პრემია მიენიჭა!

ძნელია, ვინმე პირდაპირ დაადანაშაულო უკადრის საქციელში, მით უმეტეს, რომ ლიტერატურული გემოვნება სწორედ საკამათო საკითხია, მაგრამ ჩემთვის გამოცანად დარჩა, ვის მოუვიდა აზრად ასეთი თარგმანისათვის პრემია მიეცა. სავარაუდებელია, სელინმა და ნანარმოების სათაურმა ისე იმოქმედა ჟიურის წევრებზე, რომ ამით თავბრუდახვეულებს თარგმანი მერე აღარც კი წაუკითხავთ!

მოკლედ, სანყალი სელინი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალბათ, დაფიქრდებოდა (და არა დაეჭვდებოდა, როგორც მთარგმნელს ჰგონია), ღირდა თუ არა სიცოცხლის

გაგრძელება (კი არა – სიცოცხლე!) ასეთი მთარგმნელისა და რედაქტორის ხელში (ნიგნის რედაქტორია დალი გერმანაშვილი).

საერთოდ, ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებამ ერთი მხრივ საქმე გააიოლა, მაგრამ მეორე მხრივ, მთარგმნელებიც და მწერლებიც ერთგვარ შემოქმედებით მცონარებასაც შეაჩვია. მეჩვენება, რომ უწინდელი მთარგმნელები საქმეს უფრო გულისყურითა და რუდენებით უდგებოდნენ და იმაშიც, რომ ტექსტი თავდაპირველად ხელით იწერებოდა, იყო რაღაც უფრო შემოქმედებითიცა და ადამიანურიც.

ამის მაგალითად თუნდაც ნუნუ ქადეიშვილის თარგმნილი ფრანსუაზ საგანის რომანები გამოდგება, რომელთაგან ორი „სალამი, სევდავ!“ და „გიყვართ ბრამისი?!“ 2006 წელს ცალკე წიგნად დასტამბა გამოცემლობა „დიოგენე“.

დღეს ამ თარგმანების დანვრილებით განხილვას არ ვაპირებ, ეს პატარა წიგნი უბრალოდ გამახსენდა, როგორც დღევანდელი აწენილი ვითარების შესანიშნავი მხატვრული საპირწონე! რაც არ უნდა მონკუროს ტუჩები დღევანდელმა სნობმა ფრანკოფილმა, ფრანგულად ეს ასე არა უღერსო, მთავარი ის არის, რომ ქადეიშ-

ვილის თარგმანები ქართულად უღერს და თანაც ისე, რომ შეგიძლიათ ამით ბავშვებს ქართული ასწავლოთ!

ფრანსუაზ საგანის რომანები კი ახალგაზრდა მწერლის ანა გავალდას ნოველების კრებულმაც გამახსენა. ეს წიგნი „მინდა, ვილაც მელოდეს სადღაც“, ფრანგულიდან თარგმნა ნანა იაშვილმა და 2010 წელს გამოსცა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“.

კრებულში 10 პატარა ნოველაა თავმოყრილი.

ანი გავალდას ნოველები მართლაც გამოირჩევა სტილის არაჩვეულებრივი სისადავით, იუმორითა და ცხოვრებისეულ, ერთი შეხედვით, მარტივ სიტუაციებში ღრმა შინაგანი კონფლიქტების აღმოჩენით. ათივე ნოველა თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა დანერილი და, სხვათა შორის, ქართულადაც ასევეა თარგმნილი.

ნანა იაშვილი შესანიშნავად მანიპულირებს სტილით, რაც გავალდას მთარგმნელს უსათუოდ მოეთხოვება, რადგან ნოველები სავსეა ლიტერატურული ობერტონების მონაცვლეობით და ლიტერატურული ალუზიებით: იმავე ფრანსუაზ საგანის, ბოდლერის, რემბოსა თუ სხვათა ციტატებით ანდა მათ ნანარმოებებზე მინიშნებებით. ეს კი უფრო მნიშვნელოვანია, რადგან უცხო ენაზე უნდა შეინარჩუნო ორი პლასტი: ის, რაზეც მიანიშნებენ და ისიც, თუ რატომ მიანიშნეს ამ კონკრეტულ პასაჟზე.

ეს სირთულე ნანა იაშვილის თარგმანში შესანიშნავად არის დაძლეული. ის კარგი მოქართულეა და ალაგ-ალაგ თუ გაეპარება არასწორი ნიუანსი, მაგალითად, ასეთი: „თითის ბოლოები გამეყინა“.

არ ვიცი, ამასთან პირდაპირ კავშირშია თუ არა, მაგრამ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ ამოკითხული ფრაზა მახსენდება: „მამალს ბოლო აქვს, ხოლო თევზს კუდი“.

ამ მიმოხილვის წერისას, კიდევ ერთხელ გავიაზრე, რამხელა საქმეს აკეთებს საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი. თუნდაც ის რად ღირს, რომ ბოლო წლებში მათ მიერ გამოცემული თარგმანები ერთ წერილში ვერ ამოვწურე. მაღლობის მეტი ნამდვილად არაფერი გვეთქმის, მაღლიერების გამოხატულება კი, ალბათ, ის იქნება, რომ მთარგმნელებიცა და გამომცემელებიც მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ საქმეს.

მით უმეტეს, როგორც ამელი ნოტომის პიესიდანაც ჩანს, წიგნები ან ძალიან ცუდად ან თითქმის არ იწვის...





**„გადასახლება და სამეფო“**

ალბერ კამიუ  
**მთარგმნელი** გიორგი ეკიზაშვილი  
**გამომცემლობა** აგორა  
**გამოცემის წელი** 2011  
**ფასი** 6.60 ლარი

ალბერ კამიუს სიცოცხლეში გამოცემული ბოლო წიგნი. კრებულში შესული მოთხრობების მთავარი თემა მარტოობის განცდით შეპყრობილ ადამიანთა შინაგანი ტრაგედია, უკმარობის გრძნობა, რაიმეს შეცვლის სურვილის წინაშე უძლეურობა და მაინც ბედნიერებისკენ სწრაფვაა.

**პიესები**

ვაცლავ ჰაველი  
**მთარგმნელი** მაია ნაჭყებია  
**გამომცემლობა** სიესტა  
**გამოცემის წელი** 2011  
**ფასი** 10 ლარი



ამ პიესებში ხშირია დუმლილიც და ბრეიკვულიც ლაყბობაც. ვისაც სურს, შეუძლია დაესწროს მას, როგორც უშინაარსო კომედიებს. ეს პიესები არაა ნიჰილისტური და ეს მნიშვნელოვანია – ისინი გამაფრთხილებელია. ისინი არც გვამშვიდებენ და არც იმედს გვისახავენ: ისინი მხოლოდ იმას გვახსენებენ, თუ როგორ ვცხოვრო-

ბთ იმედის გარეშე. ამაშია მათი გამაფრთხილებელი მისია.

**ვაცლავ ჰაველი**

ჩეხი დრამატურგის და ესეისტის სხვადასხვა დროს შექმნილი პიესების („მფარველი ანგელოზი“, „პეპლები ანტენაზე“, „ლატაკთა ოპერა“, „მთის სასტუმრო“, „პროტესტი“, „ხვალ დავინყებთ“, „ნასვლა“) კრებული.

**ავღანური დღიურები**

დიანა იანსე  
**მთარგმნელი** ლიკა ჩაფიძე  
**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა**  
**გამოცემის წელი** 2011  
**ფასი** 14.90 ლარი



დიანა იანსე – 2010 წლიდან შვედეთის სამეფოს სრულუფლებიანი ელჩია. საქართველოში ჩამოსვლამდე, 2004-2006 წლებში შვედეთის სამეფოს საელჩოს წარმომადგენლად მუშაობდა ქაბულში. სწორედ ავღანეთში გატარებულ წლებს ეხება მისი წიგნი „ავღანური დღიურები“, რომელიც 2010 წლის იანვარში გამოიცა შვედეთში და ავტორს დიდი აღიარება მოუტანა.

**ველური დასავლეთის მხედრები**

ირაკლი მახარაძე  
**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა**  
**გამოცემის წელი** 2011  
**ფასი** 6.90 ლარი

ირაკლი მახარაძე კინორეჟისორი, მკვლევარი, თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული. გადაღებული აქვს დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები: „ლელოს შემობრუნება“, „უაილდ ვესთის მხედრები“, „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“ „გურული ფირალები“, „დიმიტრი შევარდნაძე“.

არის ავტორი წიგნებისა: „გურული მხედრები ამერიკაში“, „ერთი მუჭა ვესტერნი“, „გურული ფირალები“, „რუსულ-ქართული ტერორი 1880-1924“, „ქართველები ამერიკაში“. მისი სტატიები იბეჭდება ქართულ და ამერიკულ ჟურნალებში. არის ავტორი საფოსტო მარკისა „გურული მხედრები ამერიკაში“.


**თოვლის პრინცესა**

ემილი ჰოპკინსი  
**მთარგმნელი** აია ბერაია  
**გამომცემლობა** ლოგოს პრესი  
**გამოცემის წელი** 2011  
**ფასი** 22.90 ლარი

ახალგაზრდა პრინცესა მოჯადოებულია – მას ყინულის გული აქვს და იძულებულია მარტოდმარტო იცხოვროს თოვლის სასახლეში. უამრავი პრინცი ცდილობს გადაარჩინოს და ცოლად შეირთოს იგი, მაგრამ ბედნიერება პრინცესას მხოლოდ მაშინ ეწვევა, როცა სიყვარულს არა თავისგან შორს, არამედ სულ ახლოს დანახავს.

**კომედიები, ტომი IV**

არისტოფანე  
**მთარგმნელი** ლევან ბერძენიშვილი  
**გამომცემლობა** ლოგოს პრესი  
**გამოცემის წელი** 2011  
**ფასი** 11.90 ლარი



ბერძნული კომედიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი არისტოფანე, როგორც პოლიტიკური კომედიის ავტორი, უმნიშვნელოვანესი მხატვრული წყაროა მსოფლიოში პირველი, ძველი ბერძნული დემოკრატიის არსის გასაგებად. IV ტომში შევიდა ორი კომედია: „ლისისტრატე“ და „ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე“.

**ჯადოსნური მთა**

თომას მანი

**მთარგმნელი** დალი ფანჯიკიძე

**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა**

**გამოცემის წელი 2011**

**ფასი 29.90 ლარი**

ნობელის პრემიის ლაურეატი გერმანელი მწერლის თომას მანის რომანი „ჯადოსნური მთა“ 1924 წელს გამოვიდა. თავად ავტორის შეფასებით, ეს წიგნი უაღრესად გერმანულია, თუმცა ევროპული განმანათლებლური და აღმზრდელობითი რომანის მოდერნიზაციადაც შეიძლება ჩაითვალოს, ნაწილობრივ, მის პაროდიადაც.

მწერალი იკვლევს სიკვდილის პირისპირ მყოფი ადამიანისა და მისი ახლობლების ფსიქოლოგიას. რომანის მთავარი გმირის მსოფლმხედველობას სიკვდილის სიახლოვე თავდაყირა აყენებს.

ამ წიგნისთვის დამახასიათებელი აზრობრივი სიღრმე, მრავალპლანუანობა, გამოკვეთილი ხასიათები და მწერლის ჰუმანური, ირონიანარევი დამოკიდებულება გმირების მიმართ „ჯადოსნური მთის“ გერმანული ლიტერატურის შედევრად აღიარების მიზეზი გახდა.

**უთვისებო კაცი II, ნაწილი**

რობერტ მუზილი

**მთარგმნელი** მაია ბადრიძე

**გამომცემლობა** დიოგენე

**გამოცემის წელი 2011**

**ფასი 25.50 ლარი**



რობერტ მუზილის „უთვისებო კაცი“ ინტელექტუალური თავგადასავლის მაძიებელი მკითხველისთვისაა განკუთვნილი. ის მკითხველისგან ისეთსავე გაბედულებას ითხოვს, როგორსაც მოსალოდნელი სიძნელეები მსოფლიოს გარშემო მოგზაურისგან.

რობერტ მუზილი თითქმის მთელი ცხოვრება მუშაობდა „უთვისებო კაცზე“, რომელიც საბოლოოდ დაუმთავრებელი დარჩა. 1930-1940-იან წლებში ტექსტი ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნდა. 1952 წელს რომანი ორ ტომად გამოიცა და ფართო საზოგადოების ყურადღებაც მას შემდეგ მიიპყრო.

რობერტ მუზილის „უთვისებო კაცი“ პირველი ტომი ქართულად 2008 წელს გამოვიდა. 2011 წელს II ტომთან ერთად I ტომი ხელახლა გამოიცა.

**ჭიანჭველები**

გელა ჩქვანავა

**გამომცემლობა** დიოგენე

**გამოცემის წელი 2011**

**ფასი 11.90 ლარი**



გელა ჩქვანავას ახალ კრებულში „ჭიანჭველები“ ბოლო წლებში დაწერილი ცამეტი მოთხრობა შევიდა. მოთხრობების ნაწილი ლიტერატურულ პერიოდიკაში დაიბეჭდა, ნაწილს კი მკითხველი პირველად გაეცნობა.

**შეუცნობელი**

მილან კუნდერა

**მთარგმნელი** ნანა იაშვილი

**გამომცემლობა** დიოგენე

**გამოცემის წელი 2011**

**ფასი 11.90 ლარი**

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჩეხი რომანისტი უკანასკნელი რომანი (2006). 1968 წელს საბჭოთა ჯარების ჩეხოსლოვაკიაში შესვლის სანაღამდეგო გამოსვლებში მონაწილეობის გამო მისი წიგნები ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს, თავად მწერალს კი პუბლიკაცია აკრძალა. 1979 წელს მილან კუნდერას ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეობა ჩამოართვეს.

თვეს. მას შემდეგ მწერალი საფრანგეთში ცხოვრობს. 1990-იანი წლებიდან კუნდერა ფრანგულად წერს.

**ძველი თბილისის იშვიათი ამბები**

კარაპეტ გრიგორიანცი

**ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა**

**გამოცემის წელი 2011**

**ფასი 12 ლარი**

კარაპეტ გრიგორიანცი (1866-1943) ფიროსმანის თანამედროვე, თბილისელი, თვითნასწავლი მხატვარია, რომელიც წიგნებსაც წერდა და თარგმნიდა. „ძველი თბილისის იშვიათი ამბები“ არასდროს გამოცემულა, გარდა სამი თავისა, რომელიც ავტორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სერგო კლდიაშვილმა გამოაქვეყნა გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“.

სერგო კლდიაშვილმა ხელნაწერი მუზეუმში 1944 წელს შეიტანა. „ძველი თბილისის იშვიათი ამბებისა“ და ბიოგრაფიის ხელნაწერი ერთნაირია, მაგრამ უცნობია ხელნაწერი ეკუთვნის თუ არა ავტორს. ენა უაღრესად უბრალო და ხშირად გაუმართავია, მაგრამ ავტორის ტექსტი უცვლელადაა დატოვებული. წიგნში პირველადაა თავმოყრილი კარაპეტ გრიგორიანცის დღეისთვის ცნობილი ყველა ნახატი.

**ჩემი პირველი საკითხავი წიგნი**

თამარ ადამია

**გამომცემლობა** ელფი

**გამოცემის წელი 2011**

**ფასი 9 ლარი**



დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის განკუთვნილი შემეცნებითი, ილუსტრირებული რებუსი-ზღაპრების კრებული, რომლებიც ბავშვებს კონცენტრაციის, მესიერების, ნებისყოფის უნარების ჩამოყალიბებაში დაეხმარება და გარემოს გაცნობის ინტერესსაც გაუღვივებს.



**რადიოქალაქი წარმოგიდგენთ**

**ყოველ სამუშაო დღეს**

**17:30**

**გადაცემას**

**დღის ბიზნეს სტუმარი**

**მანია ჯავახიშვილთან ერთად**



versatile know-how

highly certified

low hierarchies

advisor

we implement individual scalable solutions

**Our aim is to increase visual communication.**

interdisciplinary

customer proximity

economic solid

direct reference persons

**We live with our hearts and heads visual communication.**

specialized manpower

we reclaim new technologies

**And we are good in what we do.**

experienced process quality

vendor neutral

international

we help you to create value

we integrate advantages in solutions

flexibility

creative ideas

transparent